

იაკობ ჩინიავაძე

# მოგზაურობა საქართველოში

კერძანულიდან თარგმნა,  
შესავალი და საძიებლები დაურთო  
გია გელაშვილმა

---

ბავოვიწევილი „არტანუჯი“

თბილისი 2002

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაურის – იაკობ რაინეგის ცნობები საქართველოს შესახებ. წიგნი ძირითადად ეყარება რაინეგის 1796-1797 წლებში გამოცემულ შრომას „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“. შრომა ძალზე მდიდარია ქვეყნის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული თუ ეკონომიკური სურათებით.

რაინეგი იმყოფებოდა ერეკლე II-ის კარზე 1778-1781 წლებში. განათლებულმა და ენების მცოდნემ მეფის კეთილგანწყობა დაიმსახურა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით.

საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედული რაინეგით დაინტერესდა გრიგოლ პოტიომკინი, რომელმაც ის თავისთან გაიწვია. 1782 წელს რაინეგი საგანგებო დავალებით ჩამოვიდა საქართველოში ერეკლესა და სოლომონის კარზე, რათა ისინი რუსეთის მხარეზე გადაებრებინა. რაინეგი ის პიროვნებაა, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის რუსეთის მფარველობაში ერეკლე II-ის შესვლაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ რაინეგის შრომა კავკასიათმცოდნეობის მნიშვნელოვანი წყაროა.

Im vorliegenden Buch sind die Nachrichten des deutschen Reisenden des XVIII Jahrhunderts Jakob Reineggs über Georgien dargestellt, die hauptsächlich seinem Werk *Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus* (1796-1797) entnommen sind.

Während seines Aufenthalts in Georgien (1778-1781) war Reineggs dank seinen Kenntnissen und vielfältigen Tätigkeit am Hof des Königs Herakles II. sehr beliebt.

Der Fürst G.A. Potjemkin hat Reineggs, der die orientalischen Sprachen und die transkaukasische Situation gut kannte, in seinem Amt aufgenommen und ihn im Jahre 1782 mit besonderen Aufgaben zurück nach Georgien geschickt um die Könige Herakles und Solomon ins russische Protektorat zu bringen.

Folglich ist sein Werk eine wichtige Quelle für Kaukasuskunde.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ბია გელაშვილი. შესავლის მაგიერ . . . . . 7

რაინგსის წერილი პ. ს. პოტიომკინისადმი . . . . . 15

დავით ბატონიშვილის წერილი მუსინ-პუშკინისადმი . . . . . 38

## ი. დ. გერსტმენბერგი

რუსეთის იმპერიის კოლეგიის მრჩეველის

ღ-რ იაკობ რაინგსის ბიოგრაფიული ნარკვევი . . . . . 47

## იაკობ რაინმზსი

კაკკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა 105

აფხაზები, ქვეყნის აღწერა, მათი ისტორია და რელიგიური ჩვევები . 108

ლაძები, ანუ ლაზები . . . . . 113

აღანები და სვანები . . . . . 114

ლიტშუ-ელები . . . . . 116

გლოლა, მამისონი, ფითგორი . . . . . 117

მეგრელები და ლეჩხუმში 119

იბერიის სამეფო

1. მისი გეოგრაფიული აღწერილობა . . . . . 124

2. ქვეყნის ბუნებრივი ნაყოფიერება . . . . . 131

3. იბერიელების ჩვევები, ჩაცმა და ყოფა . . . . . 134

გურიელის სამთავრო, ანუ გურია, აგრეთვე მოსახლვრე მთის ხალხი – მოჯაველი . . . . . 137

თურქული პროვინცია ახალციხე, ანუ აკისკა . . . . . 141

სამფლობელო ვახანი . . . . . 144

ქართლის (გეორგიის) სამეფო . . . . . 145

ა) პროვინცია ქართლი . . . . . 145

ბ) ქართული პროვინცია სომხითი (არმენია) . . . . . 157

გ) პროვინციები კახეთი და ქიზიყი . . . . . 161

ზოგიერთი შენიშვნა, თუ რა მდგომარეობაშია გეორგიის (ქართლის)

ნიადაგი, ჰავა, პროდუქტები, მოსახლეობა, ყოფა-ცხოვრება,

საქმიანობა და მოსახლეობის ცრუმორწმუნეობა . . . . . 169

სახელწოდება გეორგიის წარმოშობა . . . . .	173
იბერიისა და გეორგიის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ . . . . .	178
დასავლეთ და სამხრეთ კავკასიის ფიზიკური მდგომარეობა	184
ჭარელები . . . . .	202
თუმები . . . . .	203
ხევსურები . . . . .	207
ოსები . . . . .	208

## დანართი № 1

კავკასიისა და იქ მოსახლე ხალხების ისტორიული,  
ტოპოგრაფიული და ფიზიკური აღწერა (რაინეგსის  
რუსული ხელნაწერი, მიძღვნილი – ეკატერინე II-სადმი) . . . . . 221

აღანები, სვანები, ლიტშუელები, გლოლა, მამისონი § 99. ლაზები,  
სამეგრელო, ლეჩხუმი §§ 103-105. იმერეთი, გურია §§ 106-115. აჭარა,  
ახალციხე § 116. ქართლი და კახეთი §§ 117-121. საქართველოს  
ფიზიკური მდგომარეობა §§ 122-131. ჭარელები § 75. თუმები § 76.  
ხევსურები § 84. ოსები § 85.

## დანართი № 2

რაინეგსისადმი გაგზავნილი წერილები . . . . . 281

## რეზიუმე

JACOB REINEGGS. Reise in Georgien (Zusammenfassung) . . . . . 301

ЯКОВ РЕЙНЕГГС. Путешествие по Грузии (Резюме) . . . . . 305

## საკუთარ სახელთა საძიებელი

გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები . . . . . 310  
პირთა სახელები . . . . . 326

## შესავლის მაგიერ

რაინეგსი ის მოგზაურია, რომელმაც უცხო ქვეყანაში მოხვედრისთანავე მიიქცია ადგილობრივ მმართველთა ყურადღება თავისი ცოდნა-განათლებით. ის შეიძლება შემთხვევით აღმოჩნდა საქართველოში, მაგრამ იმდენად დაახლოვდა სამეფო კართან და გაშინაურდა, რომ გარკვეული ადგილიც დაიმკვიდრა ქვეყნის ცხოვრებაში, სადაც საკმაო ხანიც დაჰყო.

ისე გარდაიცვალა რაინეგსი, რომ მისი ზუსტი ბიოგრაფიული მონაცემები ცნობილი არ იყო. იგი რატომღაც მალაგდა თავის ნამდვილ წარმომავლობას. მთელი მოგზაურობის მანძილზე არსად არავისთვის გაუმჟღავნებია თავისი ნამდვილი სახელი ან დაბადების ადგილი. ზოგს ავსტრიაში კათოლიკურ ოჯახში დაბადებულად გაეცნო, ზოგს ჰანოვერელ პროტესტანტად მოეკვინა. ყოველივეს ფარდა აეხადა რაინეგსის გარდაცვალების შემდგომ, როცა მისმა ნაცნობმა გერსტენბერგმა ხელთ იგდო რაინეგსის ჩანაწერები, წერილები, დოკუმენტები და შეკრიბა ცნობები იმ პირთაგან, რომლებიც მას ახალგაზრდობიდან იცნობდნენ. გერსტენბერგმა ვრცელი ბიოგრაფიული მიმოხილვა დაურთო 1797 წელს გამოცემულ რაინეგსის შრომას — „კაკკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“. თუმცა, მისი სიტყვით, „მიმოხილვა“ საკმაო ხარვეზებს შეიცავს სათანადო ცნობათა ნაკლებობის, ან უქონლობის გამო, ხოლო ზოგიერთ წლებში რაინეგსის მოღვაწეობის სურათი საერთოდ უცნობია<sup>1</sup>.

რადგან წინამდებარე გამოცემაში ცალკეა მოთავსებული გერსტენბერგისეული „რაინეგსის ბიოგრაფია“,<sup>1</sup> ამდენად შესავალში მკითხველს ვთავაზობთ რაინეგსის ცხოვრების ზოგად გზას, იმ ხარვეზების შევსების

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ, გვ. 47-104.

ცდით ან, უფრო უკეთ, მასზე მითითებით, რაც გერსტენბერგს არ შეიძლებოდა სცოდნოდა, ან მიეკვლია.<sup>2</sup>

მოგზაურის ნამდვილი სახელი ყოფილა ქრისტიან-რუდოლფ ელიხი. ის დაბადებულა 1744 წლის 27-28 ნოემბერს საქსონიაში, მანსფელდის საგრაფოში, აისლენში. მამამისი, ასევე ქრისტიან-რუდოლფ ელიხი, იყო დალაქი, ხოლო დედა — ანა ელისაბედ შტოკინი — ერფურტის ქვრივი. მამა, როგორც საკმაოდ უზნეო პიროვნება, აისლენიდან გაასახლეს. იგი ოჯახთან ერთად დასახლდა ქ. არტერნში, თუმცა ოჯახიც მალე მიატოვა. ახალგაზრდა ელიხი შევიდა ადგილობრივ სკოლაში. ცხოვრება საკმაოდ უჭირდა, ამიტომაც გაუჩნდა სურვილი გამდიდრებულიყო და ცნობილი პიროვნება გამხდარიყო. 14 წლისა ის ჩავიდა თავის სიძესთან აისლენში და შეისწავლა მისგან ქირურგია და დალაქობა. 1762 წელს წავიდა ლაიფციგში, სადაც მიატოვა დალაქობა და შეუდგა საექიმო ხელოვნების შესწავლას. ამას გარდა, აქ ის ალქიმისაც გაუტაცნია (აღბათ, სწრაფი გამდიდრების სურვილით).<sup>3</sup> ამასობაში საკმაოდ კარგად ისწავლა ფრანგული და ლათინური ენები. 1768 წელს ჩავიდა აისლენში დედასთან (ფიქრობენ, ფულის გამოსართმევად), მაგრამ იმავე წელს კვლავ დაბრუნდა ლაიფციგში, ამჟამად უკვე მდიდრულად გამოწყობილი. ყოველივე ეს ბნელით მოცულ ამბებთან იყო დაკავშირებული, რადგან რამდენიმე დღეში ის იბულებული გახდა გაქცეულიყო არა მარტო ლაიფციგიდან, არამედ საერთოდ სამშობლოდანაც (მის ბარგს სასამართლოც კი ეძებდა).

<sup>2</sup> ჩვენს ნაშრომში „რაინგის მოგზაურობა საქართველოში“ მოცემულია საქართველოს შესახებ რაინგისიეული ცნობების ძირითადი გერმანული ტექსტის ქართული თარგმანი, გერსტენბერგისეული „ბიოგრაფიული ნარკვევის“ თარგმანი, რაინგის რუსული ხელნაწერის ტექსტი (ამაზე ვრცლად ქვემოთ), საკუთარ სახელთა და საგნობრივი საძიებლები და მოკლე შესავალი წერილი. ნაშრომს ვერ ერთვის რაინგისიეული კაკასიის რუკა. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩვენს გამოცემას აკლია მოგზაურობის პარალელური გერმანული ტექსტი; ასევე შესავალში ვრცლად არაა მიმოხილული იმდროინდელი პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობანი, დეტალურად არაა გარჩეულ-გაანალიზებული რაინგისიეული ცნობები. ჩვენ ვამჯობინეთ მკითხველისათვის მიგვეწოდებინა თვით წყარო. რაც შეეხება ზემოაღნიშნულს, მათ ცალკე გამოკვლევას მივუძღვინით. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ ტექსტის თარგმანში ზოგიერთ ადგილას ვსარგებლობთ მცირე კუპირებით, რაც შინაარსს არც აზიანებს — გ. გ.

<sup>3</sup> გერსტენბერგს ხელში ჩაუვარდა რაინგისის სამი ალქიმიური ტრაქტატი დათარიღებული 1765-1767 წლებით, რომლებიც მას მუდამ თან დაჰქონდა.

სწორედ ამის შემდეგ გაქრა ელიზი და გამოჩნდა ახალი გვარი რაინეგსი.<sup>4</sup> ერთხანს იგი ექიმადაა ვენეციაში ადგილობრივ გერმანულ სავაჭრო ახალშენში, შემდეგ კი ვენაში 1770 წელს. აქ ის ერთხანს მსახიობობდა უნგრულ გრაფ კოჰარის მიერ არენდებულ თეატრში. ვენაში რაინეგსი გაეცნო მდიდარ ქერივს ფონ ლიხტენშტაინს, რომლის დახმარებითაც მოიწყო თავისი ცხოვრება. იგი დადიოდა აღმოსავლურ აკადემიაში, სადაც ეუფლებოდა აღმოსავლურ ენებს, ეცნობოდა მისიონერებს, ვენაში ჩამოსულ სომხებს, თურქებსა და ბერძნებს. რადგან მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა აღმოსავლეთში მოგზაურობა, ამიტომ სრული სერიოზულობით ეცნობოდა და სწავლობდა სათანადო ქვეყნების ისტორიას, წყობას, ჩვევებს. გარდა ამისა, შეისწავლა მინერალოგია.

1773 წელს ქალბატონი ლიხტენშტაინის მიცემული ფულით ის წავიდა უნგრეთში, ქ. ტირნაუში, სადაც მიიღო მედიცინის უმაღლესი ხარისხი და კვლავ ვენაში დაბრუნდა. რაინეგსისავე სიტყვით, იმპერატორმა მარია ტერეზიამ ბარონობა უბოძა. უნგრეთშივე, ქ. შემნიცის აკადემიაში დაიწყო სამთო საქმის შესწავლა.

1776 წელს გაკოტრებულ გრაფ კოჰარისთან ერთად გაემგზავრა თურქეთისაკენ. აღმოსავლეთში ყოფნის შესახებ მხოლოდ მისი სიტყვებიდან და წერილებიდან ვგებულობთ, რომლებიც ამავე დროს წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ჩანს, რომ ვენეციიდან ის ჩავიდა კონსტანტინოპოლში, სადაც ახლო ურთიერთობა დაამყარა ერთ წარჩინებულ თურქთან ახმედ ეფენდისთან, რომელიც მას მფარველობდა. ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში ყოფნისას რაინეგსმა გაიცნო ერეკლეს მიერ სულთანთან გაგზავნილი დესპანი მირზა გურგენა ენაკოლოფაშვილი,<sup>5</sup> რომელიც შეუთანხმდა რაინეგსს საქართველოში მისი ჩასვლის თაობაზე. მათ ერთად იმგზავრეს თოხათამდე, საიდანაც რაინეგსი კვლავ უკან გაბრუნდა, ოღონდ დაჰპირდა ექვსი თვის შემდეგ საქარ-

<sup>4</sup> გვარის შეცვლა გამოწვეული იყო, ალბათ, მამისადმი ზიზლით, რომელიც იმ დროს ვენაში დაწინაწალბდა, ან თეატრში მუშაობის დაწყებით, ანდა ლაიფციგიდან გაქცევის კვალის დასაფარავად.

<sup>5</sup> რაინეგსი არ ასახელებს ამ ელჩის სახელსა და გვარს. მირზა გურგენას თავის გვარში მემკვიდრეობით ჰქონდა დიპლომატის თანამდებობა ქართველ მეფეთა კარზე (ჰქონდა ე. წ. მუნშის ჩინი). იგი იყო თეირანში ქერიმხანთან, შემდეგ 1776 - 1778 წ. სტამბოლში სულთანთან მოსალაპარაკებლად. ორივე ეს ელჩობა საქართველოსთვის ხელსაყრელი შეთანხმებით დამთავრდა.

თველოში ჩასვლას.<sup>6</sup> აქედან ის თოხათ-არზრუმ-ყარსის გავლით 1778 წლის ზაფხულში ჩავიდა ემშიაძინში, სადაც ის თავის საზაფხულო რეზიდენციაში მიიღო კათალიკოსმა სიმეონმა.<sup>7</sup> ცხრა დღის შემდეგ ერეკლე II-მ მას გაუგზავნა ამაღლა თბილისში წასასვლელად. მართლაც არსებობს ერეკლეს ბრძანება 1778 წ. 24 ივლისისა ვინმე ვაჭარ სტეფანე ფოლოაშვილისადმი (თუ პოლოსაშვილისადმი), რომელსაც დაევალა ხარჯების მოურიდებლად ეპონა და მიეყვანა ტფილისში „ფრანგი ექიმი“.<sup>8</sup> ასევე კათალიკოს სიმეონის „სამახსოვრო წიგნიდან“ ჩანს, რომ რაინეგსი და კოპარი თბილისისაკენ გაემართნენ 24 ივლისს. ოღონდ აქ „ექიმი იაკობი“ და მისი თანამგზავრები „ინგლისელებად“ იწოდებიან. ეს გასაგებიცაა, რადგან პასპორტი თურქულ ენაზე, რომელიც რაინეგსს მიეცა 1777 წელს როგორც ინგლისელ ექიმს, ხელმოწერილია კონსტანტინოპოლის ინგლისელი ელჩის რობერტ ენსლის მიერ.<sup>9</sup>

თბილისში ერეკლემ დიდი პატივით მიიღო თავის სამსახურში იაკუბ ბეის, ანუ იაკუბ ხანის სახელით. რაინეგსმა ჩამოსვლიდან ორი თვის შემდეგ მოარჩინა ციებ-ცხელებით დაავადებული გიორგი ბატო-

<sup>6</sup> შტრ. დავით ბატონიშვილის წერილი მუსინ-პუშკინისადმი (იხ. ქვემოთ გვ. 38)

<sup>7</sup> რაინეგსი მას უწოდებს ხალიფას, პატრიარქს, ხოლო სახელს არ გვაცნობს (იხ. ტექსტი).

<sup>8</sup> „ქ. ჩვენ მაგიერად მოქალაქე ფოლოაშვილს სტეფანეს ასე უამბოთ: მერმე სტამბოლიდამ ერთი ფრანგი აქიმი უნდა მოვიდეს აქეთკენ. მოვა, თუ მოსულ იყოს და მანდ იყოს, მიღი ნახე ყმაწვილი კაცი სადმე არის. მორზა გურგინასაც კარგათ იცნობს. და თუ გერ არ მოსულ იყოს მანდ, თვალყური გეჭვიროს. რასაც წაშს მოვიდეს მანდ, რაც გზის სახარჯო უნდოდეს, შენ უშოვე, მიეც და აქ გამოგზავნე... ვისაც მოსწერ იმას მიეაბარებთ; ამაზე ხათრიჯადი იყავ, რომ შენ ერთი ფული არ დაგაკლდება და ჩვენთან მაგ აქიმის აქ მოსვლა შენგან დიდ სამსახურათ ჩავარდება. აქ საქმეზე და მაგ ექიმის გამოგზავნაზე ძალიან ბეჯითობა გმარადებს. თიბათუის კდ, ქქს უამ (1778 წ. 24 ივნისი - გ. გ.) (ბრძანების ასლი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელმოწერათ ინსტიტუტში, ფონდი H - 609, ფურც. 115. ეს დოკუმენტი თარგმნა ბროსემაც („საქართველოს ისტორია“, II, სტ.-პეტ., 1857, დამატება 13 - გ. გ.)

<sup>9</sup> რაინეგსი ინგლისურ საელჩოსთან რომ არც შემდეგ წყვეტდა კავშირს, როცა ის ერეკლე II-ისა, ხოლო შემდეგ ეკატერინე II-ის სამსახურში იმყოფებოდა, ჩანს მის საბუთებში აღმოჩენილი ინგლისურ-თურქული პასპორტის მიხედვით, რომელიც 1780 წლის 12 აპრილსაა გაცემული, იმავე ენსლის ხელმოწერით; ასევე აღმოჩნდა პეტერბურგის ინგლისელი ელჩის პარისის ვიზა 1782 წლის 23 ივლისის თარიღით. იხ. ბროსე, დასახ. ნაშრ. გვ. 386; ასევე О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М. 1966, с. 165.



ნიშვილი, რის გამოც ერეკლემ მას აჩუქა ძვირფასი მორთულობა და ხალათი. ამის შემდეგ ის ძალზე დაუახლოვდა გიორგის ოჯახს, სადაც თავისუფალი შესვლის ნება მიიღო.<sup>10</sup> რაინგესმა ერეკლეს კარზე მრავალმხრივი მოღვაწეობა დაიწყო. როგორც თვით ამბობს, ხელი შეუწყო სამთამადნო წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებას, ეწეოდა საექიმო მოღვაწეობას, ასწავლიდა ზარაფხანის ოსტატებს საჩამომსხმელო საქმეს, ევროპულ ყაიდაზე მოაწყო თოფისწამლის წარმოება, დიდ დროს უთმობდა სამთო საქმეს, ვენეციიდან გამოწერილი ახალი მოწყობილობით გადაახალისა სტამბა და სხვა, ეთათბირობოდა ერეკლეს ქვეყნის საპოლიციო, სასამართლო ორგანიზაციის, თუ სამხედრო საქმის გარდაქმნის შესახებ.<sup>11</sup> ყოველივე ამის გამო, მან ერეკლესგან მიიღო მიწები ქვემო ბოლნისში 50 კომლი გლეხით<sup>12</sup> და საერთოდ დიდ პატივში იმყოფებოდა.

აქ გვსურს ჩაუერთოთ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის მოკლე სურათი რაინგესის საქართველოში ყოფნის დროისათვის. 1778 წელს ერეკლემ განჯა დალაშქრა, იბრაჰიმ-ხანთან ერთად გაინაწილა და იქ თავისი „გუბერნატორი“ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი დაადგინა. ამავე დროს ერეკლეს ხელს არ აძლევდა, რომ ერევანში ირანის ძალაუფლება აღმდგარიყო, რადგან თვით სურდა ამ სახანოს შემოერთება. ამიტომ 1779 წელს ქართლ-კახეთის ჯარები ერევნის სახანოში შევიდნენ. აგვისტოში ერეკლემ ერევანს შემოარტყა ალყა, აიღო და გუბერნატორად თავისი სიძე იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი დააყენა. ერეკლემ 1780 წელსაც ილაშქრა ერევანზე თავისი ძალაუფლების აღსადგენად.

ამ პერიოდს ეკუთვნის რუსეთთან ურთიერთობის დროებითი გაუარესება, რაც გამოწვეული იყო რამდენიმე გარემოებით: იმერეთში

<sup>10</sup> შტრ. ქვემოთ გვ 38, დავით ბატონიშვილის წერილი.

<sup>11</sup> თუმცა დავით ბატონიშვილი რაინგესის სიტყვებს არ ეთანხმება. იხ. ქვემოთ, გვ. 39-40

<sup>12</sup> იხ. ერეკლეს 1781 წლის 26 აპრილის ბრძანება: „ჩვენი ბრძანება არის არღუთაშვილო თაყვ. მერე შენ უნდა იაკობ დონტურს გაჰყვე, ბოლნისის მამასახლისიც თან წაიყვანე. ქვემო ბოლნისის მამული, რაც არის, იმის სამხლერები კარგათ შეუტყვე და ის მამული იაკობ დონტურს მიაბარე. აღიწერა აპრილს კვ. ქკს უმთ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H - 609, ფურც. 115. შტრ. ბროსე, დასახ. ნაშრ. გვ. 387 - გ. გ.).“

სოლომონთან იმყოფებოდა ქართლის ტახტის მაძიებელი, რუსეთიდან წამოსული ალექსანდრე ბაქარის ძე. (ეს ფაქტი იყო სოლომონისა და რუსეთის პასუხი ერეკლეს მიერ სულთანთან 1776-78 წლების შეთანხმებისა. გავიხსენოთ გურგინა ენაკოლოფაშვილის ელჩობა: ერეკლეს ზომ თავისი გეგმები ჰქონდა — უნდოდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება). გარდა ამისა, რუსეთის სამეფოს შესვეურებმა ერეკლეს ჩაუშალეს დიდი გეგმა საქართველოში ყაბარდოელთა გადმოსახლებისა, რითაც მას მოაკლდა ძალა გარეშე მტრის მოსაგერიებლად. უეჭველია, რუსეთის საიმპერატორო კარს სურდა, რომ ერეკლეს სამხედრო დახმარება მისგან ეთხოვა.

ერეკლე ზედავდა, რომ „მორიგე ლაშქარი“ არ იყო საკმარისი და ესეც ლევან ბატონიშვილის სიკვდილის შემდეგ მთლად მოიშალა. ერეკლემ ახლა ევროპის სახელმწიფოებს მიმართა. ვენეციის სენატთან, ლუდოვიკო XVI-სა და ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი წერილების შესახებ, რომლებშიც ითხოვდა ფულად სესხს ევროპულად გაწყობილი მუღმივი ჯარის შესაქმნელად, მან საიმპერატორო კარს აცნობა. ერეკლეს ვარაუდი გამართლდა: რუსეთის კარმა უკმაყოფილება გამოთქვა და იძულებული გახდა ერეკლესადმი დამოკიდებულება გარეგნულად მაინც შეეცვალა; რუსული დიპლომატია ერეკლესკენ შემობრუნდა.

ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ 1779 წელს ირანში დაიწყო არეულობა. რუსეთის სამეფო კარმა მოინდომა ესარგებლა ამ შემთხვევით, რათა თავისი პოზიციები განემტკიცებინა ამიერკავკასიაში. ცხადია, საიმპერატორო კარმა იცოდა, რომ ყველაზე მეტად ანგარიშგასაწევი ძალა აქ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე იყო.

ერეკლეს ადრეც მიუმართავს რუსეთისათვის დახმარების თხოვნით, რაც ფაქტიურად უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ახლა კი საიმპერატორო კარი ეცადა, მფარველობის აქტის გაფორმების ინიციატორად ერეკლე გამოსულიყო, რომ დიპლომატიური თვალსაზრისით თავისთვის მისაღები ხელშეკრულება გაეფორმებინა და იგი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

ერეკლეს მშვენივრად ესმოდა, რომ საქართველოს მომავალი განვითარება მხოლოდ ევროპული გზით უნდა წარმართულიყო, თუკი რაიმე წარმატება სურდა. ამისათვის კი მას სჭირდებოდა სამხედრო

ძალა, სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესება და ეკონომიკური საფუძველი, რისთვისაც აუცილებლად მიაჩნდა ქვეყნის სამთამადნო წარმოების სწრაფი ზრდა. ამიტომაც ერეკლემ თავისი ორიენტაცია ისევ რუსეთისაკენ აიღო და შეადგინა ახალი „სათხოვარი პუნქტები“ — რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის შესახებ.

ასეთი იყო ძალზე ზოგადად პოლიტიკური ვითარება რაინეგსის საქართველოში ყოფნისას. უეჭველია, რაინეგსი ყველა ამ საქმეში გათვითცნობიერებული და ზოგიერთის თანამონაწილედ კი იყო.

ქართლის სამეფო კარზე სამი წლის ყოფნის შემდეგ რაინეგსმა მოულოდნელად გადაწყვიტა საქართველოდან წასვლა; თუ მისი სიტყვების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას ერეკლემ რაღაც არ შეუსრულა და განაწყენდა.<sup>13</sup>

ამ პერიოდს ეკუთვნის რაინეგსისადმი სომხეთის ახალი კათალიკოსის ლუკასის გზავნილი, რომლიდანაც ჩანს, რომ რაინეგსს მიუღია სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და პატრიარქისათვის უთხოვია ერმაიძინში დასახლების უფლება. პატრიარქს, მართალია, ესამოვნა, მაგრამ ერეკლეს რისხვის შიშით უარი შემოუთვლია.<sup>14</sup> ამის შემდეგ, დაემშვიდობა ერეკლეს ხაშშში, თბილისი დატოვა 1781 წლის 10 ივლისს და რუსეთისაკენ გაემართა.

4 აგვისტოს რაინეგსი ჩავიდა სასაზღვრო სიმაგრე მოზდოკში. მას თან ჰქონდა გამოტანებული საბუთი,<sup>15</sup> რომ საქართველოში ჭირი არ მძვინვარებდა, მაგრამ მაინც მოათავსეს კარანტინში. 7 აგვისტოს შესვლის ნება დართეს. რაინეგსი წარუდგინეს „კავკასიის ხაზის“ მაშინდელ უფროსს ჩრდილო კავკასიაში გენერალ ფაბრიციანს, რომელმაც ის სასწრაფოდ ჩაუყვანა პეტერბურგში ყოვლისშემძლე გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს.

<sup>13</sup> ამის შესახებ იხ. ვრცლად „რაინეგსის ბიოგრაფიულ ნარკვევში“. შტრ. აგრეთვე დავით ბატონიშვილის წერილი. იხ. ქვემოთ, გვ. 38

<sup>14</sup> А. Р. Иоашисиян, Россия и Армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 52. შტრ. დავით ბატონიშვილის წერილი, გვ. 41. ეს ცნობები რაინეგსს არ აქვს.

<sup>15</sup> ეს საბუთები, რომელსაც ხელს აწერენ ქალაქის მელიქი, მამასახლისი და ნაცვალის ავეტიკ ბებუთოვი და 13 მოქალაქე, და მიეცა ტფილისში რაინეგსს 1781 წ. 17 ივლისის თარიღით, ნახა ა. ცაგარელმა ქ. გიორგინევის ბიბლიოთეკაში. იხ. А. А. Цагарели. Грамоты... т. II, вып. II. с. XVII, СПб, 1902.

ამ ხანებში რუსეთის საიმპერატორო კარს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდება და რაინგისის მსგავს პიროვნებას, რომელიც ასე კარგად იყო ჩახედული საქართველოს საშინაო საქმეებში, რა თქმა უნდა, ხელიდან არ გაუშვებდა. ერთი წლის შემდეგ რაინგისი სპეციალური დავალებით კვლავ უკან გამოაგზავნეს საქართველოში, ახლა უკვე როგორც რუსეთის საქმეთა რწმუნებული.<sup>16</sup>

1782 წლის 20 სექტემბერს რაინგისი ასტრახანშია,<sup>17</sup> სადაც ის ცხოვრობს არლუთინსკის სახლში, რომელსაც გადასცა ლაზარევისა და სხვა სომხების წერილები.<sup>18</sup> იქ ის დარჩა ხუთი დღე. 24 სექტემბერს ასტრახანის გუბერნატორმა ჟუკოვმა მას მისცა სომხურ ენაზე შედგენილი პასპორტი, რომელიც ადასტურებდა, რომ მიღოდა დაღესტანში, საქართველოსა და სპარსეთში მნიშვნელოვან საქმეებზე. 9 ოქტომბერს რაინგისი მოზდოკშია.<sup>19</sup>

გრ. პოტიომკინმა დაავალა რაინგისს ხელი შეეწყო ერეკლე მეორის რუსეთთან დაახლოებისათვის და განეწყო ის რუსეთისათვის მფარველობის სათხოვნელად, ხოლო სოლომონ იმერთა მეფისათვის ერჩია შემორიგებოდა ერეკლეს და ერთობლივად ემოქმედათ საერთო მტრის წინააღმდეგ. ეკატერინე მეორის მთავრობას ერჩია, რომ მფარველობის მოთხოვნის ინიციატივა ერეკლესაგან ყოფილიყო. რაინგისიც მთელი მონდომებით შეუდგა ამ მისიის შესრულებას.

<sup>16</sup> ამიერკავკასიის საქმეების მოგვარება დაეწყო თავად გრიგოლ პოტიომკინს, ხოლო კავკასიის საქმეებში თანაშემწეობა მან დააკისრა თავის ნათესავს გენერალ-პორუჩიკ პაველ სერგის ძე პოტიომკინს, რომელიც დაინიშნა წინა კავკასიაში განლაგებული ჯარების სარდლად. იგი გეორგიევსკში – შტაბ-ბინაში 1782 წლის ნოემბერში ჩავიდა.

<sup>17</sup> ვერსტენბერგი თავის „ბიოგრაფიულ ნარკვევში“ პირდაპირ ამბობს, რომ სრულებით არ იცის, თუ რა მოიმოქმედა რაინგისმა 1782-84 წლებში, გარდა იმისა, რომ გეორგიევსკში დაიღო მფარველობითი „ტრაქტატი“ და ერეკლე რუსეთის მფარველობაში შევიდა, რაშიც რაინგისს დიდ როლს ანიჭებს. ამიტომ რაინგისის ბიოგრაფიის ამ ხარვეზს ჩვენ ერთგვარად ეკვებით – გ. გ.

<sup>18</sup> ა. რ. იოანისიანი, დასახ. შრომა, გვ. 53. არქივისკოპოსი იოსებ არლუთინსკი იყო რუსეთში სომხური ეკლესიების მეთაური. იგი 1773 წელს გააგზავნა სომეხთა კათალიკოსმა სიმეონმა რუსეთში, როგორც ეპარქიალური მეთაური. ის დასახლდა ასტრახანში. ოვანეს ანუ ივანე ლაზარევი იყო პეტერბურგში დამკვიდრებული კარის იუველირი, უდიდესი სიმდიდრის მფლობელი. ორივე ეს პიროვნება რუსეთთან 1780 წელს სომხეთის საკითხის შესახებ დაწყებულ მოლაპარაკებებში მთავარ როლში გამოდის.

<sup>19</sup> ЦГВИА, Ф. 52, л. 263, л. 71.

1782 წლის 6 დეკემბერს რაინეცის ატყობინებდა პ. ს. პოტიომკინს ტფილისიდან, რომ „იბერიისა და კავკასიის ხალხები დიდად მონდომებულნი არიან რუსეთის ტახტის ერთგულებისათ“.<sup>20</sup>

ურიგო არ იქნება, თუ მკითხველს გავაცნობთ რაინეცის წერილს გაგზავნილს პოტიომკინისადმი ტფილისიდან 1782 წლის 6 დეკემბერს. მოგვყავს ფრანგულად დაწერილი ამ წერილის<sup>21</sup> ოდნავ შემოკლებული თარგმანი.<sup>22</sup>

ბედმა, რომელმაც ისურვა, რომ ჩემი ახალი სამშობლოს<sup>23</sup> მსახური გავმხდარიყავი, მიმიყვანა იბერიაში,<sup>24</sup> რათა იქ განმეცადა სიამოვნება იბერიის მეფის პრინც სოლომონის სიახლოვით და იბერთა ხალხის დალოცვით. ეს არის გულადი, მებრძოლი ხალხი, ერთგული რუსეთის იმპერიის გვირგვინის, იმ გვირგვინისა, რომელიც მე მასულდგმულებს. იქ მე ყოველივე წესრიგში მოვიყვანე და შევასრულე, რაც ჩემმა მოწყალე პრინცმა<sup>25</sup> მიბრძანა. მე დაებრუნდი და ტფილისიდან სამიოდე დღის სავალზე ვიქნებოდი, როცა შიკრიკმა მაუნყა, რომ თქვენი უმაღლესობის ბრძანებები მიცდიდნენ იქ (თბილისში – გ. გ.)... რუსეთს მაღლობას ვუხედი ძვირფასი მიღებისათვის... თქვენმა აღმატებულებამ... ინება ჩემი ჩანანერები წარმედგინა მისთვის. ამ პატივით გათამამებულმა ჩემი ბედი ვცადე ამ პირველი წერილით, რომელიც გამოვატანე ყაიტუკოს (Kaitugh), ე. წ. პრინცს, რომელიც კავკასიის მთებში მცხოვრებ თავაურის გვარს ეკუთვნის. ეს გახლავთ უგულადესი, უპატიოსნესი ჭაბუკი: იგი ყოველთვის ძალზე ერთგული იყო რუსეთისა, ... თან მახლდა კავკასიის, გეორგიისა<sup>26</sup> და იბერიის გავლისას. როდესაც იქიდან დაებრუნდი და გავიგე, რომ თქვენმა უმაღლესობამ დაიბარა მთიელი ხალხების გვარების მეთაურები, მან (ყაიტუკომ – გ. გ.) მთხოვა, მიმეცა ნება წამოსულიყო ამ შეკრებაზე... თქვენი ბრძანებების მოლოდინში.

სხეუბული ყაიტუკო არის მეთაური პირველი რაზმისა, რომელიც შედგება 45 კაცისაგან. ესაა ჩემი გვარდიის ანუ პოლკის წინილი, რომელიც ჯერჯერობით ინკოგნიტოდ რჩება. ამ გვარდიის ფორმას ჯერ მხოლოდ მე, როგორც პოლკოვნიკი, და მეფე ერეკლეს ვაჟი – ჩემი ლეიტენანტი – ვატარებთ. ჯერჯერობით მე ფარულად მყავს 60 მთიელი ოსი, რომლებიც ყოველნუსს მზად არიან თქვენი სამსახურში ჩადგნენ და თქვენი ყოველი ბრძანება შეასრულონ. თითოეულ მათგანს სხვა 60 კაცის გამოყვანა შეუძლია. ღმერთმა ინებოს, მალე მოგვეცეს შემთხვევა და თქვენს სამსახურში წამსვე მიხილავდით უგულადესი 4000 კაცის წინამძღოლად.

<sup>20</sup> ЦГВИА, Ф. 52, л. 32, лл. 99-100.

<sup>21</sup> წერილი დაუზარებლად გვითარგმნა ბ-ნმა გასტონ ბუაჩიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ – გ. გ.

<sup>22</sup> რაინეცის წერილი პოტიომკინისადმი დაცულია პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში. Ф. 588, Погодинские автографы, №91.

<sup>23</sup> რუსეთი – გ. გ.

<sup>24</sup> იგულისხმება იბერეთი – გ. გ.

<sup>25</sup> გრ. პოტიომკინი – გ. გ.

<sup>26</sup> ქართლ-კახეთის სამეფო – გ. გ.

მთელი იბერია, მეფე სოლომონი ერთგულნი არიან... იმპერატორისა და პრინცი (პოტიომკინი – გ. გ.); ხოლო გეორგიას ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებ, როგორსაც თქვენ მოისურვებდით, რამეთუ იმპერატორის მიერ ამ ორი პრინციისათვის ბოძებულ მონყალებას სასწაულებრივი შედეგი მოჰყვა. იმ ხერხმა, რომლითაც მე მოვიქეცი, ჩვენი დედოფლის დიდება რომ უფრო განმეგრცო, შიში მოჰგვარა თურქ ფაშებს (მაჰმადიანი ხანები – გ. გ.), რომლებიც ჩვენს გარშემო არიან. მით უმეტეს, რომ ხალხი უკმაყოფილოა მათი, ისევე როგორც ოტომანთა პორტასი. იქნებ მე მეტიც გაკეთებაც შემეძლო, მაგრამ თქვენს წერილებში პრინც ერეკლესა და სილომონისადმი, ისე რომ მე არ ვიცოდი, შენიღბული იყო ცნობა, რომ ცოტა ხნის შემდეგ უნდა ჩამოსულიყო ერთი პოლკოვნიკი, რომელიც მათ საქმეებს მოჰკიდებდა ხელს. აზიელი ადამიანი საერთოდ ძალიან ეჭვიანია და სწორედ ამან გამირთულა ძალზე მრავალი საქმე, რათა გამემართლებინა ამ ქვეყანაში ჩემი ჩამოსვლის ორაზროვანი მიზეზი. მთელი ჩემი გულით მსურს ალაში დაეუშვა (საქმე დაეამთავრო – გ. გ.) და უარი ვთქვა ჩემს სახლზე და დამკვიდრებაზე, რათა ჩემი სახელი არ შეიღაბოს, რათა არ ნამართვან ჩემი ერთადერთი ქონება (სინდისი – გ. გ.), რამაც მე სახელი გამითქვა აზიაში. თუკი მოსახერხებელი იქნება ჩემი ჩამოსვლა..., განა ამაზე დიდ ბედნიერებას ვისურვებდი? ბრძანეთ, რათა მეოთხედ გადავღახო კავკასია ფეხშიშველმა, რათა გავთბე თქვენი სათნოებით, სიბრძნით, დიდების სხივებით. მე რომ კავკასიიდან მივდიოდე, საჭიროდ ჩავთვლიდი მომეხსენებინა თქვენი უმაღლესობისათვის, თუ რომელია ყველაზე მოსახერხებელი გზები კავკასიონზე ადვილად გადასასვლელად:

1. მოზდოკიდან ტარტარდუჰამდე თეთრი წყლის გაყოლებით კარდაულამდე, ჯიმიტამდე, ტაიოკამდე (Tajok), დუმაშვილამდე, ქსილვანამდე და იბერია-გეორგიის საზღვრამდე. ეს გზა ძალიან ხელსაყრელია ამ ორი სამეფოსაკენ გასასვლელად, ოღონდ იმ ადგილამდე, რომელიც მათგან 2-3 ვერსის დაშორებითაა. საჭიროა რამდენიმე დაბრკოლების გადალახვა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩასვლა კარასში (Carasse?)

2. ტიგურიდან (თაგური – გ. გ.) რაჭამდე – იბერიაში: გზა დასაწყისში, ძალიან კარგია, მაგრამ რაჭის სიახლოვეს თითქმის შეუძლებელია ცხენით გასვლა.

3. აფხაზთა მახლობლად სამეგრელოს გავლით ძალიან კარგი გზაა, სულ ვაკეა იბერიაში.

4. მოზდოკიდან ახმედამდე, მთიულეთამდე და ტფილისამდე საზიზლარი გზაა. მისი შეკეთება სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ძვირი დაჯდება.

5. მოზდოკიდან ინგუშამდე (Inquisch), ტიტი გორამდე(?) და ტფილისამდე: კარგი, მაგრამ უფრო გრძელი გზაა.

6. ტარტარდუჰიდან ტიგურამდე, დეულეთამდე (დეალეთი?) – გ. გ.), ქსილვანამდე: ეს ყველაზე კარგი გზაა, საჭიროებს მხოლოდ ცოტა შეკეთებას, რათა დიდ გზად გარდაიქმნას.

პრინცი ერეკლე, რომელსაც არ ეგონა, თუ ასე მალე დავბრუნდებოდი, 2-ში ნავიდა კახეთს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ზეგისთვის მაინც დაბრუნდება.<sup>27</sup> როგორც კი ბატონი ლეიტენანტი ჩოლოკაევი გაგზავნილ იქნება ამ გზით, მე მომეცემა შესაძლებლობა, თქვენს აღმატებულებას მრავალი ახალი ამბავი ეცანოდო, ან იქნებ ჩემი დღიურიც კი გაუუგზავნო. კაპიტანი ბალდათლო ჯერჯერობით ჩემთანაა. იმისათვის, რომ შევძლო თქვენს აღმატებულებას ყოველმხრივი ცნობა მოვანოდო, მე ჯერჯერობით მაკლია ამედანიდან ველი ფაშას (Weli Bassa a Amedan) აზრი, რომელიც არის კეთილი, მებრძოლი ადამიანი; იგი ათი წელია ოტომანთა პორტის დაუცხრომელი მონინალმდებეა. ბრონეული, თუ ის სიცივემ არ დააზიანა, არის მონშობა ჩემი თქვენდამი მარადიული სამსახურისა. თუკი მეტისმეტი სიცივე არ იქნება კავკასიის გადალახვისას, მე სიამოვნებას მომანიჭებდა გამომეგზავნა თქვენი აღმატებულებისათვის ჩვენებური ღვინო, ხილი (ხაზგასმა ჩენია - გ. გ.) უმშენიერესი მთელ მსოფლიოში; მაგრამ მოუთმენლად ველი მარტის თევს, რათა უკეთ შევძლო ეს. იმის შიში რომ არ მქონდეს, რომ ბოროტად ვიყენებ თქვენს მონყალებას, კიდევ უფრო გავზრდიდი ამ გრძელ წერილს. ვიმედოვნებ, რომ მრავალჯერ მომეცემა შესაძლებლობა კიდევ მოგწეროთ. მხოლოდ უმორჩილესად გთხოვთ, რომ ამის მომტან ყაიტიუკოს მიეცეს შესაძლებლობა მალე დამიბრუნდეს, ვინაიდან იგი მე ძალიან მჭირდება...

ტფილისი. 6 დეკემბერი, 1782 წ.

ჟაქ რაინეგსი

1782 წლის 15 დეკემბერს რაინეგსი თავად გრ. პოტიომკინს საქართველოდან ატყობინებდა ლაშქრად გასვლის შემძლე სომეხთა სიას, სომეხი მელიქების იბრაჰიმ-ხანის მიერ შევიწროების შესახებ, ყარაბაღზე, ასევე მთელი იბერიისა და საქართველოს კეთილგანწყობაზე რუსეთის მიმართ. აუწყებდა, აგრეთვე ქართლის სამეფო სახლის წევრთა შესახებ. (შდრ. П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПб., ч. II, с. 155-156)

1782 წლის 21. XII ერეკლე წერდა რაინეგსს, რომ რაც აქედან წავიდა, მიიღო მისი რამდენიმე წერილი, რომლებზეც პასუხი ვერ გასცა... ერეკლე ებოდიშება მას, რომ სათანადო ყურადღება ვერ

<sup>27</sup> ეს რომ მართლაც ასეა, ჩანს ერეკლეს მიერ რაინეგსისადმი გამოგზავნილი წერილიდან 1782 წლის 9 დეკემბერს, რომელშიც მას უწოდებს „უფალს პოლკოვნიკს დოხტურს იაკობს, ჩვენს კეთილ მეგობარს“ და ბოდიშს უხდის, რომ ვერ შეხვდა დროზე და ჰპირდება სამ-ოთხ დღეში ჩამოსვლას; ამასთან აგუბინებს, რომ სოლომონის წერილიც მიუღია. (ამ წერილის ასლი ინახება ხელნაწერთა ინსტ. ფ. II - 609, ფურც. 113 - გ. გჰ)

მიაგო და ვერ უთხრა ყოველივე საჭირო სათქმელი მოუცლელობის და დიდი მწუხარების გამო. ახლა კი ეპატიეებოდა აღდგომამდე... (ტექსტის ასლი ინახება ხელნაწერთა ინსტ. ფ. H – 609, ფურც. 114).

27 დეკემბერს კი ერეკლე სწერდა გ. ა. პოტიომკინს, რომ მასთან ჩამოვიდა პოლკოვნიკი იაკობ „რეინგი“, რომელსაც იგი იღებს, როგორც თავის მეგობარს, ქართული ენისა და აქაური მდგომარეობის მცოდნეს, პპირდება, რომ რუსეთისადმი ერთგულების ნიშნად დაეხმარება მას, „რეინგს“ და დაუდასტურებს კეთილგანწყობას. ატყობინებდა აგრეთვე, რომ ცოტა ადრე ჩამოსულა კაპიტანი ბაღდათლუ სოლალოვი, რომელმაც გადასცა ერეკლეს ვაჟს (გიორგის – გ. გ.) წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი.<sup>28</sup>

თუ როგორ შეასრულა რაინგსმა დავალება, ეს ჩანს ერეკლეს წერილიდან პოტიომკინისადმი, სადაც ნათქვამია, რომ მეფე თავის თავს, შვილებს და ხალხს ავედრებდა იმპერატორის მფარველობას. ის სთხოვს პოტიომკინს წარუდგინოს და განუცხადოს იმპერატორს მის მიერ გაგზავნილი ორი თხოვნა ახალი „სათხოვარის პუნქტებით“, რომელიც უკვე ცნობილია პოლკოვნიკ რაინგსისათვის...<sup>29</sup>

რაინგსი თბილისში დიდხანს არ შეჩერებულა; 26 დეკემბერს ის ემზადებდა წავიდა სომხეთის კათალიკოსთან,<sup>30</sup> რომელსაც წირვის დროს მართვა საჩუქრები და გ. ა. პოტიომკინის წერილი. იმავე დღეს იქვე კრებაზე დაადგინეს იმპერატორის კარის ერთგულება და გადაწყვიტეს მფარველობის თხოვნა. საქმეთა განმგებლად აირჩიეს მელიქი ადამი. ემზადებდა რაინგსი ცოტა ხანს დარჩენილა. ის გაემართა ერევნისაკენ ჰუსეინ-ალი-ხანთან. აქ ის არა მარტო ვაჭრობის შესახებ მოსალაპარაკებლად ჩავიდა, არამედ ერევნის ციხის გეგმაც გადაიღო; როგორც მზერავმა, დაათვალიერა ღუქები და სხვა „ღირსშესანიშნაობები“. ერევანში ოთხი დღის ყოფნის შემდეგ წავიდა ჯერ ხორვირაპის მონასტერში, შემდეგ არარატის მთისაკენ, რომელსაც დიდთოვლობის გამო ვერ მიაღვა. 8 დღის შემდეგ დაბრუნდა ემზადებდა, სადაც 1783 წლის 17 იანვარს

<sup>28</sup> А. А. Цагарели, Грамоты... т. II, вып. II, № 18, с. 27.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>30</sup> სომხეთის კათალიკოსად იმაჟამად იყო ღუკასი, 1780 წლის აგვისტოში გარდაიცვლილი სიმეონის ნაცულად. რაინგსს სწორედ მასთან დაავალა ურთიერთობის დამყარება გ. ა. პოტიომკინმა – გ. გ.



მიიღო პატრიარქის წერილები რუსეთში გადასაგზავნად.<sup>31</sup> უპირველესად კი წერილი გ. ა. პოტიომკინთან, სადაც პატრიარქი ატყობინებდა, რომ რაინეგსმა მას გადასცა ძვირფასი ჯვარი და 1782 წლის 20 აგვისტოს წერილი და სთხოვა ყური ვდლო და დახმარებოდა არქიეპისკოპოს იოსებს, დოქტორ იაკობსა და ივანე ლაზარევს.<sup>32</sup> ამასთან ერთად, რაინეგსმა წაიღო მელიქების წერილები ეკატერინესადმი და პატრიარქისა არღუთინსკისა და ლაზარევისადმი.

1783 წლის 28 იანვარს რაინეგსი თბილისს დაბრუნდა, ოღონდ თურქეთის საზღვრებით – შირაქის და ბამბეკის გამოვლით. აქ მან გ. ა. პოტიომკინის სახელზე დაწერა ეჩმიაძინში მოგზაურობის ანგარიში და ამიერკავკასიის პოლიტიკური სიტუაციის შეფასება,<sup>33</sup> რომელშიც ლამაზ ფერებში ხატავდა რუსეთის მფლობელობის დამყარების შესაძლებლობებს ამიერკავკასიაში.

იმისათვის, რომ დიპლომატიურად შეეშაძებინა მომავალი ლაშქრობა ამიერკავკასიაში და შეექმნა კეთილსაიმედო პოლიტიკური პირობები, პ. ს. პოტიომკინმა 1783 წლის 12 აპრილს თბილისში მყოფ რაინეგსს გაუგზავნა წერილი სპარსულ ენაზე, რომელიც მას უნდა გაევერცელებინა მაჰმადიანურ სახანოებში. ამ წერილის შესახებ გენერალი თვით ატყობინებდა ერეკლეს და გ. ა. პოტიომკინს და აღნიშნავდა, რომ ის რაინეგსს უნდა ეჩვენებინა აზერბაიჯანელი ხანებისათვის.<sup>34</sup> რაინეგსს უნდა შთაეგონებინა მათთვის, რომ შეეწყვიტათ შინაომები, თუკი სურდათ რუსეთის მფარველობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმსახურებდნენ რუსული იარაღის შურისძიებას. პ. ს. პოტიომკინი ატყობინებდა თავად გ. ა. პოტიომკინს, რომ მას ერეკლეს და რაინეგსიც სთავაზობდნენ დაეგზავნა ხანებისათვის „მიმართვა“ – შეეწყვიტათ შფოთი და თავი შეეკავებინათ თურქთაგან; მაგრამ, რადგან კარისაგან ამის პირდაპირი მითითება არ ჰქონდა, ამდენად ეს გააკეთა რაინეგსისადმი გაგზავნილი წერილის სახით.

<sup>31</sup> ЦГВИА, Ф. 52, л. 270, лл. 91-91 об.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> ЦГВИА, Ф. 52, д. 90, лл. 3-7 об. Экстракт из писем доктора Рейнера от 9 Февраля 1783 г. иб. აგრეთვე ა. იონისიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58, გვ. 213-217, დამატება № 7.

<sup>34</sup> ЦГАДА, Госархив, разряд ХХІІ, д. 13, ч. V, лл. 62-62 об, 63, 73 об.

ამასობაში ერეკლე უგზავნის რაინგესს წერილს (1783 წლის 12 აპრილს), რომლიდანაც ჩანს, რომ რაინგესს მისთვის ოთხი წერილი გამოუგზავნია. ერეკლე ბოდიშს უხდის, რომ მისი აქ ყოფნისას საკადრისი პატივი ვერ მიაგო და ეპატიუება ტფილისში, რაც რაინგესისათვისაც და „ჩვენის ქვეყნისთვისაც“ დიდად სასარგებლო იქნება... (ხელნაწერთა ინსტ. ფ. H - 609, ფურც. 112 - გ. გ.).

რაინგესმა თავის თავს ეტყობა დიდი უფლებები მისცა, გათამამდა და თვითნებობაც კი დაიწყო. თბილისში მყოფი რაინგესის მოქმედება სულ უფრო თავხედურ და ერთგვარად ავანტიურისტულ ხასიათს იღებდა.

რაინგესისადმი სომხეთის პატრიარქის ლუკასის 1783 წლის თებერვლის, აპრილის და მაისის სამი წერილიდან ჩანს, რომ რაინგესმა თავი წარმოიდგინა სომეხთა მფარველად, სომხური ეკლესიის საქმეებშიც კი ჩაერია და ეკამათებოდა პატრიარქს საქართველოში მდებარე ახპატის ეპარქიის მეთაურის კანდიდატურაზე.<sup>35</sup> ასევე მან დაიწყო მიმოწერა ყარაბაღის მელიქებთან. როგორც ჩანს, რაინგესი (ყოველგვარი უფლებამოსილების გარეშე) მელიქებს რაღაცას ჰპირდებოდა, რაღაც გეგმებს აცნობდა.<sup>36</sup> რაინგესის წერილი მელიქ აპოვთან, სადაც ატყობინებდა რუსთა მომავალ ლაშქრობას და იბრაჰიმ-ხანის ჩამოგდებას, ასევე სომხეთის სამეფოს აღდგენას, ხელთ ჩაუვარდა თვით ხანს და მელიქი აპოვი ციხეში ჩაავლო...<sup>37</sup> მხოლოდ პ. ს. პოტიომკინის მოთხოვნით გაათავისუფლა ხანმა მელიქი, ისიც დიდ საფასურად.

რაინგესზე უკვე საჩივრებსაც გზავნიდნენ გ. ა. პოტიომკინთან.<sup>38</sup> რაინგესის „გულმოდგინება“ კი ფანტაზიორობაშიც გადაიზარდა: მას ადვილად ეჩვენებოდა სპარსეთისა და თურქეთის სისუსტის გამო ამ ქვეყნების წამოჩოქება და ხალხის შეგროვებაც კი დაიწყო სომხებისა და მთიელი ოსებისაგან პოლკების შესაქმნელად. როგორც ზემოთ მოყვანილი წერილიდან დავინახეთ, იგი თავის თავს თვლიდა ამ პოლკების მეთაურად, ხოლო ერეკლე II-ის თორმეტი წლის ვაჟი ალექსანდრე თავის ლეიტენანტად დანიშნა. ოსთა რაზმის მეთაურად

<sup>35</sup> ა. იოანისიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> ЦГВИА, Ф. 52, оп. ч. I/194, д. 286, ч I, л. 237-237 об.

<sup>38</sup> ЦГАДА, Госархив, разряд XXIII, д. 13, ч. IV, лл. 56-57

1782 წელს გაქრისტიანებული თავაურელი მამასახლისი ყაიჭუკო აირჩია. რაინეგსი პ. ს. პოტიომკინს 4000 კაცის გამოყვანას აღუთქვამდა.<sup>39</sup>

რაინეგსის მოქმედებას თან ახლდა ბოროტი ხმები რუსეთის კარის სალაშქრო გვეგეების შესახებ, რაც ყარაბაღულ სომხებს იბრაჰიმ-ხანის მხრივ საფრთხეს უქმნიდნენ, აძლიერებდნენ უნდობლობას რუსული პოლიტიკისა და ერეკლეს მიმართ, რადგან შიში უძლიერდებოდათ. ეს ხელს უწყობდა რუსეთის და საქართველოს მტრებს.

რაინეგსის მოქმედებამ, მართალია, დიდად შეუწყო ხელი ერეკლეს შესვლას რუსეთის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ამავე დროს გააუარესა პოლიტიკური ვითარება დაღესტანსა და აზერბაიჯანში.

ტყუილად არ სურდა ერეკლეს რაინეგსის თავიდან მოშორება. ერეკლე ხედავდა, თუ როგორ ართულებდა რაინეგსი ურთიერთობას ამიერკავკასიელ მმართველებს შორის. იგი თავის თავს ეკატერინეს ელჩად ასალებდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა ადგილობრივ მმართველებთან, რომ დამორჩილებოდნენ რუსეთს. მას განსაკუთრებით იოლად ეჩვენებოდა და მოუწოდებდა კიდევ მცირე აზიის დაპყრობისაკენ, ხოლო აზერბაიჯანის დასამორჩილებლად მხოლოდ რუსეთის ჯარის გამოჩენა მიაჩნდა საკმარისად. როცა დაინახა, თუ როგორი ზიანი მოჰქონდა რაინეგსის თვითნებობას რუსული დიპლომატიისათვის, თავადი გრ. პოტიომკინი 1783 წ. 19 მაისს ხერსონიდან სწერდა ეკატერინე II-ს: „Доктора Рейнегса нахожу я по делам его много встречаю, хотя и усердным. Прикажу выманить его на линию, а дела его примет посланной в Грузии полковник Бурнашев“...<sup>40</sup> ხოლო პ. ს. პოტიომკინს კი გაუგზავნა იმავე რიცხვით საიდუმლო ორდერი, რომელშიც ავალებდა დაპირებებით გადმოებირებინა იბრაჰიმ-ხანი ფათალი-ხანის წინააღმდეგ, რითაც რუსებს გაუადვილდებოდათ დარუბანდის დაპყრობა და „О Докторе Рейнегсе подтверждаю предписанис мое ... , чтоб выманить его на линию. Употребления ласковости в приглашении его и общание земли на

<sup>39</sup> შტრ. აგრეთვე Бутков, Материалы... II, გვ. 121-122.

<sup>40</sup> რაინეგსს მთელი საქმეები უნდა გადაეხარებინა პოლკოვნიკ ბურნაშოვისადმი, რომელიც ჯერ კიდევ აპრილში დაინიშნა საქართველოში „კომისიონერის“ თანამდებობაზე (გ. ა. პოტიომკინის ორდერი 3 აპრილის რიცხვით).

ლიხიი დრუგიხ ვიგოდ უდობნო მოგუტ სკლონიტ ეგო კ სვიდანიუ ს ვამი.“<sup>41</sup>

მაგრამ რაინეგსის გაწვევა ხაზზე არ გართულებულა. 2 იენისის ჩავიდა პ. ს. პოტიომკინთან.<sup>42</sup> ერეკლე მეფე კმაყოფილებას გამოთქვამდა პ. ს. პოტიომკინისადმი გაგზავნილ 1783 წლის ივლისის წერილში რაინეგსის გაწვევის გამო. „მეტხანს რომ დარჩენილიყო, ვერ შევიძლებდი მის მიმართ კეთილგანწყობის შენარჩუნებასო“<sup>43</sup> (თუმცა ამავე დროს გიორგი ბატონიშვილი რაინეგსს 1783 წლის 2 ივლისს სწერს: „... შენის ამბავის ცნობა ნიადაგ მსურს... რასაც ხშირად მაცნობებ შენს ამბავს, დიდად მადლობელი ვიქნები; და მე ნიადაგ შენს მეგობრობაში ვჰგვი...“ (ხელნაწ. ინსტ. ფ. Н - 609, ფურც. 119).

ცხადია, რაინეგსი 1783 წლის 24 ივლისის „ტრაქტატის“ დადების დღეებში პ. ს. პოტიომკინს თან ახლდა; ჯერ ერთი, როგორც ქართული ენის მცოდნე, მეორე, როგორც უკვე გამოცდილი „ქართულ საქმეებში“.

რაინეგსი ერთხანს დარჩა ჩრდილოეთ კავკასიაში გენერალთან, რომელთან ერთადაც 1784 წლის შემოდგომაზე (სექტემბერში 22 დღით) კვლავ ჩამოვიდა საქართველოში (ა. ცაგარელმა გიოტინგენის ბიბლიოთეკაში მიაკვლია 2 წერილს 1784 წლის 6 იენისის თარიღით: ერთი ერეკლესი, მეორე ერეკლეს „ვეზირის“ თავადი სულხან ბეთაბეგოვისა რაინეგსისადმი, რომელიც მაშინ იმყოფებოდა „კავკასიის ხაზზე“ პ. ს. პოტიომკინთან. ერეკლე და მისი მდივანი იწვევდნენ პოტიომკინსა და რაინეგსს თბილისში და სთხოვდნენ შეეტყობინებინათ, როდის, რა ამალით და სად მოისურვებდა გენერალი შეხვედრას ერეკლესთან. აქვე აღმოჩნდა შავი ცალები რაინეგსის პასუხისა, სადაც წუხს, რომ ვერ შეძლებს საქართველოში ჩასვლას).<sup>44</sup>

ამის შემდგომ რაინეგსი ერთხანს იყო ასტრახანში ექიმად, ხოლო 1787 წ. დაინიშნა სამედიცინო კოლეგიის სწავლულ მდივნად; იყო აგრეთვე პეტერბურგში ეკატერინეს საავადმყოფოსთან არსებული

<sup>41</sup> Бутков, Материалы..., П с. 122.

<sup>42</sup> პ. ს. პოტიომკინის რაპორტი 1783 წ. 4 ივლისის თარიღით (ЦГАДА, Госархив, разряд XXIII, д. 13, ч. V, л. 97).

<sup>43</sup> ЦГВИА, Ф. 52, оп. I/194, д. 286, ч. I, л. 116. შდრ. ო. მარკოვა, დასახ. ნაშრ. გვ. 165.

<sup>44</sup> А. Цагарели, Грамоты... т. II, вып. с. XVII.

საექიმო სკოლის ინსპექტორი, სამედიცინო-ქირურგიული სკოლის დირექტორი, 1789 წ. ის გ. ა. პოტიომკინმა გაიწვია თავისთან მოლდავეთში, საიდანაც მალე დაბრუნდა უკან.

პეტერბურგში ცხოვრებისას რაინეგსი არ წყვეტდა მიმოწერას და ურთიერთობას თავის ძველ ნაცნობებთან ამიერკავკასიაში. მაგ., 1793 წლის 25 თებერვალს ერეკლე II სწერს ს. ლ. ლაშქაროვს:<sup>45</sup> „ამას წინად ჩვენს სარწმუნოს მეგობარს მაღალკეთილშობილს დობტურს იაკობს ჩვენთვის წიგნი მოუწერა და... თქვენის ჩვენ მიმართ ბოძებული ბევრის რიგის სნეულებისა სამკურნალო წამლები წარმოვეზავნა, რომ სრულებით მოგვივიდა“...<sup>46</sup> ამასვე ადასტურებს ერეკლეს წერილი გრაფ პ. ა. ზუბოვისადმი 1793 წ. 12 დეკემბერს: „...წიგნი უფლის პოლკოვნიკის იაკობ რეინილისა, რომელიცა ცხადჰყოფდა ფრიადსა კეთილმწადნობასა თქვენსა ჩემდა მომართ, რომელ წარმოგვევლინესთ ჩვენთვის წამალნი სახელით „არსება სიცოცხლისა...“<sup>47</sup>

რაინეგსთან მიმოწერა და ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ ქართველ მოღვაწეებს (მეფე-ბატონიშვილებს, სხვადასხვა მოხელეებს – ქართველებსა თუ სომხებს) მისი საქართველოდან წასვლის შემდგომაც (1783-1792 წლებში). ეს წერილები ბევრ სათხოვარს შეიცავენ: ზოგი მას ღურბინდის გამოგზავნას სთხოვს (გიორგი ერეკლეს ძე – 1791 წ. 2 V; დავით გიორგის ძე – 1792 წ. 1 XII), ზოგი – ლექსიკონებს (დავით გიორგის ძე – 1792 წ. 1 XII, მღვდელი ტერ დავით ტერ-ოჰანესა – 1790 წ. 20 V.), ზოგი – წამლებსა და მათი ხმარების წესს სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ (გიორგი ერეკლეს ძე – 1788 წ. 1 XI, 1791 წ. 26 II, 2 V, 9 V, 1792 წ. 10 XI; დავით გიორგის ძე – 1792 წ. 1 XII); ზოგიერთებს სურთ რაინეგსის დახმარება

<sup>45</sup> სურგუი ლაზარეს ძე (იგივე ლაშქარაშვილი). მამამისი ვახტანგ VI-ს წაჰყვა 1725 წელს რუსეთში, სადაც შეირთო რუსი ქალი. დაბადებულია 1739 წ. 1762 წ. საგარეო საქმეთა კოლეგიაშია. გაგზავნეს კონსტანტინოპოლში. იცოდა მრავალი ევროპული თუ აღმოსავლური ენა. ის ეკატერინეს უყვარდა და ნება ჰქონდა მასთან მოხსენებისათვის პირადად შესულიყო. გარდაიცვალა 1814 წ. არ სურდა საქართველოს ავტონომიის გაუქმება... (იხ. А. Цагарели, Грамоты... т. II, с. 76).

<sup>46</sup> А. Цагарели, Грамоты... т. I, с. 113.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 82.

რუსულ სამსახურში მისაღებად, თუ დასაწინაურებლად (კაპიტანი არტემ ლალგვა - 1791 წ., დავით გიორგის ძე - 1792 წ. 1. XII). ზოგი მასთან სამკურნალოდ ჩადის (დარჩია ბებუთოვი - ერეკლესა და გიორგი ერეკლეს ძის წერილებით 1788 და 1792 წლებში), ზოგი პროტექციას სთხოვს საიმპერატორო კარზე (იაკობ სომეხთა არქივისკოპოსი - 1785 წ.). ამას გარდა, არის წერილები (ერეკლესი და ბატონიშვილებისა), რომლებშიც ისინი აცნობებენ რაინგსს ქართლ-კახეთისა და მისი მეზობლების მდგომარეობას, ურთიერთდამოკიდებულებას ისეც ხდება, რომ რაინგსს ხანდახან მოსაკითხსაც უგზავნიან ხოლმე (გ. ჭავჭავაძე - 1792 წ. 8 XII და სხვა).<sup>48</sup>

ერთი რამ ცხადია, რომ რაინგსი შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარება და უპასუხოდ თითქმის არავის არ ტოვებს.

როგორც რაინგსის ბიოგრაფი გერსტენბერგი წერს, იგი აღმოსავლეთში ყოფნისას შეეჩვია ყაყაოს წვენიასა და ოპიუმის დიდი რაოდენობით მიღებას. გარდაცვალებამდე 4 წლით ადრე მას დაწყება ცხვირიდან სისხლის დენა, რაც განსაკუთრებით ზამთარში ურთულდებოდა. ერთ დღეს, 1793 წლის მარტში, ის უეცრად მოკვდა ფოსტაში. 49 წლის ასაკში გარდაიცვალა ისე, რომ ოჯახი არ ჰყოლია.

რაინგსის შესახებ გერსტენბერგი წერს, რომ ის ყოფილა საშუალო ტანის, ჯანმრთელი, თუმცა არც თუ ძლიერი აღნაგობისა. სიღარბაისლე და ერთგვარი სითამამე მას ხდიდა სასიამოვნო თანამოსაუბრედ. ნათელი, გამჭოლი და მეტყველი თვალები ამტკიცებდნენ მის გონიერებას. დაუღალავი შრომისმოყვარეობა მასში შერწყმული იყო დაუოკებელ ლტოლვასთან შეეძინა ახალ-ახალი ცოდნა.<sup>49</sup> ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ მან შეისწავლა მრავალი ენა, როგორც აღმოსავლური, ისე ევროპული (თურქული, სპარსული, სომხური, ქართული, ფრანგული, რუსული). ასევე დაეუფლა მრავალ მეცნიერებას თუ სპეციალობას. ამავე დროს იყო ყოველთვის საიდუმლოებით მოცული.

<sup>48</sup> ეს წერილები დაცულია ზელნაწერთა ინსტიტუტში, ფონდი H - 609, ფურცლები 68-126. ისინი საინტერესო მასალას იძლევიან ქართველ მოღვაწეთა შესახებ. სამედიცინო თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებია გიორგი ბატონიშვილის წერილები. სამწუხაროდ, ჩვენ ამჟამად არ გვაქვს მათი ანალიზის საშუალება, წერილები კი ქვემოთ მოგვყავს, იხ. გვ. 283-300

<sup>49</sup> იხ. რაინგსის ბიოგრაფია, ქვემოთ გვ. 101

მართალია, მას საკმაო ჯამგირი ჰქონდა, მაგრამ, რადგან ფუფუნებით ცხოვრება უყვარდა, სულ ვალებში იყო. იგი ძალზე ზრუნავდა ავადმყოფებზე და დამსახურებული ჰქონდა უანგარო და პატიოსანი კაცის სახელი.<sup>50</sup>

რაინეგსს დარჩა ხელნაწერი მასალა, რომელთაგან მეტი წილი, სამწუხაროდ, დაიკარგა. როგორც მისი ბიოგრაფი ამბობს, ის გარდაცვალებისთანავე დაიტაცეს. ამ მასალათა ერთი ნაწილი გამოსცა შრედერმა 1796 წელს „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“, ნაწილი I,<sup>51</sup> რომელიც ძირითადად ეხება მთელ ჩრდილო კავკასიას, დალესტანსა და ამიერკავკასიის მაჰმადიანურ სახანოებს.

საინტერესოა, რას წერს გერსტენბერგი ამ ნაწილის გამოცემის ისტორიის შესახებ: „ჯერ კიდევ გარდაცვალებამდე ერთხელ ველაპარაკე რაინეგსს მისი სამოგზაურო ხელნაწერის გამოცემის შესახებ. ის თუმცა დამპირდა, მაგრამ მთხოვა ერთხანს მომეთმინა. ეს დაპირება მე ჩავთვალე ჩემი თხოვნისადმი გვერდის ახვევად და საერთოდ შეუსრულებლად, ვიცოდი რა მისი ხასიათი. რაინეგსის მეურნეობას უძღვებოდა ერთი ქალი, რომელსაც მან თავისი მეგობრის, ბ-ნ XXX-ის თანდასწრებით უანდერმა თავისი ხელნაწერი, როგორც ერთადერთი მემკვიდრეობა. რაინეგსი სხვაგან იმყოფებოდა, როცა უეცრად მოკვდა 1793 წლის მარტში. მისი ნაცნობ-მეგობრები, რომლებმაც ამ ქალზე ადრე შეიტყვეს მისი სიკვდილის ამბავი, სასწრაფოდ მივიდნენ მის ბინაში და ხელნაწერებიც გაქრა. გაოგნებულმა ქალმა მხოლოდ რაინეგსის კავკასიაში მოგზაურობა გადაარჩინა... ვცდილობდი როგორმე გამეგო, თუ ვის ხელში ჩავარდა მოგზაურობის ხელნაწერები, მაგრამ ჩემი ყოველი ცდა უნაყოფო გამოდგა და იმედიც ნაკლებ იყო, რომ როდესმე აღმოჩნდებოდა. ამასობაში ერთმა ჩემმა მეგობარმა გადამომცა ამ მთორე ტომს დართული „პასუხი კითხვაზე: არიან თუ არა ყირიმში...“ და აგრეთვე შემდგომში „ბიოგრაფიაში“ გამოყენებული, მაგრამ ნაკლებ საინტერესო ფრაგმენტი ჟურნალიდან, რომელიც ეხება მის მოგზაურობას საქართველოდან კავკასიონზე გადავლით რუსეთისაკენ; ასევე სამი აღქიმიური ხელნაწერი, რომლებიც მას სიცოცხლეშივე შეედგინა.

<sup>50</sup> იხ. იქვე, გვ. 102

<sup>51</sup> "Allgemeine historisch - topographische Beschreibung des Kaukasus", I, Gotha und St.-Petersburg, 1796.

ამასობაში რაინეგსის „ეკონომკამ“ თავისი ბინა გამოიცივალა. ბ-ნი შრომდერი სტ.-პეტერბურგში ცხოვრობდა, როგორც კერძო მასწავლებელი. ბელმა ის იმავე სახლში დააბინავა. მან ეს ქალი გაიცნო და მალე აღმოაჩინა ის, რაც დაკარგულად ითვლებოდა – რაინეგსის კავკასიაში მოგზაურობის ხელნაწერი. მან მე და ჩემს ასოციაციას გაგვაცვინა თავისი ნაპოვნის შესახებ და გვკითხა, ნაშრომს გამოუუცემდით თუ არა. ამასთან, გასაგებად გვითხრა, რომ შეუძლებელი იყო ხელნაწერის იმ სახით დაბეჭდვა, როგორც მას ხელთ ჰქონდა, რადგან შეიცავდა სხვადასხვა განმარტებებს რაინეგსის დავალებების, მიზნების, შედეგებისა და სხვათა შესახებ, რომელთა გამოქვეყნება, ალბათ, არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ჩვენ დავუდასტურეთ მზადყოფნა და გავამხმვეთ, რაც შეიძლება უკეთ დაეუზამებინა ხელნაწერი. შევთანხმდით პონორარზე და მივიღეთ დასავლეთ კავკასიის აღწერამდე მომავალი პირველი ნაწილი ხელნაწერისა, რომელიც მკითხველმა უკვე ერთი წელია რაც მიიღო“ (იგულისხმება 1796 წელი – გ. გ.).

მასალათა მეორე ნაწილი, რომელიც მთლიანად საქართველოს ეხება: „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“, ნაწილი II,<sup>52</sup> აგრეთვე გამოკვლევა – „პასუხი კითხვაზე: შეიძლება თუ არა არსებობდნენ ყირიმში და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ძველი გუთების ნარჩენები“, ასევე გერსტენბერგის მიერ შედგენილი ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი<sup>53</sup> გამოიცა 1797 წელს.

აღნიშნულის გარდა, რაინეგსმა პეტერბურგში პირველად ყოფნისას, 1782 წელს, აკადემიკოს პალასს გადასცა კავკასიაში მოგზაურობისა და საქართველოს მოკლე აღწერილობა. აი, რას წერს პალასი: „მე განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს გამოვაქვეყნო ბერლინის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წევრის, ბ-ნი იაკობ რაინეგსის ეს საინტერესო წერილი იმ სახით, როგორც მან გადმომცა. ამ ღირსშესანიშნავ მოგზაურს ჰქონდა ბედნიერება, აღმოსავლეთში 9-წლიანი მოგზაურობის შემდეგ, საქართველოს გავლით რუსეთში მოსულიყო და პეტერბურგში ამა წლის (1782) თებერვალში მცირე ხნით შეჩერებულიყო. აქ მან, მაღალი თანამდებობის პირის თხოვნით, ეს ცნო-

<sup>52</sup> "Allgemeine...", II, Hildesheim und St.-Petersburg, 1797.

<sup>53</sup> I. D. Gerstenberg, Biographische Skizze des Russisch-Kaiserl. Collegien-Rhats Dr. Jacob Reineggs.



ბები გაიხსენა და, ჩემდამი კეთილგანწყობისა და მეგობრობის ნიშნად, ნება დამართო გამომეჭეფებინა ისინი. ამით მე გერმანულ ლიტერატურას მით უფრო მოვემსახურები, რადგან ამ სწავლულის ყურადსაღები საგზაო ჩანაწერების შესახებ ძნელია რაიმეს მოელოდე, სანამ ის არ დაბრუნდება ტიბეტიდან და აღმოსავლეთ აზიიდან, სადაც იგი სპარსეთის გავლით აპირებს გამგზავრებას“.

ეს აღწერილობა პალასმა გამოსცა 1783 წელს თავისი „ჩრდილოეთის სტატიების“ III ტომში სათაურით – „მოკლე ამონაწერი საქართველოს ისტორიიდან“.<sup>54</sup> ეს არის რაინგსის შრომიდან ამოღებული გარკვეული ქვეთავები თუ გვერდები, რაც მთლიანადაა შესული 1797 წელს გამოცემულ წიგნში (შდრ. გვერდები 115-116, 120-123, 72-73, 84, 88-95, მთლიანად, 95-96, 123-133 მთლიანად). არსებობს ამ ტექსტის ქართული თარგმანიც „ივერიაში“ (1879 წ. № 4).

გარდა ამისა პროფ. მ. დუმბაძემ 1963 წელს გამოსცა ამ ტექსტის რუსული თარგმანი, შესრულებული, ჩვენი აზრით, თვით რაინგსის, ან ვინმე „რუსულის მცოდნე“ უცხოელის მიერ; ან ეს რუსის მიერ სიტყვა-სიტყვითი ნაჩქარევი თარგმანია. ამ აზრს უფრო მეტად ადასტურებს თარგმანის სათაური, („Сокращение истории о Георгии“), ზოგიერთი გერმანული სიტყვის დამახინჯებულად გაპარვა ტექსტში, არარუსული გამოთქმები, გრამატიკული ნორმების ყოველგვარი დარღვევა და სხვ. (იხ. მსკი, ნაკვ. 35, თბ. 1963).

ქ. პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახ. ბიბლიოთეკაში (ОЛДП-137 F.N192) დაცულია რაინგსის ძირითადი შრომის ზელნაწერი, მირთმეული გ. ა. პოტიომკინისადმი იმპერატორ ეკატერინე II-თვის გადასაცემად, ვისაც უძღვნის შრომას. იგი დაწერილი უნდა იყოს 1784-1786 წლებს შორის. ქვედა ზღვარს გვაყარაუდებინებს ტექსტში მოცემული რაინგსისეული მითითება, რომ სოლომონ მეფე დიდი ხანი არაა, რაც გარდაიცვალა. ეს კი 1784 წლის აპრილში მოხდა. სავარაუდოა, რომ რაინგსი ჯერ გერმანულად დაწერდა შრომას, ან უკვე შეგროვებულ მასალებს, შემდეგ დააკონსპექტებდა და დახვეწდა რუსულად, მით უმეტეს, რომ ეკატერინეს უძღვნიდა.

<sup>54</sup> "Kurzer Auszug der Geschichte von Georgien" (Neue Nordische Beiträge, St.-Pet. 1783).

ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, შეიცავს დიდი ფორმატის 234 გვერდს, დაყოფილია 131 პარაგრაფად, რომელთაგან საქართველოს ეხება წგ 99-131, ასევე წგ 75-76, წგ 84-88. ეს ხელნაწერი რაინეგსის შრომის გამომცემლებს არ უნახავთ და არ გამოუყენებიათ. აკი ამბობს კიდევ გერსტენბერგი ამის შესახებ (იხ. ბიოგრაფიული ნარკვევი).

რაინეგსისეული მასალა, რაც პალასმა გამოაქვეყნა, აღარაა გამოჩენილი ეკატერინესადმი რუსულად მიძღვნილ მის შრომაში. „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ კი მოიცავს ორივე ამათ, ოღონდ გავრცობილია ზოგიერთი დამატებით: ამა თუ იმ პიროვნების დახასიათება, ისტორიული ექსკურსები და სხვა მრავალი. მკითხველი თვით ნახავს იმ განსხვავებას, რაცაა ამ შემოკლებულ შრომასა და გერმანულ ტექსტს შორის. უნდა ითქვას, რომ რუსული ტექსტი წყობის მიხედვით უკეთესადაა შედგენილი, ვიდრე გერმანული. ეს გამოწვეულია იმით, რომ რაინეგსმა რუსული ნაშრომი, ისევე როგორც პალასისადმი გადაცემული სტატია, თავისი ხელით დაწერა და ერთგვარად დახვეწა. გერმანული კი, მისი შემორჩენილი მასალის მიხედვითაა სხვის მიერ შევსებულ-გავრცობილი (ამიტომაცაა საკმაო შეცდომები და ორჭოფობა ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელის მოყვანისას). რაინეგსს რომ დასცლოდა, ალბათ სხვა სახეს მისცემდა მასაც.

ზემოთქმულის გამო აუცილებლად ჩავთვალეთ ჩვენს გამოცემაში ჩაგვეერთო რაინეგსის რუსული ნაშრომის ორიგინალი, მით უმეტეს, რომ ის გამოქვეყნებული არ არის. გადმოვიწერეთ ტექსტის ის ნაწილი, რაც ჩვენ გვქონდა რაინეგსის გერმანული ნაშრომიდან საქართველოს შესახებ თარგმნილი. ამ ტექსტს, რაც საქართველოს ეხება, სრულად ვაქვეყნებთ ჩვენ გამოცემაში (იხ. ქვემოთ გვ. 223-280). ტექსტის ენას ხელი არ ვახლეოთ, ოღონდ ზოგიერთი სიტყვა დღესდღეობით მიღებულ ორთოგრაფიას დავეუახლოვეთ (ყოველ შემთხვევაში, რაინეგსის რუსული ამით არ დაგვიმახინჯებია. იხ. ქვემოთ, გვ. 222).

რაინეგსსვე ეკუთვნის „მსჯელობა ოპიუმის შესახებ“, მოთავსებული ბლიუმენბახის სამედიცინო ბიბლიოგრაფიის. II ტომში.<sup>55</sup> გარდა ამისა, არსებობს რაინეგსის წერილები, გაგზავნილი სხვადასხვა პირებისადმი,

<sup>55</sup> "Abhandlung über das Opium".

როგორც გერმანიაში, ისე რუსეთში, საქართველოსა და სომხეთში. ამათგან მრავალი უცნობია, ზოლო ბევრი მოიძიება მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნისა თუ სხვა არქივებში. მათი ნაწილი მითითებულა ჩვენს გამოკვლევაში.

წინამდებარე ნაშრომში მთლიანადაა წარმოდგენილი რაინგესის მასალებზე დაყრდნობით გამოცემული წიგნის – „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ – მეორე ნაწილი, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, ეხება საქართველოსა და შავი ზღვის სანაპიროს.

\* \* \*

როდესაც რაინგესი საქართველოზე ლაპარაკობს, საჭიროა გავარჩიოთ მის მიერ ხმარებული სახელწოდებები ქვეყნის ამა თუ იმ მხარის შესახებ. კერძოდ, ეს ეხება იმერეთს, ქართლ-კახეთს და საკუთრივ საქართველოს. უნდა განვმარტოთ, რომ იმერეთს რაინგესი ყოველთვის უწოდებს იბერიას, თუმცა მისთვის არაა უცნობი ძველი ისტორიული იბერიაც. ამას ჩვენ უმთავრესად მხოლოდ კონტექსტით უნდა მივხვდეთ. რაინგესმა ისიც იცის, რომ იბერიელები თავის მხარეს იმერეთს უწოდებენ. ქართლს, უფრო უკეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს, რომელსაც ერეკლე განაგებს, ის ყოველთვის უწოდებს გეორგიას, თუმცა მხარეთა აღწერისას კახეთსა და ქიზიყს თავისი ნამდვილი სახელებით გამოყოფს. რამდენჯერმე მთელი საქართველოს აღსანიშნავადაც ნახმარი აქვს გეორგია. აქვე შევნიშნავთ, რომ მან იცის ტერმინები ქართლი, ზემო, ქვემო ქართლი. იგივე ითქმის იმერლების, ქართლების აღმნიშვნელ ტერმინებზეც (იბერიელი, გეორგიელი); ასე რომ ტერმინი გეორგიელი გვხვდება ხან ქართლის, ხან ქართველის მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ რაინგესი აწარმოებს კვლევას, თუ საიდან უნდა წარმოსდგებოდნენ სახელწოდებები: „გეორგია“, „ქართლი“. იგივე ითქმის ალბანიის, სამეგრელო-მეგრელის, გურიის, სვანეთი-სვანის, აფხაზეთ-აფხაზის, ლაზეთ-ლაზის, ჭანის, რაჭის, ხევსურის და სხვა სახელთა, ისევე როგორც ზოგჯერ თვით ხალხის წარმომავლობის დადგენის ცდაზეც.<sup>56</sup> ის ცდილობს ერთ მთლიანობაში გააიზროს ისტორიული და მისი თანამედროვე საქართველო.

<sup>56</sup> საშუალოდ, არ გვაქვს რაინგესის თითოეული მონაცემის გაანალიზების საშუალება, თუმცა ბევრგან ვერ დავუთანხმებთ, როგორც მაგ. ზესტაფონის – სებასტოპოლისობას, სანავარდოს – სარაპანობას, ბაღდადის – ბაბილონობას –

როდესაც რაინგსი აღწერს სხვადასხვა მხარეებსა და იქ მოსახლე ხალხებს (ებრაელები, სომხები, აფხაზები, ოსები, მეგრელები და სხვა), არ ავიწყდება მათი რელიგიის აღნიშვნაც. მას კარგად ესმის, რომ სარწმუნოების ცნება ბევრჯერ იგივეა, რაც ეროვნულობის, ამიტომაც, რომ მიუთითებს გაქართველება-გასომხების, ალბანთა გაქართველებისა და სხვათა შესახებ. კარგად ერკვევა იმაში, თუ რამდენად მყარია ამა თუ იმ ხალხში (აფხაზები, ოსები, თუშები, სვანები, მამისონელები და ა. შ.) გავრცელებული სარწმუნოება. რაინგსი ასახელებს ეპისკოპოსთა რეზიდენციებსა და ღვთისმსახურების წესებსაც.

აღსანიშნავია რაინგსის ცდა, დაადგინოს, თუ რომელი ხალხი, რომელი შტო რა ენაზე ლაპარაკობს, ან ვის ენათესავება ენობრივად. ცხადია, აქ მას ყოველთვის ვერ დაუჯერებთ, მაგრამ თავისთავად მისი მონაცემები საინტერესოა (მაგ., ლაზების, ალანების, მეგრელების, ხევსურების, თუშების, ებრაელების და სხვა).

\* \* \*

საკმაოდ გვხვდება რაინგსთან ხალხის ყოფისა, თუ წესჩვეულებების ამსახველი ცნობები, რაც საინტერესო ეთნოგრაფიული მასალაა. ასეთებია: სანლების ტიპები, სუფრა, ჩაცმა-შეიარაღება, საოჯახო ინვენტარი, მიცვალებულის დამარხვა-დატირება; ასევე ზოგიერთი დღესასწაული, ცრურწმენასთან ან რაიმე კულტთან, ბუნების მოვლენებთან (მაგ. გვალვასთან) დაკავშირებული რიტუალები და სხვა მრავალი.

მართალია, რაინგსი ექიმა და მკურნალობდა კიდევ ავადმყოფებს, მაგრამ გარდა ერთი-ორი მომენტისა, მას არ აქვს ვრცლად აღწერილი საქართველოში გავრცელებული ავადმყოფობები და მათი სამკურნალო საშუალებები.<sup>57</sup>

ძალზე გაკვირვებით ეხება რაინგსი სწავლა-განათლების საქმესაც. აქ ის დასძენს, რომ ქვეყანა პატარა ბავშვივითაა (განვითარების თვალსაზრისით — გ. გ.) და ყოველთვის ხარბად ეწაფება ახალს და მალეც ითვისებს, თუკი სათანადო პირობები შეექმნება.

\* \* \*

განსაკუთრებით დიდი ადგილი რაინგსის ცნობებში უკავია ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერას. ესაა სამფლობელოები და მათი საზღვრები,

<sup>57</sup> ამ ხარვეზს ერთგვარად აესებენ გიორგი ბატონიშვილის წერილები რაინგსისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H - 609, ფურც. 120-126). იხ. ქვემოთ, გვ. 292-299

სახანოები თუ ქალაქები, სოფლები თუ ეკლესია-მონასტრები, კლდეში ნაკვეთი სადგომები, თუ გამოქვაბულები; მდინარეები, ხიდები, მთები, ხეები, გზები, საბადოები, ტყეები, ნიადაგები. ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც კი მას მოგზაურობისას ხვდება, ან მოშორებით ხედავს, ანდა ეუბნებიან. მაგრამ ეს არაა პუნქტებისა და მათი სახელების მხოლოდ მშრალი ჩამოთვლა. იგი ცდილობს ყველგან მოგვეცეს მათი დახასიათება, მოკლე ისტორია, ან სახელთა წარმომავლობა (იხ. მცხეთა, ბიჭვინთა, ფოთი, ქუთაისი, შორაპანი, რიონი, ბაღდადი, გორი, რუხი, ალბანია, ალაზანი, იორი, აჭარა, ვარდციხე, როსტომის ხიდი, დარიალი, ოგინი, უდაბნო, უფლისციხე და მრავალი, რომელთა ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა). ამასთან, ის არ ივიწყებს ამა თუ იმ პუნქტის თუ სამფლობელოს მოსახლეობის რაოდენობის დასახელებასაც.

უნდა შევნიშნოთ, რომ ყველაზე მეტი შეცდომა-დამახინჯება მაინც გეოგრაფიულ სახელებსა და პუნქტებზე მოდის: არეულია სამფლობელოთა კუთვნილება ამა თუ იმ მხარისადმი, სოფელთა თუ ქალაქთა კუთვნილება ამა თუ იმ სამფლობელოსადმი. ასევე დამახინჯებულია ბევრი სახელწოდება. ეს ადვილი ასახსნელია. ქართული თანხმობების გერმანულად გადმოცემა არაა ადვილი ჯერ თვით რაინეგსისათვის (თუკი ის სხვისი პირით ისმენდა) და მით უმეტეს რაინეგსის შავი ჩანაწერების გამომცემელთათვის. ამიტომაც, რომ გერმანულ ტექსტში სახელები ხანდახან გვხვდება ორგვარი წაკითხვით, ხშირად იხმარება ნაწილაკი „ან“. ჩვენ ამ შეცდომებს ზოგჯერ პირდაპირ ვასწორებთ, ზოგჯერ კი ფრჩხილებში ვუთითებთ ტოლობის ნიშნით.

რაინეგსი, რომელიც რამდენიმე წელი იმყოფებოდა საქართველოში, თავისი მოგზაურობისას კარგად ხედავდა, თუ სოფლის მეურნეობის რა დარგები იყო გავრცელებული ამა თუ იმ მხარეში, თუ ძირითადად რა საქმიანობას მისდევდა სხვადასხვა სამფლობელოთა მოსახლეობა. მოგზაური ვრცლად ეხება მევენახეობას, მებაღეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას. აღწერს ტექნიკური კულტურების მოყვანას, როცა ლაპარაკობს მეაბრეშუმეობასა და მებამბეობის შესახებ. რაინეგსი ასახელებს მარცვლეულის სახეებს, ხეხილს, თაფლს, ვაზს, საძოვრებს. ამასთან დაკავშირებით არ ავიწყდება ჩაურთოს ცნობები პურის ცხობის, ღვინის დაყენების, წისქვილების, ყველის დამზადების, ხორცის დამარილების შესახებ. ერთი რამ, რასაც რაინეგსი გარკვევით

უსვამს ხაზს, არის ის, რომ ხალხი სათანადოდ არ იყენებს ბუნებრივ სიმდიდრეს — ნიადაგის ნაყოფიერებას და სხვა; კმაყოფილდებიან რა მცირედით, არ ამუშავენ მიწას საკმარისად, რაც შესაძლებელს გახდიდა ქვეყანა მდიდარი და აყვავებული ყოფილიყო.

რაინეგსი ზედავს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები და წვრილხელოსნური ნაწარმი არის ვაჭრობის ძირითადი საგანი (ღვინო, იარაღი, აბრეშუმი, კანაფი, მარილი, გოგირდი და სხვა). იგი ასახელებს ღუქებსა და საბაზრო ადგილებს. აღწერს ნავსადგურებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სავაჭროდ, რომ არაფერი ვთქვათ გზებზე. მოგზაური მოუთითებს საბაჟო გადასახადებზე და დეტალურად, ძალზე საინტერესოდ აღწერს ტვირთზიდვას საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალ გზაზე, რასაც ჩვეულებრივ ოსები ეწვეიან, აგრეთვე ამასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და საფასურს.

საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა რაინეგსის ცნობებში ქვეყნის მინერალოგოურ დაზვერვას. საგანგებო თავი აქვს მიძღვნილი საქართველოს ბუდობების კვლევას — იქნება ეს სპილენძის, ვერცხლის, თუ რკინის საბადოები, ქვანახშირისა თუ ტყვიის ბუდობები — აფხაზეთში, იმერეთში, რაჭაში, ქართლში, სომხეთში და ა. შ. არ რჩება უყურადღებოდ გოგირდოვანი და სხვა სამკურნალო წყლები, ნავთობის წყაროები, მარმარილოს, ცარცისა თუ ქვასატეხები. საუბრობს შაბის, ბორაქსის, რკინის დამუშავებაზე. მიუთითებს სამეფოს შემოსავალზე ამ საბადოთაგან (ახტალა და სხვა). რაინეგსი კარგად ზედავს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს ამ თვალსაზრისით. ამავე დროს არ ავიწყდება აღნიშნოს ქვეყნის ჩამორჩენილობა მეტალურგიის განვითარების (საღნობი ქარხნები, ტექნოლოგია, მადანთა დამუშავება) თვალსაზრისით და თავის თავს წარმოაჩენს თუჯის ჩამოსხმის, რკინის ღნობის, ღუმელების მოწყობის, ქვემეხთა დამზადების, ასევე თოფისწამლის წისქვილების აგების ინიციატორად, რისთვისაც მას ერეკლეს წყალობაც კი დაუმსახურებია:<sup>58</sup> ერეკლეს მისი სახელი მარმარილოს ფილაზე სპარსულად ოქროს ასოებით ამოუყვანია და სარეწის შესავალში ჩაუდგამს; ასევე საეკლესიო და სამეფო წიგნებშიც შეუტანია უკვდავსაყოფად (იხ. ბიოგრაფიული ნარკვევი).

<sup>58</sup> ამის შესახებ იხ. ქვემოთ დავით ბატონიშვილის წერილი.

რადგან რაინეგსის საქმიანობას, მის ინიციატივას შეეხებო, აქვე აღვნიშნავთ, რომ იგი თავის თავს თვლის ვენეციიდან თბილისში სტამბის მოწყობილობის გამომწერად და გამმართავად.<sup>59</sup> გესურს შევნიშნოთ, რომ XVIII საუკუნის 80-იან წლებში საჭირო გამხდარა სტამბის გადახალისება. ერეკლემ დაიწყო ისეთი სპეციალისტების ძებნა, რომლებიც თავს იღებდნენ სტამბის მოწყობილობის მოტანას უცხოეთიდან. ერეკლესთან გამოცხადდა ვინმე ბერძენი მელიტონი და მოახსენა, რომ „დიდსა პოლისსა შინა“ შეიძლებოდა ყოველივეს შოვნა. ერეკლემ მიავლინა ის კონსტანტინოპოლში, სადაც იშოვა სასტამბო მოწყობილობა და სათანადო ხელოსნებიც დაითანხმა თბილისში სამუშაოდ ჩამოსვლაზე. ასე რომ, 1782 წელს თბილისში სტამბა საფუძვლიანად იქნა განახლებულ-შეკეთებული.<sup>60</sup>

\* \* \*

რაინეგსი ეხება ქვეყნის სოციალურ ვითარებას. გვაცნობს სხვადასხვა საზოგადოებრივ-სოციალურ ფენებს — გლეხებს, აზნაურებს, თავადებს. გვესაუბრება მათ ურთიერთობაზე. რაინეგსის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია ის მომენტი, თუ როგორ უჭირს გლეხს (განსაკუთრებით იმერეთის სურათზე), გადაუხადოს ბატონს შეწერილი გადასახადი, რომელსაც ეს უკანასკნელი ძალით ართმევს. სწორედ ბატონების ეს გაუმაძღრობა და მათი სიმკაცრე მიაჩნია რაინეგსს იმის მიზეზად, რომ გლეხი ეძებს უკაცურ ადგილს, არ სურს მოიყვანოს ბევრი მოსავალი, რომ არ გახდეს ბატონის მსხვერპლი. რაინეგსის მიერ განმარტებული გლეხის ფსიქიკა ასეთია — თუ არ მაქვს, ვერც წამართმევენ. ამით ხსნის ის ქართველი მშრომელის „გაზარდაცებას“ და „უღარდელობას“.

სოციალურ უბედურებად მიაჩნია რაინეგსს ასევე ტყვეთა სყიდვა, რომელსაც სოლომონმა მოუღო ბოლო იმერეთში.

რაინეგსი კარგად ამჩნევს, რომ ქართველი მშრომელისა და საერთოდ სიბერძნის წყარო არა მართო ადგილობრივი ბატონებია, არამედ ის ყაჩაღური თავდასხმები, რასაც გამუდმებით ეწეოდნენ ლეკები, თურქები. აღნიშნავს, რომ თუმცა ერეკლეს ლეკები ახლა თავის სამსახურშიც კი ჰყავს, მაგრამ ამით დიდ შვებას ვერ ნახულობს. ლეკებთან დაკავში-

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> შ. მესხია, დ. გერიტიშვილი, მ. ღუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია, თბ. 1958.

რებით რაინგსი გვაწვდის ცნობას მათსა და კახელებს შორის ტყვე-  
თა გამოსყიდვის თაობაზე შეთანხმების შესახებ.

საკმაო ყურადღებას აქცევს რაინგსი ქვეყნის პოლიტიკურ  
ცხოვრებას. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ის დაახლოებული იყო  
სამეფო კართან, მმართველ წრებთან და ყოველივე, რაც კი სამეფოში  
ხდებოდა, ცხადია, მის თვალსა და ყურს არ გამოორჩებოდა. მით  
უმეტეს, რომ მეფე მას ხანდახან ეთათბირობდა კიდევ. ამიტომაცაა,  
რომ კარგად იცის იმერეთის მეფისა, თუ სამეგრელოს მთავრის, აფხა-  
ზეთის მთავრისა, თუ ახალციხის ფაშას, გურიელისა თუ სვანეთის  
ბატონის, ქართლის მეფისა თუ უფლისწულების ურთიერთობანი  
როგორც ერთმანეთთან, ისე სპარსეთთან, თურქეთთან და სხვა. რაინგსმა  
იცის ქურუკ-კაინარჯის ზავი, აფხაზთა აჯანყება თურქთა წინააღმდეგ,  
შერვაშიძეთა ურთიერთობა თურქებთან, ათაბაგების დამოკიდებულება  
ერეკლესთან, ერეკლეს მონაწილეობა ნადირ-შაჰის ბრძოლებში, კაცია  
დადიანის მდგომარეობა, სოლომონისა და ქაიხოსრო აბაშიძის  
ურთიერთობანი და ა. შ.

როგორც ცნობილია, ყაბარდოელთა გადმოსახლების საქმის ჩაშლის  
შემდეგ 1778 წელს, ერეკლემ სცადა 80-იანი წლების დასაწყისში  
ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება. მას  
რეგულარული ჯარის მოსაწყობად სურდა ფულადი სესხი. ამიტომ  
მან თბილისში მცხოვრები კათოლიკე მისიონერების – დომინიკესა  
(1781) და მავროსის (1782. 18 X) ხელით სპეციალური სიგელები  
გაგზავნა ავსტრიის იმპერატორთან და ვენეციის რესპუბლიკაში. ჩვენ  
ამ ელჩობის შედეგებს არ ვეხებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ერეკლემ  
ეს გადაწყვეტილება მიიღო რაინგსის რჩევით, სანამ ეს უკანასკნელი  
რუსეთში წავიდოდა.

გვსურს აღვნიშნოთ, რომ, როცა რაინგსი პოლიტიკურ მოღვაწეებს  
ასახელებს, განსაკუთრებული პატივისცემა იგრძნობა ერეკლეს, გიორგი  
ბატონიშვილის, სომეხთა პატრიარქისა და სტამბოლელი ახმედ ეფენდის  
მიმართ.

\* \* \*

მრავალგვარია ის წყაროები, რომლებსაც რაინგსი იყენებდა საქარ-  
თველოს აღწერისას. უპირველესად ესაა საკუთარი თვალით ნანახი.  
ამ რიგს მიეკუთვნება გეოგრაფიული აღწერილობა, მინერალოგიური  
კვლევა, ფლორა-ფაუნის შესწავლა, ქალაქებისა და სოფლების გარეგანი



სახე, მოსახლეობის გარეგნობა, ყოფის დამახასიათებელი ნიშნები, სოფლის მეურნეობის აღწერა, სავაჭრო დაწესებულებები, სარეწები და სხვა მრავალი.

მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვა პირთა მიერ მიწოდებული ცნობები, როგორც მაგალითად: მმართველთა ნათესაობაკავშირები, საზავო ხელშეკრულებები (რუსეთ-თურქეთის, სოლომონ-თურქების, კახეთ-ლექების) და სხვ. მისთვის ამ ცნობათა მიმწოდებელი არიან ისეთი სანდო პირები, როგორცაა ერეკლე II, სოლომონ I, გიორგი ბატონიშვილი, ქეთევან ბატონიშვილი, ღვინთი (სვანების მმართველი), სომხების პატრიარქი, იბრაჰიმ-ხანი, ქართველი ელჩი სტამბოლში, ახმედ ეფენდი და სხვ. ამათან (ვეჯულისხმობთ ქართველებს — გ. გ.) ურთიერთობაში რაინგსი თავდაპირველად, ალბათ, თურქულ ენას იყენებდა, ხოლო შემდეგ, როგორც თვითონ ამბობს, „ქართულად დაიწყო აზროვნება“.

წყაროების მესამე ჯგუფად გამოვიყოფდით გადმოცემებსა და ლექსებს, ასევე ისტორიულ ფაქტებს, რომლებითაც ის ავსებს თვალთნანახსა და სხვათა მიერ ნაამბობს. აქ დავასახელებდით გადმოცემას გერგეტზე, მიწისძვრაზე და სხვა.

ცალკე დავასახელებდით ნამდვილ ისტორიულ წყაროებს, კერძოდ, ძველი ბერძენი თუ სომეხი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების, ქართული ქრონიკების მონაცემებს. ასეთებად ის ხშირად მიუთითებს სტრაბონს, პლინიუსს, მოსე ხორენელს. საინტერესოა, რომ რაინგსი ცდილობს ამ ისტორიკოსთა ცნობები შეასწოროს, ან დაუკავშიროს თანამედროვეს, ბრმად არ სურს ენდოს მათ. თუმცა ყოველთვის ზუსტად ვერ აღგენს სინამდვილეს. ეს „კვლევა“ ძირითადად ეხება მდინარეთა, ქალაქთა, ტომთა სახელებს. ცდილობს თითოეულს თავისი ისტორიული საფუძველი და წარმომავლობა მოუძებნოს. ამ რიგისაა: ჰარმოზიკე, სევსამორა, ალაძონი, ალბანუსი, ფთეროფაგები, არაგუსი, ძონები, ლაძები, სანები, მცხეთა, ხევსური, თუში და სხვა მრავალი. რაინგსის ასეთი ცოდნა არცაა გასაკვირი. როდესაც ის აღმოსავლეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა, საგანგებოდ ეცნობოდა იმ ქვეყნების ისტორიას, ყოფას და სხვა, სადაც შეიძლება მოხვედრილიყო. ქართველ ელჩთან გაცნობისა და მის მიერ საქართველოში მოწვევის შემდეგ კიდევ ოთხი იმყოფებოდა მცირე აზიაში. ცხადია, ეს ექვსი თვე მან უქმად არ გაატარა. ახმედ

უენდის დახმარებით ის ბევრს შეისწავლიდა საქართველოს შესახებ. შეიძლება უკვე ცოტა ქართულიც კი ესმოდა, როცა აქ ჩამოვიდა.

თუ რამ ჩამოიყვანა რაინგსი საქართველოში, ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ ნაწილობრივ მისი ბიოგრაფის სიტყვითაც – უცხო ქვეყნის ნახვის სურვილმა, ახლის ძიება-შესწავლის წყურვილმა და გამდიდრება-განდიდების იმედმა. რაც შეეხება მის წასვლას რუსეთში, ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს: ან უკმაყოფილება რაიმეთი (იხ. ბიოგრაფიული ნარკვევი), ან კონფლიქტი ერეკლესთან – გამოწვეული რაინგსისავე შეუფერებელი მოქმედებით, ან რუსეთის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმება. ყოველ შემთხვევაში, პირადად არაფერს გარკვეულს არ ამბობს. ჩვენ, როგორც ამას ზემოთ აღვნიშნავთ მისი ბიოგრაფიის ზოგადი მიმოხილვისას, მიგვაჩნია, რომ ერეკლესაგან გათამამებულმა რაინგსმა თავისი თავი ჩათვალა დიდი საქმეებისათვის საჭირო პიროვნებად და პოლიტიკურ სარბიელზე თავის გამოჩენა მოისურვა. აქ კი ზოგიერთი მისი მოქმედება ერეკლეს პოლიტიკის საზიანო გამოდგა, რამაც უთანხმოება გამოიწვია მათ შორის. როცა რაინგსმა გაიგო რუსეთის გეგმების შესახებ კავკასიის მიმართ, მონდომა იქ ეცადა ბედი, რასაც ერთხანს საკმაოდ კარგად გაართვა თავი და ბევრიც იაქტიურა, თუმცა საბოლოოდ ჩამოაშორეს კავკასიის საქმეებს.

ჩვენ მანც საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ერეკლეს რაინგსისათვის, რა თქმა უნდა, ექნებოდა მონაყოლი რუსული რაზმების საქართველოში ყოფნის შესახებ 1769-1771 წლებში (აკი რაინგსმა იცის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შედეგები). ამასთან, ერეკლე, უმჯველია, გაანდობდა თავის სურვილს რუსეთთან (ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან) დაახლოების შესახებ, დახმარების თხოვნის შესახებ. ვფიქრობთ, რაინგსი ერეკლეს თანხმობითაც კი (შეიძლება დავალებითაც) წავიდა რუსეთისაკენ. იქნებ ერეკლესთან თავდაპირველი უთანხმოება ერთგვარი ნიღაბიც იყო რაინგსისათვის თავის შემდგომ საქმიანობაში. იქნებ მაჰმადიანური სამყაროსაგან სურდა მეფეს თავისი განაზრახვის დამალვა?! უკვე რუსეთში რაინგსმა თავისი თავი დიდი პოლიტიკური საქმეების მომგვარებლად ჩათვალა და ენერგიულად მოჰკიდა მას ხელი, თუმცა საჯაროდ არაფერს აცხადებდა გარკვეულ

დრომდე. მისი ბიოგრაფი გერსტენბერგი ხომ ამბობს, რომ არასდროს სიტყვას არ ძრავდა თავისი დავალებების შესახებო. ცხადია, ერეკლესა და, მით უმეტეს, გრ. პოტიომკინის დანაბარებს არ გაახმაურებდა. რაინვესი რომ საიდუმლოდ ინახავდა პოლიტიკური სახის დავალებებს, ჩანს იქიდანაც, რომ, როცა გრ. პოტიომკინმა თურქეთთან საქმის მოსაგვარებლად წაიყვანა 1789 წელს, ამის შესახებ არასოდეს არავისთან ულაპარაკია. ყოველივე ამის დამადასტურებელია პ. პოტიომკინისადმი გაგზავნილი ფრანგული წერილი (თარგმანი ზემოთ მოვიტანეთ – გ. გ.), რომელშიც სხვა მრავალთან ერთად თავისი „ჩამოსვლის ორაზროვან მიზეზებზე“ საუბრობს.

როგორც ღავენახეთ, მრავალფეროვანია და ძალზე საინტერესო რაინვესის მიერ დატოვებული ცნობები და მასალები საქართველოს შესახებ. მაგრამ, როცა მის ნაშრომს ვიყენებთ, საჭიროა დიდი სიფრთხილე. ავტორის, ასე ვთქვათ, ავანტიურისტული ბუნება, მისი მიდრეკილება რაღაც დამალოს, რაღაც არ თქვას, ასევე მისი თვისება – ყოველთვის პირველ პლანზე წარმოაჩინოს თავისი პიროვნება და არ მოუთითოს თანამედროვე წყაროების შესახებ, გვაიძულებს ზოგიერთ რამეს ეჭვით შევხედოთ. ნათქვამის ნათელსაყოფად დავით ბატონიშვილის (ერეკლეს შვილის გიორგის ვაჟი) წერილიც კმარა, მიწერილი მუსინ-პუშკინისადმი 1800 წლის 24 ოქტომბერს. მუსინ-პუშკინმა<sup>61</sup> სთხოვა დავით ბატონიშვილს, მოეთხრო მისთვის საქართველოში რაინვესის ყოფნის შესახებ, რაც მან კიდევ შეასრულა.

მსჯელობას რაინვესისა და მისი ცნობების შესახებ ვერ ჩავთვლით სრულყოფილად, თუ არ მოვიშველიებთ დავით ბატონიშვილის აზრს რაინვესისი შესახებ.

---

<sup>61</sup> აპოლოს აპოლოსის ძე მუსინ-პუშკინი იყო ცნობილი მეცნიერი, მინერალოგი. მან რაინვესი გაიტყნო, ალბათ, პეტერბურგში მისი მეორედ ჩასვლის შემდეგ. პაველე I-ის ნებართვით ის 1799 წ. საქართველოში ჩამოვიდა. პეტერბურგში დაბრუნებულმა წარადგინა ვრცელი მოხსენება: საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ შეფე გიორგის დროს. 1802 წ. ის კვლავ საქართველოშია მინერალოგიური კვლევისათვის. დავით ბატონიშვილს ის ჯერ კიდევ პეტერბურგში გაეცნო 1797 წელს. შემდეგ კი საქართველოში დაუახლოვდა. დავით ბატონიშვილის ეს წერილი მან წაიკითხა აკადემიის კონფერენციაზე 1802 წლის 12 მარტს (იხ. ასევე მ. ა. პოლივექტოვი, XIII-XVIII სს. ევროპული მოგზაურები კავკასიაში, თბ. 1935).

14-17 წლისა იყო დავით ბატონიშვილი, როცა რაინგსს გაეცნო როგორც თავისი სახლის ხშირ სტუმარს. დავით ბატონიშვილის ეს ცნობები დაცულია სწორედ ზემოხსენებულ წერილში მუსინ-პუშკინისადმი რუსულ ენაზე. იგი 1951 წელს გამოაქვეყნა ი. ენიკოლოფოვმა (იხ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 29, გვ. 289-294. ბატონიშვილი დავითი რაინგსის შესახებ). მოვიყვანთ ამ წერილის თარგმანს, რათა მკითხველმა ჩვენთან ერთად განსაჯოს და ზოგი დასკვნა გააკეთოს რაინგსის შესახებ. ეს წერილი ბევრ კითხვაზე სცემს პასუხს, გარკვეულ ნათელს ჰყენს რაინგსის ბიოგრაფიის ზოგ მომენტს, მის ურთიერთობას თავის თანამზავურ კოპარისთან, დამოკიდებულებას ალქიმიასთან, საქმიანობას, პირად თვისებებს.

ახლა კი თვით წერილს მოვუსმინოთ:

.....პიროვნება იყო ღირსსახსოვარი და განათლებული, მაგრამ ჰქონდა ფიცხი ხასიათი.

როდესაც პაპაჩემმა, მეფე ერეკლემ იმედი დაკარგა რუსეთის მფარველობისა, გადწყვიტა თურქეთის სულთნისათვის მიემართა, რისთვისაც 1778 წელს კონსტანტინოპოლში ელჩობა გააგზავნა. მას მეთაურობდა მეფის მდივანი მირზა გურგენი,<sup>62</sup> რომელიც კონსტანტინოპოლში გაეცნო დოქტორ რაინგსს. მირზა გურგენმა დაინახა მისი განსწავლულობა და დაითანხმა საქართველოში ჩამოსვლაზე; ორმხრივი შეთანხმებით ისინი ერთად გამოემართნენ კონსტანტინოპოლიდან ქალაქ თოხათამდე, მაგრამ შემდეგ რაინგსი რაღაც საქმეების გამო ისევ უკან გაბრუნდა და აღუთქვა ჩვენს ელჩს რომ 6 თვეში აუცილებლად ჩამოვიდოდა საქართველოში, რაც პატიოსნად შეასრულა. 6 თვის გასვლის შემდეგ ის ჩავიდა ყარსში და ეს შეატყობინა მეფე ერეკლეს. მეფემ მაშინვე გაგზავნა ყარსში თავისი კაცი,<sup>63</sup> საიდანაც ის შემდგომ ტფილისში ჩამოიყვანეს. მეფემ ის დიდი სიყვარულით მიიღო, ასევე ყველა ქართველმა შეიყვარა და პატივი სცა ჩვეულებისამებრ, რადგან ქართველს უყვარს მცოდნე და მეცნიერი კაცი.

მისი ჩამოსვლიდან 2 თვის შემდეგ ძალზე ავად გახდა მამაჩემი, ამჟამად ცოცხალი და მბრძანებელი მეფე გიორგი. რაინგსმა ის მთლიანად განკურნა, რითაც დიდად გაითქვა სახელი, ხოლო მეფე ერეკლესაგან საჩუქრად მიიღო ძვირფასი მოწყობილობა და სპარსული ყაიდის კაბა, რასაც აქ ხალათს უწოდებენ. მამაჩემის მორჩენის შემდეგ, ის გახდა ჩვენი სახლის უდიდესი მეგობარი, ყოველთვის თავისუფლად შემოდოდა ჩვენთან და მეგობრულად გვესაუბრებოდა. ერთ დღესაც მოვიდა ნითელი ლენტით გულზე

<sup>62</sup> მირზა გურგენ ენკოლოფაშვილი, იხ. ზემოთ, გვ. 9

<sup>63</sup> სტეფანე პოლოსაშვილი, იხ. ზემოთ, გვ. 10

დაკიდებული მარია ტერეზიას<sup>64</sup> სურათით. ჩვენ დიდი გაკვირვებით ვათვალიერებდით სურათს. მან გვითხრა: არ გაგვიკვირდება, რომ ვიყო უგვარო კაცის შვილი, ხოლო შემდეგ თქვა — მე ვარ ვაჟი ერთი საქსონელი ნარჩინებულის და ჩემი ღირსებისათვის დამაჯილდოვა იმპერატორმა ამ სურათით. როდესაც მეფემ რაინეგის კეთილისმსურველთაგან შეიტყო, რომ ის იყო დიდებულის შვილი და ღირსი პატივისა, მეგობრების მცდელობითა და თხოვნით უწყალობა რაინეგს 50 კომლი გლეხი ბოლნისის მხარეში. რაინეგსმა ამ წყალობისა და პატივის სანაცვლოდ აღუთქვა ბევრი სასარგებლო რამის ჩვენება; რამდენიმე ხნის მერე თვითონ ნაეიდა ერევანში, იქ არარატის მიდამოებში მოიძია კერმეს-ჩერევეცი,<sup>65</sup> ჩამოიტანა და მეფეს გადასცა, რითაც მადლობა დაიმსახურა.

ქართველთაგან მასზე არაეინ იტყვის ცუდს, რადგან მან ყველაფერი იცოდა, იყო გონიერი და ყველას უყვარდა.

მე ვნახე მისი ნაშრომი, რომელშიც ის თავის ზოგიერთ საქმიანობას აგვინერს. ის ამბობს, რომ თითქოს მან აქ ააგო მადანსადნობი სახლი. მართალია, მან მოახერხა ისე, რომ წყლის საშუალებით ბორბლებს მოძრაობაში მოჰყავდათ საბერეველი და ადამიანის ხელი საჭირო აღარ იყო. მაგრამ, მიუხედავად მისი საქმით გათვითცნობიერებისა გადადნობის ამ საქმეში, ლუმელების სრულყოფა ვერ შესძლო. ბერძენმა ოსტატებმა, რომლებიც ყოველთვის შეშობენ ჩვენს ქარხნებში, საქმით დაამტკიცეს, რომ მას არ შეეძლო კარგად დნობა.

იგი წერს ასევე, რომ თითქოს აქ ააგო საზარბაზნე ეზო და ასწავლა ქვემეხებისათვის ფერის მიცემა. ამისათვის მეფეს თითქოს ის დაუჯილდოებია იმით, რომ მისი სახელისა და საქმეების სახსოვრად მარმარილოს დაფაზე სპარსულად ოქროს ასოებით ამოაკვეთინა რაინეგის სახელი და ეს დაფა საზარბაზნე ეზოს კარებში ჩაასმევინა. ეს არაა სამართლიანი, რადგან ჯერ კიდევ რაინეგის ჩამოსვლამდე ერთი ჩვენი თავადი ანდრონიკოვი, რომელმაც მოსკოვში ისწავლა საარტილერიო საქმე, აქ იმყოფებოდა და რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა ჩვენი არტილერია, რომელიც ადრე სპარსულის მსგავსი იყო. ხოლო, რაც შეეხება მარმარილოს დაფას, უნდა ვთქვათ, რომ არა მარტო ჩვენთან, არამედ თითქმის მთელს აზიაში ძეგლების ასეთი დამზადება არ იციან.

იგი ამბობს, თითქოს აქ ააგო თოფისნამლის ნისქეილი. ეს იყო მხოლოდ სანაყის მოდელი, რომელთა შესახებ ჩვენ, მისი სიტყვით, წარმოდგენა არ გვქონდა.

ზონენფელზის შესახებ ვიტყვი, რომ დღემდე მისი სახელისა თუ საპოლიციო დებულებების შესახებ არასდროს არაფერი გაგვიგია, ხოლო რაინეგისათვის არასოდეს უბრძანებიათ ან დაუვალებიათ რაიმე საპოლიციო საქმე, რადგან ქართველები ძველთაგან უცხოელს საპოლიციო თანამდებობებს არც ანდობდნენ და არც აძლევდნენ.

<sup>64</sup> აესტრიის იმპერატორი.

<sup>65</sup> ესა შწერი, გავრცელებული ძირითადად არარატთან. გამხმარი სახით იძლევა საღებავ მასალას, რითაც ამზადებენ „კარმინს“.

რაინეგეს ასევე არავითარი სტამბა არ შემოუტანია. ჯერ კიდევ სანამ რაინეგესი დაიბადებოდა, საქართველოში იყო სტამბა და იბეჭდებოდა წიგნები.

მართალია, ამ ადამიანს ყოველთვის ყველა პატივს სცემდა, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ მეფესა და რაინეგესს შორის უთანხმოება და შუღლი (უნდობლობა) ჩამოყარდა.

როდესაც რაინეგესი აქ ჩამოვიდა, ჩამოიყვანა ერთი კაცი ევროპიდან. მას აქ ჩვეულებრივ გრაფს ეძახდნენ; რაინეგესი მას სახლიდან გარეთ არ უშვებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გრაფი ავად გახდა და აღსარებისათვის მოიხმო პატრი. მაშინ ჩვენთან იმყოფებოდა პალერმოელი პატრი ანდრეი, რომელიც მეფე ერეკლეს ძალზე უყვარდა და წყალობდა განათლების გამო. გრაფმა აღსარებისას პატრს უთხრა თავისი სახელი და გვარი, ასევე მთელი თავისი ისტორია და მდგომარეობა. როცა გრაფი მოკვდა, პატრმა ის დაასაფლავა. რაც ანდერძით გრაფმა პატრს დაუტოვა, რაინეგესმა არ მისცა, რის გამოც მათ შორის უთანხმოება და შუღლი წარმოიშვა. პატრი მივიდა მეფესთან და უთხრა, რომ რაინეგესმა მის ქვეყანაში ჩასულ გრაფს აწყენინა, რომ არ მიუშვა ის მეფესთან და ხელთ იგდო მთელი მისი ქონება, ხოლო როცა გრაფმა გადანყვიტა მეფისათვის შეეჩივლა რაინეგესის შესახებ, მაშინვე ავად გახდა და მალე მოკვდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბუნებრივად არ გარდაცვლილა. ასეთი იყო პატრის საჩივარი. მართალია, რაინეგესის ასეთი საქციელი მეფეს შესძაგდა, მაგრამ, როგორც უცხოელი, არ დასაჯა.

1780 წელს ტფილისში სპარსეთიდან მოვიდა ერთი კაცი, რომელიც თავს ნადირ-შაჰის შვილად<sup>66</sup> აცხადებდა. სინამდვილეში ის იყო ვილაც ისპაჰანელი. მეფემ ის გულითადად და პატივით მიიღო. მან მეფეს უთხრა, რომ იცოდა ალქიმი. როგორც კი რაინეგესმა ამას ყური მოჰკრა, გაეცნო და დაუშეგობრდა მას.

ზაფხულის ერთ დღეს, როცა მეფე იმყოფებოდა თავის საზაფხულო ბანაკში კოჯორში, ხოლო მამაჩემი ტაბახმელაში, მეფემ მოისურვა გამოეცადა ეს სპარსელი მის ხელობაში. სპარსელს შეეშინდა ყალთაბანდობის გამჟღავნების, ამიტომ დაიწყო დროსტარება, სმა და მხიარულება, როგორც გედმა სიკვდილის წინ. ამ სპარსმა რაინეგესი გაგზავნა მამაჩემთან, რომ ის (გიორგი - გ. გ.) მომზადებულიყო სპარსელის სტუმრობისათვის. რაინეგესი სპარსელისგან შეზარხოშებული მართო გაემართა მამაჩემთან ბანაკში; მას აერია გზა. წინ შემოყრილი ხალხი ლეკებად მიიჩნია, დაერია და ერთერთი დაჭრა. ხმლის ქნევისას თავის ცხენსაც კისერში

<sup>66</sup> ერეკლემ ეს პიროვნება მიიღო ნადირის შვილიშვილად. ნესრ-ულლა-შირზად. 1780 წ. 15 მარტს სპარსეთსა და საქართველოში მანიფესტი გამოაქვეყნა სპარსეთის ტახტზე ამ შემკვიდრის უფლებების შესახებ. მას სურდა იბრაჰიმ ყარაბაღელთან ერთად მისი ძალით გამეფება სპარსეთში. მალე შეიტყო ამ პიროვნების სიყალბე და აღარ აქცევდა ყურადღებას. იმავე წლის აგვისტოში ის გარდაიცვალა.

რამდენიმე ადგილას ჭრილობა მიაყენა. ასეთ მდგომარეობაში ჩამოვიდა კოჯორში, სადაც იმყოფებოდნენ მეფე ერეკლე და მამაჩემი და მეფეს მოახსენა ლეკების თავდასხმის შესახებ. მეფემ მყისვე გაგზავნა ხალხი ამბის გასაგებად. უკან დაბრუნებულმა მეფეს მოახსენეს, რომ ესენი ლეკები არ ყოფილან. ამ ცნობამ რაინეგსზე შეხედულება ნაუხდინა.

უკან დაბრუნებულმა რაინეგსმა თქვა: არ დაივიწყოთ ჩემი სიტყვები ფრანგებს სურთ დიდი საქმის გაკეთება... ახლა, როცა ვხედავ საფრანგეთის რევოლუციას, ვფიქრობ, ამაზე ხომ არ ამბობდა მაშინ ის. თუმცა ჩვენ ბევრს ვეკითხებოდით, თუ რას აპირებენ ფრანგები, მან არაფერი გვიპასუხა. როცა მამაჩემმა დაინახა, რომ მეფის საყვედურმა რაინეგსი დაალონა, ის თავის ბანაკში წაიყვანა. მეორე დღეს ცნობა მოუვიდა, რომ სპარსი შახ ზადე<sup>67</sup> ავად გახდა; მეფე წერდა რაინეგსს წასულიყო შახ ზადესთან.

სპარსელმა წარმოიდგინა, რომ მას გასინჯავენ. სირცხვილის დასაფარავად მიიღო ოპიუმი. რაინეგსი მივიდა მასთან, დაინახა რომ კედებოდა და გაბრუნდა უკან მამაჩემთან. გზაში მეფე შემოხვდა, რომელმაც მოჰკითხა შახ ზადეს შესახებ. როცა გაიოვა, რომ ის კედებოდა, მეფეს ძალზე არ ესიამოვნა და სთხოვა რაინეგსს წაჰყოლოდა შახ ზადესთან. რაინეგსმა უარი უთხრა. გაბრაზებულმა მეფემ რაინეგსს ჯოხი ჰკრა (ალბათ, მათრახის ტარი - გ. გ.). რაინეგსის მტრებმა მოახსენეს მეფეს, რომ რამდენიმე დღეა, რაც ის შახ ზადეს წამლებს აძლევდა, რაც ალბათ წამლავდა მასო. რაინეგსმა თავის გასამართლებლად დარჩენილი წამალი აიღო და მეფეს თვალწინ, მისი აკრძალვის მიუხედავად დალია.

ეს უსიამოვნება იყო პირველი მიზეზი, რამაც მას რუსეთში წასვლა ასურებინა.

შემდეგ რაინეგსი ავად გახდა და ძალზე უნუგემოდ გრძნობდა თავს. მან დაიბარა სომეხი არქიელი და, როგორც აქ ამბობენ, გახდა სომეხი. ეს იმიტომ გააკეთა, რომ, როგორც თვით აღიარა, სურდა უფრო პატივით და დიდი ამბით დამარხულიყო სომხური წესით. როცა მორჩა (განიკურნა), კვლავ უარყო სომხობა, რის გამოც მას დაუწყეს გაკილვა. ეს იყო რუსეთში წასვლის მეორე მიზეზი.

ჩემო ხელმწიფეო, თქვენ რომ ადრე გებრძანებინათ მასზე რამის დანერა, მე სიამოვნებით მოგართმევდით ვრცელ ცნობებს.

რაც შეეხება მის წასვლას რუსეთში და ისევ უკან დაბრუნებას, ზოგიერთ საქმეებში მის ჩარევას და სხვა გარემოებებს, ვიმედოვნებ, თქვენ უკეთესად მოგეხსენებათ ამის შესახებ.

თქვენი უმორჩილესი მსახური, ქართველი ბატონიშვილი დავითი  
24 ოქტომბერი, 1800 წ. ტფილისი.

<sup>67</sup> შახ ზადე - უფლისწული.

როგორც წერილიდან ჩანს, რაინეგსი ზოგ რამეს მართლა აზვიადებდა და თხზავდა კიდევ, მაგრამ ბევრიც რომ სინამდვილეს შეეფერება, საკმაოდ ნათელია. სხვა თუ არაფერი, ორი წლის მანძილზე ერეკლეს, სამეფო ოჯახისა და ხალხის მხრიდან ასეთი პატივი, წყალობა და სიყვარული რაინეგსის გვარიან დამსახურებაზე და მის კარგ თვისებებზეც მეტყველებს. ერთი კი ცხადია, რომ ერეკლე დიდი სიხარულით შეხვდებოდა რაინეგსს, რადგან მას ასეთი განსწავლული პიროვნებები ძალზე ესაჭიროებოდა (გაეიხსენოთ თუნდაც ერეკლეს კარზე რამდენიმე წლით ადრე ნამყოფი გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი).

\* \* \*

გვსურს გაკვრით შევხვთ რაინეგსის მოღვაწეობის ერთ მხარესაც. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, იგი მსახიობობდა გრაფ კოპარის თეატრში. ამდენად, მისთვის უცხო არ იყო ხელოვნების ეს სახე. მართალია, უშუალო მითითება არ მოიპოვება მისი ცხოვრების ამსახველ ცნობებში, მაგრამ, ვფიქრობთ, უდავო უნდა იყოს მისი თანამონაწილეობა ქართული თეატრალური დასის შექმნაში ერეკლეს კარზე. ამ საკითხის შესწავლა თეატრის ისტორიის მკვლევართა საქმეა, თუმცა საკვებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ქართული თეატრის დაარსების დროდ 1780 წლის ახლო ხანები მივიჩნით.

\* \* \*

ერთ მომენტზე მოკლედ შეეჩერდეთ. რაინეგსი თავის ცნობებში ეხება ვინმე საქონელი სამთო საქმის სპეციალისტის დოერიანგის მოკვლას მისივე მეგობრის მიერ, რამაც ხელი შეუშალა საბადოთა შემდგომ დაბუშავენას. გერსტენბერგს (რაინეგსის ბიოგრაფს) ეს გვარი შეთხზულად მიაჩნია და მასში რაინეგსს ხედავს. ჩვენც ვიზიარებთ ამ აზრს, მხოლოდ დავუმატებთ, რომ რაინეგსს ალბათ, ერეკლემ აუკრძალა შემდგომი მუშაობა, რაც რაინეგსმა თავის შეურაცხყოფად მიიღო; როგორც თავმოყვარემ და პატიემოყვარემ საქმე ჩამკვდარად, ხოლო თავი დასამარებულად გამოაცხადა და საკუთარი პიროვნება დამალა. ეს ცნობა ხომ არ გამოსჭვივის დაეით ბატონიშვილთან, როცა ის ბერძენ ოსტატებზე ლაპარაკობს? ესეც ხომ არ იყო ერთი მიზეზი მეფესთან უთანხმოებისა?

\* \* \*

გვსურს კიდევ ერთი განმარტება:

როგორც მკითხველმა იცის, ჩვენ გამოცემას დართული აქვს რაინეგსის ბიოგრაფიის გერსტენბერგისეული ნარკვევი. უნდა აღვნიშნოთ,



რომ აქედან ყველაფერი არ გვითარგმნია. ზოგიერთი ადგილები ჩავთვალეთ ზედმეტად, ისტორიული (სამეცნიერო) თვალსაზრისით უინტერესოდ და გამოვტოვეთ. ასეთად მიგვაჩნია შემდეგი: გრაფ კოპარის გაუთავებელი ჭირვეულობა, მისი ფუქსავატური ცხოვრების მომენტები, კოპარის შეხლა-შემოხლა გემის კაპიტანთან, ეკიპაჟთან – რაც რაინეგსის გარეშე ხდებოდა. გამოვტოვეთ არაფრისმთქმელი დიალოგები. როდესაც მოგვყავს რაინეგსის წერილები დედისა და დისადმი, გვერდი ავუარეთ გრძნობების გადაშლას და საალერსო გამოთქმებს მათდამი და ა. შ.

კიდევ ვიმეორებთ, რომ ეს შეიძლება რაინეგსის ზოგიერთ პირად თვისებას ცოტა მეტად წარმოაჩინდა, მაგრამ მის პიროვნებას, თუ მის მიერ მოცემულ ცნობებს არაფერს მნიშვნელოვანს არ მატებს და არ აქვთ არავითარი ისტორიული ღირებულება.

დანარჩენი ყოველივე, თვით გერსტენბერგის კომენტარები, ამა თუ იმ ცნობის თუ თარიღის ჭეშმარიტების დადგენა ხელუხლებლად დავტოვეთ, ისევე როგორც ყველა დეტალი, რაც პირადად რაინეგსის საქმიანობას ეხება.

როცა რაინეგსზე ვსაუბრობთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ჰქონდა მას გარკვეული უცნაურობანი, მაგრამ ეს მის პიროვნებას ჩრდილს არ უნდა აყენებდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამი წლის მანძილზე ერეკლე არ გააჩერებდა თავისთან ფუქსავატ გაიძვერა ავანტიურისტს. ვინ იკისრა უდიდესი მისია რუსეთთან ქართლ-კახეთის სამეფოს დაახლოებისა, რუსეთის მფარველობის ქვეშ ქართლ-კახეთის სამეფოს შეყვანისა? ვინ შეუწყო ხელი ერეკლეს ჩანაფიქრსა და გეგმების განხორციელებას? ვის დააკისრა რუსეთის მთავრობამ შუამავლობა დიდი პოლიტიკური აქტის მომზადების საქმეში? ეს იყო რაინეგსი – ენერგიული, საღი აზროვნების პიროვნება, ყველაზე კარგად ჩახედულ-გათვითცნობიერებული საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის მდგომარეობაში.

სამწუხაროდ, „ტრაქტატის“ მომზადების შემდეგ, რაინეგსმა ერთი ხელის მოსმით მოინდომა მთელი ამიერკავკასიის საქმეების მოგვარება, რაც იმ დროს რუსეთის მთავრობას არ ჰქონდა მიზნად და ერეკლესაც ერთგვარად ხელი ეშლებოდა. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც იგი კავკასიის საქმეებს ჩამოაცილეს. (თუმცა შემდეგაც რჩებოდა ის რუსეთის მთავრობასთან ერთგვარ დამაკავშირებელ ხილად, მოუხედავად ქართველი ელჩის არსებობისა პეტერბურგში).

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ რაინგესს უნდა შევხედოთ განსხვავებული თვალთ, ვიდრე ეს მის შესახებ, რატომღაც, დღემდე არსებობს ისტორიულ ლიტერატურაში. მასში არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ ავანტიურისტი, ფანტაზიორი, ჯაშუში და სხვა. მისი საქმიანობა სწორედ საწინააღმდეგოს გვაძცნობს. რა უფლება გვაქვს ის ჩვენს მტრად შევრაცხოთ, როცა თვით ქართველები ერეკლე მეფით სათავეში თავის მეგობრად თვლიან?!

რაინგესსა და ერეკლეს შორის რომ ურთიერთობა ბოლომდე არ გაუფუჭებულა, ამის დასტურია თვით ერეკლესა და მისი შვილების წერილები რაინგესისადმი. რაინგესის საქართველოდან წასვლის შემდეგაც მეფე და ბატონიშვილები დიდი პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებენ მას, უწოდებენ თავის კეთილ, მწყალობელ, სასურველ, „უსაკუთრეს“ მეგობარს. რისი მაჩვენებელია ერეკლეს სიტყვები: „...თქვენი ოთხი წიგნი მოგვივიდა... ვსცანით, რომ ჩვენი სიყვარული გაგყოლიათ...“ (1783 წ. 12 აპრილის წერილი); ანდა ვახტანგ ერეკლეს ძის ბოდიშები, რომ მიიღო მისი „წიგნი“ და ვერ გააცილა წასვლის წინ თავისი მწყალობელი მეგობარი (1783 წ. 27 აპრილის წერილი). იგივე ითქმის მირიან ერეკლეს ძის წერილზეც (1788 წლის 17 ივნისის), რომელშიც უწოდებს „ფრიად მეგობარს“ და სთხოვს, არ დაივიწყოს. გიორგი ერეკლეს ძის წერილები ზომ გაუთავებელი თხოვნაა მეგობრისა და მკურნალისადმი (1783-1792 წლების). ჩამოთვლილი წერილები არაა მხოლოდ საქმიანი; საკმაოდ ბევრი მათგანი უბრალოდ მოსაკითხია, თხოვნაა, რომ ერთურთი არ დაივიწყონ. თვით დავით ბატონიშვილიც კი (რომელიც მოგვიანებით ზედმეტად აკრიტიკებს რაინგესს), თავის სურათს უგზავნის მას და სანაცვლოს სთხოვს, რომ ამ გზით შეიძლოს მასთან სიახლოვე (1792 წ. 4 XII-ის წერილი. ხელნაწერთა ინსტ. ფ. H - 609, ფურც. 117).

დაბოლოს, რადგან ჩვენს გამოცემას ვერ ვურთავთ რაინგესისეულ რუკას, არ იქნება ურიგო, თუ გერსტენბერგის წინასიტყვაობიდან მის შესახებ მოვიყვანთ შესაბამისი ნაწილის თარგმანს, რაც ნათლად წარმოაჩენს ამ რუკის შედგენის ისტორიას, მის ბედს.

„...როდესაც რაინგესმა გადაწყვიტა, რომ თავისი მოგზაურობის ხელნაწერი თავად პოტიომკინისათვის მიერთმია, დახატული რუკით ის მივიდა იმ დროისათვის ს.-პეტერბურგში ამ საქმის სახელგანთქმულ

მცოდნესთან ბ-ნ ინჟინერ-მაიორთან, ამჟამად პოლკოვნიკ-ლეიტენანტ ფონ ტორზონთან (Thorszon) და სთხოვა პოტიომკინისათვის რუკის ასლი გადაეღო. რაინეგს ეს რუკა თავისი ხელით მრავალ ადგილას შეესწორებინა (ძალზე ადვილი გასარჩევი იყო რაინეგსისა და პირველი მხატვრის ხელი): ბევრი დასახელებული ადგილის სახელი დაიტანა ზედ, სხვადასხვა მდინარეთა მიმართულება მთლად ახლებურად უჩვენა, ხოლო მთები სხვა ადგილებზე გადაიტანა. ამრიგად, პოტიომკინისათვის ტორზონს შესწორებული რუკიდან გააკეთებინა ასლი, რომელიც რაინეგსის მიერ მირთმეულ ხელნაწერთან ერთად დაიკარგა; დედანი-ნახატი რაინეგსისეული შესწორებებით საბედნიეროდ დარჩა ბ-ნ ფონ ტორზონთან, რომელმაც დიდად დაგვაავალა – ცოტა ხნის შემდეგ ზუსტი ასლი გადმოგვცა.

მაგრამ არ ვიცი, ეს რუკა არის თუ არა რაინეგსის მონახაზის მიხედვით არქიტექტორ ალექსანდრე დიგბის მიერ ასტრახანში შესრულებული, როგორც ამას ბ-ნი შრომდერი ამტკიცებს პირველი ნაწილის შესავალში XI გვერდზე...

ჩვენ ვთხოვეთ ბ-ნ ნაბჰოლცს ამ რუკის გრავიურა, რომ თვით მხატვარს ადგილზე უკეთესად და უშეცდომოდ შეესრულებინა. მაგრამ ბ-ნმა ნაბჰოლცმა (რომელსაც ადრე მსგავსი სამუშაო საქებურად გაუკეთებია და ჩვენგან ძვირი საფასურიც მოუთხოვია) თავისი პატივისთვის იმდენად უსარგებლოდ ჩათვალა, რომ საგრავიურო ნემსით სამუშაოს დიდი ნაწილი ჩვენთან შეუთანხმებლად სხვა, ნაკლებად გაწვრთნილ რუს გრავიორს გადააბარა, რომელმაც ცუდად, მაგრამ იაფად შეასრულა საქმე. ამიტომაც, რომ მაღალ და დაბალ მთებს შორის ნაკლებად შეიმჩნევა სხვაობა, ხოლო გრავიურას მშვენიერ ნახატთან ასე მცირე მსგავსება აქვს.

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ მდინარეთა, ხალხთა და დასახლებულ პუნქტთა სახელები რუკაზე სავსებით განსხვავდება რაინეგსის წიგნში მოცემულ სახელებისაგან. ადვილი იყო რუკის ამ განსხვავებათა გასწორება წიგნის მიხედვით, ანდა პირიქით; მაგრამ, მაშინ ეს აღარ იქნებოდა რაინეგსის მიერ დატოვებული ნახატი. სადი განსჯის შედეგად ჩვენ უმჯობესად ჩავთვალეთ, ისეთი სახით მიგვეწოდებინა წიგნი და რუკა საზოგადოებისთვის, როგორც ჩვენ მივიღეთ. მკითხველისათვის არ იქნება ძნელი, რომ ეს განსხვავებანი

ერთიანობაში გაიაზროს. ამას გარდა ამ სხვაობას შეუძლია მკითხველი დააყენოს კვალზე, თუ რომელი რუკა დაუდო საფუძვლად რაინეგსმა თავისას“.

ჩვენ არ შევუდგებით რუკის დეტალურ განხილვას და სავსებით ვეთანხმებით გერსტენბერგს, რომ რუკა მრავალ უზუსტობას შეიცავს. მისი დედნის მიკვლევაც მომავლის საქმეა, მაგრამ ვთვლით, რომ რუკა იმ სახით, როგორც ის გამოცემას ერთვის, მკვლევართა გარკვეულ ინტერესს გამოიწვევდა.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულიდან და ბიოგრაფიული მონაცემებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ რაინეგსი იყო ძალზე განათლებული, ნიჭიერი პიროვნება. ამიტომაც, რომ მისი ცნობები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება. რა თქმა უნდა, ცნობებიც და მკითხველიც მოიგებდნენ, რაინეგსს რომ დასცლოდა და დაეტოვებინა სრული, დახვეწილი ნაშრომი.

მართალია, რაინეგსის წიგნის გამოსვლამდე უკვე არსებობდა ი. ა. გოულდენშტენდის ფუნდამენტური შრომა კავკასიის შესახებ (რასაც რაინეგსი ალბათ, გაეცნო და მის ფონზე იქნებ, დროებით თავიც შეიკავა საკუთარის გამოცემისაგან), მაგრამ რაინეგსი მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და კავკასიათმცოდნეობისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ყურადსაღებ წყაროს წარმოადგენს.

**ი. ღ. ბერსტენბერგი**

**რუსეთის იმპერიის კოლეგიის მრჩეველის  
ღ-რ იაკობ რაინებსის  
ბიოგრაფიული ნარკვევი**

**შეშოკლებათა განმარტება:**

**გ.** = გერსტენბერგი

**რ.** = რაინუესი

**შ.** = შრედერი

**გ. გ.** = გია გელაშვილი

რაინეგსი ეკუთვნის იმ ღირსშესანიშნავ მოგზაურთა რიცხვს, რომლებიც ცნობილი გახდნენ დიდი, სახიფათო მოგზაურობით, საკვირველი თავგადასავლებით, თავიანთი სახელი უკვდავყვეს მამაცობითა და შეუპოვრობით, ყოველივე შეძლეს თავისი შინაგანი ძალების რწმენით, ან იმედით. უმჯობესი იქნებოდა, რომ მას თავისი ხელით დაენერა საკუთარი სრულყოფილი, სარწმუნო ბიოგრაფია. მე არ ვიცი, რაინეგსმა ოდესმე თუ აღწერა თავისი საკუთარი ცხოვრება. ეჭვს იმის საფუძველზე გამოეთქვამ, რომ ჯერაც მის დანატოვარში არავითარი კვალი არ გამოჩენილა, მიუხედავად ჩემი მრავალგზისი მცდელობისა, აღმომეჩინა რაიმე მსგავსი... თავის ნამდვილ სახელსა და დაბადების ადგილს უერთგულეს მეგობრებსაც კი ყოველთვის მცდარად ეუბნებოდა. ასე მაგალითად, თუ კი დავეთანხმებით ბარონ კ. ფონ მ.რ-ის წერილს მისი ცხოვრების შესახებ, გაგზავნილ ვენიდან შემნიცის სამთო აკადემიისადმი უნგრეთში და მოთავსებულს 1797 წლის „საყოველთაო ლიტერატურული მოამბის“ № 44-ში, რაინეგსი თავის თავს თვლიდა ავსტრიელად და გარეგნულად იცავდა კათოლიკური ეკლესიის წესებს. ალბათ რაინეგსმა მართლაც მიიღო კათოლიკობა პოლიტიკური მოსაზრებით, თორემ როგორც უცხოელსა და პროტესტანტს სხვანაირად მრავალი დაბრკოლება შეხვდებოდა და გაუჭირდებოდა ლუკმა-პურის შოვნა იმპერატორ მარია ტერეზიას დროს; ასე კი დიდხანს მშვიდად ვერ გაჩერდებოდა ავსტრიულ სამფლობელოში. რუსეთში საერთოდ და კერძოდ სტ.-პეტერბურგში ყველამ იცოდა, რომ ის დაბადებული იყო ჰანოვერში. 1790 წელს თავის დაბადების ადგილად მეც ცვლე დამისახელა და მარწმუნებდა, რომ მისი დედა ჯერაც იქ ცხოვრობდა. მაგრამ არა მარტო სტ.-პეტერბურგში მიაჩნდათ მისი დაბადების ადგილად ცვლე. მისი გერმანელი მეგობრებიც, განსაკუთრებით ზოგიერთი მეცნიერი გიოტინგენიდან, რომლებთანაც მას პირადი მიმონერა ჰქონდა, ამავე აზრისანი იყვნენ და მას თავის თანამემამულედ სთვლიდნენ.

რაინეგსის გაცნობის პირველსავე წუთიდან, რაც 1790 წლის ბოლოს მოხდა, დაშინტერესა მისმა ცხოვრებამ. ამ დროიდან მოყოლებული მის შესახებ ბევრი ვეძიე, მაგრამ ყველაფერი, რისი გაგებაც შეეძლო, ერთმანეთთან ისეთ დიდ წინააღმდეგობაში იყო და ისე ცოტა ჰქონდათ ერთმანეთთან საერთო, რომ ბოლოს ყოველი იმედი გადამინწყდა, შემეკრიბა რაიმე შთამომავლობისთვის გადაცემის ღირსი. საძებარი საკმაოდ ბევრი იყო, ხოლო მისი

სიყმანვილის ხანის შესახებ არავინ მცირედიც კი არ იცოდა. მხოლოდ მისი „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერის“ პირველი ნაწილის გამოქვეყნებამ შემთხვევით მიმიკვლია მე ზოგიერთი მანამდე უცნობი წყარო. მისმა ჯერ კიდევ ცოცხალმა ნათესავებმა მომმართეს სხვადასხვა კითხვებით და მომანოდეს მისი ბავშვობის დროის ცნობები, მისი ორიგინალური წერილებიც, რომლებმაც ზოგი რამ განმიმარტეს მისი წარმომავლობისა და ახალგაზრდობის წლების შესახებ. ამავე ხანებში ვენაში, „საყოველთაო ლიტერატურული მოამბის“ 44-ე ნომერში გამოქვეყნდა ბარონ კარლ ფონ მ...რ-ის მნიშვნელოვანი წერილები, რომლებიც ავსებენ მისი ცხოვრების უცნობ მონაკვეთებს, კერძოდ, რაინეგსის ყოფნას უნგრეთში. აის-ლებენიდან, მისი სამშობლო ქალაქიდან, ბ-ნ 3-ს დაუზარელი, შრომატევადი გამოკვლევების წყალობით მივიღე ზოგიერთი ცნობა რაინეგსის ოჯახისა და ცხოვრების ადრეული პერიოდის შესახებ, ხოლო ამავე დროს სტ.-პეტერბურგიდან მომივიდა არც თუ უმნიშვნელო წერილები (სტატიები), უმთავრესად ასლი მისი მოგზაურობის ისტორიისა გრაფ კოპარისთან ერთად უნგრეთიდან ტფილისამდე, რომელიც რაინეგსმა თვითონ შეადგინა 1780 წლის 26 აპრილს ტფილისში და ხელნაწერი თავის უერთგულეს მეგობარს სტ.-პეტერბურგში გამოატანა, რათა გადაეზავნოდა სამეფო საზოგადოებას გიოტინგენში. არ სტოვებს არავითარ ეჭვს, რომ ბევრ მის უწინდელ მეგობარსა და კორესპონდენტს, განსაკუთრებით ზოგ გიოტინგენელ სწავლულს ხელთ უნდა ჰქონდეს ჩემთვის უცნობი მნიშვნელოვანი ცნობები მისი ცხოვრების შესახებ. უთუოდ იბადება კითხვა, ნუთუ რაინეგსმა, თომლის მთელი ცხოვრება ასე რომანტიული იყო, არ მოისურვა თავისი მეგობრებისათვის შეუფერადებელი სიმართლე ეთქვა. სხვათაირად არ შეიძლება დაეუშვათ; მას ისინი ყოველთვის საქმის კურსში ეყოლებოდა, რაც რუსეთში მიღებული თანამდებობის გამო უსარგებლო არ იქნებოდა.

რაინეგსს რომ თავის შესახებ დაეტოვებინა იმის აღწერა, რაც გადახდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ კი ეს შევსებულყო შემთხვევით გამოვლენილი მონაცემებით, მაშინ ნინამდებარე ბიოგრაფიული მონაბაზი უდავოდ უფრო საინტერესო გახდებოდა, მაგრამ ჩემს მრავალგზის თხოვნას „საყოველთაო სალიტერატურო“ და „საიმპერიო მოამბეში“, ისევე როგორც ბატონ კ. ფონ მ...რ-ს დაბეჯითებით თხოვნას ვენაში ძალზე მცირე ყურადღება მიაქცია: ჯერჯერობით უმნიშვნელო წერილებიც კი მეტი აღარ მიმიღია. ამასობაში გამოქვეყნდა „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერის“ მეორე ნაწილი და რადგან დაუჯერებელია, რომ მისი ცხოვრების შესახები მასალები იმდენი იყოს, რომ ერთი ცალკე ტომი შეავსოს, ამიტომ მე აქ ვიძლევი ყოველივეს, რაც ამჟამად ხელთ მაქვს. იქნებ ამ ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნების შემდეგ რაინეგსის ზოგმა მეგობარმა და ნაცნობმა თავი მოვალედ ჩათვალოს და გამაცნოს მისი წერილები, რათა „კავკასიის აღწერის“ მეორე გამოცემისას გამოვიყენო ისინი.



ასეთ ვითარებაში ბედნიერი ვიქნებოდი რაინეგის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან (მხედველობაში მაქვს მისი კავკასიური მოგზაურობა) კიდევ ზოგი ფრაგმენტი რომ მიმიღო, რისი იმედიც უკვე მაქვს. ამას კი გამოვიყენებდი მისი აღწერილობის სხვადასხვა ხარვეზების შესავსებად. რაინეგის სრულყოფილი, 5-6 მერვედ ნიგნად შეკრული და დასაბეჭდად მთლიანად გამართული „აღწერა“ (რომელიც მიუგნებლად ალბათ ძვეს გარდაცვლილ თავად პოტიომკინის არქივში) რომ ოდესმე ხელთ ვიგდო, ამის იმედი მცირედ, ან სავსებით არ ჩანს.

პილდესპაიში, 1797 წლის სექტემბერი

ი. დ. გერსტენბერგი

დრ. იაკობ რაინეგსი, თავისი წარმოშობით უფრო ნაკლებ ცნობილი, ვიდრე აღმოსავლური ცხრაწლიანი მოგზაურობითა და შემდგომი გავლენით და მოქმედების სფეროთი რუსეთში, არც ავსტრიის მონარქიის ფარგლებში დაბადებულა, როგორც ამას მისი ცხოვრების აღმწერი გვაცნობს „საერთო ლიტ. მოამბის“ 1797 წლის 44-ე ნომერში, არც ჰანოვერის ქალაქ ცელეში, როგორც ამას ამჟამადაც საყოველთაოდ ფიქრობენ რუსეთსა და მეტწილად გერმანიაში მყოფი მისი მეგობრები, რომლებიც ხელმძღვანელობენ რაინეგისავე მცდარი ჩვენებით. რაინეგსს ალბათ განსაკუთრებული მოსაზრება ჰქონდა, როცა თავის მეგობრებს ატყუებდა. მისი ცხოვრების მანძილზე არ მოიძებნება კვალი, რომ მას ოდესმე თავისი ოდისევსისეური მოგზაურობის დროს იმ ქვეყნებში, რომლებშიც მან სამშობლოდან უკანასკნელი წასვლის შემდეგ იხეტიალა (გამოვრიცხავთ ზოგიერთ წერილს თავის ნათესაუებისადმი), თავისი დაბადების ნამდვილი ადგილი დაესახელებინოს, ხოლო აღმოსავლეთიდან მისი დაბრუნების შემდეგ და რუსეთში ყოფნის დროს თავისი სახელის შეცვლა მეგობრებისათვის ეთქვას. წინამდებარე ბიოგრაფიული ნარკვევის შემდგომი თხრობა შეეცდება გამოავლინოს, თუ რატომ ჰქონდა მას თავისი დაბადების ადგილი და ნამდვილი გვარი ასე საიდუმლოებით მოცული...

რაინეგსის დაბადების ნამდვილი ადგილი არის აისლენი საქსონიაში, მანსფელდის საგრაფოში, რომელიც საკმაოდ ცნობილია მისი მკვიდრის – რეფორმატორ დრ. მარტინ ლუთერის წყალობით. ლუთერის შემდგომ, ამ ადგილს ძნელად შეუძლია თავისი შვილების დასახელება, რომლებიც ისე ცნობილი გამხდარიყვნენ, როგორც ჩვენი ფსევდო-რაინეგსია. ბაზრის უბანში მდებარე წმ. ანდრეას ეკლესიის

წიგნის მიხედვით, ის სისუსტის გამო მოსალოდნელი სიკვდილიდს შიშით, მოუნათლავთ დაბადებისთანავე, 1744 წლის 28 ნოემბერს ქრისტიან რუდოლფ ელიზის სახელით. მამამისი, ასევე ქრისტიანი რუდოლფ ელიზი, იყო ადგილობრივი მოქალაქე და დალაქი, ზოლო დელამისი ანა ელისაბედი, დაბადებით შტოკინი, ერფურტის ქვრივი. ზემოთქმულიდან გამომდინარე 27 ან 28 ნოემბერი უნდა იყოს ნამდვილად მისი დაბადების დღე.

მისი ყრმობის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია... მამამისი იყო უკიდურესად უზნეო ადამიანი. მან ერთი წვრილი ვაჭრის ქალი შეაქცინა აისლენში, რის გამოც იქიდან გააძევეს და თავის ოჯახთან ერთად არტერნში გადავიდა; ესაა პატარა კურსაქსონური სასაზღვრო ქალაქი უნშტრუტთან. მის წინააღმდეგ წარმოებულ პროცესზე ჩამოართვეს საკმაოდ დიდი ქონება და ბაზართან მდებარე მისი კუთვნილი სახლი. რაინეგის დედა, რომელიც 1792 წელს გარდაიცვალა, როგორც ამბობენ, ყოფილა ჯუჯღუნა, ავი ქალი... სანამ ის ხსენებულ ელიზს გაჰყვებოდა, ქმრად ჰყავდა ქირურგი, გვარად ერფურტი, რომლისგანაც ნაშობი ერთადერთი ქალი ჯერაც ცოცხალია. არტერნში ყოფნის დროსაც ელიზის მამა განაგრძობდა თავის უზნეო ცხოვრებას. ბოლოს მან თავისი ცოლი და ვაჟი მეორედ და სამუდამოდ მიატოვა.

თავისი ბავშვობის უმეტესი წლები ჩვენმა ელიზმა არტერნში გაატარა, დადიოდა ადგილობრივ სკოლაში და ადვილი მისახვედრია, რომ ის იქ დიდ ცოდნას ვერ შეიძენდა. მისი სიყმაწვილის წლები არც ბედითა და არც საუკეთესო სწავლა-აღზრდით არ გამოირჩეოდა; ყოველივეს, რაც მას არგუნა ხვედრმა, მისგან შეეძლო მხოლოდ ჩვეულებრივი საშუალო დონის კაცი გამოეყვანა. ესაა მიზეზი, რომ სიყმაწვილეში არავითარი განსაკუთრებული არ შეუმჩნევათ მასში, გარდა ძლიერი ლტოლვისა საოცრებებისადმი და ადრეული სურვილისა შეესწავლა მსოფლიო და დიდი, მდიდარი, გამოჩენილი კაცი გამხდარიყო.

თოთხმეტი წლისა, ე. ი. 1758 წელს, ის მივიდა თავის დის ქმართან, ქირურგ ც...ოსთან აისლენში და შეისწავლა მისგან ქირურგია და დალაქობა. სწავლის წლებში არაფრით გამოირჩეოდა და არავითარ იმედს არ იძლეოდა, რომ ოდესმე საჭირო და გამოსადეგი კაცი გახდებოდა. ბევრნი, რომლებიც მას ადრევე იცნობდნენ, საკმაოდ გააკვირვებულნი არიან ცნობით, რომ რაინეგსმა ასეთ დიდ, საპატიო სიმაღლეს მიაღწია და მრავალმხრივი დამსახურება მოიპოვა.

სწავლის დასრულების შემდეგ (სწორი იქნება 1762 წელს) ის წავიდა ლაიფციგში. თავდაპირველად უმთავრესად დალაქობით სცადა მოექმენა ბედი, მაგრამ მალე გადაყარა საპარსი, სასაპნე და ღიდი მონდომებითა და გულისყურით დაიწყო მედიცინის შესწავლა; ეს ხდებოდა 1762-1768 წლებს შორის. სახლიდან მცირე დახმარებას იღებდა და იძულებული იყო ძალზე ღარიბულად და გაჭირვებით ეცხოვრა. მიუხედავად ამისა, მან სამედიცინო და განსაკუთრებით ქიმიურ მეცნიერებებში ძალზე სწრაფ და ღიდ წარმატებებს მიაღწია. მისი მთავარი ხელმძღვანელი და მასწავლებელი ლაიფციგში იყო რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი, ცნობილი საუკეთესო ექიმი, პროფესორი დრ. რიუდიგერი, რომლის თანაშემწე და მეგობარიც ის გახდა. რეინეგსი მისგან დავალებული იყო არა მარტო თავისი კარგი სამედიცინო და ქიმიური ცოდნით, არამედ, როგორც ფიქრობენ, ლტოლვეითაც ოქროს დამზადების სურვილის და შეძლებისაკენ. ეს აზრი მასში ისე განმტკიცდა, რომ ის 1790 წელსაც თავის თავს თვლიდა ოქროს კეთების ხელოვნების ჭეშმარიტებაში დარწმუნებულად. მან, როგორც ჩანს, ხეტიალის წლებში მიღებულ და გადაწერილ ხელნაწერებს, როგორც სიბრძნის ქვის დამამზადებელ რეცეპტებს, ისეთი ღიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რომ თავისი დამქანცველი და ხანგრძლივი მოგზაურობისას მუდამ თან უტარებია. მალე მისი სიკვდილის შემდეგ მე ხელში ჩამივარდა (გარდა 1781 წელს საქართველოდან რუსეთში მისი პირველი მოგზაურობის დღიურის ერთი ფრაგმენტისა) მისი ხელით ნაწერი კიდევ სამი ალქიმიური წერილი, რომლებიც ერთ პეტერბურგელ ალქიმის მოყვარულს ღიდი სიამოვნებით გადავეცი, რადგან არ ვიცოდი მათი გამოყენება. მე აგრეთვე კარგად მახსოვს, რომ ორი მათგანი დათარიღებული იყო 1765 და 1767 წლებით. სათაურები იყო გერმანულად, ამასთან, ჩემის აზრით, ზოგიერთი წინადადება არაბულად მოგვიანო ხელით იყო ჩართული, ზოგი სათაურებში, ზოგიც – კონტექსტში. ეს ადასტურებს იმას, რომ მას მოგვიანო წლებშიც სურდა მათი გამოყენება. მესამე ნარკვევი უფრო ახალი, მაგრამ ამასთან მისივე ხელით იყო შესრულებული და, თუ არ ვცდები, შემდეგი სიტყვებიც ეწერა: „არაბულიდან გადმოთარგმნილი 1777“. მისი თანამედროვეები და

უნივერსიტეტის მეგობრები ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ლაიფციგში სწავლობდა, ამბობდნენ, რომ მას კავშირი ჰქონდა ფარულ საზოგადოებასთან, სახელდობრ, ე. წ. როზენკროიციერებსა და გოლდკროიციერებთან. მისმა მუდმივმა საიდუმლოებით აღსავსე საქციელმა, მისმა ურთიერთობამ პიროვნებებთან, რომელთა შესახებ იგივეს ფიქრობენ, აგრეთვე გარკვეული მიმართულებით მისმა ხშირმა მოგზაურობებმა ექვსი, რვა და ათი კვირითაც კი, ყოველივე ამან მიიყვანა მეგობრები ასეთ, არც თუ უსაფუძვლო დასკვნამდე. რაინეგსი იყო საკმაოდ ბეჯითი და მიიღო კარგი პრაქტიკული ცოდნა მედიცინასა და განსაკუთრებით ქიმიასში; მაგრამ მისმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ და ლაიფციგში ჩადენილმა ზოგმა დანაშაულმა, ბოლოს აიძულა ის მიეტოვებინა უნივერსიტეტი და დახმარება დედისათვის ეთხოვა. მატერიალური მდგომარეობა არ უწყობდა მას ხელს, რომ მოეპოვებინა მედიცინის დოქტორის პატივი, ხოლო დედამისს კი არ ჰქონდა საშუალება უზრუნველყო თავისი ვაჟი. 1768 წლის აღდგომას იგი დაბრუნდა სახლში. ასეთ დაბეჭავებულ მდგომარეობაში მყოფი რაინეგსი ერთმა მისმა მეგობარმა თავაზიანად წაიყვანა თავისი მშობლების სახლში, სადაც რვა კვირაზე მეტ ხანს დარჩა. მადლობის ნიშნად რაინეგსმა მისი მეგობრის დედა განკურნა მძიმე ავადმყოფობისგან და, მიუხედავად მაღლიერი მეგობრის დაჟინებისა, უმცირესი საფასურიც კი არ გამოურთმევია, თუმცა მას ფული ძალზე სჭირდებოდა.

რაინეგსმა ფრანგული ენა იმდენად შეისწავლა, რომ თავისუფლად შეეძლო აზრის გადმოცემა ზეპირად და წერილობითაც. ლათინურსაც ისე დაეუფლა, რომ თავის საქმიანობაზე გასაგებად შეეძლო ლაპარაკი, მხოლოდ აკლდა ამ ენაში საჭირო გაწაფვა, რომ შესძლებოდა ყველა საგანზე თავისუფლად და სწრაფად საუბარი. ამას ის ხშირად შესჩიოდა თავის მეგობარს, რადგან თავისივე მტკიცებით, მისმა ფარულმა კავშირებმა [ლათინურის ცოდნა] სავალდებულო გაუხადეს; სწუხდა იმასაც, რომ სიტყვაკაზმულ მეცნიერებებში საერთოდ ნაკლებად იყო გათვითცნობიერებული.

ზემოთ ნახსენები მეგობრის მშობლების სახლში ყოფნისას, ელიზი უცნობ საზოგადოებებს ხშირად წერდა ძალზე საიდუმლო წერილებს ფრანგულ ენაზე და ბეჯითად ეწეოდა მინერალოგიურ კვლევას. ერთხელაც ის აისლებენიდან კვლავ გაქრა; აზრები მისი სწრაფი

გაუჩინარების მიზეზის შესახებ იყოფა: ზოგიერთის აზრით მან დედა იმიტომ მოინახულა, რომ მისგან ფული მიეღო მომავალი მოგზაურობისათვის, რისი საშუალებაც დედამისს არ ჰქონდა... ახალგაზრდა, საიდუმლოებით აღსავსე ავანტურისტი, საცოდავი სახით ხელახლა გამოჩნდა ლაიფციგში. მაგრამ ორიოდე დღე გაჩერდა იქ, ისე რომ არავის უნახავს, გარდა მისი ხსენებული მეგობრისა, რომელმაც მას თავის მამის სახლში, აისლებენში მისცა თავშესაფარი... ელიზი ორდღიანი გაჩერების შემდეგ კვლავ გაუჩინარდა, ისე რომ არ გამოთხოვებია თავის მეგობარს, ოღონდ მალე მისწერა ადგილსამყოფელის მიუთითებლად და მისცა მისამართი მხოლოდ ვენაში საპასუხოდ. ამ წერილში ის კვლავ დაბეჯითებით და ახირებით სთხოვდა, მასთან ერთად მინც ემოგზაურა, რადგან საჭიროებდა მესაიდუმლეს და საიდუმლო პიროვნებას, რომელიც ლათინურად წერდა და ლაპარაკობდა, ასევე სრულყოფილად ხატავდა... დაახლოებით იმავე, 1768 წლის შემოდგომაზე (წმ. მიხეილის დღეს) ახალგაზრდა ელიზი კიდევ ერთხელ გამოჩნდა ლაიფციგში, ამჯერად ძალზე კარგად ჩაცმული, თან ჰქონდა ორი დიდი მძიმე სკივრი, საუკეთესო თეთრეული, გემოვნებით შეკერილი ექვსი ხელი ტანისამოსი, ასევე საკმაო რაოდენობის ფული... სამდღიანი გაჩერების შემდეგ ის კვლავ უეცრად გაჰყვა ფოსტას, ისე რომ არ უთქვამს საით. მხოლოდ თავის მეგობარს სთხოვა, ნოურნბერგში უცნობი მისამართით გადაეგზავნა მისთვის ორივე სკივრი... მეგობარი არაფერს ამბობს ელიზის საკვირველი გარდაქმნის, მისი უეცარი გაქცევისა და შემდგომი სასამართლო დენის შესახებ. ყოველივე გამოცანად რჩება...

ისტორია, რომელსაც ჩვენი ელიზის შესახებ მაშინ ჰყვებოდნენ (მე არ ვიცი, რომელი წყაროდან მოდის ის), მეტად არადამაჯერებელია. ამიტომ მკითხველს არ შევაწუხებ, ვინაიდან უიძისოდაც ჩვენი გმირის მთელი ცხოვრება უმეტესწილად წინააღმდეგობების ჯაჭვს წარმოადგენს. საკმარისია ვთქვათ, რომ ეს ახალგაზრდა, ოცდაოთხი წლის კაცი ამჯერად საბოლოოდ გამოემშვიდობა თავის ოჯახს, სამშობლოს და მასთან ერთად სამუდამოდ გაქრა მისი ნამდვილი გვარიც – ელიზი! არც დედამ და არც მეგობრებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ მის შესახებ. მისი ცხოვრების მონაკვეთი აქედან (1768 წლიდან) 1773 წლის ბოლომდე წარმოადგენს მხოლოდ ნაწყვეტ-

ნაწყვეტ ნარკვევს, მოუხედავად ჩემი ღილი მეცადინეობისა, წარმომედგინა ის სრულად. საბედნიეროდ, ერთი მისი მაშინდელი მეგობრისაგან, ნოქარ რ. ვ. დ-საგან (გ...-ში), მივიღე ზოგი ცნობა ამ ხარვეზის შესავსებად, რასაც მე მკითხველებს აქ გავაცნობ.

ამ ცნობათა მიხედვით, რაინგსი არ წასულა ლაიფციგიდან მხოლოდ ტიროლსა და შტოიერმარკისკენ, არამედ რამდენიმე ხანს გაჩერებულა ვენეციაში, იქაურ გერმანულ სავაჭრო კოლონიაში ექიმად, მაგრამ საკმაო სარჩო ვერ უშოვნია. 1770 წელს ჩავიდა ვენაში და, რადგან იქ თავის რჩენის ვერავითარი საშუალება ვერ იპოვა, იძულებული გახდა ეტებნა შემოსავლის სხვა წყარო, რათა თავი დაედწია დამამცირებელი გაჭირვებისაგან.

ვინმე ბერნარდონი, ანუ ბარონი ფონ კურცი (ადრე სახელგატეხილი) იქამად ოინბაზობდა ვენაში და იქაურ თეატრში დგამდა სასაცლო, ხშირად ძალზე სულელურ ვოდვილებს (ფარსებს). გადაწყვიტეს, რომ ჯამბაზობისა და იმპროვიზაციების მაგიერ თეატრში კარგი, დამუშავებული გერმანული პიესები დაედგათ. გემოვნება დიდხანს ებრძოდა ამ სისულელეს, და ბოლოს მანც გაიმარჯვა. უნგრელი გრაფი ვინმე კოჰარი, რომელსაც ჩემი მკითხველები მალე უფრო ახლოს გაიცნობენ, მაშინ იყო თეატრის დირექტორი და არენდატორი; რაინგსმა იწყო იქ შსახიობობა 600 გულდენად. ასე გაიცნო მან გრაფი კოჰარი, მისი განუყრელი თანმხლები შემდგომი ხეტაილისას. ცხოვრობდა საკმაოდ ბედნიერად, უზრუნველად და მისი სწრაფვა ქალებისა და ალქიმიისადმი აქ სავსებით დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო. იქაურ სასწავლებლებში ესწრებოდა ლექციებს მედიცინაში, კლინიკაში, ბოტანიკასა და ქიმაში; განსაკუთრებით კი ქალაქის ჰოსპიტალში, რომელიც შემდგომში გახდა მისი ბედნიერების ნამდვილი წყარო.

მრავალ ავადმყოფთა შორის, ვინც ყოველდღიურად ჰოსპიტალში დადიოდა, რათა უფასოდ მიეღო წამალი და შემდგომი რჩევა-დარიგება, იყო აგრეთვე ქერივი ქალბატონის ფონ ლიხტენშტაინის მეეტლევც. რომელიც ნატკენ განუკურნებელ ხელს ყოველდღე იქ ახვევინებდა. რაინგსმა, როგორც ქირურგმა, მზრუნველობით მოჰკიდა ხელი ავადმყოფს, განკურნა ის და გასამრჯელო არ გამოართვა. მეეტლე თავის მორჩენილი ხელით ქალბატონთან მივიდა და... მოუყვა, რომ ლუთერანული რელიგიის ერთმა ახალგაზრდა საქსონელმა საფასურის

გამოურთმეველად მოარჩინა. ქალბატონმა რაინეგსი თავისთან მიაყვანინა. რაინეგსმა გულახდილად უთხრა, რომ მის მთელ შემოსავალს თეატრში აღებული ჯამაგირი შეადგენდა და რომ არავითარი ქონება არ გააჩნდა. ქალბატონმა იგი შეიცოდა, რადგან ასეთ ახალგაზრდა კაცს კარგი სახელისათვის მაცდუნებელი შემოსავლის წყარო აერჩია. ქალბატონმა მას შესთავაზა იგივე ჯამაგირი – 600 გულდენის ოდენობით ექვსი წლის მანძილზე, თუკი თეატრს თავს დაანებებდა. რა თქმა უნდა, რაინეგსს ეს არ გაძნელებია, მიატოვა თეატრი, მიიღო ქალბატონისაგან წინასწარ სამი თვის ფული და აგრეთვე დაპირება, რომ ის მას ღოჭტორად აარჩევინებდა, თუკი შემდგომში კარგად მოიქცეოდა და მეტადინეობას ბეჯითად განაგრძობდა. გარდა ამისა, მან მიიღო ზოგი საჩუქარიც და აღუთქვა ქალბატონს, რომ ყოველ კვირას მონახულებდა. ამან მისცა შემდგომში საბაბი ხმის გავრცელების, თითქოს ის ქალბატონის პირადი ექიმო ყოფილიყო.

რაინეგსმა სახელი გაითქვა როგორც სასიამოვნო თანამოსაუბრემ და მალე კარგი ნაცნობობა გაიჩინა, რაც მშვენივრად გამოიყენა. ის უზრუნველად ცხოვრობდა; ქალაქის გარეუბანში ჰქონდა სახლი ბალითურთ. იგი დაჟინებით ეუფლებოდა თავის მეცნიერებებს. აქ მან პირველად დაისახა მიზნად გამგზავრება აღმოსავლეთში, რომელიც იყო წყარო ალქიმიისა და უმშვენიერესი ქალების, რისი თავდადებული მოტრფიალაც იყო. რაინეგსი ხშირად ეუბნებოდა თავის მეგობრებს ვიწრო გულითად წრეში, რომ ისინი ოდესმე ბევრს გაიგებდნენ მის შესახებ. ხოლო თავისი მიზნების უკეთ განსახორციელებლად მან დაიწყო აღმოსავლურ აკადემიაში სიარული, ისწავლა საჭირო ენები, ეცნობოდა მისიონერებს, რომლებიც ან აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსულნი, ან იქით აპირებდნენ წასვლას, ეცნობოდა სომხებს, ბერძნებს, თურქებს და აღმოსავლეთის სხვა ხალხებს, რომლებიც ჩვეულებრივ ვენაში ჩერდებოდნენ. იგი ცდილობდა ესწავლა არა მარტო მათი ქვეყნების წყობა, კანონები, ჩვევები, ვაჭრობა და ენები, არამედ წესი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ევროპელი მოგზაური მათ ქვეყნებში, და სურდა გაეგო, თუ რა შეიძლებოდა შემთხვევოდა მას. იგი ბეჯითად ეცნობოდა მათს ძველს და ახალ ისტორიას, სწავლობდა მინერალოგიას. საბოლოოდ თავისთვის მოიწყო მინერალების კაბინეტი, რათა თვალსაჩინოებით გაეადვილებინა ამ მეცნიერების დაუფლება. ერთი სიტყვით, ახლა ის

სრული სერიოზულობით ემზადებოდა აღმოსავლეთში ოდისეკსისე-ბური ხეტალისათვის.

ამასობაში, 1772 წელს, გრაფმა კოჰარომ დაკარგა ვენაში გერმანულ თეატრში სპექტაკლების დადგმის საშუალება, რადგან მისი ქონება მთლად დაღნა ნაწილობრივ ნოვერეს დიდი ბალეტის, ხოლო ნაწილობრივ ხელგაშლილობის გამო. ამ და კიდევ სხვა, არა მასთან დაკავშირებული მიზეზების გამო იმპერატორმა მარია ტერეზიამ კოჰარის უბრძანა უნგრეთში წასვლა... ალბათ მაშინ უნდა გადაეწყვიტა გრაფს რაინეგსთან ერთად (რომელიც იქაური თეატრიდან წასვლის შემდეგაც ერთგვარ კავშირში დარჩა მასთან) აღმოსავლეთში მოგზაურობა. ამ გადაწყვეტილებას, გარდა გრაფის საბრალო მღვდმარეობისა, რომელშიც ის თავისი ხელგაშლილობის გამო ჩავარდა, საფუძვლად უნდა დასდებოდა მის წარმოდგენაში არსებული ქართული, კავკასიური და სპარსული მშვენიერებანი, აღმოსავლური ყოველი ფურის სიმდიდრესთან ერთად და აგრეთვე იმპერატორის სიმკაცრე მის მიმართ.

ამასობაში რაინეგსი ვენაში რჩებოდა და სულ უფრო მეტად ემზადებოდა მომავალი აღმოსავლური მოგზაურობისათვის. ეს მზადება ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ვენაში ჰქონდა რაინეგსს მტკიცე და შეუცვლელი გადაწყვეტილება აღმოსავლეთში ემოგზაურა, რაც არ უნდა მომხდარიყო.

როგორც ჩვენ ზემოთ უკვე გავიგეთ, რაინეგსი ცხოვრობდა ვენის ერთ-ერთ გარეუბანში, ოდნავ მოშორებულ სახლში, რომელსაც ბალი ეკრა. თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე კვირის განმავლობაში იგი არ მივიდა არც თავის მეგობართან, არც კურსაქსონურ საელჩოში, სადაც ის ოთხშაბათობით და შაბათობით იმყოფებოდა. მეგობარი, რომელსაც გული კარგს არაფერს ეუბნებოდა, ერთ დღილას გაემართა მისი სახლისაკენ და — ჰოი, საკვირველებავ! — რა ნახა: დაფლეთილ ტანისამოსში, მძიმე ჯაჭვებმუხბული და წვერმოშვებული რაინეგსი ბალში მიწას თხრიდა. ბოლოს რაინეგსმა შეამჩნია იგი და დაუძახა. „თქვენ ალბათ ფიქრობთ, მეგობარო, რომ მე ნამდვილად არ ვარ სრულ ჭკუაზე... თქვენ იცით ჩემი გეგმა აღმოსავლეთში მომავალი მოგზაურობის შესახებ; იქ მე შეიძლება გავუბედურდე და მონობაში ჩავვარდე; ეს არის მომზადება მისთვის!“ შემდეგ აჩვენა ქვებით სავსე



საზიდარი კალათი: „ამასაც დღეში რამდენჯერმე ვათრევ ხან ზევით, ხან ქვევით კიბეებზე, მძინავს მიწაზე“... კალათი, რომელშიც სულ ცოტა 2 ცენტნერი ქვები ეწყო, მსუბუქად აიკიდა ზურგზე, გაიარა თავის სახლის ეზოში, სწრაფად ავიდა კიბეებზე; მის ოთახში იატაკზე ეგდო უხეში მატყლის ლეიბი. „მე აქ ოთხი კვირის განმავლობაში მძინავს, თუმცა ამასთან ოთახში კარგი საწოლიც მიდგას; წვერი მოეუშვი, რათა მასაც შეევერიო. შეიძლება არც დამჭირდეს ყოველივე ეს, შეიძლება კიდეც გამომადგეს!“

რვა დღეც არ იყო გასული, რომ ერთ დილას მასთან მივიდა რაინგისი. ახლა ის მორთული იყო და სურნელოვანი საცხებით წასმული. თმა უკანასკნელ მოღაზე ჰქონდა გაკრეჭილი. მოკლედ, როგორც კოპწია ისე შემოვიდა ... „ახლა კემზადები აღმოსავლური ფუფუნებისათვის! ორივეს უნდა შევევრიო, ორივეში მინდა ვარჯიში. დღეს მივემგზავრები ერთ საზოგადოებასთან ერთად ქალაქგარეთ, შემდეგ ბადენში საბანაოდ; ეს კარგი ფუფუნება იქნება!“ ის კვლავ რამდენიმე კვირით წავიდა ვენიდან.

ასე ცვლიდა ერთმანეთს 1773 წლამდე სამედიცინო და სხვა ლექციებზე დასწრება, თურქებთან, ბერძნებთან შეხვედრა, მონასტრებისა და თავის მეგობრის ნახვა. ქალბატონმა ლიხტენშტაინმა მას არა მარტო ფული მისცა დოქტორის ხარისხისათვის, არამედ აგრეთვე დარჩენილი დაპირებული წლების ჯამაგირიც. ამ ფულით რაინგისი წავიდა უნგრეთში, მიიღო ტირნაუში მედიცინის უმაღლესი ხარისხი და ვენაში დაბრუნდა, რათა როგორც ექიმ პრაქტიკოსს აქ თავისი ბედი ენახა.

აქამდე დედამისმა და მისმა მეგობრებმა სამშობლოში არაფერი იცოდნენ მის შესახებ. მხოლოდ 1773 წლის ბოლოს, ხუთი წლის შემდეგ, აისლებენში მოვიდა მთლად უცნობი კაცი, რომელიც თავის თავს აცხადებდა დოქტორ რაინგისის, უწინდელი ელიხის, მსახურად და მის ნათესაეებსა და მეგობრებს შორის დაახლოებით თორმეტი სადოქტორო დისერტაცია დაარია. ამ კაცმა უამბო რაინგისის ოჯახს, რომ მის ბატონს იმპერატორმა მარია ტერეზიამ, დამსახურების გამო, ბარონობა უბოძა და მისივე რეკომენდაციით ტირნაუს უნივერსიტეტში (უნგრეთში) უმაღლესი სამედიცინო პატივი მიიღო; რომ ის ვენაში იმყოფება და ქალბატონი ლიხტენშტაინის პირადი ექიმი და ა.შ.

იმპერატორისადმი მიძღვნილ ამ საღოქტორო დაცვას ჰქონდა შემდეგი სათაური: ტირნაუში ჩატარებული ქიმიური სისტემის ცდების ბუნებრივი და ექსპერიმენტულ-თეორიული ნაწილი, რომელიც წარადგინა ტირნაუს მშობლიურ და ბრწყინვალე უნივერსიტეტში მედიცინის დოქტორის გვორგვიანის მოსაპოვებლად საჯარო პაექრობაზე საქსონელმა იაკობ რაინგსმა 1773 წლის მაისში ტირნაუში, უაგუსტესი რომაელთა დედოფლის მარია ტერეზიას უბრწყინვალესი კურთხევით.

ამ დისერტაციაში ავტორის ცხოვრების შესახებ არავითარი კვალი არ ჩანს; მე ვფიქროვ, რომ რაინგსმა ალბათ თავისი ე. წ. Curriculum Vitae (ბიოგრაფია) ტირნაუს უნივერსიტეტის არქივში დატოვა და ვცდილობდი იქ მიმელო ცნობები; მაგრამ ტირნაუს უნივერსიტეტი უკვე რამდენიმე წელია ჭირის გამო დაკეტილია; ალბათ, როგორც ყველა კათოლიკურ უნივერსიტეტში, აქაც არ იციან პროტესტანტული აკადემიების ჩვეულება – მოსთხოვონ დოქტორანტებს დაცვისას მათი ბიოგრაფია; ამის გამო მოსალოდნელი აღარ იყო იქიდან რაიმე შემდგომი ცნობის მიღება. რაინგსს რომ თავისი ბიოგრაფია უნივერსიტეტში წარედგინა, აქედან მაინც გავიგებდით, შედგენილი იყო ის კეთილსინდისიერად, თუ გამონაგონი ამბებით იყო შემკული.

მისი ვენაში შემდგომი ყოფნისა და იმ მიზეზის შესახებ, რამაც ეს ქალაქი ხელახლა მიატოვებინა, ბარონი კარლ ფონ მ...არი ვენიდან „საყოველთაო სალიტერატურო მოამბის“ ზემოაღნიშნულ 1797 წლის 44-ე ნომერში გვაძლევს ზოგ განმარტებას, რომელსაც მე მისივე სიტყვებით გავიმეორებ:

„რაინგსი რამდენიმე ხანს იყო ვენაში, რათა იქ სამედიცინო პრაქტიკა მიეღო. მაგრამ, რადგანაც ამ დედაქალაქში, სადაც ექიმების ნაკლებობა არ არის, ბევრი ვერაფერი მოიხვეჭა, გაჭირვებამ აიძულა რაც შეიძლება მალე და რა გზითაც არ უნდა ყოფილიყო, ლუკმაპური ეშოვნა; ამიტომ გადაწყვიტა დაეთმო საექიმო მეცნიერება და სხვა ხელობაში ეცადა ბედი. ასე ამნაირად მან მოიფიქრა სამთო საქმე<sup>1</sup> და ზოგიერთი მფარველის დახმარებით შეძლო მიეღო ქვემო-

<sup>1</sup> ცოტა ზემოთ ენახეთ, რომ რაინგსი ჯერ კიდევ ადრე, ვენაში ცდილობდა მიეღო მინერალოგიური ცოდნა, რათა აღმოსავლეთში თავისი ყოფნა გაეადვილებინა ყოველივე შესაძლო საშუალებით. ალბათ ახლა ის ცდილობდა (იმავე აღმოსავლეთში მოგზაურობის მიზეზით) დნობისა და სამთო საქმის

უნგრული სამთო საქმის პრაქტიკანტის ადგილი შემნიცში მცირე წლიური ხელფასით – 100 რტკლრ. ამრიგად დრ. რაინეგსმა მიატოვა ვენა, რადგან მისმა ზოგიერთმა ცოდვამ და არც თუ საკმაოდ სახარბიელო სახელმა კომპლიანტებთან კავშირის გამო, მისი შემდგომი ყოფნა იქ შეუძლებელი გახადა“.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რაინეგსი თავისი ცხოვრების შესახებ უფრო სარწმუნოდ გვეტყოდა, ვიდრე მისი თანამედროვეები; მაგრამ დავინახავთ, რომ რაინეგსის საკუთარი დანატოვარი მრავალ წინააღმდეგობებს შეიცავს. მე ხელთ მაქვს მისი რამდენიმე ორიგინალი – ოჯახისა და მეგობრებისადმი გაგზავნილი წერილები. უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ მკაცრი ისტორიული ჭეშმარიტებისა და მიუკერძოებლობისადმი ჩემი პატივისცემის გამო გავაცნობ მათ ჩემს მკითხველებს. ამასთან არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი მნიშვნელოვან განმარტებებს შეიცავენ მისი ცხოვრების შესახებ; ასევე არ მაქვს ძალა, რომ რაინეგსისა და მისი მეგობრების ნააზრობაში არსებული წინააღმდეგობები ისე გავეართიანო, რომ ყოველგვარი შემდგომი ეჭვები გაუფანტო. ვის შეუძლია უკეთ აგვიხსნას მისი გვარის შეცვლა, ვიდრე თვით რაინეგსს? ვინ მოგვაწვდის უკეთეს ცნობას ვენაში მისი საქმიანობის შესახებ, ვიდრე თვით ის? – მაგრამ წაიკითხავთ მის მიერ გაგზავნილ ქვემოთ წერილს ჯერაც ცოცხალ სამთო კომისარ შმიდტისადმი აისლებენში და ნახავთ განსხვავებას მისი მეგობრების ზემოთ მონაყოლისაგან...

აი ესეც:

შემნიცი, 1773 წლის 24 დეკემბერი.

კეთილშობილო ბატონო,

დიდად პატივცემულო ბატონო სამთო კომისარო ნერილი უნგრეთიდან – უცნობი პირისაგან – თქვენ ეს გაგიკვირდებათ. მაგრამ როგორც კი თქვენ შესძლებთ გაიხსენოთ, რომ მე თქვენ ექვსი წლის წინ..., მუდარით გთხოვეთ დედაჩემის მიღება ნმ. ეკატერინეს ეკლესიაში<sup>2</sup> (თავშესაფარში), თქვენ მაშინვე მოიგონებთ, რომ მე ვიყავი სტუდენტი მედიკოსი და მერქვა ელიზი. მე ეს სახელი გამოვიცვალე ზოგიერთი მოსაზრებით, ნანილობრივ

---

მეცნიერებებში პრაქტიკული ცოდნა მიუღო. ალბათ იმიტომაც, რომ, როგორც ალქიმისკოსი, ქვის დამუშავების მეთოდებზე ცნობების მიღებას იქიდანაც მოელოდა – გ. გ.

<sup>2</sup> საქველმოქმედო დაწესებულება მოხუცი ქალებისათვის აისლებენში; ჩვეულებრივ ეწოდებოდა პოსპიტალი... – გ.

იმის გამო, რომ ამეცდინა ჩემი გეარისადმი გამოტანილი ზეციური სასჯელი და შევიძინე ტიტული ფონ რაინეგსი.

მე ორი წლის მანძილზე მძინეზარე ჭირისას ვიმყოფებოდი ბოჰემიაში, როგორც ექიმი. ჩემი სურვილისამებრ დამნიშნეს, რაც დამეხმარა არა მარტო მიმელო ჩვენი დიდი დედოფლისაგან ნებართვა გაემხდარიყავი დოქტორი (ეს პატივი მანამდე აქაურ მხარეებში არც ერთ პროტესტანტს არ მიუღია), არამედ მან მომცა თავისი სურათიანი ოქროს ჯაჭვის გულსაკიდი და მიბრძანა, მეტარებინა როგორც მცირე საფასური მათი უდიდებულესობის ხსოვნისა... ამჟამად რამდენიმე ხნით მივატოვე მედიცინა, ხელი მიეყავი მეტალურგიულ მეცნიერებებს და მათი ზედმინეებითი შესწავლის მიზნით ავირჩიე ეს უნგრული აკადემია შემნიცში. რვა თვეში წავალ აქედან, მოვიწახულებ უნგრეთის სხვა სამთო ქალაქებს, შემდეგ დავათვალეიერებ ტრანსილვანიაში, მოსაზღვრე ვალახეთში, სერბიაში და მთელ სასაზღვრო მხარეში ყველა მადნებს და ჩავატარებ საბუნებისმეტყველო იშვიათობების გამოკვლევებს, რითიც ეს ქვეყანა სავსეა. უკან გზაზე ბოჰემიას მოვიელი. როცა საიმპერატორო-სამეფოს კუთვნილ ყველა საბადოს — ქვეყნის გარეთ თუ შიგნით მდებარეს (ტიროლისა და შტო-იერმარკისას უკვე ვიცნობ) ენახავ და იქიდან გარკვეულ სარგებელს მივიღებ, მე კვლავ დაეუბრუნდები ჩემს სამშობლოს, თუ ის ჩემში დიდ საჭიროებას დაინახავს. იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ ყოველივე ეს თქვენთვის მეცნობებინა, რადგან ვიცი, რომ თქვენ აზროვნებთ როგორც ხალხის მეგობარი, პატრიოტი და ქრისტიანი. აღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობ, მაქვს უფლება გთხოვოთ თანაგრძნობა არა ჩემთვის, არამედ ერთი პიროვნებისთვის, რომელიც მე ყველაზე უფრო მეტად მიყვარს და ყოველგვარ ბედნიერებაზე, პატივსა და სიამოვნებაზე მალლა ვაყენებ. ეს პიროვნება არის დედაჩემი — ის თავის წერილებში მე მატყობინებს, რომ თქვენგან მუდმივი კეთილგანწყობით სარგებლობდა, რაც ძალზე მახარებს!... რადგან თქვენ ექვსი წლის წინ შეასრულეთ ჩემი თხოვნა და დედაჩემის მიღებას წმ. ეკატერინეს ეკლესიაში (თავშესაფარში) სიყვარულით სავსე გულით დათანხმდით, ამჟამადც დარწმუნებული ვარ, არ განრისხდებით, თუკი გთხოვთ, რომ მას კვლავაც დაეხმაროთ!...

იაკობ რაინეგსი  
ფილოსოფიის და მედიცინის დოქტორი

ამ წერილმა ზოგიერთი განმარტება უნდა მოგვცეს როგორც ავტორის სახელის გამოცვლის თაობაზე, ასევე მის საქმიანობაზე აისლებნიდან წასვლის შემდეგ უნგრეთში, შემნიცში გამოჩენამდე.

როგორი წინააღმდეგობის შემცველიც არ უნდა იყოს იმათთან შედარებით, რასაც მისი მეგობრები გვაწვდიან აქ აღძრული სხვადასხვა საკითხების შესახებ.

რაინეგსმა გამოიცივალა თავისი გვარი ელიზი გარკვეული მოსაზრებით, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ამით მისი გვარისადმი გამოტანილი ზეციური სასჯელი აეცდინა და შეიძინა ტიტული ფონ რაინეგსი. როგორც ჩვენ უკვე ვიცით, მისმა მამამ ორჯერ მიატოვა ოჯახი უწესო საქციელის გამოისობით, ხოლო მეორედ სამუდამოდ. მისი ვაჟი ამის მოწმე იყო; ოგი ბავშვობაში ძალზე დააბრაზა გაჭირვებამ, რომელშიც ის თავის საბრალო მოხუც დედასთან ერთად მამამისის წყალობით ჩავარდა; ამიტომ მამის მიმართ განიძსკვალა უღრმესი და ძალზე სამართლიანი ზიზღით. იმ დროს, როცა ვაჟი თავისი სამშობლო ქალაქიდან შორეულ ვრცელ ქვეყნებში ხეტიალობდა, მისი მამა (წერილის მიხედვით, რომელიც რაინეგსმა აისლებენში გაგზავნა) იმყოფებოდა სწორედ ვენაში. მისმა ვაჟმა ალბათ თავიდანვე დაუკავშირა თავისი გეგმები ამ სატახტო ქალაქს, სადაც მაშინ მამა-შვილს ძალზე თავისუფლად შეეძლოთ შეხვედრა. საფიქრებელია, რომ ვაჟმა თავისი სახელი მაშინვე შეიცვალა, რათა ქვეყნად მოწანწალე მამას არ ეპოვნა, რომლის შესახებ გაგონებაც არ სურდა... სხვა მოსაზრებები, რომ თავისი სახელის შენარჩუნება ფარული კავშირების გამო უსარგებლო იქნებოდა, უფრო ნაკლებ დაბაჯერებელი ჩანს. რომ დედოფალმა მარია ტერეზიამ ის არ აამაღლა აზნაურის პატივში, როგორც მისმა ზემოთ ნახსენებმა მსახურმა თქვა, ეს თვით რაინეგსმაც აღიარა; მან იყიდა ტიტული ფონ რაინეგსი. მაგრამ მთლად საოცარი და საეჭვო რჩება, რომ თავის მდგომარეობასთან ერთად მთელი სახელიც ისე შეიცვალა, რომ არც თავისი გვარიდან და არც თავისი ნათლობის სახელიდან მცირე კვალიც კი აღარ შეინარჩუნა... სადოქტორო დისერტაციის თავფურცელზე და დედოფლისადმი მიძღვნის ხელმოწერაში თავის თავს მან შეცდომით იაკობუს რაინეგსი უწოდა და ნაწილაკი დე, რომელიც ყველა წარჩინებულისათვის ასეთ მნიშვნელოვან ძვირფასეულობას წარმოადგენს და რომელსაც ის (რაინეგსი გ. გ.) თავის პირად წერილებში ასე სათუთად და ყოველთვის დაუვიწყებლად ათავსებდა თავის ორივე სახელს შორის, ახლა პირველ და ალბათ ერთადერთ შემთხვევაში, როცა მას ის აშკარად უნდა მოეტანა, რატომღაც

დაავიწყდა, თუ კი მას ჰქონდა უფლება ამ ნაწილაკის ტარებისა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რაინეგსს არც ფონ რაინეგსის ტიტული შეუსყიდია, არც დედოფლისაგან მიუღია, არამედ თავის თავს საკუთარი სურვილისამებრ იაკობ რაინეგსს უწოდებდა და ნაწილაკ ფონ-ს მხოლოდ მაშინ უმატებდა, როცა სჭირდებოდა... (ასე სწერს – ბარონი ფონ რაინეგსი – ის თავის დას სძირნადან, დედამისს კონსტანტინოპოლიდან).

ამდენად ის ისეთ გზას დაადგა, სადაც მას ესაჭიროებოდა ზოგჯერ უფრო მეტად წარმოჩენილიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო.

ხოლო რა ბედი ეწია დედოფლისაგან მიღებულ, ოქროს ჯაჭვზე დამაგრებულ დედოფლის პორტრეტს, არაა ცნობილი. ცხადია, ბოჰემიაში ჭირის ეპიდემიის ჩაქრობისას მისი დამსახურება ძალზე დიდი უნდა ყოფილიყო, ასეთი პატივი რომ მიეღო. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ძნელი იქნებოდა ამისათვის მიეღწია ჯერ კიდევ დოქტორობამიუღებულ ექმს, მაშინ როცა მას, აქამდე ჯერ კიდევ სრულად უცნობ ახალგაზრდა კაცს, არც კი ჰქონდა იმაზე საპატიო თანამდებობა, როგორიც ქირურგის თანამეწეობა იყო. ესენი კი ჩვეულებრივ ასეთ დიდ პატივს არ იღებდნენ, მათი სახელმწიფოსადმი გაწეული სამსახური მნიშვნელოვანი რომც ყოფილიყო. დრ. რაინეგსის ამ მონაყოლში და მისი ამჟამად ცოცხალი მეგობრის (რომელიც ჩემს მკითხველებს ზემოთ გავაცანი) ნათქვამში წინააღმდეგობაა. როცა რაინეგსი 1773 წლის 24 დეკემბერს წერდა, რომ ორი წლის წინ ის ბოჰემიაში იმყოფებოდა მძვინვარე ჭირის დროს, უპირველესად ისმება კითხვა, 1771 წელს ბოჰემიაში მართლაც იყო თუ არა ჭირი, ან ჭირის მსგავსი ავადმყოფობა, რომლის შესახებაც მე, მიუხედავად გამოძიებისა, ვერაფერი სარწმუნო ვერ გავიგე. მაშ როგორღა დაუუკავშიროთ, როცა მისი მეგობარი ზემოთ ჰყვებოდა, რომ რაინეგსი 1770-1771 წლებში ვენის თეატრში იყო მსახიობად და, აქედან გამოძინარე, არავითარ შემთხვევაში მთავრობის სამსახურში არ იმყოფებოდა და მაშ ასეთ საპატიო საქმეზე ძნელად თუ დაუძახებდნენ. უამისოდაც მისი მეგობრის მონაყოლში, ჩემის აზრით, არ მოიძებნება ხარვეზი, რომელიც შეიძლებოდა შევსებულყო აღნიშნული დავალებით. ამგვარად ჩანს, თითქოს რაინეგსმა უბოროტოდ გაუბედა თავის ამხანაგს მოტყუება.

ის, რომ რაინეგსმა ასეთი პატივი მოიხვეჭა და ტირნაუს კათოლიკურ უნივერსიტეტში შეძლო გამხდარიყო იმპერიაში პირველი მართლმადიდებელი დოქტორი, ამან მაფიქრებინა, ხომ არ გამოიკვალა რაინეგსმა სავსებით აშკარად თავისი სარწმუნოება და ხომ არ მიიღო კათოლიკობა — ცნობილია, თუ რა ღირდა ასეთი ნაბიჯი მაშინდელი მთავრობის ხელში. მაგრამ საეკლესიო ცნობილია ისიც, რომ დედოფალ მარია ტერეზიას მეფობის უკანასკნელ წლებში იოლად და მოხერხებულად შეეძლო მიეღო სათანადო სასულიერო ცნობა (ატესტატი), რომ ნამდვილად რეალურშეცვლილი იყო. ამდენად ჩემი მოსაზრება ეთანხმება ბარონ ფონ მ...რ-ს მტკიცებას, რომ რაინეგსი შემნიცში გარეგნულად კათოლიკურ რელიგიას ეზიარა.

შემდგომ ამ წერილიდან ჩვენ ვიგებთ, რომ რაინეგსმა ტიროლისა და შტოიერმარკის მაღაროები დაათვალიერა ლაიფციგოდან უკანასკნელად წასვლის დროიდან — 1768 წლიდან 1770 წლამდე, ანუ ვენის თეატრში მუშაობის დაწყებამდე. ყოველივე ეს უკვე ზემოთ მისმა მეგობარმა მოგვითხრო, რაც რაინეგსის საკუთარი ჩვენებითაც დასტურდება.

1774 წელს შემნიცში ის გაიცნო ბარონმა კარლ ფონ მ...რ-მა იმდროინდელ სამთო მრჩეველთან და მეტალურგიის პროფესორთან, დრ. იოჰან ანტონ სკოპოლი-სთან. ბარონის სტატია (საყ. სალიტ. მოამბე 1797 წ. გვ. 468) ერთადერთი მეგზურია, რომელიც ჩვენ გვაწვდის ცნობას რაინეგსის შემნიცში ყოფნის, ასევე ჯერ კიდევ ვენაში შედგენილი აღმოსავლეთში მისი ავანტიურისტული მოგზაურობის გეგმის შესახებ, აგრეთვე მისი განახლებული ნაცნობობის შესახებ უნგრელ გრაფ კოჰარისთან, რომელიც იყო მისი შემდგომი განუყრელი თანმხლები ჭირსა და ლხინში. ყოველივე ამას გვამცნობს უნგრეთიდან მის უეცარ გაქრობამდე, ამიტომ იმას, რაც ჩვენი რაინეგსის არც თუ უცნობმა მეგობარმა გულლიად მაცნობა, მისივე სიტყვებით გავიმეორებ:

„რაინეგსი რამდენიმე წლის ჩასული იყო შემნიცში,<sup>3</sup> უკვე შესწავლილი ჰქონდა სამთო-საქმის მეცნიერებანი; პატივცემულ

<sup>3</sup> აქ დაშვებულია შეცდომა. რადგან რაინეგსმა მხოლოდ 1773 წლის მაისში მიიღო ტირნაუში ხარისხი და ამის შემდეგ კიდევ ერთხანს ცხოვრობდა ვენაში, ამდენად მას არ შეეძლო იმავე წლის მეორე ნახევარზე ადრე შემნიცში მოსულიყო. გამომდინარე აქედან, როცა ბატონი ბარონი კ. ფონ მ...რი 1774 წლის შუა რიცხვებში შემნიცში მოვიდა, რაინეგსი სულ დიდი, ერთი წლის მოსული იქნებოდა — გ.

სკოპოლისთან, კერძოდ, ემეცადინა ბუნებისმცოდნეობაში და დიდი მოუთმენლობით ელოდა დანიშვნას. მე გამიხარდა მისი გაცნობა, რადგან ძალზე კეთილსინდისიერ კაცად მეჩვენა, რომელიც გამოირჩეოდა დიდი ცნობისმოყვარეობით, მრავალმხრივი ცოდნით, საღად მოაზროვნე გონებით და თავაზიანი საქციელით. ჩვენ ძალზე კარგი მეგობრები გახვდით და თავს ბედნიერად ვთვლიდით, რომ შევძელით ჩვენს საერთო მეგობართან და მასწავლებელთან სკოპოლისთან, ამ მეორე ლინეისთან, რამდენიმე სასიხარულო და ჭკუის სასწავლი საათი გაგვეტარებინა. მისი მუზეუმი ჩვენთვის ღია იყო და მისივე ხელმძღვანელობით საუკეთესოდ გამოვიყენეთ. — რაინეგსი იყო საშუალო სიმაღლის, ჯანმრთელი, მაგრამ არც ისე ძლიერი აღნაგობის, ძალზე დინჯი, ნათელი და ჭკვიანი გონების, ამასთან, უფრო მეტად ცოცხალი, ვიდრე მელანქოლიური ხასიათისა. არაჩვეულებრივ შრომისმოყვარეობას უკავშირებდა ხარბ წყურვილს ახალი ცოდნისა და საქმისადმი, განსაკუთრებულ მისწრაფებას მოგზაურობისადმი; არ იშურებდა ძალღონეს სწავლისათვის, რისთვისაც თავი ჰქონდა გადადებული; ის იყო ერთი იმ პრაქტიკანტთაგანი, რომელთაც პირველ რიგში შეეძლოთ ჰქონოდათ საფუძვლიანი იმედი სამსახურში მოწყობისა. მაგრამ, მიუხედავად მისი მორალური ხასიათის უმწიკვლოებისა, მაინც ბედს არ სურდა მისდამი კეთილმოსურნე ყოფილიყო და არ ჩანდა, რომ მისი მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესდებოდა. გარეგნულად ის ცნობდა კათოლიკურ რელიგიას, თუმცა ყველა რელიგიას ერთნაირად სცემდა პატივს...

რადგან მას სავსებით არ ჰქონდა სახსრები და ღარიბული ჯამაგირით (100 რტპლრ) ცხოვრება არ შეეძლო, საჭიროდ დაინახა ეძებნა ნაცნობობა შეძლებულ ოჯახებში, რაც ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც შემნიცია, ძალზე ადვილად იპოვა. მას ყველა აფასებდა ცოდნისა და გონებაზვილობის გამო, ყველა თავისიანად თვლიდა. თუკი საზოგადოება სრულად შეიკრიბებოდა, დრ. რაინეგსი საოჯახო დღესასწაულზე ყველასათვის და ყოველთვის მუდმივი და სასურველი სტუმარი იყო. გერჰარდის სახლმა შემნიცში მას, სხვათა შორის, ბევრი კარგი რამ გაუკეთა... სკოპოლი ზრუნავდა მისი მინერალოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ცოდნის გამდიდრებაზე... დრ. რაინეგსი ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მისწრაფოდა მუდმივი ქონებრივი



უზრუნველყოფისაკენ და, რადგან ასეთი არ მოიძებნებოდა, მოუვიდა თამამი აზრი, ეძებნა თავისი ბედი უცხო ქვეყნებში,<sup>4</sup> ან გამხდარიყო თავგადასავლების მაძიებელი, რის მიმართ მას ისედაც დიდი მიდრეკილება ჰქონდა. აღმოსავლეთში მოგზაურობა იყო მისი ყოველდღიური საუბრის თემა, რადგან მას წარმოუდგინა, რომ იქ სიმდიდრის მოპოვება წვალების გარეშეც შეიძლებოდა. თურქეთში წასვლის მისწრაფებაც სულ უფრო უძლიერდებოდა. მან თავისი თავი დააჯერა, რომ ექიმს, რომელსაც ამასთან ზოგი რამ ქირურგობისაც ესმოდა, იმ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ექიმბაშები და ემპირიკოსები არსებობდნენ, შეიძლება საკმაოდ გაძნელებოდა ეკონომიკურად, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელ ექიმებს აღმოსავლეთში თითქმის ღვთაებრივად სცემდნენ პატივს და გულუხვად უზღიდნენ... რაინგსი დაუღალავად სწავლობდა თურქულ ენას, რომელსაც მოკლე ხანში საკმაოდ დაეუფლა. მედიცინასა და ქირურგიას, რომლისადმიც ის რამდენიმე წელი უდარდებლობას იჩენდა, კვლავ მიჰყო ხელი, ახლა უფრო ბეჯითად, ვიდრე ოდესმე, ხოლო სამთო საქმის შესწავლას კი თავი მიახება. რაინგსი ცდილობდა ყველაფერი თურქულ ყაიდაზე გაეკეთებინა: თამბაქოს მოწვევაშიც კი თურქებს ბაძავდა. მისთვის, აღმოსავლეთში მოგზაურობასთან დაკავშირებული, ერთადერთი დაბრკოლება იყო ის, თუ სად უნდა ეშონა იმდენი ფული, რაც საჭირო იყო თუნდაც მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე ჩასვლისთვის. რადგან ოსმანთა ამ დედაქალაქში იმედი ჰქონდა თავისი სამედიცინო ცოდნის გაღრმავებისა, ფიქრობდა, რომ მუსულმანები მიესალმებოდნენ მას როგორც ჰექიმ ფაშას. სამთო მრჩეველი სკოპოლი, მე და ყველა მისი ნაცნობი, რომლებსაც მან თავისი ავანტიურისტული გეგმა მრავალგზის გაგვაცნო, მეგობრულად ვურჩევდით, ხელი აელო განზრახვაზე და ვუხატავდით მას ასეთი მოგზაურობის არ მარტო

<sup>4</sup> ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ რაინგსმა (ჩვენამდე მოღწეული ბ-ნ კომ. რ. ულს ცნობების მიხედვით) ვენაში უკვე რამდენიმე ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება, აღმოსავლეთში ეძებნა ბედი. ალბათ ამ ავანტიურისტულმა იდეამ ერთ ხანს მიიძინა, ანდა რ-მა ის განგებ დამალა, რადგან ჰქონდა იმედი ან ავსტრიაში უზრუნველყოფისა, ან სამშობლოს მიერ მოხმობისა, რაზღადაც უნდა მიუთითებდეს ადგილი ზემომოტანილი წერილიდან სამთო კომისარ შმიდტისადმი აისლებენში. რადგან არაფერი არ აუხდა, მისმა იდეამ კვლავ გაიღვიძა და თამაში თავიდან დაიწყო — გ.

სიძნელეებს, არამედ იმის შეუძლებლობასაც, რომ ასეთ შორ გზას ხელცარიელი ვერ გაუდგებოდა. მაგრამ ყოველი რჩევა უნაყოფო დარჩა: დრ. რაინეგსი მტკიცედ ადგა თავის აზრს. იგი არ დარდობდა, თუ სად უნდა ეშვნა სამოგზაუროდ საჭირო ფული. ჩვენ ხშირად დავცინოდით მომავალ ჰქეიმ ფაშას და დარწმუნებული ვიყავით, რომ მისი აღმოსავლური მოგზაურობიდან არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ შეეცდით. რაინეგსი წყნარად იღწვოდა თავისი გადაწყვეტილების შესასრულებლად და უცდიდა მხოლოდ სასურველ გარემოებას, რომ ჩვენ და თავის სამშობლოს სამუდამოდ დაგვმშვიდობებოდა. ეს დროც მალე დაუდგა.

ვინმე გრაფი კოპარი, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი ქონება ვენის თეატრის საარენდოდ დააბანდა და გაკოტრდა, იძულებული შეიქნა რეზიდენციას გაშორებოდა და წავიდა შემნიცთან ახლოს მდებარე სოფელ ანტალში, სადაც ღარიბად ცხოვრობდა. ამ გრაფს გაეცნო და დაუკავშირდა რაინეგსი. გრაფი გაჭირვებულ მღვდმარეობას მაწანწალად და ავანტიურისტად ექცია. მას გაეხარდა რაინეგსის – თავისი მსგავსი განწყობის კაცის – პოვნა, რომელთანაც ხელი-ხელ გაყრილს შეეძლო ბედის საძებნელად და საშოვარზე წასვლა. შესაბრალისმა მარტობამ, ქონების შეძენის სურვილმა ისინი მალე განუყრელ მეგობრებად აქცია. მათ ერთად უნდა შეემუშავებინათ მოქმედების გეგმა, ამ გეგმას რომ მართლაც ჰქონდა კავშირი რაინეგსის მოგზაურობასთან აღმოსავლეთში, ეს შედეგითაც მტკიცდებოდა. მალე შემნიციდან ჩემი წასვლის შემდეგ დრ. რაინეგსი და გრაფი კოპარი გაუჩინარდნენ; ისინი უეჭველად თურქეთში გაემგზავრნენ, თუმცა არავინ იცოდა, როგორ გადავიდნენ პასპორტების გარეშე საზღვარზე“.<sup>5</sup>

რაც შეეხება ნაცნობობას, თურქეთში მოგზაურობასა და ამ ერთი მიზნით დაკავშირებულ ავანტიურისტთა შემდგომ ბედს, ეს ცნობები

<sup>5</sup> მკითხველი ამ გრაფ კოპარის ზემონათქვამიდან უკვე იცნობს და მალე რ-ს ნაწერიდან უფრო ახლოს გაიცნობს. ბარონი ფონ მ...რი, რომელმაც რ-ს ვენაში ყოფნის და ცხოვრების შესახებ მცირედ ან სრულებით არ იცის, ჩვენ შეცდომით გვიამბობს, რომ რ. გრაფ კოპარის აქ პირველად შეხვდა. ჩვენ კი ზემოთქმულიდან ვიცით, რომ ორივენი, ერთმანეთს ვენაშიც კარგად იცნობდნენ და თავისი მოგზაურობის გეგმაც უეჭველად მაშინ შეადგინეს. ერთხანს უნგრეთიდან ვენაში მათი წასვლუს შემდეგ გავრცელდა ხმა, თითქოს კოპარიმ მეგობრებისაგან 40 000 ფლ. ისესხა და ორივენი კონსტანტინოპოლში იყვნენ ეპტრებად – გ.

უეჭველად ჭეშმარიტების და კეთილსაიმედობის კვალს უნდა ატარებდნენ, რადგან აქ მე ვერცერთ სხვა მოწმეს ვერ მოვიყვან, გარდა თვით ჩვენი რაინდგისა. ძნელია და შეუძლებელიც მკითხველისათვის ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობაში, როგორიც ჩვენ რაინდგსა დაგვიტოვა, დაამტკიცოს სანდობა ერთის ან მეორესი.

ბარონ კარლ ფონ მ...რ-ს არ მიაჩნია სადავოდ, რომ რაინდგსი და გრაფი კოჰარი დაახლოებით 1776 წლის შუა რიცხვებში უნგრეთიდან ხმელეთით, პირდაპირი გზით წავიდნენ თურქეთში. თვით რაინდგსი, მართალია, ამ მოსაზრებას ადასტურებს სმირნადან თავის ნახევარდისადმი გაგზავნილ წერილში, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება მეორე, თავისი ავანტიურისტული მოგზაურობისადმი (გრაფ კოჰართან ერთად) საგანგებოდ მიძღვნილ ნარკვევში, რომელიც მან საქართველოში დაწერა. აქ ის უზუსტესი რიგით მოგვითხრობს, რომ თავისი გზა გრაფ კოჰარისთან ერთად განვლო ვენეციიდან სმირნამდე წყლით, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდან კონსტანტინოპოლისაკენ ასევე გემით. რომ არა წერილი სმირნადან თავისი დისადმი, ჩვენ უმცირეს საბაბსაც ვერ ვნახავდით ამ ნარკვევის ჭეშმარიტებაში ეჭვის შესატანად, ზოგიერთი რომანტიული სიტუაციების გამოკლებით. ჩემ მკითხველებს თვითგანსჯის საშუალება რომ მივცე, აქვე მოვიტან თითქოს სმირნადან დაწერილ წერილს, ოღონდ მცირე შემოკლებით. ესაა მეორე დოკუმენტი, რომელიც რაინდგსის წარმომავლობას ადასტურებს.

სმირნა აზიაში, 1776 წლის 22 ივლისი.

უსაყვარლესო დამო!<sup>6</sup>

... უნგრეთიდან კონსტანტინოპოლამდე ხმელეთით ვიმგზავრე, იქიდან სმირნამდე კი წყლით; ის მე მიმანჩნია საუკეთესო და ყველაზე სასიამოვნო ადგილად. იქ ერთი წელი დავეყავი... თუ გიჭირთ, მე საკმაო შეძლება მაქვს, რათა დაგეხმაროთ, მომწერეთ, მომთხოვეთ და მიიღებთ ყოველივეს, რადგან არაფერი მაკლია... მისამართი, რომელზეც მე უთუოდ მივიღებ თქვენ წერილს არის შემდეგი: ბატონი (მუსიე) დე რაინდგსისათვის, სენიორ რაინდგსისათვის. საფრანგეთის კონსულს ტრიესტში ვენიდან.

ამ სახელის ქვეშ ალბათ შეიცნობთ თქვენს ძმას, რომელსაც ადრე ელიზი ერქვა. გკოცნით, თქვენზე მზრუნველი ძმა.

ფონ რაინდგსი

<sup>6</sup> ჩვენ დისადმი გაგზავნილ ამ წერილს ვიძლევეთ შემოკლებით — გ. გ.

ამ წერილის გარდა მე ხელთ მაქვს მეორეც — კონსტანტინოპოლიდან დედისადმი გამოგზავნილი, ერთადერთი შემკვიდრუბა მისი ოჯახისა... ეს წერილი უკანასკნელია, რაც მან დედას გაუგზავნა, რადგან შემდეგ აღარასოდეს მოუწერია თავისიანებისათვის. ეს წერილი მისი ცხოვრების ისტორიას თუმცა მცირედ განმარტავს, მაგრამ მაინც გაეაცნობ მას ჩემს მკითხველებს, რათა ზოგი დასკვნა გაეაკეთოთ რაინფესის შემდგომი სრული სიჩუმის შესახებ. აი ესეც:

### კონსტანტინოპოლი, 1777 წლის 11 იანვარი

ჩემო უსაყვარლესო და ძალზე ერთგულო დედა!<sup>7</sup>

... გასუსხობთ თქვენს წერილზე, რომელიც მე გადმომცეს გუშინ, 1777 წლის 10 იანვარს კონსტანტინოპოლში. საკვირველებით სავსე, დიდი და დაუჯერებელი ჩემი ბედ-იღბალი ბავშვობაში მიუჩვევი გაჭირვებას და მის ატანას... ჩემმა მონდობებამ პატივი და ღირსება მომიტანა იმ ქვეყნებში, რომლებსაც უნინ არ ვიცნობდი; უდიდესმა დედოფალმა დამასაჩუქრა საპატიო წყალობით, რადგან ჩემი რელიგიით ვერავითარ დამსახურებას ვერ შევიძლებდი. მე ნავედი უნგრეთში და მედიცინაში პრაქტიკის გავლასთან ერთად ვისწავლე სამთო საქმე და დნობის მეცნიერებათა, რაც ჩემთვის დიდი შენაძენია. ამ სახელმწიფომ, ტრანსილვანიაში და მოსახლურე ვალახეთმა, სადაც მე ხშირად ემოგზაურობდი, აღმიძრეს ნყურვილი უფრო ახლოს გამეცნო აღმოსავლეთი და იქ ჩემი სამშობლოსათვის რაიმე გამოსადეგი შემეგროვებინა. სმირნაში მე ვფიქრობდი იმდენ ხანს დარჩენას, სანამ არაბულ ენას არ შევისწავლიდი, მაგრამ ჩემი მსახურის ღალატის გამო (რომელიც მეგობარზე უფრო მეტად მიყვარდა და რომელმაც ჩემი მონამღვის იმედით დიდი რაოდენობის ფული მომპარა) იძულებული შევიქენი წავსულიყავი კონსტანტინოპოლში, სადაც მე კიდევ მქონდა მისი მოძებნის იმედი, მაგრამ ის უკვე გასულიყო გემით. ეს ის მსახურია, თქვენთან რომ სამი წლის წინ მოვიდა და ოთხი წლის მანძილზე ერთგულად შემსახურებოდა; მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი ამას. მომავალ სექტემბერამდე აქ ვრჩები, შემდეგ გავემგზავრები სპარსეთში, არაბეთში, ეგვიპტეში და აღთქმული ქვეყნით იერუსალიმში. 1780 წელს, თუკი ღმერთი მაცოცხლებს და თქვენც ცოცხალი იქნებით, ვიმედოვნებ უსათუოდ თქვენს ნახვას. მიიღეთ და დაარიგეთ თუ არა ჩემი სურათები და თორმეტი ცალი სადოქტორო-საპაექრო, რომელიც მის უდიდებულესობას დედოფალს მიეძღვნა?... მე არაფერი მაკლია, არაფერი მჭირდება და ვცხოვრობ ღირსეულად და პატივით, უფრო მეტად, ვიდრე მე მას ვიმსახურებ.

<sup>7</sup> ეს წერილიც შევაპოკლეთ; გამოვტოვეთ ის ადგილები სადაც დედის მიმართ თავის გრძნობებს ამჟღავნებს — გ. გ.

ხშირად მომიგონეთ როგორც თქვენი გულითადი და ერთგული  
ვაჟი, რომელსაც ახლა და ყოველთვის ერქმევა

დრ. იაკობ ბარ[ონ] ფონ რაინეგსი.

როგორი თბილი, როგორი გულისხმიერია ამ წერილის ენა! და  
ვინ იფიქრებდა, რომ ის უკანასკნელი იყო, რომელიც რაინეგსმა თავის  
ოჯახს გაუგზავნა.

რაინეგსმა ჯერ კიდევ 1790 წელს იცოდა და 1792 წელსაც  
უმტკიცებდა თავის მეგობრებს, რომ დედამისი ჯერაც ცოცხალი იყო.  
უკვე მთელი ათეული წელი გავიდა, რაც რაინეგსი რუსეთში იმყოფებოდა,  
სადაც მას არც სიმორე, არც საფოსტო დაბრკოლება არ უშლიდა  
ხელს ეცნობებინა [დედისათვის] თავისი ცხოვრების შესახებ. ნუთუ  
რაინეგსი მას შემდეგ მთლად გამოიცვალა? ნუთუ სავსებით დაივიწყა  
თავისი შვილური მოვალეობა? უეჭველად სრულიად სხვა მიზეზები  
იყო, რომლის გამოც (რისაც მე არ მჯერა) წერისგან თავს იკავებდა.

სანამ ჩემს მკითხველებს ამ სავარაუდო მიზეზებს გავაცნობდე,  
გავყვეთ ჩვენს რაინეგსს სიცოცხლის ბოლომდე, რადგან მისი შემდგომი  
ასპარეზი რუსეთში ზოგიერთ განმარტებას გვაძლევს მათ შესახებ.  
ამას გარდა ამ წერილით ერთგვარი შუქი ეფინება ჩვენი ავტორის  
დაგეგმილ მოგზაურობას სპარსეთში, არაბეთში, ეგვიპტესა და  
ალთქმულ ქვეყნებში. იმ შემთხვევითი მიზეზებისა და დაბრკოლებების  
შესახებ პასუხს, თუ რატომ არ გააგრძელა მოგზაურობა სპარსეთსა  
და გეორგიაში, ვბოლობოტ მრავალგზის ნახსენებ ნარკვევში, რომელიც  
რაინეგსმა თვით დაწერა ტფილისში გრაფ კოპარისთან ერთად  
მოგზაურობის ისტორიის შესახებ და რომელიც შემდგომ გიოტინგენის  
საზოგადოებას გადაუგზავნა. მიუხედავად საკმაოდ დიდი მოცულობისა,  
ორიგინალურობის გამო აქ მთლიანად მოვიყვან ასლის სახით. რაინეგსმა  
მოიგონა სიასხლე: თავისი და გრაფის სახელები შებრუნებით დაწერა,  
ასე რომ გრაფი აქცია ბატონ ფონ ირაჰოკ-ად, ხოლო თვით ბატონი  
სგენიერ-ი გახდა, აგრეთვე თავის შესახებ ყოველთვის მესამე პირით  
ლაპარაკობს. ის ერთხელ უკვე მიჩნეოდა თავისი სახელის შეცვლას.  
მე სხვა არაფერი გამიკეთებია, გარდა იმისა, რომ თვითოეულს თავისი  
ნამდვილი სახე დაუბრუნე: ბ-ნი სგენიერ-ი კვლავ რაინეგს-ად, ხოლო  
მოწყალე ბ-ნი ფონ ირაჰოკ-ი კოპარად წარმოჩნდნენ. რაინეგსის

შესახებ მოთხრობის ძაფი რომ არ დაეკარგა, ადგილ-ადგილ ჩართული შენიშვნებით ვცადე წინააღმდეგობანი და გადახვევები დანარჩენი ცნობებიდან გამოყოფილად განმეძარტა.

ავსტრიის საზღვრებს ახლოს, ასე იწყება ეს ისტორია, ცხოვრობდა სხვებისათვის უცნობი რაინეგსი, მხოლოდ თავისთვის და თავისი მეცნიერებისათვის. ზოგჯერ მიდიოდა ის ტყეში და მინდვრებში, აგროვებდა ბალახსა და ქვებს. ქვას, გველს, ყვავილს ან ოქროს გროვას მისთვის ერთი ფასი ჰქონდა. ერთხელ ასეთი ხეტიალის დროს ბინდმა მოუსწრო და იძულებული გახდა ეძებნა თავშესაფარი. არცთუ შორს მთაზე, მისთვის უცნობ მხარეს შენიშნა მონასტერი (ასეთად ეჩვენა მას ის შორიდან)... მოსალოდნელი ბერების ნაცვლად მას კარები გაუღეს ხელკეტიანმა ჰაიდუკებმა... „აქ არის მოწყალე ბატონის ფონ კოჰარის სასახლე!“ უყვირეს ამ ძლიერმა კაცებმა...<sup>8</sup> „გუშინ ის ოთხი წლის არყოფნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა“. რაინეგსმა ბოლოს დაარწმუნა ეს ხელმაგარი ლიბერტინელები (თავისუფალი მონები), რომ ის მევალე კი არა, ის ბატონ ფონ კოჰარის ძველი მსახური<sup>9</sup> იყო. რაინეგსი შეუშვეს კოჰარისთან... რადგან კოჰარი თვლიდა, რომ არც რაინეგსს უღზინდა დიდად, მეორე დღეს შესთავაზა გასცლოდნენ ამ უბედურ საზღვრებს, მტრის მზერას და რამდენიმე წელი ემოგზაურათ ისეთ ქვეყნებში, სადაც არ შეაწუხებდათ ნაღველი-კოჰარიმ დაამივდა რაინეგსი, რომ მოძებნა მეგობარი, რომელიც სამოგზაუროდ საჭირო თანხას მისცემდა<sup>10</sup>... კოჰარი შეუდგა თავისი სასამართლო საქმეების მოგვარებას. ამასობაში გავიდა რამდენიმე

<sup>8</sup> რაინეგსი გაოცდა, მონასტრის ნაცვლად გრაფ კოჰარის სასახლე რომ აღმოაჩინა. მან მოინდომა მთელი ამ ისტორიისათვის რომანტიული ელფერი მიეცა. რაინეგსი ჯერ კიდევ ვენაში იყო, როცა გრაფი კ. იქიდან უნგრეთში წავიდა თავისი ქონებისათვის. ალბათ ორმხრივი შეთანხმება იყო, რომ ისინი კვლავ შეხვდნენ უნგრეთში. თუ დავეუშვებთ, რომ მათი აღმოსავლეთში მოგზაურობა ვენაში იყო შეთანხმებული და გადაწყვეტილი, ვანა რ-ს არ ეცოდინებოდა, რომ შუშინციის ახლოს მდებარე სასახლე ან ციხე (ანტალი) გრაფს ეკუთვნოდა და ის არავითარი მონასტერი არ იქნებოდა? - გ.

<sup>9</sup> ერთ ხანს გრაფ კოჰარის ვენაში თეატრი ჰქონდა დაქირავებული და რაინეგსი ამ არენდის დროს მსახიობობდა ვენაში. ის გრაფის სამსახურში იყო - გ.

<sup>10</sup> ჩვენ შევამოკლეთ გრისტენბერგის მიერ ვრცლად მოტანილი ტექსტი, რომელიც ძირითადად დიალოგს წარმოადგენს და არავითარი ლირებულება არ აქვს -

თვე... რადგან კოპარისაგან არავითარი ცნობა არ იყო მოსული, რაინეგსი ვინმე კაპიტან დე ჰავენთან ერთად გაემართა ვენეციაში გრაფ სტიუარტთან. აქ მან ვრცელი ასპარეზი ნახა ცოდნის დასაწაფებლად. მან გამოიჩინა არაჩვეულებრივი სიბეჯითე, რითიც მეცნიერთა და წარჩინებულ ოჯახთა პატივი და მეგობრობა დაიმსახურა<sup>11</sup>...

რამდენიმე ხნის შემდეგ რესპუბლიკის ზოგიერთმა მეთაურმა სთხოვა რაინეგსს, ემოგზაურა მინერალებით მდიდარ მათ მხარეებში. ისიც კმაყოფილებით დათანხმდა და რესპუბლიკის ხარჯებით და დაცვით წავიდა აიორთაში. სენატი ისეთი კმაყოფილი იყო რაინეგსის მოხსენებით ამ მხარის მდგომარეობის შესახებ, რომ მას მეორე მოგზაურობაც დააკისრეს ვიურტინულ მხარეში, ხოლო საბოლოოდ შესთავაზეს ამ ორივე მხარის დირექტორობა (მმართველობა) და მნიშვნელოვანი ხელფასი.<sup>12</sup> მაგრამ რაინეგსმა, რომელსაც კარგად ესმოდა რესპუბლიკისათვის გამოცდილი კაცის საჭიროება, უარი თქვა ამ წინადადებაზე, რადგან ან თავის ძალებში არ იყო საკმაოდ დაიმედებული, ანდა ბედს ასე სურდა. მან ამ ადგილზე წარადგინა თავისი ერთი მეგობარი, რომელიც ახლაც პატივით და გონიერად ემსახურება რესპუბლიკას. რაინეგსმა დატოვა ვენეცია და გაემართა პადუაში, სადაც იყო ბოტანიკური ბაღი და სამიწათმოქმედო მეცნიერებებისთვის გამოყოფილი ყანები. იგი გარკვეული ხნით განმარტოვდა<sup>13</sup>... [რაინეგსი და კოპარი შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ პადუაში, შემდეგ ვენეციაში] ისინი შეთანხმდნენ, რომ კოპარი 4 დღეში გავიდოდა გემით სმირნისკენ, სადაც მას რაინეგსი ფრანგი კონსულის მეშვეობით მოგვიანებით მოძებნიდა. აღმოსავლურ სამოთხეზე ოცნებით

<sup>11</sup> აქ გამოვტოვეთ კოპარისთან რაინეგსის მოულოდნელი შეხვედრის ამბავი, რაც სავსებით უმნიშვნელოა - გ. გ.

<sup>12</sup> ეს შეიძლება გამოგონილი იყოს, რითაც რაინეგსმა თავისი ისტორია შეამკო! განა ის ვენეციის რესპუბლიკის ასეთ მტკიცე და საპატიო შემოსავლიან წინადადებაზე უარს იტყვობდა? ის ვინც ცოტა ხნის წინ უსახსრობის გამო უნგრეთიდან წამოვიდა და არავითარი იმედი არ ჰქონდა სხვა საიმელო შემოსავლისა? განა ვენეციის რესპუბლიკა მას თავისი საბაღოების გამოკვლევას შესთავაზებდა, როცა მას ძალზე მცოდნე მინერალოგი, მარკშვიდერი დემშერი ჰყავდა სამსახურში, რომელიც ამ საბოლოო საქმის დირექტორი იყო? ხომ არ არის ეს რაინეგსის წინასწარზრახვა? - გ.

<sup>13</sup> აქ გამოვტოვეთ კოპარისთან მისი დიალოგი - გ. გ.

გაბრუებული კოპარი გაემგზავრა 1776 წლის 24 აგვისტოს. ორი თვის შემდეგ რაინგსმა დაასრულა თავისი საქმეები და გაჰყვა სმირნაში მიმავალ გემს; 60 დღეში უკვე ამ ქალაქის ნავსადგურში იყო... კოპარიმ უამბო რაინგსს, თუ რა გადახდა ზღვაზე მოგზაურობისას<sup>14</sup>... სმირნაში ჩამოსვლის შემდეგ მას ხელი მიუყვია ბერძნული ენის შესწავლისა და ხატვისათვის, აგრეთვე შეუძენია ვიოლინო. კოპარიმ დააეალა რაინგსს, წასულიყო კონსტანტინოპოლში, გადაეცა მისი წერილები ელჩისათვის, რომელიც მას ფულსა და მოწყობილ ბინას გამოუყოფდა და ყოველივე სასწრაფოდ ეცნობებინა.

რაინგსმა მოინახულა სმირნელი დიდებულები, დაათვალიერა ამ ქალაქისა და მისი შემოგარენის სიძველეები და ბოლოს კოპარის წერილებით გაჰყვა გემს კონსტანტინოპოლისაკენ.<sup>15</sup>

რაინგსი მეხუთე დღეს ჩავიდა გადმოცემით უშშვენიერეს ქალაქში. ისე მოეჯადოდა მისი ხილვით, რომ რამდენიმე დღე დასვენება გადაწყვიტა. როდესაც ქალაქის თვალღერებით გული იჯერა, წავიდა ელჩთან კოპარის წერილების გადასაცემად. წერილების კითხვისას ელჩს სახე შეეჭმუნა, რაც კარგს არას მოასწავებდა. ელჩმა რამდენჯერმე გადაიკითხა წერილები, თამასუქი და რაინგსს რისხვით მოახსენა, რომ არავითარ კოპარის არ იცნობდა და მას დააპატიმრებინებდა სმირნაში. კოპარის წერილები, თამასუქი და იმედები სამოთხის შესახებ ბუხარში შეჰყარა.

რაინგსმა ამასობაში შეატყობინა კოპარის ამ შემთხვევის შესახებ და უმტკიცებდა, რომ მისი აზიური სამოთხე მხოლოდ ოცნებაა იყო; ამასთან, ურჩია შეეფარებინა თავი კუნძულ სციოზე გერმანული კაპუცინელთა კოლეჯისათვის, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ მიეღოთ მაღალი წარმოშობის მამაკაცები... ამავე დროს რაინგსს მისმა საქმიანობამ და პირადობის მოწმობამ მოუტანა ინგლისური მფარველობა და მთელი დიპლომატიური კორპუსის პატივისცემა. ასე მაგ., მათმა უბრწყინვალესობამ, გრადენიგომ<sup>16</sup> საჭიროდაც ჩათვალა ინგლისელი

<sup>14</sup> მასში არაფერია ღირებული, ამიტომ ჩვენ ეს ამბავი გამოვტოვეთ — გ. გ.

<sup>15</sup> არ გავიწყდებათ ალბათ, რომ დედისადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით რაინგსი კონსტანტინოპოლში გაეკიდა თავის ქურდ მსახურს... — გ.

<sup>16</sup> პორტაში მაშინდელი სამეფო-საიმპერატორო კარის ელჩის გვარი ვერ დავადგინე, ვფიქრობ, რომ გრადენიგო ანაგრამატიზირებული (ასოგადანაცლებული) სახელია — გ.



ელჩის თანდასწრებით რაინეგსისათვის ბოდში მოეხადა ასეთი არამეგობრული მიღებისათვის. — რაინეგსმა თავის მთავარ საქმედ თურქული და არაბული ენების შესწავლა მიიჩნია და შეუდგა კიდევ მისთვის დამახასიათებელი სიბეჯითით; მან დაივიწყა კოპარი მთელი მისი აღთქმული აღმოსავლური ნებივრობით.

როგორც კი მიიღო რაინეგსისაგან გულისგამგმირავი ცნობა, კოპარმა არაღ ჩააგლო თავისი თავი და ავაღმყოფობაც... და მხოლოდ 407 პიასტრით, გემით გაემართა კონსტანტინოპოლისაკენ... ერთ დღილას თავზე დაადგა კოპარის კამერდინერი და აცნობა მისი ჩამოსვლა შვიდი კოშკის ნაპირებთან. რაინეგსი იძულებული გახდა ენახა ის... [ამას მოსდევს კოპარის ხვეწნა-მუდარა, რომ რაინეგსმა არ მიატოვოს ის ამიერიდან, რომ ჭირი და ლხინი ერთად გაიზიარონ, თუ არა თავისი ხელით მოკლას იგი — გ. გ.]

რაინეგსმა კოპარი თავისთან წაიყვანა... და იმდენ ხანს არ უშვებდა გარეთ, სანამ წვერი ამ მოეზარდა, ევროპული ტანსაცმელი კი აღმოსავლურით შეუცვალა.

აღმოსავლური ენების შესწავლის გასაადვილებლად რაინეგსი ცდილობდა თურქულ გარემოში ყოფილიყო. თავისდა საბედნიეროდ ის დაუმეგობრდა დიდ თურქ ბატონს ჰაჯი ახმედ ეფენდის. ეს იყო სულთან ჰამიდის საიდუმლო მდივანი. ამ ბატონს თავდავიწყებით უყვარდა მათემატიკური და ფიზიკური მეცნიერებები, ჰქონდა მშვენიერი ევროპული წიგნები, თვით ფრანგული მეცნიერებათა ენციკლოპედიაც (მხოლოდ ნახატებისა და ნახაზების ეშხით). მას ინგლისიდან და ვენეციიდან გამოწერილი ჰქონდა უძვირფასესი ასტრონომიული და ფიზიკური ინსტრუმენტები, თუმცა მათი არც ხმარება, არც მნიშვნელობა არ ესმოდა. რადგან რაინეგსი ამ მეცნიერებებში არც თუ მთლად ჩაუხედავი იყო, ამიტომ ამ წარჩინებულმა თურქმა ის გულითადად შეიყვარა. რაინეგსი დღისით იმდენად დაკავებული იყო, რომ იძულებული გახდა კოპარი (რომ ის მთლად მარტო არ დარჩენილიყო) ჯერ კონსტანტინოპოლის ქარვასლაში გადაეყვანა, ხოლო შემდეგ თრაკიის ბოსფორის აზიურ ნაპირზე, კანდილიში საზაფხულო ბინა დაექირავებინა...

თურქეთში ქრისტიანი ქვეშევრდომის განმასხვავებელი ნიშანია მწვანე ქუდი (ჩაჩი Kalpak) და ყვითელი ფეხსაცმელები. კოპარის არ

მოუვიდა თვალში, რომ ის და მისი მსახური ორივე ერთ ფერებში იყვნენ გამოწყობილნი. სხვათა რჩევის მოუხედავად, არ დაიშალა და მწვანე ჩაჩს ყავისფერი თავშალი არჩია, რაც ებრაელთა ფერი იყო. აგრეთვე ვერ შეეგუა თურქულად ფეხმორთხმით ჯდომას და ყველგან თან დაჰქონდა სქელი ბალიში...<sup>17</sup> რაინგესმა სასტიკად უსაყვედურა კოპარის ჩადენილი შეცდომის გამო...<sup>18</sup> რაინგესმა გადაწყვიტა კოპარის თავიდან მოშორება. მან ისე ისწავლა თურქულად კითხვა, წერა და ლაპარაკი, რომ აღარ საჭიროებდა თარჯიმანს.

რაინგესი არწმუნებდა კოპარის, რომ სუსტი ჯანმრთელობა, ენების უცოდინრობა, ქარაენებთან ერთად სიცხესა თუ სიცივეში მგზავრობის სიძნელე – ყოველივე ეს ხელს შეუშლიდა მას მოგზაურობაში; ამიტომ დაჰპირდა ყოველნაირ დახმარებას, თუკი კოპარი აქედანვე გაბრუნდებოდა სამშობლოში., მაგრამ კოპარი მტკიცედ იღვა თავის აზრზე... და რაინგესმა უარი ვეღარ მოახერხა.

მართალია ძალიან უძძიმდა, მაგრამ რაინგესმა მაინც მოახსენა თავის ერთგულ მეგობარს ახმედ ეფენდის გამგზავრების შესახებ...; ამ დიდბუნებოვანმა თურქმა რაინგესს მისცა არა მარტო წერილები ყველა იმ ადგილთა მმართველებისადმი, რომელთა გავლაც რაინგესს მოუხდებოდა, არამედ თურქული სამეფო სამოგზაურო პასპორტი და მოამარაგა ყველაფრით, რაც მოგზაურობისათვის სჭირდებოდა. ამას გარდა აჩუქა მდიდრულად დარახტული ცხენი და ექვსი ქისა (3000 ფლ) სახარჯო ფული. მაგრამ რასაც რაინგესი ყველაზე მეტად აფასებდა, ეს იყო ერთი ბოთლი ნამღვილი სუფთა მექურის ბალზამი და ამ ბალზამის ხის ყვავილოვანი ტოტი, რაც ევროპაში დღესაც უცნობია და რომელიც ეფენდიმ თვით ჩამოიტანა არაბეთიდან. 1777 წლის 27 ოქტომბერს რაინგესი ნალვლიანი გულით დაემშვიდობა თავის მეგობარსა და კონსტანტინოპოლს და თანამგზავრთან ერთად შეუერთდა თოხათისკენ მიმავალ ქარავანს...<sup>19</sup> ქარავანი 23 დღეში თოხათში ჩავიდა, სადაც რაინგესი სარეკომენდაციო წერილების

<sup>17</sup> აქ გამოვტოვეთ თხრობა იმის შესახებ, თუ ერთ-ერთ ქუჩაში როგორ მოუკდა კოპარი ხალიჩაზე თურქ ალას და დაიწყო ჩიბუხის წვევა. ალამ „ებრაელს“ თავხედობა არ აპატია და მაგრად აცემინა... – გ. გ.

<sup>18</sup> გამოვტოვეთ კოპარის და ერთი დომინიკანელის ურთიერთობის ამბავი – გ. გ.

<sup>19</sup> აქ ზედმეტად მივიჩნიეთ კოპარის ჭირვეულობის აღწერა – გ. გ.

წყალობით დიდი პატივით მიიღეს და მოახლოებული ზამთრის გამო გადაწყვიტა გაზაფხულამდე იქ დარჩენილიყო.

აზიელი თურქი, როგორც კი ევროპელს დაინახავს, მაშინვე ექიმად იღებს. რაინგსთან ყოველ დილით მრავალი აუადმყოფი მოდიოდა და, რადგან ესეც დაუღალავად იღებდა მათ, მოიხვეჭა არა მარტო მთელი ქალაქის სიყვარული, არამედ განსაკუთრებული მეგობრობა მუფტის, ყადისა და ამ მხარის ვოევოდის, რომლებიც სულ ერთად იმყოფებოდნენ. რაინგსს მიეცა საშუალება დაუფლებოდა თურქული მეცნიერების მიღწევებს, აღწესსა წარწერები, სიძველეები და სხვა ღირსშესანიშნაობები. განსაკუთრებით საფუძვლიანად ისწავლა ბამბის ქსოვილების წითლად ღებვა და საფიანის დამზადება<sup>20</sup>... კოპარიმ გადაწყვიტა დაუფლებოდა საექიმო საქმეს და აიძულა რაინგსი მისთვის მედიცინაში ლექციები წაეკითხა; მიუხედავად უცოდინრობისა და რაინგსის მიერ მრავალჯის დაშლისა, ირწმუნა, რომ უკვე ექიმია და დაჟუღჟე ქექიმიც კი შეირქვა. კოპარიმ მონდომა თავის გამოჩენა და მოისურვა ყადის საყვარლის განკურნება. მისცა ისეთი აბები, რომ ქალი კინაღამ მოკვდა. ყადიმ დაიჭირა კოპარი და აიძულა დარჩენილი აბები თვითონ ჩაეყლაპა... ამის თაობაზე მოხდა შელაპარაკება რაინგსსა და კოპარის შორის... რაინგსს თავის მეგობართან ახმედ ეფენდისთან მიმოწერა ჰქონდა კონსტანტინოპოლში. ეფენდი თხოვდა, სპარსეთში გამგზავრებამდე კვლავ შეეველო მასთან კონსტანტინოპოლში და სამგზავროდ გამოეგზავნა 500 პიასტრი.

...რაინგსი ხუთ დღეში ჩავიდა კონსტანტინოპოლში...

ძნელი წარმოსადგენია ის სიხარული, რაც რაინგსმა მიანიჭა თავისი ჩასვლით კეთილშობილ ახმედ ეფენდის. რაინგსი აღბათ დიდი ხნით გადასდებდა თავის მგზავრობას სპარსეთში და თავისი მეგობრის სიახლოვეს დარჩებოდა კარგა ხანს, რომ ხელი არ შეეშალა შავ ჭირს, რომელიც ამ ქალაქსა და მთელ მხარეში მძვინვარებდა. იგი სასწრაფოდ გაეშურა უკან.

თოხათისაკენ უკან მგზავრობისას გაეცნო ის ქართველ ელჩს, რომელიც მეფე ერეკლეს გამოეგზავნა პორტაში და ახლა უკან

<sup>20</sup> საკირეელია, რომ რაინგსს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ დაუტოვებია. ანდა ეს ჩაუვარდა ისეთ პირს, რომელმაც არც კი იცის მისი სათანადოდ გამოყენება - გ.

ბრუნდებოდა ტფილისისაკენ. ელჩმა თავი შეუძლოდ იგრძნო, როგორც ეს აზიელებს მოსდით, როცა ექიმს ხედავენ. რაინგსმა იგი მოარჩინა, რის გამოც მან ის დაასაჩუქრა და გულითადად შეიყვარა. ამ ელჩის დახმარებით და მის ამაღასთან ერთად რაინგსს მიეცა საუკეთესო საშუალება თურქეთის საზღვრები გადაელახა (ყველაზე ძნელი საქმე ევროპელი მოგზაურისათვის): მაგრამ, რადგან რაინგსს ჰქონდა მრავალი წერილი და ბრძანებები კონსტანტინოპოლიდან და გარდა ამისა გადაწყვეტილი ჰქონდა დანსარას ცნობილი შაბის ქარხნები ენახა და ოლთში ბორაქსის დამზადება შეესწავლა, ამიტომ დაემშვიდობა ელჩს. მათ ერთმანეთს აღუთქვეს მეგობრობა.

როგორ გაუკვირდა კოჰარის, როცა ხუთი კვირის შემდეგ რაინგსი დაბრუნდა.

რაინგსმა ერთხელ კიდევ და საბოლოოდ შესთავაზა კოჰარის თავისი დახმარება. კერძოდ, თუ მას არ აწყობდა კონსტანტინოპოლი, ცხრა დღეში თარსში ჩავიდოდნენ და კუნძულ კვიპროსისაკენ აიღებდნენ გეზს, საიდანაც დააბრუნებდა საქრისტიანო სამყაროში...

კოჰარიმ განუცხადა, რომ ის და მისი კამერდინერი უმისოდ ფეხს არ გადაადგამდნენ და სურდა თუ არა, უნდა მოეთმინა...

ზაფხული უკვე დგებოდა და სპარსეთისაკენ მიმავალი ქარავანი მზად იყო. რაინგსი თავისი ორი კეთილშობილი ძმით შეუერთდა ქარავანს და ჩავიდა ერზრუმში, დიდი არმენიის დედაქალაქში.

აქ რაინგსი დაეწაფა ყველაფერს, რაც მოიცავდა სიძველეებსა და ბუნებათმცოდნეობას, კონსტანტინოპოლიდან წამოღებული წერილები მას დიდად გამოადგა. მათი დახმარებით მოიარა ქურთისტანის მთები და ეფურატის ყინულოვანი სათავეები. ერზრუმში დაბრუნებულს დახვდა მეფე ერეკლეს წერილი, რომელშიც მეფე სთავაზობდა ტფილისის გავლით ემგზავრა სპარსეთში. ერზრუმში მყოფ ქართველ ვაჭარს ებრძანა, რომ მეფის სახსრებით ყოველივე შეეძინათ რაინგსისათვის, რაც მას სამოგზაუროდ დასჭირდებოდა. რაინგსმა ეს მოწვევა სიამოვნებით მიიღო, მგზავრობის ხარჯებზე კი უარი უთხრა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა მოენახულებინა აღმოსავლეთში ერთობ ცნობილი ადგილი ერმიადინი, ანუ სამი ეკლესია.

მან გაიარა ყარსი და თურქული საზღვრები, ნანგრევებით სავსე სპარსული ველები და მიადგა არარატის მთების ძირსა და სამი

ეკლესიის სამოთხისებურ მხარეს. აქ არის რეზიდენცია ხალიფასი, ანუ სომეხი ქრისტიანების მეთაურის. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიან სომხები ამ მხარეში მოსალოცავად, რომელიც მართლაც და უმშვენიერეს ვაკეზე ძევს.

ხალიფა, რომელსაც რაინეგის შესახებ წინასწარ ჰქონდა მიღებული შუამდგომლობის წერილი კონსტანტინოპოლელი პატრიარქისაგან, ზაფხულის სიცხის გამო იმყოფებოდა აქედან ერთი დღის სავალზე მდებარე საზაფხულო ბანაკში. როგორც კი შეიტყო მან რაინეგის ჩასვლის ამბავი, მაშინვე მიიწვია თავის საზაფხულო სადგომში თანმხლებებთან ერთად და გამოუყო წინასწარ გამზადებული, ხალიჩებითა და ყველა საჭირო ნივთით აღმოსავლურად მდიდრულად გაწყობილი კარავი. ჩვენ სამ მოგზაურს არც კი ჰქონდა გამოცვლილი ტანსაცმელი, რომ ხალიფამ ისინი თავისთან იხმო.

რაინეგს გააკვირვა ამ მოხუცი კაცის მეფურმა, მოსიყვარულე გამომეტყველებამ და გულითადად მოპყრობამ, რომელიც უფრო იშასხურებდა პატივისცემასა და უდიდეს მოწიწებას, რადგან თავისი მოგზაურობით ინლოეთში, ჩინეთში, მოსკოვსა და სხვაგან შეროვებული ჰქონდა სხვადასხვა ცნობები, ამ მხარეებისათვის უცხო გამოცდილება და თავისი მონაყოლით რაინეგსაც არც თუ მცირედ განანათლა. ეს უკანასკნელი ვალდებული იყო დღისით ხალიფას სუფრასთან დანაყრებულებოდა; ბ-ნ კოჰარის კი, რომელსაც არ შეეძლო აღმოსავლურად ფეხის მორთხმა და უგებანოდ იქცეოდა, თავის მხლებელთან ერთად ცალკე ემსახურებოდნენ... კოჰარიმ თავისი ხასიათი აქაც გამოამჟღავნა...

... ცხრა დღე დარჩა რაინეგსი ხალიფას საზაფხულო ბანაკში და ალბათ მეტ ხანსაც იქნებოდა, რომ მეფე ერეკლეს გამოგზავნილი ამალა არ მოსულიყო მის წასაყვანად ტფილისში.

უსიამოვნოდ დათანხმდა ხალიფა მის წაყვანას, ოღონდ პირობა ჩამოართვა, რომ სპარსეთში მგზავრობისას აუცილებლად სამ-ეკლესიაზე გაივლიდა...

რაინეგსმა ის იყო გაიარა ერევანი და მისი ხრიოკი მიდამოები, რომ ქართლის (გეორგიის) საზღვრებში შევიდა და დაინახა ცამდე აწვდილი იქაური მთები, სადაც ერთმანეთზე მიჯრილი ქედები კავკასიონამდე აღწევენ და გადამთიელ მეზობელს უხშობენ

შემოსასვლელს. თუკი ერეკლე მოისურვებს, გზა იხსნება, მაგრამ ის ქურციკებისთვის უფროა გაკვლეული, ვიდრე ადამიანისათვის. კეთილმა ბუნებამ დაიცვა ქვეყნისა და ერთი მუჭა ხალხის მდიდარი საგანძური, როდესაც შექმნა ნარევი: რაც აზიას აქვს განსაკუთრებული და ევროპას თავისებური, აქ ერთად მოაქცია...

რაინეგსი და მისი თანმხლებნი ერთი დღის სავალზე იყვნენ ტფილისიდან, როცა მან დაარღვია ღუმილი კოპარისთან და უთხრა: ...ხვალ დილას ვიქნებით ქრისტიანი მეფის რეზიდენციაში, რომელიც იმდენს გვპირდება, რაც შეიძლება წესიერ ადამიანს აღუთქვა. გაფიცებთ, რომ მდაბიური საქციელით არ შეარცხვინოთ თქვენი და თქვენი ერის სახელი!.. ჩვენ ტფილისში შევხვდებით ევროპულ მისიონერებს, რომლებიც გაგარკვევენ სიძნელებში...

ბოლოს საზოგადოება ტფილისში ჩავიდა და მოთავსდა წინასწარ გამზადებულ საცხოვრებელში, სადაც რაინეგსი მხურვალე მოუთმენლობით ელოდა მეფე ერეკლეს მოსვლას, რომელიც რამდენიმე დღის სავალზე იმყოფებოდა თავის საზაფხულო ბანაკში. ბ-ნი ფონ კოპარი კი, რომელსაც განცალკევებულ ოთახში საკმაო დასვენებისა და მოფიქრების დრო ჰქონდა, ისევ არასწორ გზას დაადგა.

რაინეგსს მეფის სახელით გულითადად შეხვდნენ და ყოველივე, რაც სჭირდებოდა, ჭარბად მისცეს. კოპარიმ, რომელსაც ასეთი პატივი გაუკვირდა, თავისთვის გაიფიქრა: მე გამაღმერთებენ, თუკი ვიტყვი, რომ ვარ ბ-ნი ფონ კოპარი; რადგან ჩემი ტიტულის ევროპელი გაცილებით მეტია, ვიდრე ქართლის (გეორგიის) მეფე! მაინც გადაწყვიტა, რომ ჯერჯერობით თავისი ტიტული და სახელი დაემალა, ხოლო ცხოვრების მანერით საბაბი მიეცა ეჭვისათვის, რომ მასში რაღაც დიდია დამალული.

ერთ საღამოს სასწრაფოდ იხმო რაინეგსი: „...ამიერიდან გიბრძანებ განსოვდეს, რომ მე ვარ გრაფი ფონ კოპარი!... ჩემი წოდება არ მაძლევს უფლებას თქვენთან ერთად დავჯდე სუფრასთან, ამიტომ ჩემი თვიური შემოსავალი და სახარჯო ფული წინასწარ მომეცით... ამიერიდან ვიკრძალავთ ჩემს საზოგადოებაში ყოფნას, ჩემთან ურთიერთობას და ხლებას; რადგან მე კი არ ვმგზავრობ თქვენთან, არამედ თქვენ მახლდით მე! – გარდა ამისა გირჩევთ, რაც შეიძლება მალე მომცეთ 6000 გულდენი, თუ არა, ნახავთ, რასაც მოვიმოქმედებ!“ –

...რაინეგსმა გაიხზო მსახური და რამდენიმე თვის სახარჯო ფული წინასწარ მისცა... კოპარომ მოიშორა რა რაინეგსი, დაიწყო დროსტარება მისიონერებთან და თავისი გეგმა რომ შეესრულებინა, იწყო მათი ყურების გამოჭედვა თავისი დიდებულების შესახებ გაუთავებელი მოყოლით... კოპარი უწუნებდა ამ ბერებს ევროპულად დამზადებულ საჭმელს; თუკი ისინი მისთვის რაიმეს გაკეთების სურვილს გამოამჟღავნებდნენ, მოწყალე ბატონი მაშინვე აიძულებდა შესრულებას; თუკი ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, ბ-ნი ფონ კოპარის ბრძანებები მრისხანე და უხეში ხდებოდა... ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ ის დიდებული წარმოშობისა იყო. კაპუცინელებმა დაიჯერეს (და მათი მიბაძვით მდაბიო ხალხმაც), რომ კოპარი იყო ლუთერანი მეფის ვაჟი, ან თვით ლუთერანი მეფე.

ამასობაში პრინცი ერეკლე დაბრუნდა თავის რეზიდენციაში... კოპარომ თავის თავს დაუსვა გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რა ჯობდა: პირველად თვითონ მისულიყო პრინცთან, თუ... დაეცადა მისი ხლებისათვის?

რაინეგსი მარტო და ძალზე თბილად მიიღო პრინცმა; ხანგრძლივმა საუბარმა დაადასტურა ორმხრივი კმაყოფილება. პრინცი დარწმუნებული იყო, რომ რაინეგსში ნახავდა იმას, რისი იმედიც ჰქონდა; ეს უკანასკნელი კი მბრძანებლის პიროვნებაში ნამდვილად ხედავდა კაცს, რომლის მსგავსი საუკუნეებში ერთი თუ იბადება. ეს ის კაცია, რომელიც ნადირ ყული-ხანს ინლოეთში ახლდა და საქართველოში დაბრუნებისთანავე აქ გაბატონებული თურქების ჯარები ისე დაამარცხა და გაფანტა, რომ ველარ ბედავენ მისი სამფლობელოს საზღვრებში შემოსვლას. ეს ის კაცია, ვინც დააძაბუნა სპარსეთი, რომელიც ადრე დიდი ძალებით უტევდა, ვინც ჯარების სარდალი და მბრძანებელი აზატ ხანიც კი დაატყვევა და მაშინდელ მმართველ ქერიმ-ხანს სპარსეთში გაუგზავნა, ხოლო თავის ქვეყანაში 22 წელია სიმშვიდე დაასადგურა! მაგრამ ყველა ეს საქმე ამ პრინცის განსადიდებლად არასაკმარისი იქნებოდა, რომ მას თავისი შინა მტრები არ გაენადგურებინა და კავკასიაში მცხოვრები ის ხალხები თავის სამსახურში არ ჩაეყენებინა, რომელთაც ადრე არაფერი იცოდნენ ყმობისა. ასეთებია ამჟამად დილო, ყარა-ყალკანები, ოსები, თუშები, ხევსურები, თვით დაღესტნელი თათრები, რომელთაც მან უიარაღოდ სძლია, მხოლოდ მოწყალეობით, სიბრძნითა

და სიყვარულით! ასეთი მმართველი, რომელიც გარდა ამისა არის კაცთმოყვარე, თავისი ხალხის მზრუნველი მამა და მეცნიერებათა მოყვარე, რაც აქ ძალზე აკლიათ, განა არ იმსახურებს საყოველთაო აღიარებას? – ამიტომ რაინეგსმა ვერ შეძლო უარი ეთქვა ამ მმართველის დაინებულ მოთხოვნაზე, დარჩენილიყო რამდენიმე წელი საქართველოში. ამ სამსახურისათვის მეფე ძალზე მაღლობელი დარჩა და უბოძა ვერცხლისა და ფაიფურის ინდური ჭურჭელი.

მეფე და რაინეგსი კიდევ უფრო დაახლოვდნენ ერთი შემთხვევის გამო. სახელდობრ, რაინეგსმა მეფის უფროსი ვაჟი გიორგი ხანი ცხელებისაგან მოარჩინა. მეფემ რაინეგსს გაუგზავნა ათასი პიასტრი ფულად, ხოლო მეორე ათასის უძვირფასესი ქსოვილები და ბეწვეული ტანსაცმლისათვის; ისეთი, როგორსაც მეფე და უფლისწულები ატარებდნენ.

ამ დღიდან დაწყებული, რაინეგსი თუკი მივიდოდა კარის დღესასწაულებზე, ანდა მეფის სუფრაზე მიიწვევდნენ, ჯდებოდა მეფის უფროსი ვაჟის გვერდით...

ხალხის პატივისცემისათვის მაღლობის გადახდის მიზნით მან სთხოვა მეფეს სათანადო დაცვა და ნებართვა მოეწყო საქართველოს ჩრდილოეთი მთიანი მხარეები. აქ მას მიეცა ასპარეზი და საუკეთესო საშუალება თავი გამოეჩინა ქვეყნის წინაშე, რომელიც (ქვეყანა – გ. გ.), ასე რომ ეთქვათ, ჯერ კიდევ ბავშვობის ხანაშია (განვითარების მხრივ – გ. გ.), ხოლო მოსახლეობა ძალზე მოწყურებულია ცოდნას.

რაინეგსმა მათ ასწავლა ევროპული წესით ღვინოთა დნობა, რაც აქ ძალზე უხვდაა; ასწავლა ქვემეხთა ბურღვა, ააშენა ზარბაზნების საჩამომსხმელო. მთავრის თხოვნით ააშენებინა თოფის წამლის წისქვილი და კიდევ რამდენიმე მექანიკური საწარმო, რომელთა შესახებ საქართველოში, მანამდე არაფერი იცოდნენ. ამ და კიდევ სხვა საქმეებით ისეთი მეგობრობა და სიყვარული დაიშახურა მეფის თვალში რაინეგსმა, რომ მეფეს ის ხშირად თავის მამას და მეგობარს უწოდებდა.

კოპარი – კმაყოფილი თავის ცხოვრებით – ჭამა-სმით, ძილით, კაპუცინელებთან კინკლაობით, სახლში ბანქოს გაშლის შესაძლებლობით – აშხდრდა რაინეგსის წინააღმდეგ. ხელაუღრა რა რაინეგსის აღზევებულ მდგომარებას საზოგადოებაში, მისთვის გაბუტვის შემდეგ წერილობით



მოსთხოვა – ერეკლესათვის გამოერთმა 20000 გულდენი, რომლიდანაც 6000 გულდენს მას მისცემდა. ამაზე მიიღო რაინეგსის მოკლე უარი... მაშინ კოჰარიმ გადაწყვიტა კაპუცინელთა მეშვეობით გაეგებინებინა ერეკლესათვის თავისი დიდი წარმომავლობის შესახებ (იფიქრა, რომ ერეკლეს ააკანკალებდა ეს ცნობა). ამ საქმისათვის მოძებნა ერთი კაპუცინელი – უგუნური გერმანელი ტრიესტიდან. კაპუცინელმა ერეკლესგან მიიღო პასუხი: „კოჰარის შეეძლო აღრეც შეეტყობინებინა თავისი სურვილი, ანდა რაინეგსის თანხლებით, როცა ეს უკანასკნელი მოისურვებდა, მისუღიყო მასთან. სხვანაირად კი არ მიიღებდა“.

იმავე დღეს ერეკლე გაემართა რაინეგსთან, რომელიც საქმეების გამო ქალაქკარეთ იმყოფებოდა: „მე არასოდეს მიმიქცევია ყურადღება, თუ ვინ იყვნენ თქვენი თანმხლები პირები. მას შემდეგ, რაც მათ ჩემთან მოსვლაზე უარი თქვეს, ბევრი ჩემი კარისკაცი, ჩემდა გასაკვირად, ცდილობს დამიმტკიცოს, რომ ერთ-ერთი თქვენი თანამგზავრი არის ლუთერანი მეფისწული;... დღეს ამ მოგონილი ხელმწიფის ვაჟის შესახებ მომახსენეს; მაგრამ მე ვარჩიე არ მიმელო ის თქვენს დაუსწრებლად, ძვირფასო რაინეგს, მოუხედავად იმისა, რომ მიმტკიცებდნენ – თქვენი ურთიერთობა არაა მთლად კარგი“.

რაინეგსი ისე შეცბუნდა, რომ მეფეს ერთი სიტყვაც კი ვერ უპასუხა. ამიტომ მეფე მას ესაუბრა მექანიკური სამუშაოების შესახებ და, რადგან ზარბაზნების საჩამომსხმელო შენობა მზად იყო, ხოლო გამოცდამ სავსებით დაიმსახურა მეფის მოწონება, ერეკლემ ბრძანა: ბ-ნი რაინეგსის დამსახურება და სახელი სპარსულად ოქროს ასოებით ამოეკვეთათ მარმარილოს ფილაზე და შენობის გარე შემოსასვლელის თავზე საშუალო ძველად აღმართათ. მაღლიერების გრძნობით მოცული რაინეგსი გაჰყვა მეფეს ქალაქისკენ და, აკრძალვის მიუხედავად, ჩასვლისთანავე ბ-ნი კოჰარისთან მივიდა (13 თვის მიუსვლელობის შემდეგ); „თქვენ გსურდათ მეფე ერეკლეს ნახვა, მაგრამ მან უჩემოდ არ მიგიღოთ. თუ გსურთ, ამაზე უკეთეს დროს თქვენ ვერ გამოძებნით“.

კოჰარიმ ამაზე უარით უპასუხა და კვლავ მოსთხოვა 6000 გულდენი, რადგან თვლიდა, რომ მას ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ამასთან, დაემუქრა „გავგზავნი წერილს საქრისტიანო სამყაროში, რაც მე დანმარებას, ხოლო შენ ბორკილებს მოგიტანსო...“

კოპარიმ რაინეგსი გაავლო და აუკრძალა მისვლა, სანამ 6000 გულდენს არ მოუტანდა... მოუხდავად თანამგზავრების მხრივ ნერვების მოშლისა, რაც ყოველდღიურად მატულობდა, რაინეგსი ქვეყანას ბეჯითად ემსახურებოდა. მან სპარსულად თარგმნა ბ-ნი ფონ ზონენფელზის საპოლიციო მეცნიერების დებულებები, რაც საბედნიეროდ მის წიგნებში აღმოჩნდა. ერეკლეს ეს ძალზე ეამა, ხოლო შემდეგ თვითონ გადმოაქართულა და რაინეგსის მიერ ახლად გამართულ სტამბაში დაბეჭდინა. სტამბა რაინეგსმა საკმაოდ ძვირად გამოიწერა ვენეციიდან. რადგან ერეკლემ იცოდა, რომ რაინეგსზე უკეთესად ეს მეცნიერული დებულებები არავის ესმოდა, ამიტომ მას უწყალობა მაშული ხუთასი კომლით და მისცა უმაღლესი პატივი (უფლება) ზონენფელზის საპოლიციო მეცნიერების სიბრძნის მთელ საქართველოში (Georgien) დანერგვისა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო რაინეგსზე კმაყოფილი, რომ ბედს არ დაეკავშირებინა ისეთ კაცთან, რომელიც ყოველდღიურად გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებდა. რაც დრო გადიოდა, კოპარი მით უფრო მძიმე ტვირთად აწვებოდა კაპუცინელებს. მათი მოთმინება უფრო მკაცრად გამოცდის წინაშე დადგა, როცა კოპარი ავად გახდა. კაპუცინელებმა თავისი წამლებით ვერაფერი მოუხერხეს ავადმყოფს (ესენი არიან არა მარტო მისიონერები, არამედ მკურნალებიც იყვნენ ამ ქვეყანაში). ბ-ნი კოპარი მოუსვენრობდა... ერთ იტალიურ გაზეთში მან წაიკითხა, რომ მისი ძმა გრაფი ოგნაც ფონ კოპარი გარდაცვლილიყო... ერთადერთ მემკვიდრედ კოპარის თავისი თავი წარმოედგინა. ამ ცნობით და ავადმყოფობით გაღიზიანებული აუტანელი შეიქნა... ციტა ხანში მართლაც ფიზიკურად მორჩა, მაგრამ დაბრმავდა... მთელი ტვირთი ისევ რაინეგსს დააწვა...

...ბ-ნმა ფონ კოპარიმ 1780 წლის 20 აპრილს მოინდომა თავისი 15 თვის საჭმლის ფული ერთბაშად წინასწარ მიეღო; რაინეგსმა გაუგზავნა მას 500 პიასტრი და კიდევ ერთხელ სთხოვა... რომ ყოველთვიურად გამოერთმია დადგენილი თანხა...“ (ტფილისი, 1780 წლის 26 აპრილი).

\* \* \*

რაინეგსის ეს ისტორია მის ბიოგრაფებს ძალზე უძნელებს საქმეს, დაადგინონ სადაა სინამდვილე და სად სიყალბე, ჭეშმარიტება და გამოწვევა...

რაინეგსი ყოველთვის ამოუცნობია, როცა მისგან ვისმენთ საკუთარ თავზე ნათქვამს. კაცს, რომელიც სახელს იცვლის, დაბადების ადგილს ხშირად სხვადასხვანაირად უთითებს, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე სარწმუნოებას აღიარებს, როგორ შეიძლება ასეთს დაუუჯეროთ...

ღისადმი გაგზავნილი ზემოთ ნახსენები წერილის მიხედვით, რაინეგსი უნგრეთიდან სმირნაში კონსტანტინოპოლის გავლით ხმელეთით ჩავიდა. ამ წერილში უზუსტობას ვერ შევამჩნევდით, რომ რაინეგსი კოპარისთან ერთად მოგზაურობის ისტორიაში უმცირესი დეტალებით სხვანაირად არ ხატავდეს სურათს. უფრო სწორი იქნება, თუ დაუშვებთ, რომ ის 1776 წლის პირველ ნახევარში გავიდა უნგრეთიდან, იყო ტრიესტში, ვენეციაში და ა. შ. (კოპარისთან ერთად თუ არა, ეს სხვა საქმეა) და არა ის, რომ შემნიციდან პირდაპირ ხმელეთით კონსტანტინოპოლში ჩავიდა, ხოლო შემდეგ იქიდან გაემართა სმირნისაკენ, საიდანაცაა გამოგზავნილი წერილი. როგორც ბარონი კარლ ფონ მ...რი მოგვითხრობს, უკვე შემნიცში გადაწყვიტა, რომ პირველად კონსტანტინოპოლში ეცადა ბედი. განა მას არ გაუხარდებოდა ამ ქალაქში – თავისი მომავალი ბედნიერების ერთადერთ იმედში – მძიმე მოგზაურობის შემდეგ მოხვედრა? განა ის იქიდან იმაზე ადრე წავიდოდა, სანამ თავის სურვილს არ აისრულებდა? განა ამას ის სმირნაში უკეთესად შეასრულებდა, ვიდრე ოსმანთა დედაქალაქში? – მე ვფიქრობ, საეჭვოა.

მისი მოგზაურობის ისტორია შემნიციდან ვენეციაში, იქიდან ზღვით სმირნაში და შემდგომ კონსტანტინოპოლის გავლით თოხათში, როგორც ამას რაინეგსი გვთავაზობს, ბევრ უცნაურს სათავეადასაველოს უნდა შეიცავდეს. განსაკუთრებული შემთხვევა, როცა რაინეგსი და კოპარი ვენეციაში კვლავ უეცრად შეხვდნენ ერთმანეთს, საკმაოდ რომანტიკულია; მაგრამ მე მასში შეუძლებელს და მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. რაინეგსი ყოველივე ამას ისე მრავალმხრივ აღწერს, რომ თითქმის არავითარი ეჭვი არ გვეპარება მის სინამდვილეში. მაგრამ, თუ მის სამოგზაურო ისტორიას ჭეშმარიტად მივიჩნევთ, შევეყრებით სიძნელეს, რომელიც ერთი შეხედვით არც თუ ადვილი დასაკავშირებელია. რაინეგსის სიტყვით, კოპარი 1776 წლის 24 აგვისტოს გაემგზავრა ვენეციიდან, თვითონ კი ერთხანს დარჩა პადუაში, რათა მცენარეთა საკითხი მოეგვარებინა; ორი თვის მერე, ანუ სექტემბერში გაუყვა

გრაფის გზას და 60 დღეში, ე. ი. მხოლოდ დეკემბერში ჩავიდა სმირნაში. ამდენად, როგორ შეეძლო მას თავისი დისთვის იმავე წლის 22 ივლისს სმირნადან წერილი მიეწერა? – ეს შეუძლებელია; მაინც უნდა ვცადოთ ავხსნათ ეს აშკარა წინააღმდეგობა. საქმე ასე წარმომიდგენია: რაინეგსმა გრაფთან ერთად გადაწყვიტა აღმოსავლეთისაკენ გამგზავრება; თავდაპირველად მათ სურდათ ხმელეთით წასვლა, ხოლო გარემოებებმა შეძღვრებში გვემა შეაცვლევინეს; რაინეგსმა, რომელსაც ყოველთვის უყვარდა თავისი საქმიანობისათვის მიეცა საოცარი და რომანტიული სახე, ეს წერილი დაწერა და გააგზავნა გამგზავრებამდე გაცილებით ადრე. მისი დისთვის სულერთი იქნებოდა, ეს მოგზაურობა მას ახალი გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ უკვე დამთავრებული და, რათა მის დასა და დედას ზედმეტად არ ეღელვათ, მისწერა, თითქოს უკვე ემგზავროს. რაც მე ამ მოსაზრებაში მხარს მიჭერს, ესაა თავისი დისთვის მიცემული მისამართი, სადაც რაინეგსისათვის გამოგზავნილი წერილი უნდა მოსულიყო; კერძოდ, ტრიესტში საფრანგეთის კონსულთან. აქედან გამომდინარე, რაინეგსმა ალბათ ფიქრობდა, რომ საპასუხო წერილის მოსვლის დროისთვის ის ან ტრიესტში, ან ვენეციაში იქნებოდა, ანდა რაინეგსთან წინასწარი შეთანხმების მიხედვით ფრანგ კონსულს ტრიესტში ეცოდინებოდა, თუ საით გადაეგზავნა წერილი. ეს შეთანხმება ვენეციიდან უფრო ადვილი იყო, ვიდრე სმირნადან. რაინეგსს რომ წერილი მართლაც სმირნადან მოეწერა, სადაც ის პასუხს დაელოდებოდა, ის იქაურ მისამართსაც მიუთითებდა. ჩემ მოსაზრებას ცოტათი ისიც ამაგრებს, რომ წერილში სამ ადგილას დამახინჯებულია ქალაქ სმირნას სახელწოდება. რაინეგსს რომ ნამდვილად სმირნაში ეცხოვრა, განა არ ეცოდინებოდა, რომ ზემოსაქსონურ დიალექტზე შმირნა არ უნდა დაეწერა?...

...გავაგრძელოთ ჩვენი უცნაურის მოგზაურობა სმირნადან...

დელისადმი 1777 წლის 11 იანვარს კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილ წერილში რაინეგსი სმირნადან კონსტანტინოპოლში გამგზავრებისას ნამდვილად გამონაგონ მიზეზს იძლევა. როგორ შეეძლო ღარიბ, ცოტა ხნის წინ გაჭირვებულ რაინეგსს ასე მოკლე დროში სმირნაში ყოფნისას შეეძინა ისეთი სიმდიდრე, რაც მის მსახურებს გამამაგებდა და გაამეტებინებდა პატრონს მოსაწყამლად? ასეთი რამ მას

შეეძლო მხოლოდ მიაბიტი დედისათვის მიეწერა, ხოლო მოუკერძოებელი მკითხველი ამას არ დაიჯერებს! ამის საპირისპიროდ, მოგზაურობის ამ ნაწილს გრაფ კოჰარისთან სავსებით ბუნებრივი კავშირი აქვს. რაინგსი გააგზავნა მან წერილებითა და თამასუქებით კონსტანტინოპოლში სამეფო-საიმპერატორო ელჩთან; ამ უკანასკნელმა გრაფ კოჰარის დესპანი ძალზე უპატიოდ მიიღო და რაინგსმა პირველად დაინახა, რომ მისი თანამგზავრის დიდი და ლამაზი ტყუილებით გაცურებული იყო. ის იძულებული გახდა სხვა გამოსავალი ეძებნა და არაა გამორიცხული, რომ ამ ქალაქში თავისი ჭკუით, განსწავლულობით და თურქული ენის გარკვეული ცოდნით საკმაოდ მალე მოიწყო ბედი.

კონსტანტინოპოლიდან თოხათში შემდგომი მისი მოგზაურობის საწინააღმდეგოდ ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ ისტორიისა და სიბუველეთა, აგრეთვე გეოგრაფიის მოყვარულთათვის ძალზე უინტერესოა...

თოხათიდან გეორგიის დელაქალაქ ტფილისისაკენ მოგზაურობისას, კვლავ ვხვდებით საეჭვოსა და საწინააღმდეგოს..., რადგან რაინგსი თვითონ მის შესახებ ორნაირ ცნობას გვაძლევს, რომელთაგან ერთი, თუ მას ჭეშმარიტებად ჩავთვლით, მეორეს საეჭვოდ ხდის. საოცარია, რომ რაინგსი თავისი ცხოვრების ერთი და იგივე ამბავს ორჯერ ისე არ მოგვითხრობს, რომ არ გააძნელოს იმის გაგება, თუ რას ვენდოთ და რას არა; ის ყოველთვის ეწინააღმდეგება თავისთავს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მის გარდა სხვა მეგზურს ვერ ვნახავთ.

ის ნაწილი, რომელიც თოხათიდან ტფილისისაკენ მოგზაურობას ეხება, წინააღმდეგობაშია იმ ცნობასთან, რომელსაც დრ. რაინგსი იძლევა პროფესორ ჰაკეტისადმი (Hacquet) ლაიბახში გაგზავნილ წერილში. რაინგსმა ის დაწერა 1780 წლის 21 იანვარს ტფილისში; ჰაკეტმა ის მიიღო მხოლოდ 1781 წლის მაისში და გასაცნობად გადაუგზავნა ბერლინში ბუნების მკვლევართა საზოგადოებას, რომელმაც წერილი მოათავსა თავის გამოცემაში.<sup>21</sup> მკითხველებს მას მთლიანად გაეაცნობ, რადგან ყველას არ შეუძლია ეს „წერილები“ ნახოს; ხოლო, როგორც რაინგსის ცხოვრების მნიშვნელოვანი და აუცილებელი საბუთი, უნდა წარმოვაჩინოთ:

<sup>21</sup> იხ. ბერლინის ბუნების მკვლევართა საზოგადოების წერილები, ტ. 3. გვ. 398-406 - გ.

„როგორ ვწუხვარ“ – წერს რაინგესი მეგობარს – „რომ დიდი ხანია არავითარი ცნობა ვეროპიდან არ მიმიღია და თქვენთვისაც, ჩემო საუკეთესო მეგობარო, მთელი წელიწადია არაფერი შემიტყობინები! ჩემ თავს მე თვით გავიმტყუნებდი, რომ დაკავებული არ ვყოფილიყავი მრავალი საქმით ქვეყანაში, სადაც უკვე წელიწადნახევარია ვიმყოფები, იმდენად რომ წერილზე ფიქრის თავიც კი არ მქონდა... ერთი მეგობარი, ხვალ სმირნაში მიემგზავრება (ასეთი კაცი ძლივს გამოვძებნე ერთი წლის მანძილზე); მე არ გავუშვებ ხელიდან ასეთ შემთხვევას და ჩემს შესახებ მოკლე ცნობებს მოგაწვდით, რითაც ჩემს ხანგრძლივ სიჩუმეს მაპატიებთ.

უკანასკნელად მოგწერეთ ბაღდადიდან<sup>22</sup> 1778 წელს. მე ვიმედოვნებდი მოკლე ხანში საპრსეთში ჩავსულიყავი, მაგრამ მოკვდა ქერიმ ხანი და ეს სახელმწიფო მოიცვა საშინელმა არეულობამ, რაც ამჟამადაც გრძელდება. ჩემი მეგობარი ჰარუნ ალ-რაშიდი მოკლეს. ჩემი ქარავნის წყალობით (ნინევიიდან მიდიის გავლით დიდი არმენიისაკენ) გადაეურჩი ოსმანებს, რომლებმაც ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ სიმშვიდე არ იციან. მე გავიარე ნინევია და მისი სიძველენი – არბელენის ვრცელი ვაკე, მდიის ნაყოფიერი ვულები, ასურეთის სასაზღვრო მთები და ფფურატის ნაპირების აყობებით მივედი დიდი არმენიის მთების ცივ მხარეში და თვით ამ მდინარის სათავეებთან. ეს ცნობილი მდინარე გადმოედინება შავი მთის ქანების უამრავი ნაპრალებიდან. სათავეში წყალი ისე ცივია, რომ ვერც ადამიანები და ვერც პირუტყვი ვერ სვამს მას; სამი წუთია საკმარისი, რომ მასში ჩასმული ფრინველი გაიყინოს და მოკვდეს. მე ხუთი წუთი მქონდა ხელი შიგ ჩაყოფილი; აუტანელი ტკივილების გამო ოცდათხუთი საათის მანძილზე ვერ გავითბე.

„ამ საინტერესო წყაროებიდან მივედი ერზრუმში, აღვწერე ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობები, შემდეგ ვინახულე ქალაქი არცტი (Arzte), რომელსაც ბ-ნი ტურნფორი ამაოდ ეძებდა; აქედან ყარსის გავლით ჩველი ემპიაძინში, ანუ სამ ეკლესიაში. 11 დღის მანძილზე დავათვალიერე

<sup>22</sup> ამ წერილისადმი დართულ შენიშვნაში პროფესორი პეტეტი ამტკიცებს, რომ ასეთი რამ მას ბაღდადიდან არ მიუღია. ეს მე ჭეშმარიტებად მეჩვენება, რადგან, თუ შემოსვენებული სამოგზაურო ისტორია კოპარისთან ერთად სინამდვილეა (ამაში ეჭვის შეტანის საბაბს ვერ ვხედავ), მაშინ რაინგესს თოხათში ყოფნისას დრო არ ექნებოდა, რომ ასეთი მოგზაურობა მოეწყო – თოხათიდან ბაღდადში-

არარატის მთის და ქედის ლაბირინთები. ამდენი ხანი დამჭირდა, რათა კვლავ მის ძირში მივსულიყავი. შემდეგ გადაწყვეტილი მქონდა მდინარე არაქსის გაყოლებით აღერბაიჯანი გამეველო და მივსულიყავი კასპიის ზღვამდე; იქიდან კი სპარსეთში, მაგრამ ჩემი ბედის გამგებელს არ სურდა, რომ ამ სამეფოში ჩამეღწია...“

„ობრაჰიმ-ხანი, აღერბაიჯანის ერთი ნაწილის – ყარაბაღის მმართველი ავად იყო მწვავე ციებით. როგორც კი შეიტყვეს ჩემი ექიმობის შესახებ, მაშინვე ამ პრინცთან მიმიყვანეს... მე ხანი მოვარჩინე და აღვივსე მეგობრობითა და საჩუქრებით. ათასი ფუნტი სუფთა აბრეშუმიც კი მივიღე ამ პრინცისაგან. დიდმა მეგობრობამ, რაც სუფევდა ამ პრინცსა და გეორგიის მეფე ერეკლეს შორის, ამ უკანასკნელის სამფლობელოშიც გამითქვა სახელი და საგანგებო ელჩობით მიმიწვია ერეკლემ ტფილისში. მე ჩავედი ამ ქალაქში, რომელსაც ბ-ნი ტურნეფორი სავსებით უსაფუძვლოდ აკროსტოპოლისად თვლის. აქ მეფის საამებლად მიმიღეს დიდი პატივით. მეფე ერეკლეში მე ვნახე ღირსეული კაცი, როგორც კი ბუნებას შეუძლია შექმნას; მე ის შევიყვარე და ჩენი მეგობრობა ისე გაღრმავდა, რომ მას მამასაც კი ვეძახდი. ბედმა ამ მეფის მოწყალება კიდევ უფრო მეტი ძალით მომანიჭა. მეფის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე გიორგი ხანი ძალზე მძიმედ გახდა ავად. ჩემმა ევროპულმა პრაქტიკულმა ცოდნამ ის კვლავ ფეხზე დააყენა. ერეკლემ არ დაიშურა ჩემთვის თაკისი წყალობა: მეფური ტანსაცმელი, საუკეთესო ქსოვილები, ძვირფასი ბეწვეული, მნიშვნელოვანი ფულადი თანხა ჩემსკენ ნიაღვრად წამოვიდა; გარდა ამისა, ნება მომეცა სუფრასთან ყოველთვის მეფის გვერდით ვმჯდარიყავი და მისი ვაჟების საზოგადოებაში დაუბრკოლებლად გამოვიჩინილიყავი; მან მე მიბოძა ბეგის ტიტული – ამ ქვეყანაში აზნაურთა უმაღლესი ხარისხი; აგრეთვე მიწყალობა 7 სოფელი 500 კომლით სანამ საქართველოში დავრჩებოდი. აქედან მე ყოველწლიურად დაახლოებით 4000 გულდენის შემოსავალი მქონდა. ამის შემდეგ ამ ქვეყანაში მიწოდებენ იაკუბ ბეი-ს...“

„ასეთი იყო ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემი თავგადასავალი 1778 წლიდან, როცა მე თქვენ ბაღდადიდან მოგწერეთ. თქვენ ალბათ მკითხავთ, თუ რას ვაკეთებდი ამ ხნის მანძილზე? რა თქმა უნდა, არაფერს, გარდა ბუნებისმეტყველებისა... კერძოდ, მას შემდეგ, რაც მათ ენას დავეუფლე, მე ვასწავლიდი ამ ხალხს ქვეყანაში ბევრგან

გაფანტული ძვირფასი ლითონების უკეთ დნობას. მე მათ ვასწავლე თუჯის დნობა, აუუგე ღუმელები, ფოლადისა და თუჯის ქარხნები; თუჯის ქვეშეხებს, რომლებიც ადრე ძვირად და გაჭირვებით მოჰქონდათ რუსეთიდან, ჩემი ზედამხედველობითა და ადგილობრივი წარჩინებულების დახმარებით დაუწყეს ჩამოსხმა, ბურღვა და დამზადება. დენტის მზადება – ამ ქვეყანაში ყველაზე ძვირი საქმე – ჩემის თაოსნობით აითვისეს: მე მათ ვასწავლე ევროპული წესით, მცირე ხარჯებით დიდი რაოდენობის დენტის დამზადება. აუუგე თოფის წამლის მშენიერი და დიდი წისქვილები და საწყობები, რომლის შესასვლელზეც მარმარილოში სპარსულად ამოკვეთილია ჩემი სახელი და სხვა საქებარი სიტყვები; ასე ბრძანა ქვეყნის მპყრობელმა. აგრეთვე ყოველივე კარგი, რაც მე მოვიმოქმდე, საეკლესიო წიგნებში და მეფის ყოველდღიურ მატინანეში შეტანილი, რათა ჩემი სახელი უკვდავყონ. ასეთი იყო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მოკლედ ისტორია ჩემი მდგომარეობისა, საქმიანობისა და მოუცლევლობისა, რომ უფრო მეტი სიბეჯითით წარმომედგინა ჩემი დაკვირვებანი. მე ძალზე ბევრი შევაგროვე, მაგრამ მიჭირს ყოველივე წესრიგში მოვიყვანო, რადგან, ერთი მხრივ, ძალზე დაკავებული ვარ, მეორე მხრივ, გადავეჩვიე ევროპულად წერას, მას შემდეგ, რაც რამდენიმე წელია მხოლოდ თურქულად, სპარსულად ანდა, როგორც ამჟამად, ქართულად ვაზროვნებ, ვლაპარაკობ და ღლიურს ვაწარმოებ; ურთიერთობაშიც მას ვხმარობ. ყოველივე, რაც კი კონსტანტინოპოლიდან აქამდე ჩვენი სამყაროს ისტორიისათვის საჭირო შევაგროვე, სამ ნაკვეთად შევკარი, რომელთაგან ერთი თქვენ, მეორე ბერლინის ბუნებისმცოდნეებთან საზოგადოების მეგობრებს, მესამე შეკვრა კი რაინდ (კავალერ) შტრანგეს ვუძღვენი. ჩემმა მეგობარმა, რომელსაც ეს წერილი მოაქვს, ეს სამი შეკვრა წყვეული საბაჟოს შიშით არ წამოიღო სმირნაში; მომავალ გაზაფხულზე მე მას უეჭველად გავეზაფხი შავი ზღვის ნავსადგურ ბათუმიდან სტამბოლზე გავლით ტრიესტში. ამასობაში ვიმედოვნებ, რომ აღთქმულ სტატტიებს მოგიმზადებთ; რაც შეეხება ბალახებსა და თესლს, მე მათ ალბათ ზაფხულში შევაგროვებ და გამოგიგზავნი. ცარიელი წერილი რომ არ გამომივიდეს, ამიტომ გიგზავნი ნამდვილ მექურ ბალზამს, რომელიც ევროპაში ძალზე იშვიათად ჩამოღის ნამდვილი სახით – ერთი ჭიქა შეიცავს 25 არაბულ მისხალს, ანუ 38 1/2 დრაქმას; ეს კი მექაში ღირს 25



ვენეციური ცეხინი... მეორე, გიგზანით მცენარეს, რომლიდანაც აგროვებენ ამ ბალზამს. მე ვთვლი, რომ ევროპისათვის ეს სავსებით უცხოა, რადგან არცერთი ქრისტიანი მექაში არ ჩადის. ჩემმა კონსტანტინოპოლელმა მეგობარმა ახმელ ეფენდიმ ეს ორივე მაჩუქა. თვით მან კი ისინი მექადან ჩამოიტანა; მან 7 კაცს 20 დღის მანძილზე თავის თვალწინ აგროვებინა ბალზამი ამ მცენარის ფოთლებიდან და მხოლოდ 87 მისხალი მიიღო. აქედან შეგიძლიათ წარმოადგენა იქონიოთ ევროპაში შემოტანილი ბალზამის რაოდენობაზე, მის გაყალბებაზე გარეგნულად თუ შინაგანად. მცენარე არ აღეწერე, რადგან ჩემს შესაძლებლობაში არ ვიყავი ბოლომდე დარწმუნებული. ეს თქვენ თვით გააკეთეთ; ანდა, თუ თქვენ არ მოისურვებთ, გადაუგზავნეთ ბერლინში ბუნებისმკვლევართა საზოგადოებას...<sup>23</sup>

„... გთხოვთ კონსტანტინოპოლში მყოფი ჩემი მეგობრის საშუალებით საქართველოში გამომიგზავნოთ ლიტერატურული ჟურნალები და სხვა კრიტიკული სტატიები, რადგან ტფილისში დავრჩები კიდევ ერთ წელსა და 7 თვეს... მე გადაწყვეტილი მაქვს ვიმოგზავრო სპარსეთში, ჩინეთში და ინდოეთის ოკეანით და აფრიკის ნაპირებით უკან დავბრუნდე“.

„თუკი გადაწყვეტ აქედან პირდაპირ უკან დაბრუნებას, მე მოვისურვებ ამ ქვეყნების კიდევ ერთხელ მოვლას, მთელი ჩემი ქონება რომც დამეხარჯოს; ეს კი საკმაოდ მაქვს, რომ ევროპაშიც შეძლებულად ვიცხოვრო. გარდა ამისა ბამბის ქსოვილების წითლად ღებვა საფუძვლიანად შევისწავლე და ის შეცდომა, რის გამოც მან ევროპაში ფეხი ვერ მოიკიდა, ქიმიური გამოკვლევებით აღმოვაჩინე. საფიანი და ის ფერები, რაც მას უნდა მიეცეს, ჩემს ხელთაა!“

\* \* \*

თუ რაინეგისა და კოპარის ზემოაღნიშნულ მოგზაურობის ისტორიას თოხათიდან ტფილისამდე შევადარებთ ამ წერილის მონაცემებს, ჩვენ სხვადასხვა წინააღმდეგობებსა და დაუჯერებელ

<sup>23</sup> პროფ. პაკეტმა ერთი ცალი გადაუგზავნა ამ საზოგადოებას ბერლინში. ამ საზოგადოებამ რაინეგის აღმოსავლეთში მისი მოგზაურობის დროს 1776 თუ 1777 წელს თავის წვერად აირჩია. საზოგადოებამ დაავალა ბან გლუდინს მცენარის გამოკვლევა. შედეგები და შენიშვნები დაიბეჭდა ამ საზოგადოების კრებულის ზემონახსენებ III ტომში (გვ. 103-131) - გ.

უაქტებს წავაწყდებით, რომლებიც ძნელი ასახსნელია. კოპარისთან მოგზაურობის ისტორიაში რაინეგსი გვეუბნება, რომ გავიდა კონსტანტინოპოლიდან 1777 წლის 27 ოქტომბერს, ხოლო თოხათში ჩავიდა 23 დღეში, ე. ი. დაახლოებით 18 ნოემბრისთვის. აქ მან გადაწყვიტა გამოეზამთრებინა და გაზაფხულზე საპრსეთისაკენ მიმავალ ქარავანს გაჰყოლოდა. ამასობაში ის აქ ექიმობდა და მთელი ქალაქის და წარჩინებულთა სიყვარული დაიმსახურა. მას ჰქონდა საშუალება თურქულ მეცნიერებებში განსწავლულიყო, წარწერები, სიძველეები და სხვა ღირსშესანიშნაობები ჩაენიშნა და, გარდა ამისა, კოპარისთან რამდენიმე საათი მედიცინაში ლექციები ეკითხა. ყოველივე ეს მოითხოვდა რაინეგსისაგან დიდ დროს! — უფრო მეტიც: რაინეგსი კონსტანტინოპოლში თავის მეგობრებთან აწარმოებდა მიმოწერას; ამასაც დრო სჭირდებოდა; ის კონსტანტინოპოლშიც კი დაბრუნდა და ხუთი კვირის შემდეგ კვლავ თოხათშია. ასეთ შემთხვევაში, როგორ არ გავიდოდა რამდენიმე თვე და არ დადგებოდა ზაფხული, როცა ის ქარავანს შეუერთდა და ერზრუმში ჩავიდა! — არ რჩება თავისუფალი დრო — რამდენიმე კვირა, რაიმე შორი მოგზაურობისთვის, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანაში სწრაფი ფოსტა არ მოქმედებს და, რომც არსებობდეს, ასეთი მოგზაურობა უაზრო იქნებოდა. თუ დაუუჯერებთ რაინეგსის წერილს, ის ჩავიდა ბაღდადში, ნინევიასი და ა. შ. ესაა გზა, რასაც ის თოხათიდან იქით-აქეთ რამდენიმე თვე მოუნდებოდა! — შემდეგ ის ამბობს, რომ ერზრუმიდან, დიდი არმენიის დედაქალაქიდან, საიმულო დაცვის თანხლებით ქურთისტანის მთებში და ევფრატის ყინულოვან სათავეებში ავიდა; მეორეგან კი ნათქვამია, რომ მან ბაღდადიდან ნანევიის ნანგრევები, მიდიის ვაკე, ასურეთის მთები, ევფრატის სათავეები მოიარა და მხოლოდ შემდეგ ჩავიდა არზრუმში. რომელია მართალი და რომელი მცდარი?

გარემოებაც, რომელშიც რაინეგსი მეფე ერეკლეს გაეცნო, საეჭვო რჩება. მეფის მეგობრის ავადმყოფობა, რომელიც რაინეგსმა მოარჩინა, როგორც ჩანს, იყო პირველი და უეჭველი საბაბი; მაგრამ ერთგან რაინეგსი ამ მეგობარში ხელავს მეფის ელჩს პორტაში, რომელიც უკან მიემართებოდა ტფილისისაკენ და რომელსაც ის კონსტანტინოპოლიდან თოხათში დაბრუნებისას შეხვდა; — მეორე ცნობის მიხედვით

კი ეს მეგობარი იყო იბრაჰიმ-ხანი, ადერბაიჯანული პროვინციის ყარაბაღის მმართველი პრინცი, რომელიც მან მოარჩინა ცხელებისაგან. პირველი მონაყოლის მიხედვით რაინეგსმა ჯერ კიდევ ერზრუმში მიიღო მეფისგან მიწვევა ტფილისში ჩასასვლელად; ქართველ ვაჭარს ებრძანა, რომ მეფის ხარჯებით მგზავრობისათვის საჭირო ყოველივე მოემარაგებინა. რაინეგსი კი ჯერ ეჩმიაძინში წავიდა, საიდანაც ის მეფის საგანგებო ელჩობამ ერევანზე გავლით ტფილისში ჩაიყვანა.

ეჩმიაძინში ყოფნასაც რაინეგსი სხვადასხვაგვარად გვაცნობს; პირველი მოთხრობის მიხედვით ის ცხრა დღე დარჩა ხალიფას საზაფხულო ბანაკში, სანამ ქართლიდან გამოგზავნილი პირები არ მოვიდნენ; მეორე წერილის მიხედვით კი თერთმეტი დღე მოანდომა არარატის მთის ლაბირინთების მონახულებას, სანამ კვლავ მის ძირში არ ჩამოვიდა.

ასე განსხვავებულად მოგვითხრობს რაინეგსი ერთსა და იმავე ამბავს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? იგი რომ ორივე ცნობას ერთმანეთისაგან რამდენიმე წლის დაშორებით გვაწვდიდეს, ვაპტიებდით მეხსიერების ღალატის გამო. მაგრამ ეს ასე არაა, რადგან მან პროფ. ჰაკეტის 1780 წლის 21 იანვარს მისწერა, ხოლო მეორე წერილი მხოლოდ 3 თვის შემდეგ, 26 აპრილს გაგზავნა. მასში რაინეგსი არაფერს ამბობს საქართველოში ჩასვლის თარიღის შესახებ, პირველში კი გარკვევით წერს, რომ (1780 წ. იანვარი) ამ ქვეყანაში იმყოფება უკვე წელიწადნახევარი. ამდენად, ის 1778 წლის შუა ზაფხულში უნდა ჩასულიყო. სხვა თარიღს თავისი ბიოგრაფიის მკითხველებს არ უტოვებს; ეს კი ნათელს მოჰყენდა იმ გარემოებას, შეიძლო, თუ არა მან სამხრეთის შორეულ აზიურ ქვეყნებში მოგზაურობა.

მე საქმე ასე წარმომიდგენია; რაინეგსი ერთ მშვენიერ დღეს თავის მეგობრებს წარმოუდგა, როგორც გაბეღული მოხალისე მოგზაური და დასაშვებია, რომ უფრო დიდი მოგზაურობის გეგმა ჰქონდა შედგენილი, ვიდრე შეასრულა. ალბათ სძირნადან, ან კონსტანტინოპოლიდან მან ეს გეგმა გააცნო თავის მეგობრებს და დააიმედა, თუ რა ცნობებს მიაწვდიდა მომავალში იმ მხარეებიდან; მაგრამ სპარსეთში არეულობამ, თუ სხვა მიზეზმა, მას ხელი შეუშალა ყველგან ემოგზაურა თავისი გეგმის მიხედვით. მას სურდა, რომ მეგობრების თვალში ისევე ყოჩად, თამამ კაცად დარჩენილიყო და არ ჩათვალა საკმარისად

კონსტანტინოპოლიდან ტფილისისაკენ პირდაპირი გზით მოგზაურობის აღწერა. ამიტომ მან უკვე დამთავრებული მგზავრობა მეგობრებს ძალზე განუვრცო, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა, ხოლო თავის ხანგრძლივ დუმილს კი ამართლებდა წერილებით, რომლებიც მან თითქოს მისწერა. რაინეგსი დაიმედებული იყო, რომ ჭეშმარიტება ვერასოდეს დადგინდებოდა და ვერ წარმოედგინა, რომ ამ განსხვავებულ მონაცემებს ოდესმე შეაჯერებდნენ და შეისწავლიდნენ.

ჩემის აზრით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მისი მოგზაურობის ისტორია გრაფ კოჰარისთან ერთად უფრო ახლოა სინამდვილესთან, ვიდრე მეორე ცნობა, რომელიც რაინეგსმა თავის მეგობრებს კერძო წერილებში მიაწოდა, რადგან პირველი გაცილებით ნაკლებს საეჭვოს შეიცავს და ჩვენ შეგვიძლია მის მოგზაურობას უნგრეთიდან ტფილისამდე ნაბიჯ-ნაბიჯ გაეყვით, ისე რომ რაიმე მნიშვნელოვან ხარვეზს ვერ დავინახაო... დასანანია, რომ რაინეგსს ასე მრავალმხრივი პირობები და საშუალება ჰქონდა, შეეცნო თავისი ცნობები ყურადსაღები შენიშვნებით. ის გვიმტკიცებს, რომ დაწერილი აქვს შენიშვნები, მაგრამ მის დანატოვარში ან საერთოდ არ მოიძიება ან, მისივე თქმისა არ იყოს, დაწერილია ისეთ ენებზე, რომელთა გამოფერა ძალზე გაძნელებულია.

რაც შეეხება გრაფის საქციელს და ჩვენი რაინეგსის ნებისყოფას არ ჩანს, თუ ამ უკანასკნელს რა მიზეზი ჰქონდა, თავისი გამოუსადეგარი თანამგზავრის უხეშობის და უზნეობის ასეთი მოთმინებით ატანისათვის ამას გარდა, ყოველდღიურად თავის შემოსავალს, რასაც ბედი მას უგდებდა, დიდი ხელგამლილობით აძლევდა გასანიაკვებლად. რა უშლიდა ხელს, რომ მოეშორებინა თავიდან და ბედის ანაბარა დაეტოვებინა ისეთი კაცი, რომელმაც ის თავდაპირველად დაპირებებითა და სამოთხილ ალთქმით ლაბირინთში შეიყვანა, რომლიდანაც გამოსავლის ნახვა მხოლოდ ისეთ მოხერხებულ და საზრიან თავს შეეძლო, როგორც ჩვენ რაინეგსს ჰქონდა; ეს კაცი ახლა, როგორც მისი ბედნიერების და კმაყოფილების მძევალი, მას ჩრდილივით თან დასდევს?...

... მე მგონია შემდეგი: რაინეგსს გრაფთან აკავშირებდა რაღაც განსაკუთრებული მიზეზები, ან ღიდად და განსაკუთრებულად იყო

მისგან დავალებული, ანდა მთელი ამ ხანგრძლივი მოთმინების ისტორია არის მხოლოდ ფიქცია და მეტი არაფერი.

ზემონახსენებ ორივე ცნობაში რაინგსი გვამცნობს, თუ რა მოიძოქმელა მან საქართველოში მნიშვნელოვანი და სამაგიეროდ, როგორ დაასაჩუქრა და რა პატივი სცა მას მეფემ; ჩვენი მხრით ამაზე მეტს მკითხველს ვერაფერს ვეტყვი.

თუ რატომ წავიდა ის საქართველოდან რუსეთში, როგორ მიიღეს იქ და რა როლი ითამაშა რუსეთში მყოფმა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამაზე პასუხს ნაწილობრივ სცემს მისი სამოგზაურო რვეულიდან ამოღებული ნაწყვეტი, რომელიც ეხება მის გზას კავკასიიდან რუსეთისაკენ, ნაწილობრივ კი რუსეთში მყოფი მისი მეგობრების ცნობები. თუმცა არცერთია ბოლომდე ამომწურავი.

\* \* \*

თუ დავუჯერებთ მისი მოგზაურობის დღიურს, რაინგსი ტფილისიდან გავიდა 1781 წლის 10 ივლისს. ის გარკვევით არაფერს ამბობს იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ დარჩა უფრო დიდხანს საქართველოში, სადაც, მისივე მტკიცებით, ასეთ დიდ პატივში იმყოფებოდა, სადაც თავს ასე კარგად გრძნობდა, ფუფუნებაში და ბედნიერად ცხოვრობდა, ვიდრე რუსეთში იქნებოდა. ამავე ღრის მისი გამონათქვამები, ერთი მხრივ, იმ დასკვნებს გვაკეთებინებს, რომ მან საქართველო დატოვა უკმაყოფილოდ, მეორე მხრივ კი, თითქოს მან ბევრი მოინდომა, რასაც თავიდანვე ეჭვით შეხედეს.

„მე წავედი ბატონთან (Fürst) ხაშში, საზაფხულო ბანაკში — ამბობს რაინგსი — „და ჩვენ ორივე ერთმანეთს გულითადად დავემშვიდობეთ. მან ბრძანა მოეცათ ჩემთვის 20 თუმნის საქონელი; თუმცა (აღრე ერთი) ასეთივე ბრძანებით 80, მეორით 32, მესამით 19 (ე. ი. ამ 20 თუმნით ჯამში 151 თუმანი, აშუ 1510 მანეთი) მერგებოდა, მხოლოდ 10 თუმანი (100 მანეთი) მივიღე“.

აქ რაინგსი აშკარად გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას, რომ მას ბევრს დაჰპირდნენ და მცირე ერგო. 15 წლის უფლისწული ქეთევანი, მეფე ერეკლეს მერვე ქალიშვილი მეორე ქორწინებიდან, ჩანს, რომ მას მაინც ძალზე კარგად მოექცა. „ორი წერილი“ — ამბობს რაინგსი — „გამომიგზავნა უმშვენიერესმა ქეთევანმა,

მდიდრულად მოქარგულ ქისასთან და 110 ცეხინთან ერთად; იგი მთხოვდა მასთან მისვლას, მაგრამ ამაოდ; მე გავემგზავრე“. — დიდი სოჯოუტე იყო, მშვენიერი ქართველი ქალიშვილისათვის მსგავს თხოვნაზე უარის თქმა! რაინეცი მართლაც გაემგზავრა. მეფემ მას უსაფრთხოებისათვის ამაღა მისცა და გააყოლა კაპიტანი პოტუ. მათ უკვე საკმაო მძიმე გზა ჰქონდათ გავლილი საზიდრებით, რომ 17 ივლისს, ანუ გასვლის მეშვიდე დღეს, გიორგი ხანმა, ქართლის ტახტის მემკვიდრემ და ქეთევანმა ხელმეორედ გაუგზავნეს კაცი წერილებითა და მდიდარი საჩუქრებით. ისინი თხოვდნენ უკან დაბრუნებას და ჰპირდებოდნენ ყოველივე პირობის შესრულებას, რასაც მოისურვებდა. „მე მივიღე საჩუქრები“ — ამბობს რაინეცი — „ვარუქე მომტანს ორი თუმანი და უარით გავისტუმრე უკან!“

რაინეცის გადაწყვეტილების ასეთი სიმტკიცე გვაფიქრებინებს ადრე განცდილ უსამართლობას, ანდა მის მიერ წაყენებულ არც თუ იაფ მოთხოვნებს; ბატონიშვილის და პრინცივას განმეორებითი თხოვნა, რაინეცის უკან დაბრუნების შესახებ, იძლევა საბაბს დავასკვნათ, რომ მისთვის საკმაოდ უწყენინებიათ და უკან მიწვევით სურდათ გამოესწორებინათ საქმე (გამოესყიდათ დანაშაული). მიუხედავად ამისა, რაინეცმა გზა განაგრძო და 25 დღის მძიმე და ძალზე საზიფათო მგზავრობის შემდეგ, 4 აგვისტოს მივიდა რუსულ სასაზღვრო სიმაგრე მოზლოკში. მაშინ ხმა იყო გავრცელებული, რომ ტფილისში ჭირი მძიმეზარებდა. ამიტომ რუსთა მხრივ ის წააწყდა სათანადო ზომებს. ჩვენი რაინეცი თავისი ამალით, მიუხედავად ტფილისიდან წაღებული სანიტარული მოწოდებისა, ექვსი კვირით კარანტინში მოათავსეს. მაგრამ, როგორც კი მოზლოკის კომენდანტმა შეიტყო მისი ჩასვლის ამბავი, მდგომარეობა სრულებით შეიცვალა: სამი დღის შემდეგ — 7 აგვისტოს საღამოთი რაინეცს ნება დართეს შესულიყო მოზლოკში.

ყუბანის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი მაშინ იყო პოტიომკინი, რომელიც სტ.-პეტერბურგში ცხოვრობდა; გენერალი ფაბრიციანი პრონიცი კი, რომელიც ჩვეულებრივ ფაბრიციანის სახელითაა ცნობილი, იყო ამ შენაერთების სარდალი. მისი მთავარი სადგომი (შტაბი) იყო სტავროპოლში. მალე მოზლოკში ჩასვლის შემდეგ, რაინეცი გაემართა იქითკენ, რათა გენერალ ფაბრიციანისათვის პატივი ეცა და წარდგომოდა. რუსეთის კარი იმ დროს გვემავდა სამხრეთ-კავკასიის მბრძანებლებს

დამეგობრებას; სწორედ ამ დროს საქართველოდან რუსეთში მოვიდა რაინეგსი, კაცი რომელსაც იქ კარგი სახელი ჰქონდა და მეფე ერეკლეს ნდობა და მეგობრობა მოეპოვებინა. შეიძლება რაინეგსს უკვე საქართველოში სცოდნოდა ამ გეგმის შესახებ და რუსეთში იმ განზრახვით ჩამოვიდა, რომ ქართლის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ მოექცია, რათა ამით დახმარებოდა ქვეყანას, რომელსაც, შეცვლილი გარემოების გამო დასუსტებულს, აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა თავისი ძლიერი და ველური მეზობლებისათვის (ამის მაგალითია ამ ბარბაროსების უკანასკნელი თავდასხმა გასულ წელს).<sup>24</sup> ანდა, შესაძლოა, პოტიომკინის მიერ შედგენილი სამოგზაურო გეგმა მხოლოდ ახლა გააცნეს და, აქედან გამომდინარე, მოისურვა შუამავლობა ეკისრა. საკმარისი იყო რაინეგსი გასცნობოდა გენერალ ფაბრიციანს, რომ მასში (ამ უკანასკნელს) დაენახა ამ გეგმის შესრულებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და გამოსადეგი კაცი და ამიტომაც წაიყვანა სტ.-პეტერბურგში, რათა წარედგინა თავადისათვის. რაინეგსი ძალზე კარგად მიიღეს, მაგრამ მისი სტ.-პეტერბურგში ყოფნა უმკაცრესი იდუმალებით იყო მოცული. იგი მხოლოდ პალასმა გაიცნო, რომელსაც გადასცა ქართლის სამეფოს (Georgien) მოკლე აღწერილობა; პალასმა ის თავისი, „ახალი ჩრდილოეთის სტატიების“ მესამე ტომში შეიტანა.

ჯერ კიდევ იმავე წელს (1781) რაინეგსი, როგორც ნამდვილი შუამავალი (Negotiateur), თავისი თანამდებობის შესაფერისი ამალით უკან გაიგზავნა საქართველოში. ამ და მომდევნო წლებში ქართლის სამეფო მან მართლაც შეიყვანა რუსული მფარველობის ქვეშ. იმპერატორმა მორჩილების აქტის აღსრულება დაავალა თავად პოტიომკინს; ამასთან, მისცა ნება, მისი არყოფნის შემთხვევაში, იგივე უფლებებით აღეჭურვა სხვა პიროვნება; მანაც ეს საქმე გადააბარა თავის ნათესავს პავლე პოტიომკინს. — ერეკლე თეიმურაზის ძემ, ქართლ-კახეთის მეფემ, აირჩია და სათანადო უფლებებით აღჭურვა თავისი მარცხენა ფრთის გენერალი და მომავალი სიძე, თავადი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი<sup>25</sup> და თავისი გენერალ-ადიუტანტი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე. მორჩილების აქტი, რომლის ძალითაც

<sup>24</sup> იგულისხმება 1795 წლის ალა მაჰმად-ხანის შემოსევა — გ. გ.

<sup>25</sup> ის გახდა ზემოთ რამდენჯერმე ნახსენები შვენიერი ქეთევანის, მეფე ერეკლეს ქალიშვილის ქმარი — გ.

მეფე ერეკლე მუდმივად აღიარებდა რუსულ უზენაესობას თავის თავსა და მემკვიდრეებზე, მთელ თავის სამფლობელოებზე, დადებულ იქნა სიმაგრე გეორგიევსკში<sup>26</sup> 1783 წლის 24 ივლისს – 4 აგვისტოს...

აღბათ, როგორ შეუმჩნეველად მოაბნია რაინევსმა კეთილი თესლის მარცვალი, როგორ განაგრცო მან სინათლისა და განათლების ნაპერწკალი, რომელთაც ჩვენ, მისი თანამედროვეები, ჯერჯერობით ვერ ვგრძნობთ და რომლებიც აღბათ საუკუნეების შემდეგ გამოიღებენ ბედნიერ ნაყოფს და ამჟამად არსებულ სიბნელეს ნათელ შუადღედ აქცევენ! – ასე იქცა თავის ახალგაზრდობაში სიბნელეთაგან დევნილი რაინევსი, დავაჟაკების ჟამს მთელი ქვეყნისა და მისი მომავლის ბედნიერების შემქმნელად. აღბათ სამარადისოდ! ასე გადაწყვიტა ქვეყნის ბედი ადამიანმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იქ წარმოადგენდა სასურველ, პატივცემულ და საყვარელ სტუმარს, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ მოუსვენრად დაწანწალდება ქვეყანაზე...

– ვინ იფიქრებდა, რომ ღარიბი დალაქის შეგირდი აისლებენიდან, შემდგომში კიდევ უფრო ღარიბი სტუდენტი ელიზი ლაიფციგიდან, შემდგომ გაჭირვებისაგან მსახიობად ქცეული რაინევსი ვენიდან – ოდესმე გახდებოდა იარაღი ამაყი პოტიომკინისა და დიდი ეკატერინესი ჩრდილოეთში, რომლის საშუალებითაც ქვეყნებს დაიმორჩილებდნენ და ხელმწიფეებს მფარველობაში მოაქცევდნენ! – რა საოცარია წუთისოფელი!

რაინევსის შემდგომი მოგზაურობის შესახებ 1782 – 84 წლებში ზუსტი მონაცემები სრულებით არ გვაქვს, რადგან მის მეგობართაგან ზოგიერთს საბნელო საქმედ მიაჩნია, ზოგი აღბათ ზედმეტ შრომას ერიდება, მათთვის ცნობილი მასალები წერილობით რომ გადმომოცენ; ამიტომაც, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფერი გარკვეული ვერ დავადგინე.<sup>27</sup> ყველაზე მეტად სავარაუდებელია, რომ ამ ხნის მანძილზე, ის კავკასიას უფრო ახლოს სწავლობდა, რადგან ერეკლეს დაცვიითა და როგორც რუსი ელჩი, მნიშვნელოვანი ამალით, ამ საქმეს უფრო

<sup>26</sup> აღბათ გრიგოროპოლი, როგორც ეს კავკასიის რუკიდან ჩანს? – გ.

<sup>27</sup> ამ ხარკეზის შესახებ იხ. ჩვენი შესავალი, გვ. 14-22 – გ. გ.



უხიფათოდ შეიძლება... ჩემთვის უცნობია რუსეთში მისი უკანასკნელი ჩამოსვლის დროც. ეს ალბათ 1784 წელს მოხდა.

ახლა რაინეგსი უკვე ამჟამად გამოჩნდა სტ.-პეტერბურგში, თანაც შეჩვეულ სპარსულ ტანსაცმელში. ასე დადიოდა ერთხანს ხალხში და არც თუ მცირე ყურადღებას იქცევდა. ალბათ უადგილო არ იქნება, თუ მოვიყვანთ ანეკდოტს, რომელსაც ამ დროიდან ჰყვებიან და რომლის მიზეზიც მისი ჩაცმულობა იყო:

ერთ დღეს რაინეგსი სპარსულ ყაიდაზე ჩაცმული გამოჩნდა სასახლის კარზე. რადგან არაფერია არაჩვეულებრივი მასში, რომ შეკრების დღეებში რუსული კვერთხის მორჩილი ხალხები თავიანთ სამოსელში წარმოჩნდნენ კარზე, რაინეგსიც სპარსულად მიიღეს. საკრებულო დარბაზში საუბრობდნენ ჯგუფებად, ხან ერთ, ხან მეორე, უძთავრესად კი საკუთარი ქვეყნის ენაზე. რაინეგსი იქცა მის ირგვლივ შეკრებილ, რუსულად მოლაპარაკე ცნობისმოყვარე კარისკაცთა ერთი ასეთი ჯგუფის საუბრის თემად. მას ათვალთვრებდნენ თავით-ფეხამდე, ხმამაღლა და გარკვევით აქილიკებდნენ მის ჩაცმულობას, მისი გამოგზავნის მიზანს და ა. შ., მაგრამ არავის უფიქრია უშუალოდ მისთვის მიემართა, რადგან მასში ნამდვილ სპარსელს ხედავდნენ და სპარსულად კი არ შეეძლოთ საუბარი. ვინ წარმოიღვნდა, რომ ამ სპარსელს სხვა ენებიც ეცოდინებოდა. რაინეგსმა ერთ ხანს უსმინა, შემდეგ კი სიტყვა აიღო და რუსულად შეუსწორა შეხედულება გარკვეულ საკითხზე. მას გაესაუბრნენ და გაუკვირდათ, როცა სპარსელისაგან ასეთი კარგი რუსული მოისმინეს. ახლა თავი უფრო თამამად რომ ევრძნოთ და (რაინეგსს) მათი აღარაფერი გაგო, დაიწყეს გაკვირვების გამოთქმა ფრანგულად. რაინეგსმა ცოტა ხანს კიდევ უსმინა, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო საზოგადოებისათვის არ ეჩვენებინა, თუ რამდენად კარგად იცოდა ეს ენაც. კიდევ უფრო გაოცდნენ, როცა დოღბანდმოხვეულმა სპარსელმა ფრანგულშიც თავი გამოიჩინა; რაინეგსი კი ამით ერთობოდა და ისე ეჭირა თავი, რომ ვერავინ მიუხვდა ნამდვილ წარმომავლობას. ბოლოს დაიწყეს „მისგან საიდუმლო ენაზე“ გერმანულად ლაპარაკი. რაინეგსმა ისინი დიდხანს აღარ ასულელა და გაუმხილა, რომ დაბადებით გერმანელი იყო და არა სპარსელი.

რაინეგსი დიდხანს აღარ დარჩენილა თავის სპარსულ სამოსში. უმაღლესი ბრძანებით მას შეაცვლევინეს სპარსული ტანსაცმელი ჩვეულებრივ ფრანგულზე. სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურისა-

თვის მან მიიღო მნიშვნელოვანი პენსია და ერთხანს კოლეგიის-ასესორის წოდება, ხოლო შემდეგ კარის მრჩევლისა სტ.-პეტერბურგის სამეფო-სამედიცინო კოლეგიაში. მან თავად პოტიომკინს მიართვა სუფთად დაწერილი ხელნაწერი კავკასიაში თავისი მოგზაურობისა და, როგორც ბ-ნი შრედერი ამტკიცებს, არქიტექტორ დიგბის მიერ ასტრახანში შედგენილი და ინჟინერ პოლკოვნიკ-ლეიტენანტის ფონ ტორზონის მიერ სტ.-პეტერბურგში ოსტატურად დახატული რუკა ამ ქედისა, რაც მთლიანად დაკარგული ჩანს.<sup>28</sup>

სტ.-პეტერბურგიდან მიღებული, ძალზე არასრულყოფილი ცნობები შემდგომ გვატყობინებენ, რომ თავადმა პოტიომკინმა ის 1787 წელს თავისთან წაიყვანა მოლდავეთში, რათა თურქებთან მაშინდელ ომში გამოეყენებინა როგორც შუამავალი. შემდგომ 1788 წელს იგი უკან დაბრუნდა. მაგრამ ეს უეჭველად უზუსტობაა, რადგან ცნობილია, რომ მხოლოდ 1789 წელს, ოჩაკოვის აღების შემდეგ, შეძლო თავადმა დამსახურებული, ძველი და ნაცადი პატრიოტი ფელდმარშალი რუმიანცევი მოლდავეთში მთავარსარდლობიდან გადაეყენებინა და მისი ადგილი დაეკავებინა. რაინგსი მოლდავეთიდან სტ.-პეტერბურგს დაბრუნდა არა უადრეს 1790 წლის დეკემბრისა, როცა მე გავიცანი და რამდენიმე ძალზე სასიამოვნო დღე გავატარე მასთან ურთიერთობაში. ამრიგად, თავადს შეეძლო მისი გაწვევა მხოლოდ 1789 წელს. უკვე მაშინ ჰქონდა მას კოლეგიის მრჩევლის ჩინი, იყო სამეფო-სამედიცინო კოლეგიის სწავლული მდივანი და პეტერბურგის ახალგაზრდა ქირურგთა ინსტიტუტის სასკოლო-სწავლების დირექტორი. მოლდავეთში წასვლის მიზნებისა და შედეგების შესახებ თავის უერთგულეს მეგობრებთანაც კი სიტყვა არ დასცდენია.

აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობისას რაინგსი ისე შეეჩვია ყაყჩოს წვეს, რომ თითქმის ყოველდღიურად ათ და მეტ გრანს იღებდა და თავის მეგობრებსაც კი სთავაზობდა, როცა მასთან ყავას მიირთმევდნენ. ამას ის კარგად იტანდა და არასოდეს სტკივბა კუჭი. ასევე არც მის მენსიერებას, არც მის გულფიცხ სულს ამისგან არ ვნებია. მაგრამ გარდაცვალებამდე ოთხი წლის მანძილზე, განსაკუთრებით დეკემბერ-იანვარში, თითქმის ყოველდღე ცხვირიდან ძლიერი სისხლისდენა

<sup>28</sup> იხ. ჩენი შესავალი, გვ. 44-45 - გ. გ.

უტყდებოდა. განსაკუთრებით უკანასკნელი ზამთარი გაატარა ასე. ამიტომ თავის მეგობრებს ხშირად ეუბნებოდა — უეცრად მოვკვდებიო. სტ.-პეტერბურგში მისი მკურნალი იყო ექიმი ელიზენი, რომელსაც თავისი მდგომარეობის შესახებ ეთათბირებოდა; რაინგსს ხშირად მოუწერია მისთვის: „რაც შეიძლება სწრაფად მობრძანდით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე მთლად სისხლში ვცურავ“. სისხლდენის მიზეზად თვითონ ოპიუმს თვლიდა, რომელმაც, მისივე სიტყვით, მთლად მოუშალა სისხლი. სიკვდილის წინა საღამოს იგი ინახულა ხსენებულმა დრ. ელიზენმა. რაინგსი ათვალთვლებდა თავისი დიდი მოგზაურობის ჩანაწერებს. იყო არაჩვეულებრივად მხიარული, ოღონდ მოთენთილი მიღებული ოპიუმის დიდი დოზით, რომელიც მას მეორე დილას უნდა მიეღო ყავასთან ერთად. მას ჩვეულებად ჰქონდა წერილები თვითონ მიეტანა ფოსტაში და მის სახელზე მოსული წერილებიც თავად გამოეტანა.

საკმაოდ სუსხიან დილას ამ მიზნით წავიდა ფოსტაში. საექსპედიციო ოთახში შესვლისას, რომელიც საოცრად თბება და სადაც უამრავი ხალხის ტრიალის გამო ჰაერი ძალზე ჩახუთულია, მას დაჰბლა დაეცა (სისხლი ჩაექცა). რამდენიმე საათი კიდევ იძლეოდა სიცოცხლის ნიშანს და გულიც აერია. მოყვანილმა ქარურგმა სიჩქარეში მას სისხლი გამოუშვა და ალბათ დაუჩქარა სიკვდილი, რადგან ხშირი სისხლდენისაგან უამისოდაც ძალაგამოღებული იყო... ამრიგად, იგი გარდაიცვალა 1793 წლის მარტში თავისი მჩქეფარე ცხოვრების 49-ე წელს, ძალზე ადრე, ვიდრე მრავალრიცხოვან მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს აზიარებდა თავისი კვლევის ნაყოფს, რაც მან შეაგროვა მოუსვენარ ცხოვრებაში მრავალწლიანი მოგზაურობისას. დედამისი მასზე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა, 1792 წელს.

\* \* \*

რაინგსი იყო საშუალო ტანის კაცი, ჯანმრთელი, თუმცა არც თუ ძლიერი აღნაგობის. დაბადებული იყო დიდი და მძიმე მოგზაურობისათვის. სიღარბაისლე, უფრო მეტად მხნე, ვიდრე მელანქოლიური ხასიათი მას ხდიდა სასიამოვნო თანამოსაუბრედ. ნათელი, გამჭოლი და მეტყველი თვალები ამტკიცებდა საღ და საფუძვლიან გონიერებას. დაუღალავი შრომისმოყვარეობა მასში შერწყმული იყო დაუოკებელ ლტოლვასთან შეეძინა სულ ახალი ცოდნა. ჰქონდა განსაკუთრებული

მიდრეკილება ყოველივე საიდუმლოსა და არაჩვეულებრივისადმი. საუბრისას ძალზე თავშეკავებული იყო; ის უმიზეზოდ არასოდეს დაიწყებდა საუბარს თავისი მოგზაურობის შესახებ, ხოლო ახირებულ შემკითხველს არც თუ იშვიათად აძლევდა ისეთ გესლიან პასუხს, რომ უკარგავდა შემდგომი კითხვის დასმის სურვილს. თავისი დავალებების შესახებ უახლოეს მეგობრებთანაც კი სიტყვას არ ძრავდა; ხოლო ისეთ რამეებზე, რაც მისთვის წმინდა იყო (როგორც მაგ., გვარი, დაბადების ადგილი და ა.შ.) ყოველთვის არასწორად პასუხობდა. მართალია რამდენიმე წლის მანძილზე ის ნამდვილი კარისკაცი იყო, მაგრამ სასახლის ბრწყინვალეებისაგან (საზეიმო ცხოვრებისაგან) სავსებით განზე იდგა.

მისი მეთაურობით სტ.-პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულმა ინსტიტუტმა, რომლის დირექტორიც იყო, მიაღწია სრულყოფის მწვერვალს როგორც ეკონომიკური, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. მასზე იყო დამოკიდებული ამ ინსტიტუტის პროფესორების არჩევა, იქაური აღსაზრდელებისათვის ლექციების შერჩევა-დადგენა. მასწავლებლები და მოსწავლეები რომ მუდმივი ყურადღების ქვეშ ჰყოლოდა, ხშირად თვითონაც ესწრებოდა ლექციებს. მძიმე ავადმყოფობების გავრცელებისას, ამ დაწესებულების კლინიკაში ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს და იშვიათად კეთდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია მის დაუსწრებლად. რაინგესს დამსახურებული ჰქონდა მაღალი სახელი ძალზე უანგარო და იშვიათი პატიოსანი ადამიანისა. სიკვდილის შემდეგაც კი ვერავენ დასწამა მფლანგველობა ან მექრთამეობა, თუმცა ამის საშუალება მას ჰქონდა; ეს იშვიათი შემთხვევაა სახელმწიფოს სამსახურში მყოფი საზოგადო მოხელისაგან წარსული მმართველობის პერიოდის რუსეთში!<sup>29</sup> — მას არასდროს ცოლი არ ჰყოლია, მაგრამ მშვენიერი სქესი ყოველთვის იტაცებდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. თავის სახლში ის ცხოვრობდა წყნარად და მარტოხელა, ყოველი ხმაურის გარეშე, თუმცა უყვარდა ლამაზად გამლილი სუფრა და სიკვდილამდე დარჩა აღმოსავლური ფუფუნების ერთგული. ამიტომაც არ ჰყოფნიდა მას საცხოვრებლად თავისი მნიშვნელოვანი წლიური ჯამაგირი, რომელიც 2600 მანეთს შეადგენდა, და ვალებს იღებდა.

<sup>29</sup> რაინგესის წიგნი გამოიცა იმპერატორ პავლეს დროს. აქ კი იგულისხმება ეკატერინე II-ის ხანა — გ. გ.

მაგალითად, გარდაცვლილმა იმპერატორმა მას ერთხელ ვალი გადაუხადა; მიუხედავად ამისა, რამდენიმე წლის შემდეგ სიღარიბეში გარდაიცვალა და არც თუ მცირე ვალები დარჩა. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თავის შესახებ ნათესავებს გერმანიაში არაფერს ატყობინებდა რუსეთიდან. აღმოსავლეთისაკენ თავისი მოგზაურობის დასაწყისში თავისიანებს იმედი მისცა, რომ ოქროს მთებს დაუდგამდა. მან ეს ვერ შეასრულა; ახლა აღარ შეეძლო თავის ოჯახს ისე დახმარებოდა, როგორც სურდა და აღუთქვა; ამიტომ გადაწყვიტა, მათთვის არ შეეტყობინებინა რუსეთში ყოფნის შესახებ და ამჯობინა იმედებით ესაზრდოებინა.

ფიქრობდნენ, რომ მან მიიღო მაჰმადიანობა, ან ებრაული სარწმუნოება, რადგან იმდენი ხანი იმყოფებოდა მაჰმადიანთა შორის, რომ შეუძლებელია მათგან რაიმე არ გადაეღო. ზოგიერთები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ სიკვდილის შემდეგ მის გვამზე ამოუცნობი დაღიც კი შეამჩნიეს; ზოგნი კი ამას უარყოფდნენ.

ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ამაში ეჭვი შევიტანოთ, ანდა შეგვიძლია დავუშვათ, რომ ის დიდხანს არ დარჩებოდა რენეგატად, რადგან იმყოფებოდა ახლო კავშირსა და მეგობრობაში ქართველ მეფესთან და სომეხთა პატრიარქთან, რომლებიც ქრისტიანები არიან და ეზიზღებათ მაჰმადიანები. გარდა ამისა, (რელიგიის შეუცვლელადაც — გ. გ.) მისთვის, როგორც ექიმისა და მოხერხებული პიროვნებისათვის, ძნელი არ იყო ამ ქვეყნების მცხოვრებლებთან საერთო ენა მოებენა და მიეღწია თავისი მიზნებისათვის, რადგან ეს უკანასკნელნი ევროპულ ექიმს თითქმის აღმერთებენ და უხვად ასაჩუქრებდნენ.

\* \* \*

მისი წერილობითი ნაშრომებიდან, გარდა წინამდებარე „კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერისა“, ცოტა რამ თუა ცნობილი და ესეც ამოკრეფილია მისი მოგზაურობის შავი ხელნაწერებიდან. გარდა ამისა და ზემოთ ნახსენები წერილისა პროფ. ჰაკეტისადმი, არსებობს კიდევ „ქართლის სამეფოს მოკლე აღწერილობა“, პალასის „ჩრდილოეთის სტატიების“ მესამე ტომში და „მსჯელობა ოპიუმის შესახებ“ ბლიუმენბახის სამედიცინო ბიბლიოთეკის II ტომში. 1792 წელს სტ.-პეტერბურგში შეიქმნა გერმანელი ექიმების საზოგადოება, რათა გამოეცათ სამედიცინო გაზეთი („ვრანჟენია ვედომოსტი“) რუსულ

ენაზე, რომელშიც რაინგსმა თავდაპირველად ძალიან გულითადი მონაწილეობის სურვილი გამოამჟღავნა; მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, მალე ამ კავშირს ზურგი შეაქცია და ამ გაზეთისათვის, გარდა გევმისა და შესავლისა, არაფერი გაუკეთებია. მისი დანარჩენი ხელნაწერები გაბნეულია, რომელთაგან ზოგი ისეთთა ხელშია, რომელთაც არ იციან, როგორ გამოიყენონ და ჯიუტად არ სურთ სხვას გადასცენ. ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ამ მასალებიდან შეიძლება სპარსეთის ისტორიის შედგენა.

ბევრი მისი აღმოსავლური იშვიათობანი აქვს გიოტინგენში „საზოგადოებას“ და ზოგიერთ იქაურ სწაველულს; მათ შორის უნდა იყოს მდიდრული დიპლომი, რომელიც რაინგსმა მიიღო ან ქართლის მეფისაგან, ან სომეხთა პატრიარქისაგან და რომელიც, ერთი მისი მეგობრის მტკიცებით, თავისი სახელით გადაუგზავნა „საზოგადოებას“. თუ საიდან მიიღო ეს დიპლომი, მან თავის მეგობარს არაფერი უთხრა და გადაუგზავნა იმ პირობით, რომ სანამ ცოცხალი იყო, მისი შინაარსი არ იქნებოდა გამხელილი. ამჟამად მთლად ურიგო არ იქნებოდა მისი შინაარსის ცოდნა, რითაც გარკვეული ნათელი მოეფინებოდა რაინგსის ბნელით მოცული ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს. ის დაწერილი უნდა იყოს სომხურ (armischer?), ან ქართულ ენაზე, მაგრამ მისი თარგმნა გიოტინგენში ნაკლებ სირთულეს უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე სხვა მრავალ ადგილას.

\* \* \*

ესა ყოველივე, რაც მე რაინგსის საკვირველი ცხოვრების შესახებ, საკმაო წვალების შემდეგ შევაგროვე; მე მას გადავცემ ხალხს იმ შეგნებით, რომ შევასრულე, რაც შემიძლო. რა თქმა უნდა, მასში მრავლადაა ზარეზები, მაგრამ მათი შევსება ვერ მოვახერხე სათანადო ცნობათა ნაკლებობის გამო; წინააღმდეგ შემთხვევაში რომანი გამოვიძლია. თუკი ჩემს მრავალგზის განმეორებულ თხოვნას, როგორც საჯაროს, ისე პირადს, შემისრულებენ და მომაწვდიან დამატებით ცნობებს და შესწორებებს, ყოველივე ამას მადლობით მივიღებ და ამ ნაშრომის მომავალი მეორე გამოცემისათვის დიდი გულისყურით გამოვიყენებ.

**იაკობ რაინებში**

**კავკასიის საყოველთაო  
ისტორიულ-ტოპოგრაფიული  
აღწერა**





კერავენის ან ყუბანის ქედები სამხრეთით უერთდებიან იმ მთავარ მთაგრეხილებს, რომლებსაც ძველი გეოგრაფები გორდიეის უწოდებდნენ. გორდიეის ქედი მთლიანად დასავლეთისაკენაა მიმართული; ის გადაჭიმულია კიდევ უფრო სამხრეთითაც შავი ზღვის სანაპიროსკენ და ესაა მთლიანად ბოლოც და განიც დასავლეთ კავკასიონის მთავარი ქედისა.

ამდენად, მათი დასაწყისი, სადაც ისინი დასავლეთით შავი ზღვისაკენ ვაკდებიან, არის ყუბანისა და კერავენის ქედის საზღვარი. ზღვა აქ ქმნის მოზრდილ ყურეს და მყუდრო ნავსაყუდელს, იმ ადგილას, სადაც ძველად ქალაქი ბეზონტა მდებარეობდა. ამჟამად ის ცნობილია ბიზონტი-ს, აგრეთვე ბიჭვინთა-ს სახელწოდებით, ხოლო რამდენიმე წელია, რაც მას გელენჯიკ ლიბონი ჰქვია, სახელდობრ მას შემდეგ, რაც ვინმე ტუმან ოღლიმ შაფსულის გვარიდან აქ მნიშვნელოვანი ახალშენი დააარსა და ეს ადგილი კვლავ გამოყენებულ იქნა. იქ ჯერ კიდევ არის ქვის მშენიერი ეკლესია, რომელიც ააშენა იმპერატორმა იუსტინიანემ და უნდა იყოს წმ. ანდრიას სახელობისა. მასში არის იშვიათი რამ, რაც უკეთეს ხვედრს (ადგილზე ყოფნას) იმსახურებს; სახელდობრ, თეთრი მარმარილოსაგან გაკეთებული ბარელიეფი ჯვარცმული ქრისტესი — მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთის ამსახველი. მხატვრის არაჩვეულებრივი ხელოვნება არა მარტო სახის ნაკეთების ბუნებრიობაში ჩანს, არამედ უმთავრესად იმ საბურავში, რომელიც ქრისტეს უფარავს სახეს, ყელსა და ნახევარ გულ-მკერდს; აგრეთვე ღრმა შთაბეჭდილებაში, რომელსაც ნახევრადამღვრული მომაკვდავი თვალები თავისი შესაბრალისი, გულისმომკვლელი ძალით ტოვებს გაოცებულ მნახველში.

## აფხაზები

ქვეყნის აღწერა, მათი ისტორია და რელიგიური ჩვევები

ბეზონტა და მთელი სამხრეთ-დასავლეთი ზოლი გორდიეს ქედისა ეკუთვნის მძლავრ, მეომარ ძველ ხალხს, რომლებიც თავის თავს აბხაზს (Abghazs), ხოლო ქვეყანას აბაზას (Avasa) უწოდებენ.

აბაზას საზღვრებია — ჩრდილო-დასავლეთით შაფსულთა ტომი, ჩრდილო-აღმოსავლეთით სვანი (სანი, მაკრონი, სტრაბონისეული ჰეპტაკომეტები), სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგური და სამეგრელოს სამთავრო, დასავლეთით შავი ზღვა, რომლის ნაპირზეც ძვეს ანაკუფა ანუ ანაკოფია, მცირე, გამაგრებული, აფხაზთა კუთვნილი ქალაქი პატარა ნავსადგურით მდ. კური-ს ახლოს. ნავსადგური პატარა და არასაიმედოა, რის გამოც გემები ჩერდებიან ზღვაში მოშორებით რამდენიმე ვერსზე; ამის მიუხედავად ეს ქალაქი ვაჭრობის გამო ძალზე მდიდარია.

სამხრეთით ოცდაათ ვერსზე არის ზუფუ, ასევე გამაგრებული პატარა აფხაზური ქალაქი მცირე სიღრმის არამყუდრო ნავსადგურით. ამ ქალაქს, თუშცა არასწორად, კულ-საც უწოდებენ; ეს სახელი წარმოსდგება დიდი აფხაზური სოფლისაგან, რომელიც მოშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთით ძვეს მდ. ენგურზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სამოც ვერსზე, მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან, მდებარეობს ქალაქი და იქვე ციხე ანაკლია. ეს არის აფხაზეთის მთავრის ლევან შერვაშიძის რეზიდენცია. ციხის შიდა ფართობი სიგრძით თოთხმეტი საყენია, სიგანით — ცამეტი; მას შემოვლებული აქვს სამი საყენი სიმაღლისა და ხუთი ფუტი სისქის გალავანი. კარი ორნახევარი წყრთის სიმაღლის და ერთნახევარი წყრთის სიგანისაა.

სტრაბონი ამ ხალხს იცნობდა ხალდეელთა სახელით; კიდევ უფრო ადრე მათ მიაკუთვენებდნენ ხალიბებს ანუ ალიბებს (ტ. I. გვ. 243), ხოლო პლინიუსთან ისინი გვხვდებიან არმენო-ხალიბების სახელით. ჩერქეზები და სხვა მეზობლები მას უწოდებენ ავაზ-ს და აუაზ-ს. ხალხი კი, რომელიც ყუბანზე აბაზეხი-ს სახელითაა ცნობილი (ტ. I, გვ. 272), თავის თავს თელის აფხაზებისაგან დიდი ხნის წინ გამოყოფილ ახალშენად და მათ (აფხაზთა — გ. გ.) ქვეყანას უწოდებს დიდ აბაზა-ს, თავის საკუთარ საცხოვრებელს კი მცირე აბაზას. თვით აფხაზთა შეხედულებები თავიანთი წარმომავლობის შესახებ

სხვადასხვაა. ერთნი თავის წარმომავლობას არმენიელებიდან თვლიან, მეორენი კი ამის საპირისპიროდ ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები ეგვიპტედან მოსულან. როგორც მათ სურთ ისე იყოს, მაგრამ ორივე ხალხი, როგორც ღიდი, ისე მცირე აბაზასი ლაპარაკობს ერთი ენის განსხვავებულ დიალექტზე და აქვთ ერთნაირი ჩვევები. სომხურ ენასთან მათ არავითარი მსგავსება არ აქვთ; ის უფრო ჩერქეზული ენის დიალექტს უნდა წარმოადგენდეს.

აბაზა ძველად იბერიას ეკუთვნოდა და დიდხანს მისი მოხარკე იყო; ბოლოს ერთმა იბერიის ერისთავმა<sup>1</sup> ამ ქვეშევრდომობისაგან გაათავისუფლა ისინი და ახლაც მის შთამომავლებს განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით ექცევიან, რასაც ხალხის დამოუკიდებელი თავისუფლებისათვის არავითარი ზიანი არ მოაქვს. ამ გვარიდან არიან ახლა ლევან შერვაშიძე და მისი ძმა ზურაბ-ბეი, ამ ხალხის მთავრები და მეთაურები.

რადგან რამდენიმე ხნის წინ ოსმალთა მძლავრი თავდასხმების შედეგად აბაზას ღიდი ნაწილი გადავიდა თურქთა ბატონობის ხელში, ბევრმა აფხაზმა აღიარა მუჰამედის მოძღვრება; მაგრამ ბატონობის სიმკაცრის გამო ისინი აუჯანყდნენ 1771 წელს წინასწარმეტყველს და მის მოადგილეს დიდსულთანს, მოიპოვეს თავისუფლება და ძველებური ცხოვრება ანაკოფიის ქვემოთ ასე სარგებლიანად ამწებულნი ციხის სოხუმის, სოხუმ-კალეს ანუ ღორდუპ-ის კედლებს შიგნით. ყველა თურქი განდევნეს; გამარჯვებულები ოსმალებს კიდევ უფრო მეტ ზიანს მიაყენებდნენ შეერთებული ძალითა და ქვეყნის საიმედო მდებარეობის მეშვეობით, რომ არ გათიშულიყვნენ ძმების ლევან შერვაშიძისა და ზურაბ-ბეის შორის ამტყდარი ჩხუბისა და უთანხმოების გამო. ეს უკანასკნელი, რომელიც ყველა აფხაზს უყვარს, ახლაც სრულიად დამოუკიდებელია და მშვიდობიან ურთიერთობაშია თავის მომხრეებთან.

<sup>1</sup> ძველი ქართული სიტყვაა, რაც ნიშნავს ხალხის თავს; სიტყვებისაგან ერთი — ხალხი, რომელიც მთებში ცხოვრობს და თავი — მოთავე ან მმართველი მთის ხალხის მხარისა (ხევისა). რადგან ეს პატივი ჩვეულებრივ წარჩინებულებს ეძლეოდათ, რომლებიც შემდგომში უმადურნი, ბოლოს მემამოზენიცი კი გახდნენ, ამიტომ საქართველოსა (გიორგიისა) და იბერიის (თუ იბერიის-?) მეფეებმა უკანასკნელ ხანებში საჭიროდ ჩათვალეს ერისთავის პატივი ბევრ ზედამხედველებს შორის გაენაწილებინათ (რ.).

ლევან შერვაშიძე კი, რომელსაც რამდენიმე სოფელი და სოხუმი შერჩა, შეუთანხმდა თურქებს და წლიური საზღაურის — ოცი ქისა (ექვსი ათასი მანეთი) — ფასად გადასცა იანიჩარებს სოხუმის ციხე; ამ ციხისთვის უკეთესად რომ ეპატრონათ, იგი იქნებოდა გასაღები დასავლეთ კავკასიისა, მით უმეტეს, რომ დაცულია და გამაგრებული აგუა ანუ აკუა-თი, ესაა მტკიცე პუნქტი, რომელიც საფეხურის ფორმის ყავისფერ ტრაპიზებურ კლდეზე ძევს.

მაგრამ თურქებს ის მხოლოდ სამი წელი ეკავათ და მიატოვეს, როგორც მათთვის გამოუსადეგარი პუნქტი. ამდენად, ლევან შერვაშიძემ, მიტოვებულმა თავის მფარველ ბატონთაგან და ხალხისაგან შექულებულმა, საჭიროდ დაინახა ანაკლიაში გაქცევა და გაიგო სამწუხარო ცნობა, რომ ქელეშ ბეის დაეკავებინა ეს ციხე. იგი ამჟამადაც საკმაოდ მშვიდად ფლობს მას.

აფხაზების რიცხვი შვიდი ათასი კომლია და იკვებნიან, რომ აღრე ქრისტიანები იყვნენ. ამჟამად ქრისტიანობის მოსაგონებლად შემორჩათ მხოლოდ ზემოთ ნახსენები წმ. ანდრიას ეკლესია ბიჭვინთაში და კიდევ რამდენიმე ნახევრად დანგრეული ეკლესია; აგრეთვე ის, რომ იბერიის პატრიარქი აფხაზთა მთავარეპისკოპოსად იწოდება. მაჰმადის მოძღვრებაც საკმაოდ სუსტად იცინა; ზოგი თავის ბავშვს წინდაცვეთას უკეთებს, ზოგი კი არა; არავინ ჭამს ღორის ხორცს და ქორწილისას იცავენ ნათესავთა სისხლის აურეველობის წესს.

სანამ ცოლს შვილი არ ეყოლება, კაცს არა აქვს უფლება მეორე ან სხვა ცოლი მოიყვანოს; მაგრამ, თუ ქალი ოცდაათი წლისაა და უშვილო რჩება, ან კიდევ ხუთი წლის ქორწინების შემდეგ უშვილოდ არიან, მან (ქალმა — გ. გ.) საწოლის უფლება უნდა დაუთმოს უფრო ახალგაზრდას და თვითონ სხვა საოჯახო საქმიანობას უნდა მოჰკიდოს ხელი.

აფხაზები ახოვანი, ძლიერი, გულადი და მეომარი ხალხია; მათ როგორც ჩაცმაში, ისე ქცევებში ბევრი აქვთ საერთო ჩერქეზებთან; თუმცა ისინი მეურნეები არიან და არა ჩერქეზებივით მომთაბარენი. ბევრი იქაური ჭაბუკი მიდის ეგვიპტეში, მიყვდიებიან დიდებულებს მონებად, ხოლო ბედნიერი შემთხვევისას მთავრებიც კი ხდებიან.

თითოეულს ამ ხალხთაგან აქვს საკუთარი და განსხვავებული უცნაურობა, რასაც სარწმუნოებას ეძახიან და რომლითაც ის თავის

დიდ თუ პატარა ფანტაზიას იმშვიდებს. რადგან მათი ცალკეული სარწმუნოებრივი წესების შესრულება მრავალგვარია, ამიტომ მე ისეთთა შესახებ ვიტყვი, რომლებიც საერთოა ამ ხალხებისათვის.

ძველი ჩვეულების მიხედვით ისინი ყოველწლიურად დღესასწაულობენ გაზაფხულის დღისა და ღამის გათანაბრებას ჭრელი ფერადი კვერცხებით, ლუდის გამოხდით, ჭამა-სმით და ლალობით. ამ დღეს და აგრეთვე შემდგომ ორ დღეს ისინი მართავენ ცხენების რბოლას, სამხედრო ვარჯიშობას და ერთობიან სხვადასხვა მხიარული ხუმრობებით. ბოლოს, მეოთხე დღეს ანთებენ დიდ კოცონს და მის გარშემო ხტიან და ცეკვავენ; ამ ცეკვისას ყოველი მათგანი ყრის [ცეცხლში] მუჭა ფქვილს, ძველ პურს, მატყლს და მისთანებს; შემდეგ დაღლილი ამ თამაშობისაგან, იშლებიან.

ვერც ერთმა აფხაზმა ვერ ამიხსნა, თუ რას ნიშნავს ეს დღესასწაული, ანდა რა მიზნით ეწყობოდა იგი. ყველა მიმტკიცებდა, რომ ეს დღე ძველთაგანვე ამ სახით იდღესასწაულება და ამ ჩვევას არასოდეს თავს არ დაანებებენ.

მაისის პირველ დღეებში ისინი იკრიბებიან ხშირ, გაუკალ, მათთვის წმინდა ტყეში, სადაც ხეების მოჭრასაც ვერავენ ვერ ბედავს, რადგან ამით ღმერთს შეურაცხყოფენ, რომელიც არსად ისე საზვიამოდ და წარმატებით არ შეასრულებს მათ სურვილებს, როგორც ამ ტყეში.

როგორც ამ ხალხმა და მათმა მეზობელმა [ტომებმა — გ. გ.] დამიდასტურეს, ამ ტყეში მოიპოვება რკინის დიდი ჯვარი, რომლის გარშემო ღეთისმოშიში, ტყეში გაფანტული განდევნილები ცხოვრობენ. თუ როგორ და ვის მიერაა ეს ჯვარი აქ ჩარჭობილი, მათ არ იციან; ამავე დროს „ტყის ძმები“ ყვებიან მის შესახებ არაჩვეულებრივ, საკვირველ რამეებს და მოვლენებს, რასაც არც ქრისტიანობასთან და არც მათს სარწმუნოებასთან არავითარი საერთო არა აქვს. ამ მეუღანობებმა, მიუხედავად თავიანთი ძლიერი უმეცრებისა, იციან ამ ჯვრის მნიშვნელობის ისე გაზვიადება, რომ შთაგონებული ხალხი იწყებს მდიდარი შეწირულობისა და მოწყალების გაღებას, რათა ლოცვით მოუტანონ ბედნიერება თავის შინამეურნეობას, ვაჭრობას და სხვა საქმიანობას. სანამ იქ მყოფნი მეუღანოეთა უხეში მჭერ-მეტყველების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებიან, მიაქვთ მათ ხის ჯვრები ხელით და არჭობენ ყველგან, სადაც სასიამოვნო მწვანე

ადგილია; როცა ნაცნობები ან მეგობრები ამ დღეს ტყეში ერთმანეთს ხვდებიან, მეგობრობის ნიშნად თავის ჯვრებს ერთმანეთს უცვლიან. თხუთმეტ წლამდე ასაკის ბიჭები, რომლებიც დღესასწაულზე არ დაიშვებოდნენ, ამ დღეს ტყეში ჯვრების გამოთლითა და მათი ჩარჭობით ერთობოდნენ.

აფხაზების „უდიდესი მოწყალების“ დღესასწაული ემთხვევა შემოდგომის შუა ხანებს და დიდი სიხარულითა და აღტაცებით სრულდება. სახელდობრ, მათ ერთ მთაში აქვთ ბნელი გამოქვაბული, რომელსაც უყურებენ როგორც ძალზე წმინდა ადგილს და მეუდაბნოები მას დიდი გულისყურით იცავენ. ეს არის თავისუფლების ნამდვილი თავშესაფარი; მონა თავისუფლდება, როგორც კი გამოქვაბულში შეაფარებს თავს; მკვლელი გადაურჩება თავის მდევნელის სასჯელს, თუკი მას მიეცა ბედნიერება მიაღწიოს იქამდე და მეუდაბნოეთა შეუმჩნეველად დაიმალოს. ისინი ფიცს სდებენ ამ გამოქვაბულთან და იცავენ დანაპირებს.

აღნიშნული ზეიმის რამდენიმე დღით ადრე იკრიბებიან ტყეა თუ ქვახვრელებში გაფანტული მეუდაბნოები (ძმები). ისინი მრავალი ლოცვითა და მარხულობით უახლოვდებიან ამ გამოქვაბულს, რომელსაც ოგინს უწოდებენ და საიდანაც იმავე დროს, როცა ხალხი თავს მოიყრის, ასევე ოგინ-ად სახელდებული თეთრი ხარი გამოდის. მეუდაბნოეთაგან ყველაზე უხუცესნი და უწმინდესნი, რომელთაც აქვთ საპატოო სახელი ჰურავაცი, იჭერენ ამ ხარს და აღტყინებული შემახილებით შემოატარებენ მას შეკრებილი მამაკაცების გარშემო (ქალები არცერთ დღესასწაულზე არ დაიშვებიან). შემდეგ მას დაკლავენ და უნაწილებენ ხალხს. თითოეული თავის თავს ყველაზე უბედურად ჩათვლიდა, თუკი ამ წმინდა ხორციდან ერთ ძაფს მაინც არ მიიღებდა. ძელებს დიდი მოწინებით აგროვებდნენ, დიდ ორმოში წვაებდნენ და იქვე ჩამარხავდნენ.

მიწათმოქმედება აფხაზებში საჭიროზე მეტია, რადგან მთელი ქვეყანა ძალიან ნაყოფიერია, განსაკუთრებით დაბლობები და ღია ველები, რომლებიც ირწყვება მდინარე კოდორითა და გერჩისით. მათში კარგადაა განვითარებული მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. ამუშავებენ რკინას, რომლიდანაც იღებენ საუკეთესო ფოლადს. ამით

კი ამზადებენ თოფებს, ჭედენ ხმლებს და დანებს. მათი მთები მდიდარი უნდა იყოს ვერცხლის საბადოებით; მაგრამ მას არ ამუშავებენ და აგრეთვე იქ მისვლის ნებასაც არ იძლევიან.

აფხაზი ქალები განთქმული არიან როგორც დახელოვნებული ბამბის ძაფის მრთველები; აბაზას ყოველწლიურად გააქვს დიდი რაოდენობით ბამბის ძაფის ნართავი სმირნასა და სალონიკში.

## ლაქები. ანუ ლაზები

ანაკლიის ჩრდილოეთით ცხოვრობს არც თუ მრავალრიცხოვანი ხალხი, რომელიც თავის თავს უწოდებს ლაძი-ს ან ლაზი-ს.<sup>2</sup> ამ ხალხის წარმომავლობის დიდ სიძველეს გვაფიქრებინებს არამარტო მათი სახელი, ამას ადასტურებს მათში ამჟამადაც გავრცელებული საკუთარი განსაკუთრებული ენა, რომელიც არის ბერძნულის მეტისმეტად შერყენილი დიალექტი.<sup>3</sup> ეს ხალხი იმ აზრისაა, რომ დასაბამიდან სახლობდნენ ტრაპიზონის ანუ ტრაპეზუნტის მხარეში და ეძახის მას პონტოს; ამაყობენ იმ მოგონებითაც, რომ ადრე მთელი იბერია<sup>4</sup> ეკავათ და ეპატრონებოდნენ. ახლა კი ეს ხალხი (თავის მცირედ ნაყოფიერ, ქვიშიან მიწაზე, რომელსაც მდინარეები ალატისი და ზუფი რწყავენ) დაეიწყებას ეძლევა და გადაშენების გზაზეა. ამ ხალხის საცხოვრებლებზე გავლით მიემართება გაშლილი მოხერხებული გზა კავკასიის ჩრდილო მხარიდან, ან ყუბანის ნაპირებიდან ანაკლიისაკენ და შემდეგ ანატოლიისაკენ, ისე, რომ თვით კავკასიის გადალახვა საჭირო არაა.

<sup>2</sup> ლაზები ჰეროდოტეს დროს ცხოვრობდნენ მეოტის ზღვასთან. ისინი პონტოს (ზღვისკენ) იქიდან უნდა იყვნენ წამოსულები და დასახლებულნი ქვეყანაში, რომელსაც შემდეგ ძიგია (Zighia - ჯიქეთი - გ. გ.) ეწოდა. ბოლოს კი ისინი ფაზისისაკენ დაიძრნენ და ძველი კოლხები განდევნეს. პლინიუსი პირველია, რომელიც ლაზებს კოლხეთში ფაზისზე ასახელებს და მას შემდეგ ისინი სულ იქ ცხოვრობდნენ, რაც განსაკუთრებით ბიზანტიელებთან ჩანს. პოლკოვნიკ გერბერს ლაზები და ლეკები ერთი და იგივე ხალხი ჰგონია, რაც შეცდომაა. (შ.-რანევსის გერმანული შრომის გამოცემული - შრედერი - გ. გ.).

<sup>3</sup> ცხადია, ვერ დავეთანხმებით რანევსს; თუმცა აქაც და შემდგომშიც (მაგ. მეგრელებთან) მას ვერ მოეთხოვთ ზუსტ ლინგვისტურ განათლებას - გ. გ.

<sup>4</sup> „იბერიაში“ რანევსი იმერეთს გულისხმობს - გ. გ.

## ალანები და სვანები

ლანებისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, კერაუნისა და გორდიეის ქედების წყალგამყოფთან, მთავარი ქედის ხეობებში არის საცხოვრებლები მცირერიცხოვანი ლარიბი ხალხისა, რომელთა სახელწოდებაცაა ალანი; თათარი მას ეძახის ოეთი-ს ან ედეკი ალან-ს. ეს ხალხი ლაპარაკობს ძველი კავკასიურ-თათრული ენის განსაკუთრებულ დიალექტზე და ამით განსხვავდება სხვა მრავალრიცხოვანი ხალხისაგან, რომლებიც სახლობენ მთავარი ქედის სამხრეთის – სამხრეთ-აღმოსავლეთის უმაღლეს ზეგნებზე და თავისი საკუთარი ნარევი ენა აქვთ. ეს ხალხი თავის თავს უწოდებს ძონ-ს; მეზობლები მათ სხვადასხვანაირად ეძახიან: სოანი, სონტი, ძინტი, ხოლო მათ მიერ დასახელებულ კლდიან ზეგნებს – ტუანეთი (Tsuanteti). მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს ხალხი არაფერს მისდევს, გარდა მესაქონლეობისა და მცირე მიწათმოქმედებისა, რაც მათ სარჩენად არც თუ საკმაო რაოდენობით ქერს აძლევს, მაინც არა აქვთ სურვილი თავისი ლარიბი, კლდოვანი ქვეყნები დატოვონ; ასეთი პირობები მათ არ აძლევს საშუალებას წავიდნენ საშოვარზე საყაჩაღოდ, რადგან ამის უფლება ძველთაგანვე აქვთ ჩრდილოეთით თათრებს და სამხრეთით იბერიელებს.

რომ ალანები არიან ამავე სახელით ცნობილი ძველი ხალხის ნაშთი, საეჭვო არაა. ასევე უნდა წარმოდგებოდნენ დღევანდელი სვანები სტრაბონისათვის ამავე სახელით ცნობილი ხალხისაგან. მხოლოდ მე მიმანია ისინი სტრაბონისეულ ფთვიროფაგებად...

მაგრამ სვანები დიოსკურიამდე აღარ ვრცელდებიან; მათ დღესაც, როგორც ადრე, უკავიათ ზეგნები და კავკასიის უმაღლესი ქედების საცხოვრებლად გამოსაყენებელი კლდეები. არც თუ დიდი ხნის წინათ მათ, ჩემის აზრით, კიდევ უნდა სჭეროდათ ამ ქედის დიდი მონაკვეთი სამხრეთით, რადგან მას იბერიის პროვინცია რაჭის გასწვრივ ქართლის საზღვრებამდე დღესაც სუანეთ-ს ეძახიან.

სვანები შეადგენენ ორი ათასსა და რამდენიმე ასეულ ოჯახს, რომლებსაც ჰყავთ მრავალი მემკვიდრეობითი ბატონი და მთავარი. ამიტომაც არიან ისინი ასე ხშირად შუღლსა და ბრძოლაში ერთმანეთთან; ასე რომ მკვლელობებს და სამკვდრო-სასიცოცხლო ჩხუბს ბოლო არ უჩანს. ამ შინა უთანხმოებისა და სისუსტის გამო ისინი ხშირად ხან ყაბარდოს მთავრებს, ხან იბერიის მეფეებს უხდიდნენ



ხარკს, როცა ან ერთი, ან მეორე იდროვებდა და მათზე ძალაუფლებას გაავრცელებდა.

ამასთან, ეს ხალხი (სვანები – გ. გ.), მიუხედავად უსუფთაობისა, შესახედავია და სხვა მხრივ სრულყოფილი; გარეგნობით ქალებიცა და კაცებიც წარმოსადევნი არიან. მათი სახლები შედგება მიწის ოთხი კედლისაგან; ზოგჯერ ნაშენია მშრალი ქვით, ანდა მიწით შელესილი ტოტებით (წნელებით) უფანჯროდ, მსხვილი ძელებისაგან დაგებული ბრტყელი სახსურავით, რომელზეც ასევე მიწაა დაყრილი. სახსურავს შუაში ხვრელი აქვს, რომლის მეშვეობითაც დღის სინათლე შედის და მათი კერიის კვამლი გამოდის. მთელი ოჯახი – ბავშვები, მშობლები, კაცები და ქალები წვანან პირუტყვთან ერთად თივაზე. პერანგს არ ხმარობენ. ერთიერთმანეთზე აცვიათ ორი ან სამი ვიწრო, უსუფთაო კაბა, რომლებიც გულ-მკერდს, მხრებს და მუხლებს არ უფარავს. წინსაფარი უწევს მათ შარვლის მაგივრობას, ხოლო გრძელი, ნახევარ ბარძაყამდე დახვეული მაუდის ნაწიბური (Tuchschroten) წარმოადგენს მათ წინდებს; შიშველ ტერფებზე კი იკრავენ დაუმუშავებელ, ცხოველის უხემ ტყავს, წინ წაწვეტებულს (იგივე ქალამანი – გ. გ.). ზოგიერთი თავის ჯაგრისებურ, ყოველთვის დაუვარცხნელ, ხვეულ თმაზე ატარებს იბერიულ ქუდს (თავსაფარს – Haube), უმეტესობა კი თავშიშველი დადის. ასევე დადიან ქალებიც, მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებით ქალიშვილები თავშიშველი, ქალები კი თავზე წითელი ტილოს თავსაფარს იხვევენ ისე, რომ მხოლოდ თვალები უჩანთ და მეტი არაფერი. ისინი იცვამენ გრძელ, უმეტესად წითელი ტილოს წინ შეკრულ ვიწრო ზედატანს; ზამთრობით ამაზე ზემოდან უხეში მაუდის შალს, ზაფხულში კი ისეთივე წითელი ტილოსას იხზამენ.

ქერის, ფეტვის, ხახვის, ბოლოკისა და თამბაქოს გარდა მათ არაფერი მოჰყავთ; მაგრამ ჰყავთ თხების დიდი ფარები და ძალიან ბევრი ქათამი. მარილს არასდროს იყენებენ და ხორცს ჭამენ მხოლოდ შემწვარს. ზამთარში ჭამენ ქერის პურს, რომელიც ძალზე უსუფთაოდ მზადდება და ცხვება ნაცარში. ზაფხულში კი პურის მაგიერ ისინი ჭამენ წყალში სქლად მოხარშულ ფეტვის ფაფას. დიდ მოთხოვნილებათა სურვილის სრული უქონლობის, ადამიანური ფუფუნების უკოდინრობის, თავიანთი... ცხოვრების პირობებისა და... დარიბული ტანსაცმლის

მიუხედავად, ძალზე უყვართ ოქროსა და ვერცხლის ჯაჭვები, რომელთაც კაცები და ქალები, რამდენიც კი შეუძლიათ, იკიდებენ და ირთვებიან. ყოველ სახლს ან ოჯახს აქვს მხოლოდ ერთი საერთო თასი (სასმელი), რომელიც უმეტესად ვერცხლისაა; აგრეთვე მათი თოფებიც მეტნაკლებად ამ ლითონითაა მოსევალებული.

თუკი რომელიმე მამაკაცს აქვს საბაბი იაშაყოს თავისი სილამაზით, ასეთი უფლება უყოყმანოდ ეკუთვნის ამჟამად ცოცხალ სვანეთის მთავარს დავითს, რადგან ის არის ულამაზესი კაცი, როგორსაც ბუნება სრულყოფილ პროპორციულ გოლიათურ აღნაგობასთან ერთად მხოლოდ ხანდახან თუ უბოძებს ვინმეს. მისი ფიზიკური ძალა შეეფერება მის ზეადამიანურ გოლიათობას; მაგრამ ამასთან ის ისე ბავშვურად მშიმარაა და თავის სიცოცხლეს ისე უფრთხილდება, რომ სოფლიდან არასდროს გადის, აბჯარს იშვიათად იხდის, სატევარს და დამბარას კი არასოდეს არ იშორებს.

სვანები თავს ქრისტიანებად თვლიან, თუმცა ქრისტიანობისა ისე ცოტა იციან, რომ პირველსაც კი ძლივს იწერენ; ასევე მათ არც მღვდლები ჰყავთ, არც ეკლესიები აქვთ; ყველა მოუნათლავია<sup>5</sup> და აგრეთვე უსწავლელი.

## ლიტშუ-ქლები (Lytschu)<sup>6</sup>

სვანებს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება რამდენიმე საგვარეულო, რომლებიც თავის თავს ლიტშუ-ს (Lytschu) უწოდებენ. ზოგს ისინი ოსების, ზოგს სვანების შთამომავლებად მიაჩნიათ. რადგან ისინი თავიანთი ზეგნებით აღწევენ იბერიის საზღვრებს, ამიტომ ლაპარაკობენ ამ ქვეყნის ენაზე და თავის თავს იბერიელ ქრისტიანებსაც უწოდებენ. თავიანთი უნაყოფო მხარის გამო ისინი ღარიბები არიან

<sup>5</sup> ცნობილია, რომ სვანეთი საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხვებთან შედარებით ყველაზე მდიდარია ქრისტიანული საკულტო ძეგლებით. მაგრამ, ცხადია, ქრისტიანობა არ იყო აქ ისეთივე ფორმით გავრცელებული, როგორც ბარში, რამაც გამოიწვია ევროპელი რაინველის მცდარი შეხედულება. ამავე დროს, ეტყობა, რაინვესმა პირადად ვერ მოახერხა სვანეთის გულდასმით შემოვლა — გ. გ.

<sup>6</sup> ლაშხეთი? — გ. გ.

და არც მრავალრიცხოვანნი, მაგრამ არასდროს ჰქონიათ სურვილი გაეცვალათ თავიანთი ველური კლდეები იბერიის ნაყოფიერ ველებზე.

სამხრეთ-დასავლეთით ლიტშუ-ს და სვანებს ჰყოფს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გახსნილი მოზრდილი დაბლობი, რომელსაც მე (ჩემს თავს უფლებას ვაძლევ) ხეობას უფრო დავარქმევ და რომელიც მაღალ და ციცაბო მთებს შორის ქმნის ხან განიერ, ხან უფრო ვიწრო დაკლაკნილ გზას კავკასიონზე გადასასვლელად; რომელიც (ხეობა — გ. გ.) ჩრდილოეთით, სადაც სახლობს ველური ურდო ყარაჩაელებისა, იშლება დიდ ყაბარდოში. სამხრეთით, იბერიის საზღვართან, შესასვლელი არის დაახლოებით რვაასი საფეხი სიგანისა, ციცაბო, ხუთასოთხმოცდა-შვიდი ფუტი სიმაღლის კლდეებს შორის. ერთ-ერთ მათგანზე, დასავლეთით მდებარეობს კემე, ლიტშუ-ს სოფელი, რომელშიც ორმოცდაოთხი ქვის ქოხია.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ზოგიერთმა მეზობელმა ხალხმა ძველი დროიდან შემოინახა, ამ ხეობის ჩრდილოეთი შესასვლელი მთლიანად ამოშენებული და გამაგრებული უნდა ყოფილიყო; ზოგ ადგილას გეხვდება კედლების ნაშთები და ამტკიცებენ, რომ ეს სიმაგრეები აშენებული ყოფილა მსხვილი რკინის ღეროებითა და ხის ძელებით და ამიტომ გზის ჩაკეტვის გამო იწოდებოდა რკინის კარებად. ამასვე ერთხმად ამტკიცებენ ქართველები (ქართლები — გ. გ.) და იბერები. ასევე პლინიუსის ეს ცნობა ამ მხარეში არავენ იცოდა; ამდენად, ეს ადგილი შეიძლება იყოს ის პუნქტი, რომელსაც ის Porta cumana-ს უწოდებს.

ქრისტიანობის შესახებ ლიტშუელებმა არაფერი იციან, გარდა სახელისა.

## გ ლ ო ლ ა,<sup>7</sup> მამისონი და ფითგორი

სვანებსა და ლიტშუს სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ესაზღვრებიან ველური, დაუმორჩილებელი და მრავალრიცხოვანი გვარები გლოლა (გლობი) და მამისონი, რომლებიც, რადგან ოსური ენის განსხვავებულ დიალექტზე ლაპარაკობენ, ითვლებიან ამ ხალხის შთამომავლებად. მათი ქვეყნის მდებარეობის მიხედვით ისინი არიან

<sup>7</sup> დედანშია Globi — გ. გ.

პლინიუსის ესეიდონები, რომელთაც მე ასევე ლიტმუელებსაც მივაკუთვნებ, რადგან თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პლინიუსი ესეიდონების სახელის ქვეშ ოსებს გულისხმობდა.

გლოლა და მამისონი ვრცელდებიან მთავარი ქედის გასწვრივ ხევებში და დასახლებული არიან საშუალო ქედების აღმოსავლეთით სხვა ოსური მოდემის ხალხამდე, რომელიც თავის თავს ფითგორს (Fitghor) უწოდებს. თავიანთი მაღალი კლდიანი საცხოვრებლების გამო ისინი ფითიგორად (მაღალი მთა) იწოდებიან; აქ არის ძალზე საშიში სავალი გზა, რომლითაც რუსეთიდან იბერიაში შემოდინ.

უნაყოფო და ქვიანი ნიადაგის გამო ამ ხალხის კომპლები ცალ-ცალკე სახლობენ, ისე რომ თითოეულ ოჯახს იმდენი მიწა სჭირდება, რაც აღმოსავლეთ კავკასიაში თხუთმეტ ოჯახს სავსებით დააკმაყოფილებდა. ის გვარები, რომლებიც უფრო სამხრეთით ცხოვრობენ და იბერებს ემეზობლებიან, ერთგვარად უფრო ბუნდოვანი არიან, რადგან იქ ველური წაბლი ხშირია, რომელსაც ისინი ხარშავენ, წვავენ, ან უმაღ პურისა და სხვა საკვების მაგიერ იყენებენ. მათ ჰყავთ თხის ფარები, რადგან თხებს კლდეებს შორის ყველაზე უშიშრად შეუძლიათ ძოვა. ხარები, ძროხები, ცხენები აქ ძალზე იშვიათია; მხოლოდ შეძლებულ ესეიდონებს ჰყავთ ცხენები, რომელთაც შორიდან შეუძლიათ მოიტანონ საჭირო საკვები; ღარიბები ფეხით დადიან და, რადგან უმრავლესობა იძულებულია ასე მოიქცეს, ამ ვარჯიშით მიაღწიეს განუმეორებელ (დიდ) გამძლეობას.

მამისონი და გლოლა ქრისტიანულია, მხოლოდ არა აქვთ ეკლესიები, სამლოცველოები და არ ჰყავთ მღვდლები. რადგან ისინი არ საჭიროებენ არაერთარ მოძღვრებას, მათ ქრისტიანობისაც არაფერი იციან, გარდა პირველის გადაწერისა და გულზე სპილენძის ჯვრის ტარებისა. მათგან მხოლოდ მცირენი არიან მონათლულნი, რადგან ფულის-მოყვარული იბერიელი მღვდლების „კეთილისმყოფელი“ ცდები ამ სასიფათოდ ასასველელ კლდეებს შორის არ ფასდება (ფული არ ეძლევათ), ხოლო ამ ხალხიდან თავისით მოსანათლად იბერიაში არაეინ მიდის.

## მეგრელები და ლეჩხუმი

მდინარე ენგური აფხაზებს და ლაზებს გამოჰყოფს საუკეთესო მდებარეობის მქონე, ნაყოფიერი, ზოგან დაბლობ, ზოგან ბორცვიანი და მთიანი პროვინციისაგან, რომელსაც მეგრულს, ან სამეგრელოს უწოდებენ.

მეგრელი არის სახელწოდება აქ მცხოვრები ხალხისა, რომელსაც აქვს საკუთარი ენა და წარმოადგენს ნარევეს კავკასიური, ბერძნული და ქართული სიტყვების დიალექტებისას...<sup>8</sup>

ეჭვს გარეშეა, რომ ეს პროვინცია უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა; მრავალი ხნის შემდეგ, როცა ეს ძველი სამეფო, ლაზეთის სახელწოდებით ცნობილი, სპარსელების, რომაელებისა და ბერძნების მიერ მონაცვლობით განადგურებული, ხან ერთის, ხან მეორის მიერ იყო დაპყრობილი (და სხვადასხვა სახელებს არქმევდნენ), ამ პროვინციამ მიიღო პირველად სახელწოდება ეგერია (მოსე ხორენელი) და ახლაც იქაური მმართველი მთავარი იწერება „ეგრისის ბატონ“-ად. მხარემ, უეჭველად, მოგვიანებით, თათართა ბატონობის დროს, მიიღო სახელი მეგრელი, ან სამეგრელო. სანამ ის იბერიისაგან იყო დამოუკიდებელი, ეწოდებოდა მას სადადიანო. ამ პროვინციის სახელი არის აგრეთვე ოდიში; მაგრამ მცოდნე მეგრელებმა დამიდასტურეს, რომ ეს სახელი ჰქვია ქვეყნის იმ მხარეს, რომელიც ზღვის ახლოს მდებარეობს და წარმოსდგება ძველი ქალაქის ოდიში-ს სახელიდან, რომლის ნანგრევებიც ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინ ზღვის ნაპირზე შეიმჩნეოდა.

სამეგრელო შემოიფარგლება და გადაიკვეთება დიდი მდინარეებით. დასავლეთის საზღვარს ქმნის მდინარე ენგური, რომელიც იწყება აფხაზეთის მთებში და რუხთან, ილორსა და ანაკლიას შორის შავ ზღვაში ჩაედინება. ჯერ კიდევ სათავეში ენგური იყოფა ორ ტოტად და, რადგან ისინი ხელახლა აღარ ერთდებიან, ამიტომ მარჯვენამ მიიღო სახელი ენგური, ხოლო მარცხენამ – შანის წყალი (Schanis-tskali – ცხენის წყალი?). ამ სახელით იგი მთელ სამეგრელოს გადასერავს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. შემდეგ ქალაქ ფოთიდან

<sup>8</sup> როგორც ზემოთაც აღინიშნა, რაინგისის ლინგვისტური მომზადება არ აძლევს მას საშუალებას დაინახოს მეგრულში ერთერთი ქართველური ენა. ნუთუ ქართველთაგანაც არაიეს განუმარტავს მისთვის სამეფო კარზე? აქვე ჩვენ გამოვტოვეთ სახელწოდება „მეგრელის“ რაინგისისეული ყოვლად უსუსური ეტიმოლოგია; თითქოს ეს სახელი პართელების შერქმეულია და მათს ენაზე მინგრეულ ნიშნავდეს „ათას წყაროს“, „აყვავებულ მიწას“ – გ. გ.

შვიდი ვერსით ზემოთ რიონს ერთვის. მოზრდილი მდინარე ტეხური სათავეს იღებს ალანეთსა და სვანეთს შორის და ცხენისწყლის შესართავს ზემოთ ათი ვერსის მოშორებით უერთდება რიონს მარჯვენა მხრიდან. სწრაფი აბაშის წყალი სოფელ კემე-ს ახლოს იღებს სათავეს და იბერიის სათავადო საშილიოს (საჭილაო — გ. გ.) საზღვართან უერთდება ჰიპოსს, რომელიც იწყება სვანეთის უმაღლეს მთებში, ფაზისის სათავის ახლოს, მიედინება ლეჩხუმზე, გამოყოფს სამეგრელოს იბერიისაგან და ტრედიასთან (სამტრედია — გ. გ.) რიონს ერთვის.

სანამ სამეგრელო იბერიას ეკუთვნოდა, ამ პროვინციის მართვა ეკისრებოდა იბერიის მეფის კარის ერთ-ერთ უმაღლეს მოხელეს, სახელდობრ, მსახურთუხუცესს<sup>9</sup> — დადიანს. რადგანაც ეს უკანასკნელი ყოველთვის ასრულებდა მსახურთუხუცესის მოვალეობას, ამიტომ მართვის უფლებას და თვით პროვინციასაც სადადიანო ეწოდა; ერთხელ კი სამეგრელოს ერთი მსახურთუხუცესი განუდგა იბერიას და თავისი სამმართველოს დამოუკიდებელი მმართველი გახდა. ამის შემდეგ ამ პროვინციის სახელი სადადიანო დარჩა და მისი მთავარი, მას შემდეგ, რაც მმართველობა ცალკე გამოიყო, თავის თავს ყოველთვის დადიანს უწოდებს და აღარ არის იბერიის მსახურთუხუცესი. საბოლოოდ სამეგრელოცა და იბერიაც ოსმალთა ხელში მოექცა; მათვე ემორჩილებოდა ამჟამად ცოცხალი კაცია დადიანი. ასე გაგრძელდა, სანამ რუსებსა და თურქებს შორის ამ უკანასკნელ ხანს არ დაიდო ზავი, რომლის ძალითაც ეს პროვინცია თავის ძველ კანონიერ პატრონს და უწინდელ მფლობელს — იბერიის მეფეს სოლომონს კვლავ გადაეცა.<sup>10</sup> მაგრამ, რადგან კაცია არ ისვენებდა, ეურჩებოდა და იბერიის მიმართ მტრულადაც კი იქცეოდა, იბერიის მეფე სოლომონმა<sup>11</sup> (რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა) ის სრულ მორჩილებაში მოიყვანა და აიძულა კიდევ საბეჭდავზე თავისი თავისთვის იბერიის ქვეშევრდომი ეწოდებინა.

<sup>9</sup> ტექსტში წერია Ober-Mundschenk, რაც ნიშნავს მელვინეთუხუცესს, ამიტომ ჩვენ ტექსტში შესწორება შევიტანეთ — გ. გ.

<sup>10</sup> იგულისხმება ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ზავი.

<sup>11</sup> მეფე სოლომონი გარდაიცვალა 1784 წლის 23 აპრილს. მეფედ აირჩიეს მეფე სოლომონის უფროსი ძმისშვილი დავითი, რომელსაც 1790 წლის ივლისში მისმა ბიძაშვილმა, აგრეთვე დავითმა — გარდაცვლილი მეფის უმცროსი ძმის შვილმა — მეფობა წაართვა. 1791 წელს ის დაბრუნდა იბერიაში, უარი თქვა გვირგვინზე და მიიღო სამფლობელოდ მამის ქონება (რ.).

ამ პროვინციაში არის მშვენიერი ხეები და ბალახი. ოჯახების დიდი რაოდენობა გაფანტულად ცხოვრობს დაბლობებში, მთებში და მდინარის ნაპირებზე, რამდენადაც აუცილებელია და მოსახერხებელი მათი საშინაო მეურნეობისათვის.. ზოგიერთები სოფლებში ცხოვრობენ, ზოგიც — ქალაქებად, რომელთაგან ერთ-ერთია ანაკლიის პირდაპირ ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქალაქი, მეგრელთაგან ილორად, ხოლო აფხაზთაგან ბოია-დ წოდებული. მას გალავანი აქვს შემორტყმული. აქ თავმოყრილია ყველა მხრიდან მოსული ბრბო კავკასიონის ხალხებისა. იქვე არის ქვის ეკლესია, მაგრამ ის ყოველთვის დაკეტულია, რადგან აღვირახსნილი მოსახლეობისათვის ყაჩაღობა უფრო შემოსავლიანია, ვიდრე სარგებელი, რასაც მღვდლები და საღვთო წერილი ჰპირდებიან.

ეს პუნქტი ყოველთვის ცილობის საგანი იყო მეგრელებსა და აბაზას შორის, რადგან ორივენი აცხადებდნენ მასზე საკუთრების უფლებას. როდესაც ვითარება იცვლება და ეს ქალაქი აბაზას მორჩილი ხდება, მას ბოიას არქმევენ, ხოლო როგორც კი სამეგრელოს დაუბრუნდება, ყველა ილორს უწოდებს. ამჟამად ის სამეგრელოს ეკუთვნის, ისევე როგორც რუსთა რაზმების მიერ დანგრეული აფხაზური პატარა ციხე რუხი; ის ძვეს ენგურის მარჯვენა ნაპირზე და კეტავს ლაზებში მიმავალ გზას. იქვე ახლოს მდებარე სოფელსაც ასევე რუხი ჰქვია.

რუხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით შვიდ ვერსზე, ენგურის მარცხენა ნაპირზე არის ქალაქი ეგერსი, ანუ ეგერია, სამეგრელოს ყველაზე მძლავრი და დიდი ციხე. ის კარგადაა ნაშენი და დასახლებული. მისგან მიიღო მთელმა ქვეყანამ თავისი სახელი.

ზურცი, გაშლილი პუნქტი, ძალზე დასახლებულია, ძვეს მდინარე ტეხურას მარცხენა ნაპირზე.

ზონი, დიდი საბაზრო ადგილი, სადაც ბევრს ვაჭრობენ, მდებარეობს მდინარეებს აბაშასა და ჰიპოსს შორის. ამ უკანასკნელს იბერები ცხენისწყალს (ცხენის მდინარე) უწოდებენ.

თაკვერი, მშვენიერი დასახლებაა. მდებარეობს ჰიპოსის მარჯვენა ნაპირზე, ხონიდან ხუთ ვერსზე სამხრეთით.

იქ, სადაც ჰიპოსი ლეჩხუმის მთებს ტოვებს და დაბლობზე რამდენიმე ვერსს გაივლის, მის მარჯვენა ნაპირს ამშვენებს რეცია (Rhäzia?), სამეგრელოს მთავრის ქალაქი და რეზიდენცია, საიდანაც

ის ზაფხულობით ზემონახსენებ თაკვერში გადადის. რეციაში ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ; სამეგრელოში დამზადებული აბრეშუმის მთელი მარაგი აქ მოაქვთ და ყიდიან, ან აქვე გადაამუშავენ. მაგრამ აქ არ იციან აბრეშუმის კარგი დამუშავება; აქ ამზადებენ მხოლოდ უვარგის თავსაფრებს, ან უბრალო ტაფტას.

ცალიკარა (Zalikara) ასევე ჰიპოსის მარჯვენა ნაპირზეა, რიონთან მისი შეერთების თორმეტი ვერსით ზემოთ. ესაა სამეგრელოს ქალაქთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი (დიდი). მას მდებარეობა ზელს დიდად უწყობს ვაჭრობაში, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში; მაგრამ მოსახლეობა ამ მადლს არ იყენებს სიზარმაცის გამო და სანაოსნო ჰიპოსი გამოუყენებელი მიედინება ტრედიისკენ, რომელიც გაშლილია და სხვადასხვა ხალხით, უმეტესად ებრაელებით არის დასახლებული. მის ახლოს ეს მდინარე რიონს შეერთვის.

მეგრელებს მიაკუთვნებენ აგრეთვე ხალხის შტოს (Stamm), რომელიც თავის თავს და ქვეყანას ლეჩხუმს უწოდებს და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება იბერიის პროვინციას – რაჭას. მეგრული ენა ამ ხალხის ენაა და განსხვავდება ამჟამად მეგრელებისაგან თავისი სახელწოდებით, თუმცა ზოგიერთები მიმტკიცებდნენ, რომ ეს არის ახალშენი ლიტმუს ხალხისა, რომლის შესახებაც უფრო ადრე მოკლედ ითქვა.

სამეგრელოს მთელი მოსახლეობა თერთმეტ-თორმეტ ათას ოჯახს შეადგენს. მეგრელებზე ამბობენ, რომ ძალზე მამაცი ცხენოსნები არიან. ეს მათი ერთადერთი სასახელო საქმიანობაა, რადგანაც, ცხოვრობენ რა ძალზე რბილ ჰავიან და უნაყოფიერეს ნიადაგიან მხარეში, რომელსაც უწვალებლადაც კი ჭარბად მოაქვს ყველა საჭირო და აუცილებელი რამ ცხოვრებისათვის, მიჩვეულები არიან უდარდულობასა და უსაქმურობას.

მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაყოფიერი მინდვრები შავი ზღვის ნაპირებს ესაზღვრება, მეგრელებისათვის მაინც უცხოა ვაჭრობა, ნაოსნობა და თევზჭერა. თუმცა მთები და მდინარეები დიდ სიმდიდრეს იძლევიან, ისინი მაინც კმაყოფილდებიან მხოლოდ მეფუტკრეობითა და მესაქონლეობით. მემინდვრობას იმდენად მისდევენ, რაც მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს; მებალეობას სრულებით უგულებელყოფენ, რადგან



ნაყოფიერი მიწა მათ გარეულ, მაგრამ გემრიელ ბოსტნეულს, ხილს, ვაზს და წაბლს აძლევს უმცირესი მოვლის გარეშეც. ყველა ძველი კედელი ბროწეულისა და ლელვის ხეებითაა დაფარული. აბრეშუმის წარმოება ამ ქვეყანაში ძალზე შემოსავლიანი და აყვავებული იქნებოდა, მაგრამ ის არის მხოლოდ უსაქმური თავადის ქალებისა და ზარმაცი აზნაურის ცოლების საქმიანობა; ამდენად, არ აქვს დიდი სარგებელი. სამეგრელოს უმშვენიერესი ტყეები თავმინებებულია; ხეები მხოლოდ სიბერით კვდებიან. რადგან მოსახლეობა მას საწევად არ იყენებს, ამიტომ უსარგებლოდ ძირს ყრია. მიუხედავად ასეთი სიზარმაცისა, მეგრელები არიან დიდად მორწმუნე ქრისტიანები. ისინი იყენებენ ქართული ლოცვის წიგნებს, რადგან თავიანთ ენაზე საკუთარი ანბანი არა აქვთ.

\* \* \*

აქამდე კავკასიის მთავარი ქედი პირდაპირ მიემართებოდა, ისე რომ სამხრეთით არ იშლებოდა; თვით გორდიეის მთები სხვა არაფერი იყო, თუ არა კავკასიონის დასავლეთის ბოლო, რომლის სამხრეთის შვერილები იბერიის საზღვრებთან თავდებოდა. პირველი სამხრეთის ტოტი იშლება; მას შემოჭრილი შავი ზღვა უშლის სამხრეთისაკენ გავრცელებას და აიძულებს აღმოსავლეთით გაგრძელდეს. როგორც კი ის იბერიის აღმოსავლეთის საზღვრებს აღწევს, ორ ახალ შტოდ იყოფა. ერთი მათგანი კიდევ უფრო აღმოსავლეთით მიემართება და მალე ქართლის (Georgien) დაბლობებში იკარგება, მეორე კი – მკვეთრად სამხრეთისაკენ. ეს დიადი მთები ექვსი საათის სავალზე კვლავ ორ შტოდ იყოფა. დასავლეთისა შავ ზღვას გასდევს; სამხრეთისა და ბოლოს ისევ აღმოსავლეთის შტოები ქმნიან ანატოლიის საზღვრებს.

ეს ქედი, სანამ ის დაიყოფა დასავლეთის და სამხრეთის შტოებად, ძველი გეოგრაფებისათვის ცნობილი იყო მოსხების (მოსიების) მთების სახელით და ახლაც, როგორც სტრაბონის დროს, სამ ნაწილად იყოფა, რომელთაგან ერთი იბერიაშია, მეორე ქართლში, მესამე კი თურქთა ხელქვეით მყოფ სომხეთში.

# იბერიის სამეფო

## 1. მისი გეოგრაფიული აღწერილობა

ზემოთ აღნიშნული სამხრეთით მიმავალი შტოთი და კავკასიონის ზოგიერთი პატარა მთით იბერია (იბერეთი — გ. გ.) აღმოსავლეთით ესაზღვრება ქართლს (Georgien); სამხრეთით მოსხების მთები მას გამოჰყოფენ თურქული პროვინცია ახალციხისაგან, ან ახისკა-სგან; დასავლეთით ზღვა და ჰიპოსი არიან იბერიის გამოყოფნი სამეგრელოსა და გურიისაგან; ჩრდილოეთით ის ვრცელდება კავკასიონის მთავარ ქედამდე. იბერიას შეიძლებოდა რქმეოდა სამი ქედის დაბლობი, რომელთაგან ჩრდილოეთის მხარე ყველაზე მნიშვნელოვანი, ნაყოფიერი და მდიდარია. მეფე დავითი ამჟამად მფლობელია ამ პროვინციისა, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთის განედის 43-44 გრადუსზე.

ძველი კოლხეთის ერთი ნაწილი, შემდგომ ლაზეთი, არის დღევანდელი იბერია. ამჟამად მას ეწოდება იბერეთი, თურქების მიერ კი — აჩიკ-ბაში, რადგან იბერები უმეტესწილად თავშიშველნი დადიან.

ამ პატარა სამეფოს პროვინციებმა და ნამდვილმა მხარეებმა (გარდა სამეგრელოსი, რომლის შესახებაც უკვე ითქვა) ძალზე ბევრჯერ შეიცვალეს სახელები. მხოლოდ მცირეოდენნი არიან ცნობილი თავისი ძველი სახელწოდებებით. ჩვენში აზიიდან ისედაც დიდი რაოდენობით ვრცელდება გეოგრაფიული შენათხზები; რომ დავასახელო ეფემერული სახელები მდინარეების, სოფლების, დანგრეული ქალაქებისა და ციხეების, რომლებიც დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან, ამით ამ შენათხზებს გაავძრავლებდი. აგრეთვე არ შეიძლება ითქვას, რომ იბერიას აქვს სოფლები და ქალაქები, რადგან ამჟამად ეს ქვეყანა ნამდვილად ერთი იმათგანია, რომლის მაცხოვრებლებიც ემსგავსებიან დედამიწის პირველ მოსახლეებს; თითოეული ოჯახი საცხოვრებლად ირჩევს ხან ტყიან მთებს ან მდინარეს, ხან დაბლობებს ან მშვენიერ ხეობებს და სახლდება უბრალოდ, მოშორებით გარდუევალი ძალადობისაგან, რაც ქალაქებსა და დიდ სოფლებშია გაბატონებული. აქ თავისთვის, სასიამოვნო მარტობაში, კმაყოფილი თავის ოჯახში, იბერი დაცულია თავისი მეზობლის შურიანი ყურადღებისაგან და თავიდან იცილებს მტრის თავდასხმებს თავის უხიფათო და ფარულ საცხოვრებელში; რა თქმა უნდა, ის ვერ დაემალება მხოლოდ თავის ბატონს, რომლის ქვეშევრდომიცაა.

იბერებს აქვთ ერთმანეთისთვის ნაცნობი მაღალხმიანი [საგანგებო] ბგერები ან სიტყვები, რომლითაც ისინი ერთმანეთს თავის სახლებიდან აგებინებენ მოსულ ბრძანებას, ან სხვა მნიშვნელოვან შემთხვევას. ამგვარი ძახილის უმაღლეს სწრაფად ჩნდება რამდენიმე ასეული კაცი [ისეთი] ადგილებიდან, რომლებშიც სულიერის არსებობასაც ვერ იფიქრებდი.

შეძლებისდაგვარად ნათელი რომ მოეფინოთ ამ ქვეყნის გაუგებარ და უწესრიგო დაყოფას და ყველაფერი ისე ვაჩვენოთ, როგორც ეს ნამდვილად, მე სახელმძღვანელოდ გამოვიყენებ მდინარეებს, რომლებიც დიდი რაოდენობით მოედინებიან იბერიაზე და ასე დავასახლებ მათ შორის და მათზე მდებარე სამფლობელოებს, მოგაწვდით მათი მოსახლეობის რაოდენობას, ბოლოს კი საჭირო შენიშვნებს დაემატებ.

იბერიის პროვინცია რაჭა (პლინიუსის როას-ი) დასავლეთით ესაზღვრება ლეჩხუმელებს და სამეგრელოს; ჩრდილოეთით სვანებს და მამისონელებს. აქ სახლობს სამი ათას ექვსასი ოჯახი, რომლებიც იბერიის მეფის საკუთრებას შეადგენდნენ. სამეფოს პატივსაცემ, საჭირო მოხელეებს, დამსახურებისათვის ეძლევათ ასი ან მეტი კომლი ამ პროვინციაში, რომლებიც ამ დროებითი მფლობელის გარდაცვალების შემდეგ კვლავ მეფეს უბრუნდება, რათა შემდგომ სხვა ღირსეულ კაცს მიეცეს სიკვდილამდე.

სვანეთში მდებარე კაკასიონის ერთ-ერთი ქედიდან, რომელსაც ფასი ეწოდება, ჰიპოსიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით სათავეს იღებს იბერიის მდინარეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი მდინარე, ცნობილი ფაზისი, რომელსაც ადგილობრივნი ასევე ფასს, ან ონი-ს<sup>12</sup> ეძახიან (ოღონდ მხოლოდ მის სათავეში).

ეს პროვინცია მდიდარია კლდეებით, ძველი ციხეებით მთებზე. დასახლებულია კარგად. მაინც ყველაზე მეტად უმეცრები არიან მთელ იბერიაში. არის ტიგურების (Tigurer - თაგაური - გ. გ.) რამდენიმე ახალშენი, რომლებიც სოფელ კუდაროს ახლოს რკინას აღნობენ. ეს პროვინცია საკმაოდ ნაყოფიერია, რადგან ფაზისს გარდა

<sup>12</sup> არავითარ გაუგებრობას არ წარმოადგენს, როცა სტრაბონი ფაზისის სათავეს არმენიის მთებში ასახელებს, რადგან მის დროს, და დიღხანს შემდგომაც, სომხეთის მეფეები ბატონობდნენ კაკასიის ამ ნაწილშიც (შ). ეს კომენტარი ეკუთვნის ტაქსტის გამოცემულ შრედერს, რომელსაც ვერ მოეთხოვოთ ფაზისის სათავეს დაზუსტებას თანამედროვე მეცნიერულ ღონეზე - გ. გ.

მასზე მიედინებიან ნაკადულები და მდინარეები — ჩოლაბური, წყალწითლა, მუხურა, ბუჯა, ზუსა (Zschusa), ჩხარა (Zsgara), ყვირილა, ძირულა და ჩხერიმლა; ესენი ყველანი ფაზისში ჩაედინებიან.

აქ ბევრი ქერი და ფეტვი მოჰყავთ. ამის გარდა ძალზე ჭარბადაა გემრიელი გარეული წაბლი.

რაჭის დასავლეთით, ფაზისის მარჯვენა ნაპირზე, ლეჩხუმის საზღვრებამდე არის მშენიერი მდებარეობის მქონე სამფლობელო (სათავადო) საჭილაო (Sa-Schilio) ასსამოცი ოჯახით. მხოლოდ ერთი მთით გამოიყოფა სამხრეთით მდებარე საყიფიანო ამდენივე კომლით. ამას კი სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება საავალიანო ორასი ოჯახით. ორჯერ ამაზე მეტი მოსახლე ჰყავს სალორთქიფანიძეოს, რომელიც მდინარე ჰიპოსის მარცხენა ნაპირზეა გადაჭიმული. თუ ამ სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთით წახვალთ, მიაღებთ ფაზისს, რომლის მარჯვენა ნაპირზეც ჯერ კიდევ არის ძველი ნანგრევები ქალაქი ქუთაისისა, იბერიის მეფის რეზიდენციისა. აქედან ფაზისი კიდევ თხუთმეტ ვერსზე მიედინება ძირითადად სამხრეთისაკენ და იერთებს დიდ მდინარეს ყვირილას მარცხენა მხრიდან. აქ კარგავს ფაზისი თავის სახელს და იწოდება რიონად, იქ სადაც მის მარჯვენა ნაპირზე ხუთასკომლიანი სამფლობელო გეგუთი იწყება.

კიდევ უფრო დასავლეთით მას ესაზღვრება მეორე სამეფო მამული სანიჟარა(ძე)ო (Sa-Nischaro), რომელიც ითვლის ექვსას კომლს და რომლის საზღვარსაც ქმნის იქაური მთებიდან გამომავალი მდინარე გუბისწყალი. ეს კი, თავის მხრივ, სანამ რიონს შეერთვოდეს, სამეფო მამულის (სა)მიქელაო-ს დასაწყისს წარმოადგენს. ეს სამფლობელო ვრცელდება რიონის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ და ასევე სამეფო მამულების სანავარდოსა და საჭილაო-სთან ერთად შეადგენს ნაყოფიერ კუთხეს (რომლის სათავეშიც პლინიუსის აია იმყოფებოდა), ათას ოთხასი ოჯახით, რომელთაც ჰიპოსი და რიონი თავისი ნაპირებით შემოზღუდავენ.

ყვირილა სათავეს იღებს რაჭის ზემოთ ჩრდილო-აღმოსავლეთით, სვანეთის მთებში, რომელსაც ჰქვია ძონი (Tson). ამ მდინარეს კიდევ უფრო ზრდიან თოვლიანი მთებიდან გამომდინარე დიდი მდინარეები, რომლებიც კაკასიის ქართლის ნაწილიდან, სახელდობრ, ზემო ვახანიდან მოედინებიან.

ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, როგორც კი ის რაჭიდან გამოდის, მდებარეობს სამასი კომლისგან შემდგარი სათავალო საწერეთლო; დასავლეთით ესაზღვრება (თავისი მტკიცე და მიუდგომელი მთის საცხოვრებლებით) ნახევრად ცნობილი სამეფო მამული გრეთი (Greti – ხრეთი? – გ. გ.) სამასი კომლით, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით სამფლობელო მუხზურადან გამოყოფს მდინარე ჩოლაბური. აქ ცხოვრობს ხუთასი კომლი, რომლებიც საუკეთესო, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაშლილ ნაყოფიერ მიწაზე ტანადს და გულად მამაკაცებს ზრდიან. ძველი ციხე, ასევე მუხზურად წოდებული, მათ კვლავ აღადგინეს, რათა გაჭირვების დროს საიმედოდ გამოიყენონ, რადგან რაჭიდან გამოძვალა მდინარე მუხზურა მის კედლებს ჩაუვლის და ამ სამფლობელოს საზღვართან მარჯვენა მხრიდან ერთვის ყვირილას.

მუხზურას ემიჯნება ასევე სამეფო სამფლობელო არგვეთი, რომლის ორი ათას ხუთასი კომლი ყვირილას ორივე ნაპირზე ცხოვრობს და დასავლეთით ფაზისამდე, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდინარე წყალწითელამდე აღწევს, სამხრეთით კი ესაზღვრება ბაღდადს. წყალწითელასა და ფაზისს შორის მდებარეობს აგრეთვე ორი ათასი კომლის სიმძლავრის სამეფო მამული ოკრიბა, რომელიც ჩრდილოეთით ერთადერთი მარადმწვანე მთით გამოიყოფა სხვა სამფლობელოსაგან, რომელსაც ეწოდება საწულუკიძეო; ეს შეიცავს რვაას კომლს და ვრცელდება ფაზისის მარცხენა ნაპირამდე. ოკრიბაში სამხრეთ-აღმოსავლეთით იშლება ყურეს ფორმის დიდი ველი და დაქანებული დაბლობი, რომელზეც, ფაზისის მარცხენა ნაპირზე, ძვეს ქალაქ ქუთაისის ერთი ნაწილი. აქედან კი თორმეტ ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით არის ვარდისციხე, სამეფო გასართობი სასახლე, რომელიც მეფე სოლომონმა ააშენა მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, ამ მდინარის რიონთან შერთვის ადგილიდან სამი ვერსით მაღლა.

ყვირილა მარცხენა მხრიდან იერთებს ასევე ვახანის მთებიდან მომავალ სწრაფ მდინარე ძირულას. ძირულას მარჯვენა და ყვირილას მარცხენა ნაპირებს შორის მდებარეობს ოთხასზე მეტი კომლის შემცველი სამეფო მამული სვერი.

ამის მოსაზღვრე სამეფო მამული ხრამი თავისი ათას ხუთასი კომლით ვრცელდება სამხრეთით მდინარე ჩხერიმელამდე. იმ კუთხის წვერში, რომელიც იქმნება ძირულას ყვირილასთან შერთვის ადგილას,

ბევს ძველი ციხე შორაპანი, რომლის ქვემოთაც ჩხერიმელა ზესტაფონის (სებასტოპოლისი - რ.) ნანგრევებთან ასევე უერთდება ყვირილას.

ჩხერიმელას მარცხენა ნაპირსა და მდინარე ტიენდი წყალის(?) პირველი ტოტის მარჯვენა ნაპირს შორის მოთავსებულია სამეფო მამული ლომსიათხევი რვაასი კომლით, რომელსაც ეკუთვნის ბაღდადის ციხე, მდებარე ყვირილადან სამი ვერსის მოშორებით ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე. ტიენდი წყალი ვარდისციხესთან უახლოვდება ყვირილას, რამდენიმე ვერსის მანძილზე მიედინება მის პარალელურად და საბოლოოდ გეგუთთან ახლოს მარცხენა მხრიდან ერთვის რიონს.

მდინარე ხანისწყალი (პლინიუსის Cyanus) სამ ტოტად გამოდის გურიის სამთავროდან და, რადგან უდიდესი ნაწილი ამ სამთავროსი ამჟამადაც იბერიას ეკუთვნის, ამდენად აქ შედის სამფლობელო ფერსათი თავისი ექვსასი კომლით, რომლის მამაკაცებიც უმეტესად კარგი აღნაგობისა და გულადები არიან. ეს სამფლობელო ხანისწყლის პირველი ტოტის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და ესაზღვრება მხოლოდ ას სამოცი კომლისაგან შემდგარ სამფლობელოს სადემეტრას, რომელიც აღწევს ხანისწყლის შუა ტოტის მარჯვენა ნაპირამდე.

ამ მდინარის შუა და მესამე ტოტებს შორის მდებარეობს საჩინო - ათას კომლიანი სამეფო სამფლობელო, რომელიც მდინარის ამავე ტოტით გამოიყოფა იმავე რაოდენობის მოსახლეობის მქონე უკანასკნელ სამეფო სამფლობელოსაგან - საჯავახოსაგან; ეს უკანასკნელი ვრცელდება რიონის მარცხენა ნაპირამდე, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით აღწევს შავი ზღვის ნაპირის ახლოს მდებარე დარბეულ პალიასტომს.

პალიასტომის ჩრდილოეთით არის დიდი ჭაობიანი ტბა, რომლის დასავლეთითაც, რიონის მარცხენა ნაპირზე, ბევს ქალაქი ფაზი, ფაძი, ფაზისი ანუ ფოთი. ის ამჟამადაც თურქებს უკავიათ, აღმოსავლურ ყაიდაზე საკმაოდაა გამაგრებული და იცავენ დიდი და მკაცრი ყურადღებით; თუმცა გარნიზონი, ისევე როგორც დანარჩენი მოსახლეობა, არ ჩერდება იქ და დიდი სიამოვნებით ტოვებს მას, რადგან ჰიპოსი და რიონი ჩვეულებრივ გაზაფხულზე გადმოდინან ნაპირებიდან და მათი წყალდიდობა განაპირობებს დიდ ჭაობებსა და ლაფს. ყოველივე ეს ფოთის ახლოს იყრის თავს. ზარმაცი თურქები მას ყურადღებას არ აქცევენ და მზეს უტოვებენ ამოსაშრობად. ამიტომაც ამ ქალაქში და მხარეში (და არსად სხვაგან იბერიაში) ძალზე ხშირია უაღრესად

საშიში და ავთვისებიანი ციება. — ფოთის ქვემოთ რიონი კარგავს თავის სახელს და ზღვაში შესართავამდე კვლავ ფასი ან ფაზისი ჰქვია.

ფაზისის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით ხუთ ვერსზე, ზღვის ნაპირთან ახლოს ჯერაც დგას ძველი კოშკი; ასევე რამდენიმე ვერსის სიგრძეზე ყრია განადგურებული ციხის კედლის ნანგრევები, რომლითაც, ეჭვს გარეშეა, უწინ ხელს უშლიდნენ მტრის გემების შემოსვლას და ქვეყანას იცავდნენ.

აღნიშნული ძველი კოშკის სამხრეთ-დასავლეთით, სამი ვერსის მოშორებით მდებარეობს კუნძული პალისტა, ხოლო უფრო დასავლეთით — მა(ლ)თაყვა. ძველად იბერიის მეფეებისთვის ამ კუნძულზე უნდა ყოფილიყო ხოხბების საშენი, ამიტომაც მას დღესაც სა-კაკაბე, ანუ ხოხბების კუნძული ჰქვია იბერულ ენაზე. ახლა ეს კუნძულები გამოუყენებელია. იბერიელები საზიდრების ნაკლებობის გამო, საქონლის საძოვრადაც კი არ იყენებენ მას და ამ გემრიელ ქათმებს აღარ აშენებენ, რადგან ისინი მშვენიერ იბერიაში ისედაც საკმაოდ მრავლდებიან.

ასეთია მოკლე ტოპოგრაფიული აღწერა მთელი დღევანდელი იბერიისა და მისი სანდო დაყოფა. ახლა კი ზოგიერთი წარსული და ისტორიული შენიშვნა.

შორაპანი, როგორც ზევით აღვნიშნე, ძვეს ძირულასა და ყვირილას შერთების ადგილას. ის ძველად იყო დიდი, კარგად გამაგრებული პუნქტი, რომელიც ხშირმა დამორჩილებამ კოლხების, ლაზების, რომაელების, სპარსელებისა თუ ბერძნების მიერ ცნობილი გახადა. ახლა შორაპანი მიტოვებულია და დანგრეული; მხოლოდ რამდენიმე ასეული ებრაული ოჯახი ცხოვრობს ძველი ციხის გარეთ მიწის ნაყოფიერებით მდიდრულად დასაჩუქრებული. ისინი (ებრაელები — გ. გ.) მრავლად ცხოვრობენ სხვაგანაც იბერიაში.

შორაპანის მსგავსი იყო გარეგნულად ბალდადი ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე, ამ მდინარის ყვირილასთან შერთების ახლოს. მაგრამ ეს მშვენიერი პუნქტიც ამჟამად მთლად დანგრეულია. ბალდადი თურქებს მთელი საუკუნე ჰქონდათ ხელთ. მაგრამ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი საზავო ხელშეკრულებით მთელი იბერია მის ძველ მებატონეს, მეფე სოლომონს გადაეცა, რომელმაც თავისი უსაფრთხო-

ების გამო, ხოლო ქვეყნისათვის საზიანოდ, ყველა მაჰმადიანი გაათავისუფლა და თურქეთში დაბრუნების ნება მისცა; ახლა ეძლევა ის შეუცნობელი ბედნიერება ამ ქალაქისა და მხარის ორმოცდაათი ოლე კომლს, რომელიც უწინ ათასამდე თურქ მცხოვრებს ჭარბად ჰქონდა.

ქუთათისსაც აგრეთვე (ფაზისის მარცხენა ნაპირზე) ძველად უკეთესი შესახედაობა უნდა ჰქონოდა, სანამ ეს ქალაქი ხშირი რბევის შდევად ასეთ საცოდავ და საყსებით შეუხედავ ნანგრევებად გადაიქცა. დარჩენილი ქვების გროვა ქუთათისს აძლევს მიმოყრილი ბანაკის სახეს. ამჟამად ეს რეზიდენცია დასახლებულია ოთხმოცამდე სომხური, ებრაული და თურქული ოჯახით, რომლებიც ცხოვრობენ წნელებისა და ჩალის ქონებში. მეფე ცხოვრობს იქ უბრალო, ქვის, ნახევრად-დანგრეულ სახლში; და მხოლოდ ოცამდე უმაღლესმა კარის მოხელემ მის ახლოს აიშენა ხის მსუბუქი (სააგარაკო) სახლები, რომლებშიც ისინი მეფის გულისთვის ნოემბერ-დეკემბერშიც ცხოვრობენ. წვლიწადის დანარჩენ დროს თითოეული მათგანი თავის მამულშია და გარკვეული დროისთვის მეფეს ელოდება, რომელიც მთელი წლის მანძილზე ნელა მოგზაურობს თავის ქვეყანაში და ყველგან, სადაც კი ბანაკს დასცემს, სამართალსაც აწარმოებს, ყურს უდგებს ხალხის ჩივილს და, რამდენადაც ეს იბერიაში შესაძლებელი, წესრიგს ამყარებს. მართალია, მიდამო ქუთათისთან მშვენიერია და ნაყოფიერი, მაგრამ იბერია, მთლიანად აღებული, აღარაა საუკეთესო, გაშენებული და კულტივირებული ქვეყანა, როგორც ის ძველად იყო, როცა პლინიუსი და სტრაბონი ფაზისზე ასოც ხიდს ითვლიდნენ. ამჟამად მხოლოდ ერთადერთი და ამასთან ძალზე საცოდავი ხიდია დანგრეული ციხის ქვემოთ სამხრეთ-დასავლეთით, რომელიც უწინ ქალაქ ქუთათისს იცავდა. იბერიული გამოთქმით ყოველთვის ამბობენ ქუთათის-ს, ხოლო წერენ ქოთათის-ს.

ვარდ(ის)ციხე იმსახურებს ამ სახელს, თავისი ლამაზი მდებარეობისა და აგრეთვე ვარდების სიჭარბის გამო, რომლებსაც მეფის ხარჯით ინახავენ. ჰავა აქ მუდამ ისე რბილია, რომ ვარდი ხშირად ნოემბერშიც ყვავის.

სანავარდა, ან სანავარდო მდებარეობს იმ ადგილას, სადაც უწინ ქუთათისი უნდა ყოფილიყო აშენებული. მე მას მივიჩნევ სტრაბონის სარაპანად და სარაზანად, რადგან აქამდე დღესაც ფაზისი სანაოსნოა და მანძილი სანავარდოდან მდინარე მტკვრამდე მართლაც არა უმეტეს



ოთხი დღის სასიარულოა. გზა, რომლითაც ხშირად რომაელები და სპარსელები უკანასკნელად კი რუსები 1770 წელს გენერალ ტოტლებენის მეთაურობით სარგებლობდნენ, მართალია მიმოსვლისათვის გამოსაყენებელია, მაგრამ ძალზე ძნელი და მოუწყობელია. ზემოთ ნახსენები დანგრეული შორაპანი, რომელიც ახლაც არსებობს, მტკვრიდან მხოლოდ ორი დღის სავალზეა და პლინიუსმა ის ძალზე სამართლიანად გლაუკოსზე, ანუ დღევანდელ ყვირილაზე აღნიშნა, რომლებშიც გემები კი არ შედიან, არამედ მხოლოდ ბრტყელი ნაგებობით შეიძლება შეცურდე.

## 2. ქვეყნის ბუნებრივი ნაყოფიერება

იბერია ჩაითვლებოდა ყველაზე ბედნიერ ქვეყნად, უკეთ რომ იყოს დასახლებული და გაშენებული. მაგრამ გამუდმებულმა და განუწყვეტელმა გაჩანაგებამ, რომელსაც რამდენიმე საუკუნეა განიცდის, ის გააუკაცურა; ქვეყნის ბუნებრივმა ნაყოფიერებამ კი მისი მოსახლეობა ისე უღარდელი გახადა, რომ ეს მხარე ბედის ანაბარადაა მიტოვებული, იმის მაგიერ, რომ მისგან სარგებელი მიიღონ, რის საშუალებასაც ქვეყნის მდებარეობა იძლევა. კმაყოფილი და დარწმუნებული, რომ მიწას ყოველივე მოაქვს, რაც ადამიანს სჭირდება, ის (მოსახლე — გ. გ.) მთელ სიცოცხლეს ძილში გაატარებდა, თავადაც გაჭირვებული ხარბი ბატონი რომ იძულებით არ ამუშავებდეს.

რბილი ჰავა იცავს მას მკაცრი ყინვისა და პაპანაქებისაგან. გრილ ჩრდილიან ტყეებში, სუფთა წყლის, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მოწეული სუფთა ღვინის, უგემრიელესი ველურად გაზრდილი ხილის, სურნელოვანი და სასარგებლო მწვანილეულის არსებობის პირობებში საერთოდ მათ არაფერი იციან ავადმყოფობათა შესახებ, ძალზე იშვიათად თუ შეეყრებათ, აღწევნ ღრმა მოხუცებულობამდე. მე გავიცანი ერთი იბერი, სახელად დადულო, რომელიც იყო ას ათი წლის და სრულიად ჯანმრთელი. ის ყოველდღე ორ ბათმან, ანუ თექვსმეტ ფუნტ ღვინოს სვამდა, რასაც ყმაწვილობიდან მიიწვია. სამოცდათხუთმეტი წელია ყოველწლიურად ფეხით მიდის ქართლში წმინდა ნინოს წმინდა საფლავისკენ და, მოუხდავად იმისა, რომ მანძილი იქამდე ორას ოთხმოცი ვერსია, არასდროს დაუჩივლია დაღლილობაზე.

ძალზე იშვიათად, რომ იბერიის სამხრეთ მხარეებში თოვლი ერთ საათზე მეტხანს იდოს; რიონი და სხვა მდინარეები არასდროს ყინულით

არ იფარებიან და ისე ჭარბად შეიცავენ თევზს, რომ მხოლოდ თევზჭერთაც კარგ შემოსავალს მიიღებდნენ, მაგრამ არავის აქვს სურვილი გამოიყენოს მდინარის ეს მადლი.

მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებას ამ დალოცვილ ქვეყანაში დაუთუ-სავადაც უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე ზარმაც მოსახლეს ესაჭიროება. ტყეები იძლევიან უამრავ გემოსაშენ ხე-ტყეს, მაგრამ უმშვენიერესი მუხები, წიფლები, ნაძვები და Leerbaume, რომლებიც სიმტკიცისა და სიმაღლის გამო ანძებად გამოიყენება, სიბერისაგან ლპებიან და იმ დიდ სარგებელს, რასაც მდინარეები და ნაოსნობა მოიტანდა, იბერიული სრულებით არ იყენებს. გაჩანაგებანი, რასაც ეს ქვეყანა ასე ხანგრძლივად განიცდიდა, უნდა იყოს მიზეზი ხალხის უძლურების, რომელიც ცხვირწინ მორთმეულ სარგებელს ვერ ხედავს და გამუდმებული ომებისაგან ძალაგამოლეული, უდარდელი და ზარმაცი გახდა.

გემრიელი ხილი და ყურძენი ველურად და ჭარბად იზრდება; იშვიათად შეხვდებით სადმე სხვაგან ასეთი დიდი ხნოვანების, სისქის და სიდიდის ვაზს, როგორც იბერიაში. მე ვნახე ბევრი, რომელთა გარშემოწერილობა 15 დიუმი იყო. ვაზს აქ არც სხლავენ, არც მიწას უფხვიერებენ, არც უკლიან; თავმინებებული ისინი ჩვეულებრივ ასწლოვან მუხის, წიფლის ან თხემლის ტოტებზე შემოხვეულან უხსოვარი დროიდან. ერთი ძირი ვაზი იმდენ მტევანს იძლევა, რომ ერთ ოჯახს საუკეთესო ღვინის წლიურ სარჩოდ შეუძლია იმყოფინოს, რადგან მოსახლეს ძალზე ეზარება ცოტაოდენი ძალა დაატანოს თავს, რათა მთლიანად მოკრიფოს, ამიტომ საუკეთესო და უგემრიელესი ხილის უმეტეს ნაწილს გასაფუჭებლად, ანდა ჩიტების საჭმელად ტოვებს. მოგზაური გვიან შემოდგომაზე და ზამთარშიც კი ყოველთვის ნახულობს თავის სასიხარულოდ ვაზზე შემონახულ მტევნებს.

მე არც კი შემიძლია რაიმე ვთქვა ვაშლის, მსხლის, ქლიავის, გარგარის, ატმის, ლეღვისა და ნუშის სიჭარბის შესახებ, იქ სადაც ბუნებამ მისცა მთელი მთები წაბლით სავსე, მთელი ბორცვები ზეთისხილით დაფარული, დაბლობები სავსე ბროწეულითა და დაფნით. ეს ყოველივე კი ველურად იზრდება. ნუშის და ზღმარტლის (Mispelbaum) ხეები დახუნძლულნი დგანან კომმისა და ვაშლის დაბურულ ტყეებში. მსხალი, ვაშლი და ქლიავი ხშირად წელიწადში

ორჯერ ისხამს ნაყოფს. თუკი შემოდგომის ნაყოფი ვერ მიაღწევს სათანადო სიმწიფეს, ის მანც გამოაცოცხლებს კაცს თავისი სასიამოვნო წვენით, რაც მე და ჩემმა თანამხლებლებმა 1782 წლის 18 ნოემბერს ჩვენდა სასიამოვნოდ აღმოვაჩინეთ.<sup>13</sup> სხვა ხეხილი სულ მცირე მეორეჯერ ყვავის და შემოდგომაზე იცვლის გაზაფხულის იერს.

ამ სიუხვის გარდა რომ დაუუკვირდეთ ბრინჯის, ფეტვის, ზორბლის, ბაბბის, სელის და კანაფის მდიდარ მოსავალს, რომლის ჭარბად აღებაც შეეძლო მკვიდრს და ამას რომ კიდევ მიუმატოთ აბრეშუმში, რომელსაც ყოველი ოჯახი მხოლოდ თავისი საჭიროებისათვის ამზადებს (ხოლო მცირე შრომითაც გაცილებით უფრო მეტი მიიღებოდა), ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა გვეპოვნა უფრო ბედნიერი ქვეყანა? — და მანც საკმაოდ ხშირად აწუხებს შიმშილი ყველაფრით სავსე მცხოვრებს, რადგან წესრიგის უქონლობის გამო ის საჭიროებისათვის შეგროვილ მარაგს ადრევე ნთქავს. სრული სიზარმაცე (უდარდელობა) და მათი წყობილების მოუწესრიგებლობა აჩანავებს ამ ბედნიერ და მდიდარ ქვეყანას.

მხოლოდ მეფუტკრეობას მისდევს იბერიელი სიამოვნებით; მალამოსავით გემრიელი იბერიის თაფლი თავისებურია. ის განსხვავდება თოვლივით თეთრი ფერით და ძალზე თხელი ფიჭვის ხერელით სხვა მწვანე თაფლისაგან, რომელიც მწარე გემოსია, აქვს თვისება საშინლად დაათროს კაცი და მკვდარივით დააძინოს, თუ კი ცოტა ზედმეტს შეჭამს მას.

იბერიელები ღორებს დიდი რაოდენობით აშენებენ და მის ზორცს სიამოვნებით მიირთმევენ; მსხვილი რქოსანი საქონელი და ცხვარი არც ისე ბევრია, რამდენიც ამ ქვეყანას შეეძლო გამოეკვება.

ფეტვის განსაკუთრებულ სახეობას, რომელსაც ძალზე პატარა მარცვალი აქვს (*Panicum italicum*), უწოდებენ ღომს და მოჰყავთ ძალზე დიდი რაოდენობით. ნაკლებ თესენ თურქულ ზორბალს, კიდევ უფრო ცოტა — სიმინდს და მხოლოდ სახლის მეურნეობისთვის — ბამბას.

<sup>13</sup> ამ დღეს განსვენებულმა რაინეგსმა მეფე სოლომონს გადასცა წმინდა ანდრიას ორდენი, რომელიც გარდაცვლილმა რუსმა იმპერატორიამ მას ავტორის ხელით გაუგზავნა. 20 ოქტომბერს მან ასევე გადასცა ალექსანდრე ნეველის ორდენი ქართლის ტახტის მემკვიდრეს, გიორგის (შ.).

მეაბრეშუმეობას აქ უფრო მეტი მონდომებით მისდევენ, ვიდრე სამეგრელოში. იბერიაში ამზადებენ მსუბუქ, ლამაზად შეფერილ აბრეშუმის ქსოვილებს, ხელსახოცებს, ტაფტას; აგრეთვე წმინდა ძაფის სქელ თავსაფარს (მაუღს). მაგრამ ყოველივე ეს არის მხოლოდ ბავშვური მონდომება დიდი ადამიანის მოქმედებასთან შედარებით, რაც ამ ხალხს შეეძლო გაეკეთებინა.

სელს სრულებით არ აშენებენ, აგრეთვე არც სელის ქსოვილებს ქსოვენ, რაშიც კოლხები სტრაბონის დროს ასე დახელოვნებული იყვნენ და რომლის მიხედვითაც სურდათ მათი ეგვიპტელთაგან წარმოშობა დაემტკიცებინათ. დღევანდელ იბერიაში აღარაფერი იციან ძველი კოლხების სახიფათო საწამლავის შესახებ, რომელშიც ისინი თავის ისრებს აწობდნენ და ამის საშუალებით განუკურნებელ მყრალ, სასიკვდილო ჭრილობას აყენებდნენ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ არც იბერიაში, არც სამეგრელოში ბავშვების ყვავილით დაავადება არაა გავრცელებული; ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამ ავადმყოფობის შესახებ არაფერი იციან; მაგრამ, როგორც კი ისინი თავისი ქვეყნის გარეთ მოხვდებიან, მაშინვე შეეყრებათ ხოლმე. სურდათ ჩემი დარწმუნება იმაში, რომ ხშირი ხმარება *Bellis perennis*-ის და არამსუსხავი ჭინჭრისა იცავს მათ ამ დაავადებისგან, რადგან ეს მცენარეები შობის ღამიდან დაწყებული აღდგომამდე არის ერთადერთი მწვანელი საჭმელი, რომელსაც იბერიელები უმად, ან ცოტა მარილით მუჭში დასრესილს ხშირად ჭამენ.

### 3. იბერიელების ჩვევები, ჩაცმა და ყოფა

ნამდვილი იბერიელი, რომლის სისხლიც სხვა ეროვნებებთან შერევით ჯერ არ არის წამხდარი, მკვეთრად განსხვავდება ირგვლივ მცხოვრები ყველა ხალხებისაგან. ჩემი დაკვირვებით ის ეკუთვნის აზიის უძველეს ხალხებს, რადგან მათი ჩვევები, ასევე ჩაცმა კვლავ მიუთითებენ მათ დიდ სიძველეზე. ის (იბერიელი — გ. გ.) არის საშური აღნაგობისა, ლამაზი (თუმცა ქალები ნაკლებადაა ასეთი); სწორი, პროპორციული, ვაჟაკურად ლამაზი თავი აქვს მხოლოდ ჭეშმარიტ იბერიელს, რომელიც, მიუხედავად იმისა, ღარიბია თუ არა, ერთნაირად ამრავლებს თავის საკუთარ შთამომავლობას და გვარს შეურეკლად ინახავს.

იბერიელს თმა მოკლედ აქვს შეჭრილი კისერზე; მღვდლები და ბერები კი გრძლად უშვებენ და ასევე გრძელი წვერით განსხვავდებიან დანარჩენი მოსახლეობისაგან, რომელიც კმაყოფილება მხოლოდ ულვაშებით.

თავზე დასახურავად იყენებენ ორ, ოვალურად გამოჭრილ და ერთი ნაპირით ერთმანეთზე მიკერებულ შავი მაუდის ან ტყავის ნაჭერს, რომელსაც ირგვლივ თასმა, ყაითანი ან ღვედი აქვს შემოვლებული და რომელიც ფარავს შუბლის შუა ნაწილს კეფამდე, აგრეთვე ერთი საფეთქლიდან გადადის მეორემდე. ამ თავსაბურავის შემოვლებული ნაპირიდან, სადაც ის საფეთქლებს ეხება, ორივე მხარეს მიმაგრებულია თასმის ბოლოები, რომელიც ნიკაპის ქვეშაა ამოდებული და ამაგრებს ამ თავსაფარს; იბერიელი მას მხოლოდ წვიმაში იყენებს, ხოლო ჩვეულებრივ ჰკიდია კეფის ქვეშ კისერზე.

ყელი შიშველია და სადაც ის ტანს უერთდება, მასზე შემოხვეულია წითელი აბრეშუმის პერანგის ნაწიბური; პერანგი მუხლებამდე აღწევს და გულმკერდის სიგრძის მიხედვით მარცხენა მხარეს ჩახსნილი და ღიაა; მას ყოველთვის ატარებენ განიერი სელის ან აბრეშუმის შარვალს ზემოდან. მოკლე ხიფთანი, რომელიც გულმკერდს არ უფარავს და ძლივს აღწევს მუხლამდე, აცვიათ პერანგს ზემოდან და თეძობთან შეკრულია წერილი ტყავის ღვედით. სახელოების შიდა ნაკერი გახსნილია ილლიდან იდაყვამდე, რათა საჭირო შემთხვევებში მკლავის ამოღება უმაღლე შეძლოს.

ბევრი აგრეთვე შარვლის მაგივრად ატარებს მაუდის გრძელ წინდებს, ერთმანეთზე გადაკერებულს, რომლებიც შუა თეძოს ზემოთ აღწევენ და მუხლქვეით იკრავენ და იმაგრებენ ჭრელი მაუდის ზონარით (ნაწიბურით).

[იბერიელი] ფეხზე ქვემოდან იცვამს მსუბუქ წითელი ტყავის წინდას, ან ამოიბამს ცხოველის ტყავს, რომელსაც იკრავს ქუსლიდან წინისკენ წაწვეტებულად. გულმკერდი და ზურგი იბერიელს მორთული აქვს სპილენძის, ვერცხლის ან ოქროს ძეწკვებით თუ ჯაჭვებით; ტანზე უკიდიათ საპირისწამლე (ტყვია-წამლის რქა), პატრონტაში, კვესი, ნემსი თუ მახათი, საწმენდი, დამბაჩა, ჭოგრიტი და ტყავის დასაკეცი სასმისი. როცა ის ხანჯალსა და ხმალსაც აისხამს, სამკლავურებს წამოიცვამს და ხელში თოფს დაიკავებს, მაშინ ის

ემსგავსება შემზარავ ჯარისკაცს. და მართლაც ეს ხალხი ჯიშინი სამხედროებია!

იბერიელთა სახლები ცალ-ცალკე დგანან. ისინი ერთმანეთზე მიჭედებული განიერი ფიცრებისაგანაა ნაშენი და შეიცავენ მხოლოდ იმას, რაც ყველაზე საჭიროა ადამიანური სიმყუდროვისათვის.

მათი ტანსაცმელი ჭუჭყიანია, რადგან, ჩვეულებრივ, აქვთ მხოლოდ ერთი ხიფთანი (ქურქი), რომელსაც არ იხდიან, სანამ სულ არ დაიძებნება. მაგრამ, როცა მას ქონებრივი შესაძლებლობა საშუალებას აძლევს, ის სიამონებით ირთვება; ერთმანეთზე წამოიცივამს სამ ან ოთხ ხალათს (Rock) და ყურადღებას არ აქცევს, თუ ზემოთა ხალათი ქვემოთაზე მოკლე ან გრძელი იქნა, ანდა რა ფერის აბრეშუმისაა თუ მატყლის; რომელიც მას უფრო მეტად მოსწონს ყველაზე ზემოდან აცვია.

იბერიელი ისევე ამაყია, როგორც უღარდელი; როცა იყინება, მხოლოდ მაშინ აგროვებს შეშას და, როცა შია, მხოლოდ მაშინ მოიფიქრებს მოძებნოს, აქვს თუ არა რაიმე საჭმელად. სახლში ის ჭამა-სმამი მცირედით კმაყოფილდება, სამაგიეროდ მაგრად თვრება, როცა სხვის სარჩოს აჩანაგებს. ფეტვის ფქვილი წყლით და მარილით მოხარშული ნახევრად მშრალ სქელ ფაფად (რომელსაც ისინი ღომს უწოდებენ) იბერიელებს პურის მაგიერობას უწევს, რაც ცივად მოხარშულ ღორის და ქათმის ზორცის ნაჭრებთან და საკმაოდ მოზრდილ ბოთლ ღვინოსთან ერთად მის საზრდოს შეადგენს.

ზამთრობით ყოველი ბორცვი არის მათი კერა, ხოლო ფიცარი – საწოლი, რომელზეც, ტყავის ქურქში გახვეულს, ძალზე მშვიდად და უღარდელად სძინავს; იბერიაში საწოლების ხმარება, ისევე როგორც პურისა, არაა მიღებული და, რადგან მათ აფუებული ცომი არ იციან, ამიტომ პური, რომელსაც ისინი სტუმრებისათვის, ან უცხოელებისათვის ძალზე უსუფთაოდ ამზადებენ სიმინდის ფქვილისაგან, არაა დამჭავებული და უგემურია.

უღარდელობის გამო იბერიელი ღარიბია, მაგრამ სიამაყე აიძულებს მას, რაც აქვს, იმითაც სტუმართმოყვარე იყოს; არასოდეს ნაცნობი ან სახელოვანი მგზავრი იბერიელის სახლს ისე ვერ ჩაუვლის, რომ ბიჭებმა კვერცხები, ხილი, თაფლი და ღვინო არ დაახვედრონ და თუ სტუმარი წასვლას დააპირებს, აიძულებენ ან ცოტა გასინჯოს, ანდა თან წაიღოს.

იბერიელი მორჩილია სანამ იმედი აქვს, ან რაიმეს ელის; ყოველთვის ეჭვიანია და მტერი იმისა, ვისიც ეშინია; მდაბლად მთხოვნელი, როცა რაიმე სურს მოიპოვოს და საკმაოდ ამაყი, რათა მადლობა გადაუხადოს, როცა თავის სურვილს შესრულებულად ჩათვლის. ის ყოველთვის მზარულ გუნებაზეა, მოსაუბრეა; მზადაა გემსახუროს, როცა ის უმცირეს სარგებელს მოეღის; უდარდელია, როცა საქმე კარგად აქვს და გულგრილად ჯიუტი გარდუვალი უბედურების დროს; ხოლო, როცა მოულოდნელად ბედნიერება შეემთხვევა — უსაზღვროდ კმაყოფილია. ისაა არაჩვეულებრივად გამძლე ფეხით მოსიარულე და ძალზე მამაცია მხოლოდ თავის ქვეყანაში.

## **გურიელის სამთავრო ანუ გურია. აგრეთვე მოსაზღვრე მთის ხალხი — მოჯაშელი (Modschaweli)<sup>14</sup>**

მოსხების მთების ბოლო, რომელიც წარმოადგენს გაგრძელებას სამხრეთით გადაჭიმული კავკასიონის შტოსი, მოიცავს იბერიისაგან გამოყოფილ კიდევ ერთ პროვინციას, რომელსაც სხვადასხვაგვარად — გუელ-ს, გურიელ-ს და გურიას უწოდებენ. მისი მდებარეობა ისევე ნაყოფიერია, როგორც სასიამოვნო. მე რომ საბუთად მოვიყვანო განადგურებას გადარჩენილი ნანგრევები, ეს პროვინცია უწინ არაჩვეულებრივად დასახლებული და აყვავებული უნდა ყოფილიყო. ახლაც ამ ქვის გროვებში ექვსი ათასზე მეტი ოჯახი ცხოვრობს.

უწინ რიონი გამოყოფდა იბერიას გურიისაგან და ორივე პროვინციის მთავარი ერთმანეთს ხშირად ეომებოდა ქალაქ ფოთისათვის, სანამ საბოლოოდ თურქებმა არ მიიტაცეს ეს ქალაქი, ხოლო იბერიელებმაც მთელი ზოლი ხანისწყლის შენაკადებს შორის მიითვისეს. ასე რომ, დღევანდელი საზღვარი იბერიასა და გურიას შორის არის საჯავახოდან სამხრეთ-დასავლეთით თორმეტ კერსზე მიმდინარე ბაზვი, რომლის მარჯვენა ნაპირზეც, ზედ ზღვაზე მშვენიერი, კარგად დასახლებული პუნქტი ჯუმათი ძევს. ამას კი ასევე კარგი ნავსადგური აქვს. კიდევ უფრო საიმედო და ღილი ნავსადგური აქვს აქედან

<sup>14</sup> მაჯაშელი (?) — გ. გ.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ათ ვერსზე მდებარე დიდ-ციხეს, რომელსაც აგრეთვე (ფ)ხინო ჰქვია.

ეს პუნქტი, რომელსაც მე ვთვლი ძველი გეოგრაფების პიტუს-ს-ად (თუ ბათუს-ად – გ. გ.), არის გურიის მთავრის რეზიდენცია. იგი იმსახურებდა უფრო მძლავრი ბატონის ყოლას, რომელიც ქალაქის მომაჯადოებელ მშვენიერ ამფითეატრისებურ მდებარეობასა და ნავსადგურის მომგებიანობას უკეთ გამოიყენებდა.

აქ მრავლად იზრდება აგრეთვე ნავსაშენი ხეები და, რადგანაც ეს პროვინცია იბერიაზე უფრო სამხრეთით ძვეს, ამიტომ აქაური ნაყოფიერება გაცილებით უფრო დიდია და ყველაფერი, რაც იბერიაში იზრდება, ნიადგას აქ ორმაგად მოჰყავს, გარდა ლიმონის, ფორთოხლის და ზეთისხილის ხისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იბერიაში ველურად მზარდ ზეთისხილს.

ლამაზი მამაკაცის ნიმუშს, მრავლისმეტყველი სახის ნაკვთებით გურიაშიც ნახავთ; მაგრამ, ჩანს, რომ ბუნებას ისინი გარეგნულად უფრო შეუმკია, ვიდრე სულიერად. ბუნებას ისინი გაუბოროტებია და გაუზარმაცებია. მღვლღები და ბერებიც კი ზარმაცები არიან თავის საქმეში და გურიის ერთადერთ მონასტერს შამ-უმიდს (დამასკოს იმედი<sup>15</sup> = შემოქმედი – გ. გ.) ხშირად სამი თქვე ეკლესიის კარი გამოკეტილი აქვს.

დიდი ციხიდან – ოცდაათ ვერსზე გვხვდება ამ მხარის მაღალი მთებიდან გამომავალი მდინარე მატაბოა (ნატანები? – გ. გ.), ანუ ასევე ბოასი. ეს არც თუ პატარა მდინარე მიედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ნაყოფიერ ტყეებზე. ზღვასთან ახლოს ძალზე მდიდარია თევზით; მაგრამ არავენ იწუხებს თავს, რათა აქედან რაიმე სარგებელი ნახოს.

აქედან ათ ვერსზე არის მდინარე სუფსა.<sup>16</sup> ისიც ასევე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოედინება, პირველის მთლად პარალელურად. გაივლის სულ ცოტა ხნის წინ სავსებით განადგურებულ ქალაქს, რომლის ძველი სახელიც არის კენდროს. ამჟამად მისი გადარჩენილი ნანგრევები და მიწაყრილები იწოდება კინდრიშად. მე ეს ქალაქი მიმაჩნია სტრაბონისეულ დიოსკურიად, რადგან ესეც შავი

<sup>15</sup> ეს ეტიმოლოგია რაინვესისეულია და მცდარი – გ. გ.

<sup>16</sup> რაინვესი ცდება. უნდა იყოს კინტრიში – გ. გ.



ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთის კუთხეზე მდებარეობს. აქედან გამომდინარე, მდინარე სუფსა შეიძლება ყოფილიყო სტრაბონის ზარისი ან პლინიუსის ანთემუნტა.<sup>17</sup>

ამ ქალაქს, რომელიც მდინარე სუფსასთან ერთად ქმნის გურიის სამხრეთ საზღვარს, თავისი საუკეთესო მდებარეობის გამო, შეუძლია მისდიოს არაჩვეულებრივად მოსახერხებელ ვაჭრობას, რადგან შავი ზღვის ნაპირი აქ წარმოქმნის ძალზე დაცულ ნავსადგურს, რომელსაც აქვს ცხრა საყენი სიღრმე. 1760 წელს დაახლოებით ასი თურქული და სომხური ოჯახი აქ საკმაოდ კარგად მოეწყო. ისინი ბეჯითად ეწეოდნენ სელისა და კანაფის მზადებას თავისთვის სამყოფად და მომავალში ბევრის მომცემი ვაჭრობისთვის, რაც აქ უწინაც ცნობილი იყო; ამ ქალაქმა და გარშემო ადგილებმა სახელი კენდროსი მიიღო: მაგრამ, რადგან მათ გურიის თავადისთვის – თავდგირიძისათვის არ სურდათ არც ზარკის გადახდა, არც მის ქვეშევრდომად ყოფნა, ამიტომ მან გაყარა ეს მოსახლეობა და გადაწვა მათი საცხოვრებლები. 1775 წელს ხელახლა მოვიდნენ აქ ქურთული და თურქული ოჯახები, იმ მიზნით, რომ ეს ადგილი კვლავ გაემუხებინათ, გაემაგრებინათ და ირგვლივ განიერი თხრილი შემოეცლოთ. მაგრამ, რადგან მათ ყაჩაღობა და თავდასხმები უფრო აწყობდათ, ვიდრე მიწათმოქმედება და აქედან გურიასა და იბერიას ყოველთვის ზიანს აყენებდნენ, ამიტომ მეფე სოლომონმა, როგორც გურიის მფარველმა მბრძანებელმა, ეს ყაჩაღთა ურდო და ქალაქი 1783 წელს ძირფესვიანად მოსპო. ამის შემდეგ კი, აზიაში ძველთაგანვე გავრცელებული წესის მიხედვით, ქალაქის მიწაზე მარილი მოაპნევენა და შემდეგ გადაახუნევენა.

დღევანდელ გურიის პროვინციას უწინ კენდროვა, ხოლო კიდევ უფრო ადრე ზანებში ზანების სამეფო<sup>18</sup> (Tzanica) ერქვა და, ეჭვს გარეშეა, რომ ძველ ზანებში მიეკუთვნებოდა კოლხეთს. ის იყო იბერიისაგან დამოკიდებული. მაგრამ იბერიის მეფეთა დასუსტებისა და თურქთა თავდასხმების შედეგად (როცა თითოეული ძლიერი

<sup>17</sup> ცხადია, რაინგისი შეცდომას უშვებს, როცა აფხაზეთის პუნქტები სამხრეთით ეგულება – გ. გ.

<sup>18</sup> უფრო უკეთ ძონების სამეფო (ძონიკა – Tsonica, რადგან სტრაბონის მიხედვით ძონები, ანუ სონები ამ მხარეებში ვრცელდებოდნენ ლიოსკურამდე (შ.) შრედერი შეცდომაში შეიყვანა თვით რაინგსმა, რადგან ლიოსკურიას აქ უთითებს – გ. გ.

ცდილობდა თავის ძალაუფლების დამკვიდრებას), ერთ იბერიულ წარჩინებულს გაუდიმა ბედმა და დაისაკუთრა ეს პროვინცია. თავისი სახელი შთამომავლებს გადასცა, რომლებიც ამ სამფლობელოს ოსმალთა მხარდაჭერით საკმაო ხანი იბერიისაგან დამოუკიდებლად ფლობდნენ, სანამ ბოლოს მეფე სოლომონმა მისი ერთი ნაწილი იბერიას ხელახლა არ შეუერთა, ხოლო დანარჩენზე კი მთავარს ხარკი შეაწერა.

გურიის ყოველი მთავარი თავისი მმართველობის დაწყების წინ ღებულობს სახელს — გურიელს და მტკიცდება იბერიის მეფის მიერ; მაგრამ ორივე მმართველი დღემდე უძლური აღმოჩნდა, რათა გურიისთვის შემოეერთებინა მოსხების ანუ ძონების მაღალ მთებში მცხოვრები დამოუკიდებელი ხალხები, რომლებიც მისგან დიდხანია რაც გამოიყვნენ. უწინ ისინი ეკუთვნოდნენ იბერიის წარჩინებულს, გვარად — მოჯაველი (Modschaweli - მაჭახელი?), რომელმაც მარჯვე შემთხვევით ისარგებლა, აჯანყდა და დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამჟამად, თუმცა ამ განდგომილისა და მისი შთამომავლებისაგან არავინ დარჩა, ამ მთის ხალხს მაინც უწოდებენ სახელს მოჯაველი. ხოლო რადგან ისინი სხვადასხვა გვარტომებად (Stamm) დაიშალნენ, ამიტომ ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან.

პირველი გვარი არის ძაკვი (ჩაქვი? — გ. გ. Tsaqui; ის ცხოვრობს მდინარე ხანისწყლის სათავეებში, იბერიის ზევით, აღმოსავლეთით გურიის საზღვრებთან და ახლოს იმ ტომთან, რომელსაც ჰქვია ტსგარა (Tsgara) ანუ ატსგარა (აჭარა — გ. გ.). ეს ვრცელდება უფრო დასავლეთით მდინარე ბახვის სათავეებისაკენ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით დიდი მდინარის ჭოროხის შენაკადებამდე, რომელზეც (ჭოროხზე — გ. გ.), სანამ ეს მდინარე ბათუმამდე მოუხვევს, მდებარეობს ჭანეთი, რომელიც იმავე მდინარით გამოიყოფა ლაზების დარჩენილი ტომიდან. ეს სამი ტომი ძაკვი (ჩაქვი), ტსგარა (აჭარა) და ჭანეთი ითვლის შეიდი ათას კომლს. უწინ ისინი ქრისტიანები იყვნენ და ახლაც იბერიულ ენაზე ლაპარაკობენ; ლაზებმა კი შეინარჩუნეს მეგრული ენა.

მთის ამ ხალხების მტკიცე საცხოვრებელმა და საკმაო სანოვაგემ, რასაც მათ ნაყოფიერი მიწა აძლევს, ამ ტომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანთა გონება განაწყო აჯანყებისაკენ, რაც გააღვიძა მათში იბერიის მბრძანებლის უსაზღვრო სიხარბემ მათ მიმართ; ამ შტოებმა მიაღწიეს

სრულ დამოუკიდებელ, მკაცრ თავისუფლებას, მას შემდეგ, რაც ერთხანს მამაცურად იბრძოლეს. შემდეგ მათ მიიღეს მაჰმადის რეჟული, თუმცა არასოდეს დამორჩილებიან დიდ მბრძანებელს. მაინც არიან რა ნამდვილი მუსლიმანები, ისინი თვით თურქებსაც ძარცვავენ ისევე, როგორც სხვა თავის მეზობლებს ყოველგვარი შეცოდების გარეშე. გურია მათგან სულ უფრო მეტად ჩანავდება; იბერიის მიმართ კი უფრო მეგობრულად არიან განწყობილნი, მას შემდეგ რაც მეფე სოლომონმა ისინი რამდენჯერმე მკაცრად დასაჯა, თუმცა ვერ დაიმორჩილა.

## თურქული პროვინცია ახალციხე, ხალციხე, ანუ აქისკა

მოსხების ქედი, როგორც კი ის გურიიდან გამოდის, ორ მთავარ შტოდ იყოფა. პირველი ანუ წინა, მარჯვნივ გადაჭიმული მიემართება დასავლეთით შავი ზღვის გასწვრივ და იღებს იქ ჰონტოს მთების სახელწოდებას. მეორე შტო მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით და არის ის ქედი, რომელსაც ძველი გეოგრაფები ტიბარენების, კორაქსების და ჰენიოხის სახელით იცნობდნენ. ახლა კი მას ჩილდირი ეწოდება (ტ. 1, გვ. 6).

სიდიდით და სიმაღლით ეს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაჭიმული ქედი არ აღემატება დასავლეთისას, მაგრამ ნაყოფიერებით დიდად ჯობს. ჩილდირის მთის წვერები დაფარულია ხშირი ნაძვის და ფიჭვის ტყეებით. მთელი ქედი ამითაა დაფარული და დაბლობზეც კი ტყეები ვიწრო გზასაც არ ტოვებენ, რადგან ძველმა გაჩანაგებამ, დაუჯერებელმა უკაცრიელობამ და დღევანდელმა სახიფათო მდგომარეობამ, რაც ხელს უშლის მინდვრის დამუშავებას, არავითარი საზღვარი არ დაუდო სწრაფად მზარდი ხეების გამრავლებას.

როცა დიდი გაჭირვებითა და შიშით ამ მთაზე ახვალთ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, მის ძირას გაშლილ დაბლობზე, მტკერის მარცხენა ნაპირზე დაინახავთ ძალზე ხალხმრავალ სავაჭრო ქალაქს ახალციხეს, ანუ აქისკას, რომელიც თურქეთის სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრის ნაწილს შეადგენს.

ამ ქალაქს არც გალავანი აქვს, არც სიმაგრეები. ის დაცულია მხოლოდ ერთი, ნახევრად დაქცეული კოშკით. მოსახლეობას შეადგენენ

ებრაელები, თურქები, სომხები, ქართველები და ბერძნები; ყველანი ვაჭრობით და ხელოსნობით ცხოვრობენ, რაშიც მათ აქედან მხოლოდ ას თხუთმეტ ვერსზე დაშორებული ნავსადგურ-ქალაქი ბათუმი (სტრაბონისეული ბატა) და ამ გზაზე მდებარე სხვა სავაჭრო ქალაქებიც – ჭოჭულე, გორცუმე, შვანვეი და კეტიეი – არც თუ მცირედ ახალისებენ. ქალაქის გაცხოველებული ვაჭრობის გამო სახელწოდება – ახალციხე ჰქვია მთელ პროვინციასაც. მას ასევე უწოდებენ ხალციქს და ესაზღვრება აღმოსავლეთით სომხეთი, ჩრდილოეთით იბერია, სამხრეთით ყარსი და ერზერუმი, დასავლეთით კი შავი ზღვა.

მებაღეობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ვაჭრობა, ასევე მხოლოდ აქ გავრცელებული ზეთის ხილი მოსახლეობას ძალზე შეძლებულს ხდის და ფაშა სულეიმანი, რომელიც არა ნაკლებ მდიდარია, თავისი ქვეშევრდომების ჭარბ სიმდიდრეს უსაქმურობაში და არც თუ მთლად მშვიდად ნთქავს.

აკისკადან ცხრაშეტ ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ჭოჭულეს ზემოთ, უკვე ნახსენებ ჩილდირის მთებში მტკვარი იღებს სათავეს მრავალი წყაროდან და ნაკადულიდან და თურქული ველების ნაყოფიერებას ზრდის.

მაღე თავის სათავედან, როცა ის ჩაუვლის სოფლებს ოძრხეს (ოცხე – Otschghe) და აბასთუმანს, იერთებს ორ დიდ მდინარეს იმავე სახელისას. მთის მდინარე ბენჯრლე მას ძალზე ზრდის, ხოლო ჩაკუსმენი, ვალისწყალი (Walistscheiri - ვალისჭვირი?) და ზლულისი (Sghulis) მას უკვე შესამჩნევად წყალუხვს ხდიან. ამრიგად გაზრდილი ის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოუვლის ქალაქ აკისკას, მაშინვე მის ქვემოთ გაუხვევს მთლად აღმოსავლეთით; აქ ის წინასწარ მდინარე ბორბალას შეიერთებს.

აკისკადან ცამეტ ვერსზე ის იერთებს ახალქალაქის სამხრეთ-დასავლეთიდან მომავალ მდინარე აწარს (Atsar), ანუ არდაჰან-სუის (აწყური? – გ. გ.) და ჩაუვლის ციხის კედლებს ძველი, იმავე სახელის კლდე-ქალაქის აწარი-სა, ასევე აწგარი<sup>19</sup> (აწყური – გ. გ.).

---

<sup>19</sup> მდინარე აბსარი პლინიუსის (აზორდა – მოსე ზორენელის) – რ. რაინვესი ეყრდნობა ძველ სომეხ ისტორიკოსს მოსე ზორენელს. ამიტომაცაა, რომ ქვემოთ ახალციხის პროვინციას ძველ ტაიკად (ტაო – გ. გ.) აცხადებს და სომხურს უწოდებს – გ. გ.

რომელიც ცნობილია თავისი ძლიერი ციხით კლდეზე და თურქების დიდი მარცხით, რაც მათ 1770 წელს ერეკლე მეფემ რუსების თვალწინ აგემა. ამ ქალაქის ქვემოთ მტკვარი გაუხვევს ჩრდილოეთით და შემდეგ მრავალი მიხვეულ-მოხვეული დინებით მიემართება აღმოსავლეთისაკენ.

აკისკას პროვინცია სომხეთს ეკუთვნოდა და ქვეყნის აღწერილობაში (გეოგრაფიაში) მას ტაიკი ეწოდება. უფრო სამხრეთით მცხოვრებმა თურქმა მას შეარქვა სახელი გურჯისტანი, ანუ გრუზია; მეფე ერეკლეს ქვეყანას ის უწოდებს არმენიას, ხოლო იმერეთს იცნობს მხოლოდ და მხოლოდ აჩიკ-ბაში-ს სახელით.

აკისკა არის დიალექტში დამახინჯებული თურქულ-სპარსული სიტყვა — აკჰისარ, თეთრი ანუ ახალი — ციხე, რასაც აღნიშნავს აგრეთვე ქართული სახელწოდება ახალციხეც. ორივე გეორგიის ენაზე ეს პროვინცია ჩვეულებრივ საათაბაგოდ იწოდება და უკვე ეს სახელი ადასტურებს მის უწინდელ დამოკიდებულებას ამ სახელმწიფოსგან; რადგან ეზოსმოდღვარი (სახლთუხუცესი), ანუ აღმზრდელი ხელმწიფის შვილისა მეტწილად აღმოსავლურ ენებზე ათაბეგად — იწოდება. ამ პატივით ჯილდოვდებოდა იბერიაში ამ პროვინციის მმართველი. ამიტომაც ეწოდა მას საათაბაგო. ეს სახელი ერქვა მუდამ, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იბერიისაგან დამოუკიდებელი ათაბაგების შთამომავლებმა ისლამი მიიღეს და თურქთა ქვეშევრდომობაში შევიდნენ. ახლაც, პორტას რომ ნაკლები შიში ჰქონდეს ამ პროვინციის მმართველებისა, ამიტომ ყოველთვის აკისკას ფაშად ამ გვარის ერთ-ერთ წევრს ნიშნავენ. როცა ეს გვარი ძალზე მრავლდება, მაშინ ამ პროვინციაში არც თუ იშვიათად იწყება შფოთი მმართველობის გამო და აჯანყებები, რომლებიც მაშინვე მთავრდება, როგორც კი მეთაურებს თავიდან მოიშორებენ. კონსტანტინოპოლის კარი საიმოვნებით აძლევს მათ საშუალებას, რათა ერთმანეთი ხოცონ; ამას იქ უყურებენ, როგორც გვარის შინაურ საქმეს, რომელშიც ჩარევა არ სურთ, რადგან ამის გამო პროვინციას არ დაკარგავენ და საბოლოო გამარჯვებულს დაუზარებლად ხდიან მისივე საკუთარი ქვეყნის ფაშად.

ეს პროვინცია მდინარე მტკვრის იქითა მხარეს ძალზე შორს ვრცელდება; მას აქვს არაჩვეულებრივად ნაყოფიერი ყანები, არც თუ ცოტა სოფლები, ხოლო ქალაქები საღირე, ქორღელი, არტაანი, კიოლე,

იდე, ფუნაქი და ახოსორე დასახლებულია შეძლებული მცხოვრებლებით; ყველაზე ხალხმრავალია ქალაქი ოლთი, სადაც მზადდება სუფთა და ძალზე კარგი ხარისხის ბორაქსი.

ნასოფლარების და დანგრეული ციხეების დიდი რაოდენობა გვიჩვენებს, თუ რა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული ეს ქვეყანა ძველად; ამჟამად მოსახლეობის ადგილი უჭირავს მუხის, წიფლის, ნაძვის, ფიჭვისა და ველური ხილის თვალუწვდენელ ტყეებს; ხოლო ადამიანებისაგან მიტოვებულ ამ მშვენიერ მიდამოს, რომლის მთებიც უმდიდრეს მინერალებს შეიცავენ, დაპატრონებია უთვალავი რაოდენობა ნადირისა.

მე უნდა შევნიშნო აგრეთვე, რომ ამ პროვინციის კაცები თავისი არაჩვეულებრივად ლამაზი და დიდი წვერით ძალზე განთქმულნი არიან; და მართლაც მხოლოდ წვერით გაარჩევ ძველ მკვიდრს ახალი მოსულისაგან. სტრაბონმა საკსებით სამართლიანად მიუთითა ამ მხარეში მაკროპაგონები.

## ს ა მ შ ლ ო ბ ე ლ ო ვ ა ხ ა ნ ი

აწყურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით თოთხმეტ ვერსზე მაღალ მთაზე დგას ავალისციხე, ძველი მაგარი მთის ციხე, სადაც არის მტკიცედ დადგენილი საზღვარი აკისკასა და ქართლს შორის.

აქედან ჩრდილოეთით ხუთ ვერსზე არის ვახანი, დიდი სამფლობელო, რომელიც ხან იბერიას ეკუთვნის, ხან ქართლს და არის აბაშიძეთა გვარის საკუთრება. ის ვრცელდება ჩრდილო-აღმოსავლეთით ქართლოსეთის მთებამდე და იქ იწყება ზემო ვახანა. სამხრეთ-დასავლეთით ის აღწევს თითქმის ჩილდირის მთის დასაწყისამდე და ჰქვია ქვემო-ვახანა. ის ითვლიდა ათას კომლს და ჰქონდა ქალაქი, ასევე ვახანად წოდებული, რომელსაც სოფელსაც კი არ შეგადრიდი, რომ დიდი კარები და ცამეტი ხის სავაჭრო დუქანი არ ჰქონოდა.

ძველთაგანვე აბაშიძეთა გვარი ცნობილი იყო, როგორც მღვრიეში თევზის მჭერი, ყველასი და არავის მორჩილი. მათი გვარის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ქორწინებით და დამოყვრებით იბერიაში მომხრეები გაიჩინა; ზოგიც დადგა ქართლის სამეფო კარზე; ზოგი კი აკისკაში ცხოვრობდა. მაგრამ ყოველთვის, მიუხედავად გარეგნულად ასეთი დაფანტვისა, ისინი ერთი აზრისანი იყვნენ საერთო სამფლობელოს შესახებ. მათ მლიქვნელური მოხერხებით თავის ხელში ჰქონდათ

მთავრებისა და ფაშების საიდუმლოებანი; დიდი მცდელობით გამოწვეული ორმხრივი ეჭვი ხალხს, ბატონებსა და მთავრებს შორის იყო აბაშიძეთა დიდი გასართობი, რომლებიც დაულაღავე და შეუცნობელი სიბეჯითით აღვივებდნენ შულს, რომელსაც გადაზრდიდნენ მტრობაში და, როცა კი მოისურვებდნენ, აშკარა ომადაც აქცევდნენ, რის შედეგადაც ეს მოსაზღვრე მთავრები სუსტდებოდნენ, ხოლო აბაშიძეები ძლიერდებოდნენ.

უკანსკნელი და უდიდესი ოსტატი თავის ცილისმწამებლურ ხელოვნებაში იყო ქაიხოსრო აბაშიძე, მეფე სოლომონის ცოლის ძმა და მისი ბოროტი მრჩეველი; მეფე ერეკლეს ერთგული და ამავე დროს ფარულად მისი დიდი მტერი; აკისკას ფაშის მეგობარი და მისი მღვენელი. თხუთმეტი წლის მანძილზე ქაიხოსროს თამაშს გარკვეული შედეგები ჰქონდა და თავის ეშმაკურ საქციელს კიდევ დიდხანს გააგრძელებდა, მას რომ ლეკებისათვის მეტისმეტად არ გაემჟღავნებინა [თავისი თავი] და ისინი შურის საძიებლად არ გამოეწვია; რამდენიმე წლის წინათ დაესხნენ ისინი ვახანს თავს, ყველაფერი ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს და მოსახლეობა და თვით ქაიხოსროც ტყვედ წაასხეს, და ეს ისე სწრაფად ჩაიდინეს, რომ მათი თავდასხმა არც იბერიაში, არც ქართლში და არც აკისკაში არ გაუგიათ, მანამ ყოველივე უკვე სისრულეში არ იქნა მოყვანილი.

ქართლი ახლა, როგორც სხვა აზიური სამეფოები, იბერიისაგან გამოყოფილია უკაცრიელი ზოლით. ორივე მეფემ თავისი სამფლობელოს საზღვრად აირჩია გადამწვარი სოფელი კირიშა, რადგან იქ ანკარა წყაროსთან ახლოს ღვას ქვის ეკლესია.

## ქართლის (გეორგიის<sup>20</sup>) სამეფო

### ა) პროვინცია ქართლი

პროვინცია ქართლი დასავლეთით იბერიას ესაზღვრება, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით თურქულ სამფლობელოს – ახალციხეს და ასევე ქართლის მორჩილ სომხეთს (არმენიას); აღმოსავლეთით ის არაგვით გამოიყოფა კახეთისგან, ხოლო ჩრდილოეთით გადაჭიმულია კავკასიონის უმაღლეს მთებამდე.

<sup>20</sup> იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო – გ. გ.

როგორც კი დაეტოვებთ იბერიისა და ახალციხის დასავლეთის მთებს, იშლება ვრცელი და განიერი ბორცვიანი ვაკე, რომელიც ჩრდილოეთით კავკასიონს ეზღინება, სამხრეთით კი მტკვრით გამოიყოფა ჩილდირის მთის აღმოსავლეთის შტოსაგან. ამჟამად ამ მთას ჰქვია ყარაღაჯი (შავი ვეჯარი), ძველად კი ამ მხარის სახელი იყო რიზეას სამეფო (Rhizea), რომელშიც ორმოცდაათი წლის წინათ განადგურებული ქალაქი ადენ-ი (ატენი? – ზომ არ არის ერთმანეთში არეული ცნობები ათინას და ატენის შესახებ? – გ. გ.) იყო, ღვინის სმით ძალზე განთქმული, რადგან ღვინო ამ მხარეში არაჩვეულებრივად კარგი უნდა ყოფილიყო. ახლაც, როცა ლეკებისა და სხვა ყარაღაჯის გამო გზები სახიფათოა, ეძებენ ველურად მზარდ ვაზს ადენისას, მისი განსაკუთრებული არომატული გემოს გამო და კარგ ფასად ჰყიდიან.

პირველად დასახლებული გრძელი და განიერი ბორცვიანი ვაკე, ანუ დღევანდელი ქართლი, შეადგენდა ძველად უდიდეს ნაწილს წარსულში ცნობილ იბერიისას, რომლის მთავარი ქალაქი, ამასთან აღბანეთთან სასაზღვრო ქალაქიც ტფილისი იყო; იგი ახლაც ქართლსა და კახეთს შორის საზღვრად არის მიჩნეული. მას შემდეგ, რაც იბერიელებმა კოლხეთი დაიპყრეს და თავისი სახელი შეარქვეს, ამის შემდეგ მიიღო მათმა მიტოვებულმა ქვეყანამ, ალბათ, სხვა, ჩვენთვის უცნობი სახელი, და უეჭველად ამიტომაც, რომ მოგვიანებით მას ქართლი<sup>21</sup> ეწოდა; თუმცა ქართველი შემატრიანეები ცდილობდნენ ეს მიეწერათ თავიანთი მეფის კარდუელის, ანუ ქართლოსისათვის, რომელიც მეფედ უნდა ყოფილიყო მალე წარღვნის შემდეგ. ახლა ის ქმნის ქართლის (გეორგიის) სამეფოს ერთ მთავარ პროვინციას და ეწოდება ზემო ქართლი, რათა განასხვავონ ქვემო ქართლისაგან, ანუ მტკვრის მეორე მხარეს მდებარე პროვინციისაგან.

<sup>21</sup> მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთ ბერძენ კეისარს, რომელსაც ქართლი გარკვეული ხნის მანძილზე შეუზღუდავად ეყრა და რომელიც ამ ქვეყანას თავის მიერ დანიშნულ მმართველებს აძლევდა სამართავად, ჰქონდა ჩვეულება, როგორც ეს მე იბერიის მეფის შესახებ ვთქვი სამეგრელოსა და აკისკაზე ლაპარაკისას, რომ პროვინციის მართვა სათანადო სახელმწიფო თანამდებობასთან დაეკავშირებინა. ერთხელ იბერია გადასცეს წარჩინებულ კაცს – თავიანთ ხარტულარს და შემდეგაც ამ თანამდებობაზე დატოვეს. საბოლოოდ, ალბათ, ეს სახელი გადაკეთდა ქართლად (რ.)  
ცხადია, სახელწოდება „ქართლის“ წარმოშობის რაინვესისეულ კერსიას ვერ გავიზიარებთ – გ. გ.



მაგრამ ეს აღარაა ის ველი იბერიისა, რომელზეც სტრაბონი მნიშვნელოვან ქალაქებს ჩამოთვლიდა, ქვისა და საზოგადოებრივ შენობებს ასახელებდა, და შეხვდა ყოველივეს, რაც ადამიანის კეთილდღეობას სჭირდებოდა. მას შემდეგ ბევრჯერ მოხდა დიდი არეულობანი. მოსახლეობის განადგურება ისე მძლავრი იყო, რომ დღესაც მისი უმცირესი ნაწილია დასახლებული; ძლიერი სძლედა სუსტს და ართმევდა ქონებას. ამ ძარცვით გამდიდრებულმა და გაზრდილმა წარჩინებულებმა დაირქვეს ერისთავები, მაგრამ ესენი არ იყვნენ თანხმობით და სხვისი განდიდების მოშურნენი ერთმანეთს ებრძოდნენ დაქირავებული ლეკებით. ამათ (ლეკებმა — გ. გ.) კი საბოლოოდ ეს ქვეყანა ისე კარგად შეისწავლეს, რომ ხშირი ომიანობით დაქანცულ და დაუძლურებულ ქართლებს (გეორგიელებს) თავს დაესხნენ, დაატყვევეს და ქვეყანა მოსახლეობისაგან გასცალეს. ქართლის მოსაზღვრე სომხეთის ნაწილსაც იგივე ბედი ჰქონდა; მოსახლეობა გარბოდა მიუდგომელ გამოქვაბულებში, ხოლო დაღესტნელი თათრები თავდასხმებით ისე სასტიკად აჩანაგებდნენ ქვეშევრდომების (მშრომელთა — გ. გ.) დარჩენილ ნაამაგარს, რომ ეს მდიდარი ქვეყანა იქცა საშინელ ნაოხარად. ამიტომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ამჟამად აღარ აქვს მყუდრო ცხოვრების მოთხოვნილება. ამოთხრილი მიწურის კმაყოფილი მხოლოდ სიმშვიდეს თხოულობს და მაინც ვერ ნახულობს: რადგან, რამდენიც არ უნდა ეცადოს, მაინც, ამ ორმოშიც კი თავს ესხმის მას საშინელი ლეკი.

მხოლოდ კახეთი, ანუ ძველი ალბანეთი მედგრად აღუდგა წინ ყველაფრის ჩამდენი თათრების თავდასხმებს. მაინც საბოლოოდ ეს წინააღმდეგობა შესუსტდებოდა, რომ მეფე ერეკლეს ხან ბრძოლით, ხან დაპირებებითა და ძღვენით ბოლო არ მოელო ამ გამჩანაგებელთა თავდასხმებისათვის.

ამ მბრძანებლის დროს იწყეს უკაცურმა ადგილებმა აყვავება და დასახლება. და რომ ერეკლეს მმართველობა ძალზე შეზღუდული არ ყოფილიყო, თავადიც და ყმაც ბედნიერი იქნებოდა.

ამრიგად, როგორც ზემოთ იბერიისთან ვნახეთ, კირიშა იყო ჩრდილოდასავლეთის, ანუ იბერიის საზღვარი, ხოლო ავალისციხე — სამხრეთდასავლეთის, ანუ თურქული საზღვარი ქართლისა. კირიშადან ქართლში რომ მიხვიდეთ, რამდენიმე უგზო მთა უნდა გადაიაროთ და ოთხი

საათის სვლის შემდეგ მიაღწევთ სურამს (პლინიუსის სურიუმში). ეს ქალაქი მდებარეობს მდინარე სურამულაზე და უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა. იგი გამაგრებულია მთაზე მდებარე მაღალი მტკიცე ციხით და, რადგან ერთადერთი სასაზღვრო ქალაქია იბერიასა და ქართლს შორის, ამიტომ იქ საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობაა.

თუმცა აკისკას მთები ქართლისათვის კარგი კედელია, მაინც მუფე ერეკლე არასოდეს არ ტოვებს ამ საზღვრებს დაუცველად, რათა თურქთა თავდასხმა არ დაუმეას, ასევე უზრუნველყოს მოგზაურთა და ვაჭართა უსაფრთხოება, რომლებსაც ქართლიდან იმერეთში და უკან მიმოაქვთ სურსათი.

ავალისციხიდან კლდიანი და ტყიანი გზა მთლიანად მიჰყვება აღმოსავლეთისაკენ მიმდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირს ცხრა ვერსზე, სანამ ამ მთიან არემარეს არ ტოვებს და მთელი სიდიადით შედის ვაკეში, სადაც პირველი ქართული სოფელია ცხრა-მუხა, სურამიდან პირდაპირი ხაზით დაშორებული სამ ვერსზე. მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარე სოფლებისა და პატარა ქალაქების ღიდი რაოდენობა ერთმანეთს შორის ინაწილებს ამ ველის ნაყოფიერებას. მტკვარი თავისი მრავალრიცხოვანი ტოტებით ქმნის კუნძულებს უნოყიერესი საძოვრებით. უკაცრიელი და დაუმუშავებელი მიწები მტკვარს ორივე მხარეს მისდევნენ ქვეითკენ, სადაც ეს მდინარე უფრო მეტად უხვევს სამხრეთით და მთების მაგიერ მის ნაპირებს ქმნის სიგრძით თორმეტი, ხოლო სიგანით ხუთი საათის სავალი დაბლობი. ამ დაბლობზე მდებარეობს სამფლობელო მუხრანი, რომელიც ყველა მხარეს აღემატება ნაყოფიერებით. აქედან მტკვარი უფრო სამხრეთით უხვევს და იერთებს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მომავალ მდინარე არაგვს.

სურამიდან ოცდარვა ვერსზე აღმოსავლეთით მდებარეობს განადგურებული სამფლობელოს — რუიშის (რუისი — გ. გ.) რამდენიმე გაფანტული სოფელი, ხოლო აქედან აღმოსავლეთით არის პატარა ღარიბი ქალაქი გორი, რომელსაც საშუალო სიდიდის სოფლად თუ ჩათვლიდით, აქაურ სომეხ კათოლიკე ქრისტიანებს ქვის ეკლესია რომ არ აეგოთ და ამ ადგილს ქალაქს რომ არ უწოდებდნენ. გორის დასავლეთით შეერთებული ღიახეები სამხრეთისაკენ უხვევენ და ორი საათის ღინების შემდეგ მტკვარს ერთიან. — აქედან ჩრდილოეთით მცხოვრები მთის ხალხები გორს ეძახიან ონგურ-ს. ხომ არ შეიძლება

ის ყოფილიყო ძველი ხორძენა? — თუმცა მდებარეობა ეწინააღმდეგება ამ სახელის მსგავსებას, რადგან ხორძენა მოცეპულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; იქ მართლაც (ამასთან გორის პირდაპირ ირიბად) ჯერ კიდევ არის მთაზე მდებარე ძველი მაგარი ციხის მტკიცე კედლები. მის ქვემოთ ძველად ქალაქი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ განადგურდა და გორის სახელწოდებით კვლავ აშენდა მთის ახლოს. — გორის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ კათოლიკე სომხები, რომლებიც ეწვეიან ვაჭრობას, მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ციხე, რომელიც ამ ქალაქს იცავს, არის ნამდვილი სპარსული სიძველე და თავისი ლამაზი მდებარეობით განსაკუთრებული ნახვის ღირსია. ის კარგადაა შენახული; მეციხოვნეები იცვლებიან ყოველ ოთხ კვირაში. პურის და ნაყოფის სიჭარბე აქ ძალზე ღიღია; ასევე მნიშვნელოვანია მესაქონლეობა და მეაბრეშუმეობა.

გორის ჩრდილოეთით და შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიის მთისწინები გადადიან გრძელ, ნაკლებ განიერ, მაგრამ ნაყოფიერ ველში, სადაც ქსნის მრავალრიცხოვან ნაკადულებზე ძვეს ახალ-გორი (ახალი გორი), პატარა ქალაქი; მისი მოსახლეობის მეტ წილს ასევე ქრისტიანი სომხები შეადგენენ, რომლებიც თითქმის ყველანი ბამბის ან ტილოს მქსოველები არიან. ისინი უმთავრესად ამზადებენ სხვადასხვანაირ ბამბის ქსოვილებს და ხელსახოცებს, რომლებსაც ორივე მხარეს მოკლე კვანძიანი ფოჩები აქვს და ბანაობის შემდეგ ტანის გასაშმრალებლად იხმარება.

ქართლის ყველაზე ბევრი და მჭიდრო მოსახლეობა ახლაც, ისევე როგორც წარსულში, უნდა ვეძებოთ დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ნაწილის მთისწინეთსა და შუა მთებში. მთელი ზოლი მრავალტოტიან მდინარე ქსანსა, ლარგვსა და პატარა ლიახვს შორის (ამ უკანასკნელის მარცხენა ნაპირზე ძვეს ძველი მაგარი მთის ციხე ბელოთი) უკავიათ სგრუ-ს გვარის მრავალრიცხოვან ოჯახებს; ამათ სოფლებში ღიღი რაოდენობით არიან ებრაელებიც, რომელთა უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქ ქსილვანში, ანუ ქრც(ხ)ინვალში<sup>22</sup> დიდ ლიახვზე. აქედან სურამამდე ჩათვლით, იბერიის საზღვრებამდე, მრავლად ცხოვრობენ ოსური ოჯახები; ისინი ეკუთვნიან ძალიანს, რომელსაც ჩრდილო-

<sup>22</sup> იწერება ქრცილოვა და სახელი წარმოსდგება ქრცილა-დან, ნიშნავს კობიტს, რაც აქ ძალზე ხშირია (რ.) (თუ რცხილას? — გ. გ. Fraxinos excelsior).

აღმოსავლეთით ქრცხინვალიდან გამოჰყოფს მთის სწრაფი მდინარე ხევი (Gewi - გევი).

ებრაელებს აქ არ აქვთ მცირე მისწრაფებაც კი მევახშეობისა და ვაჭრობისადმი; ეწევიან მხოლოდ შემინდვრებას და სხვა ქართველი გლეხებივით ცხოვრობენ. ისინი ისევე დაბეგრილი არიან გადასახადებითა და საბატონო ბეგართ, მათთან ერთად მიდიან ომში და ქართველებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სახელწოდებით და რელიგიით, რისიც მათ არაფერი იციან, გარდა წინადაცვეთისა, ღორის ხორცის უჭმელობისა და ზოგი სხვა წარმართული ტრადიციისა თუ ჩვევისა. მათ არც სინაგოგა აქვთ, არც ლევიტი (მოდღვარი) ჰყავთ; ამდენად იბერიის ორთოდოქსი ებრაელები მათ არ თვლიან ნამდვილ ებრაელებად; მათი გამოთქმით, ისინი არიან ქანანელები.

ახალგორის ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობს სხვადასხვა ხალხი, რომლებსაც ზოგადად ყარა-ყალხანი (შავი მეამბოხე)<sup>23</sup> ეწოდებათ და დასასახლებად გამოსადეგი ყოველი ადგილი მთებში მათ სახლებს უკავიათ... ამ ხალხის მთებში იღებს სათავეს მდინარე ფშავი, რომელიც იქმნება მრავალი წყაროსა და ნაკადულისაგან; მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთის მთისწინეთის დაბლობზე ხვდება ის მდინარე არაგვს (სტრაბონის არაგუსი, არაგონ) და უერთდება მას.

მდინარე ქსნის შტოები ერთდებიან ახალგორთან; შემდეგ კვლავ იყოფიან და მიედინებიან წყალუხვად ორ ტოტად ჯერ სამხრეთ-დასავლეთით; როგორც კი დაბლობს მიუახლოვდებიან, მარჯვენა ტოტი აღმოსავლეთისაკენ გაუხვევს, იერთებს მალე თანამე ზავრს და მიედინება იმავე მიმართულებით, საითაც მტკვარი თითქმის მთლად უკაცურ სამფლობელოზე – ავჭალაზე ანუ ამილახორის ჭალაზე. მას შემდეგ რაც სამხრეთ-აღმოსავლეთით თექვსმეტ ვერსს გაივლის, უერთდება პატრიარქის სოფელ მეტეხთან მტკვარს. მანამდე კი გადასერავს ნაყოფიერ, მაგრამ ძალზე მცირე მოსახლეობის მქონე სამფლობელო მუხრანს.

მუხრანის ჩრდილოეთით, მხოლოდ ერთი მაღალი მთაგრეხილით ამ სამფლობელოსაგან გამოყოფილი, დგას ცნობილი, საოცარი მონასტერი

<sup>23</sup> ძალზე მიაბუტურია ამ სახელის რაინეგისიული ეტიმოლოგია, ახსნილი პირის დაუბანლობით, რასაც ჩვენ ვტოვებთ. ესაა შავფარიანები – ასე ეწოდებდნენ ფშავ-ხვესურებს თურქულ-სპარსული წყაროები – გ. გ.

სატის-წვერი სასიამოვნო, დამრეც დაბლობზე; იგი გადაჭიმულია სამხრეთ-აღმოსავლეთით შეიღ ვერსზე და იქ მთიანი მხარით იზღუდება, რომელიც მხოლოდ არაგვს უთმობს გზას. მაგრამ შემდეგ თვითვე აქედან სამხრეთით განიერ ვაკედ დაბლდება, რომელიც მტკვრამდე აღწევს; მტკვარი აქამდე ერთგული იყო თავისი აღმოსავლეთის დინებისა; ამას კი ისე ხშირად და იბღენჯერ იცვლის, რამდენსაც მას აიძულებენ სამხრეთის კლდოვანი მაღალი ნაპირები.

ამ დაბლობზე, რომელსაც ღართისკარი ეწოდება, მიედინება არაგვი სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე არის ნანგრევები წინათ აყვავებული, სიცოცხლით სავსე ქალაქ საგურამოსი, რომელიც ამჟამად გამხდარა ლეკების საყარალო კუთხე, რადგან დასავლეთით მათ სხვა გზა არ აქვთ ქართლისაკენ.

საგურამოდან დაახლოებით ერთ ვერსზე აღმოსავლეთით არაგვის დინება დიდი ქედის მიერ იზღუდება და შედის კლდიან დაბლობში, სადაც სამხრეთის მიმართულებას იღებს. ეს დაბლობი, რომელიც არაგვს სამხრეთ მიმართულებას აძლევს, მტკვრის ახლოს ოც ვერსზე სამხრეთისაკენ გაშლილი, ჩრდილოეთით კი ეფხინება შუა ქედის უმაღლეს ნაწილს, რომელსაც კუმლის-ციხე ეწოდება, საიდანაც სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ახალი მთის შტოები ეშვებიან; დასაწყისში ისინი ძალზე იტოტებიან, ხოლო შემდეგ დაბლდებიან და იქცევიან მთისწინად.

მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე და ამჟამად ნახსენები ქედის დასავლეთის შტოს ძირას მდებარეობს ანანური (ანას სინათლე), ნახევრად დანგრეული, ღარიბი ქალაქი, რომელშიც ერთი ძველი, ქვის მაგარი ეკლესიის და დანგრეული მონასტრის გარდა არაფერი ღირსშესანიშნავი არ გვხვდება.

ანანურის ჩრდილო-აღმოსავლეთით ძვეს ქსირი, სამფლობელო, რომელიც ანანურივით მთიანია, მაგრამ ნაყოფიერი ყანები აქვს. კიდევ უფრო ჩრდილოეთით ეს ხეობა ძალზე ვიწროვდება. აქ ძალზე შეზღუდულად მოედინება მთის მდინარე შავი-ხვესურის წყალი (შავი მთის წყალი), რომელიც უერთდება არაგვს იმ ადგილზე, სადაც ის უხვევს სამხრეთისაკენ.

კავკასიონის ეს შუა ქედებიც თავის უმაღლეს მწვერვალებამდე, სადაც კი ისინი მისადგომნი არიან, დასახლებულია (მ)თოულების

ცალკეული საცხოვრებლებით, რომლებიც თავის მთებს უწოდებენ ხევს-ს ან ზოლს-ს, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე უმაღლეს მთავარ ქედს კი – მოხევს-ს ან მულოლს-ს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მთაში ზამთარი ძალზე ხანგრძლივია და გარდა მცირე ქერისა და ფეტვისა, არც ხორბალი, არც სხვა ნაყოფი არ მოდის, მაინც ხშირად დასახლებული; ასევე მდიდარია წყლებით, რომლებიც მრავლად გამოედინებიან ყოველი მთის ნაპარალიდან.

ამ ქედზე და მალა მთაზე, რომელსაც ეწოდება კუმლის-ციხე, მდის გზა ქართლიდან რუსეთში. გზა ძალზე მძიმეა, ზამთარში კი უაღრესად სახიფათო. გასავალი ადგილები თუმცა აღნიშნულა ჩასობილი მაღალი ხის ბოძებით, მაგრამ მაინც თოვლში დიდი წვალებით უნდა მოძებნო და ყოველ წუთს არის საფრთხე, განსაკუთრებით – ქარბუქში, ზეავმა დაგფაროს და ჩაგმარხოს. (ჯერ კიდევ სტრაბონი იხსენებს თავის აღწერილობაში ამ გზას არმენიაში, მაგრამ მოგზაურებს, როგორც ის ამბობს, თუკი ისინი თოვლით დაიფარებიან, ან შიგ ჩავარდებიან, არ შეუძლიათ საშველად მოუხმონ თავიანთი ამოშვერილი ჯოხებით, რადგან ამ გზაზე მთელი საათების და, მით უმეტეს, დღეების განმავლობაში არავენ დადის). ეს მაჩვენებლები წარმოადგენენ მაღალ ბოძებს, რომელთა წვერზეც ცხენის თავი ან ძველი ჩურები ჰკიდია. ისინი ჩარჭობილია მთელ ქედზე, ერთმანეთის ახლოს, რათა, როცა ყველა გზა თოვლით იკეტება, ქარავნებს შეეძლოთ მათი საშუალებით გზის გაკვლევა.

კუმლის-ციხის ჩრდილოეთით შვიდ ვერსზე იწყება მდინარე თერგი. ვიწრო დაბლობზე ის უხვევს აღმოსავლეთით; როგორც კი კლდეებს მიაღწევს, რომელსაც ბატკნის-კლდე ეწოდება, იერთებს მთის დიდ მდინარეს თეთრ-წყალს და მთლიანად ჩრდილოეთის მიმართულებით უხვევს. ამ მთებში სათავეს იღებს ყველაზე უფრო გამამაგრებელი და განმკურნებელი მინერალური წყლები, რომლებიც ყველა ევროპულ წყალზე გაცილებით მარგებელნი იქნებოდნენ, მათი სამკურნალო ძალა რომ იცოდნენ და იყენებდნენ; ამას კი ხელს უშლის აქ ირგვლივ მცხოვრები ხალხების სიველურე.

თეთრიწყლისა და თერგის შეერთების ადგილას საძოვარი აქვს ოსურ წარმართულ გვარს, რომლის სახელიც არის გობი. ისინი

ცხოვრობენ ღარიბულ, მაგრამ მრავალრიცხოვან სოფლებში, სამხრეთით მთიულეთამდე, ჩრდილოეთით კი სხვა ოსურ დასახლებამდე, სადაც არის სტეფანწმინდა — დიდი სოფელი თერგის ორივე ნაპირზე. მხოლოდ ამ სოფელში ცხოვრობენ ქრისტიანი ოსები, რომლებსაც ქართლებების სარწმუნოება აქვთ. ქვის ძველი ეკლესია, გერგეტად წოდებული, დგას თერგის მეორე ნაპირზე მაღალ მთაზე და ეკუთვნის ამ სოფელს. წმინდა გერგეტი (ოსებს აღარ ახსოვთ ეს წმინდანი კაცი იყო, თუ ქალი), რომელიც ყოველდღიურად იშვიათ საოცრებებს ახდენდა თურმე, უწინ ბევრ მორწმუნეს იზიდავდა; ლოცვა რომ შესძლებოდათ დაუბრკოლებლად, ზოგმა ღვთისმოსავემა აიშენა ამ ეკლესიის მახლობლად ქოხი. ამ მაგალითს მალე ბევრმა სხვამაც მიჰბაძა, სანამ ამ მორწმუნეთაგან სოფელი არ შეიქმნა, რომელსაც უმეტესობამ გერგეტი უწოდა. ეკლესიას ძველი ჩვეულების მიხედვით წელიწადში მხოლოდ ერთხელ აღებენ აღდგომის დღეს. აქ სხვა იშვიათობებთან ერთად უნდა იხსებოდეს სუმბულის (იაკინთის) ფერი ბროლი, რომელზეც ამბობენ, რომ არის ოცდაშვიდი დიუიმი სიმაღლისა და თერამეტი დიუიმი სისქის. მე ის არ მინახავს, მიუხედავად იმისა, რომ ხუთჯერ ვიყავი სტეფანწმინდაში, თუმცა აღდგომისას არც ერთხელ. მე მღვდელი ვერაფრით ვერ შევაცდინე, ერთხელ მაინც გაეღო ეკლესიის კარი.

გერგეტის დასაელეთით, ახლოს, კავკასიის მთავარი ქედის შუაში აღმართულია ქართლში (Georgien) ასე ცნობილი თოვლიანი მთა, რომელიც მე, უკვე (დღიური I. გვ. 17) აღვნიშნე. მის წვერზე უნდა იყოს ქვის ეკლესია, ზოლო მასში — გამლილი კარავი, რომელშიც დგას აკვანი. ამ ეკლესიაში უნდა იყოს დიდი განძი ფულისა, რომელსაც სიკვდილის შიშით არცერთი კაცი არ ეკარება, თუ კი მას განსაკუთრებით ღვთისმოსავად და წმინდანად არ უცხოვრია. ეს თქმულება ძველებიდან გადმოეცემა და ყველამ იცის. ბევრი არც თუ უმიზეზოდ ეჭვობდა ამ ლეგენდარულ სინამდვილეზე. ბოლოს, როცა მე ქართლში ვიყავი, მოხუცმა მღვდელმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ გზა ამ ეკლესიისაკენ ზუსტად იცოდა, თავის ვაჟთან ერთად, რომელიც ასევე მღვდელი იყო, ითხოვა იქ წასვლა. მეფე ერეკლემ არც თუ სიამოვნებით მისცა თანხმობა, მაინც გააძინევა ორივე და უბრძანა, რამდენადაც შეიძლებოდა, განძი თან წამოეღოთ და მისცა საკმაო სურსათ-სანოვაგე. რამდენიმე

კვირის შემდეგ დაბრუნდა ახალგაზრდა მღვდელი ცნობით, რომ ის ვერ ავიდა მთაზე თავისი ახალგაზრდული ცოდვების გამო და ამიტომ მამამისმა დაარწმუნა, მის დაბრუნებამდე განუწყვეტელ ლოცვაში დაეცადა მთის ძირში. მეშვიდე დღეს მისულა მამამისი და უმტკიცებდა, რომ მან მართლაც ნახა ყოველივე და აგრეთვე ძალზე მდიდარი განძიც; მაგრამ დრო, რომ ის წამოეღოთ ჯერ არ დამდგარა, თუმცა მოახლოვდა. ამასობაში ის (მოხუცი) თავისი გზით დაბრუნებულა და მეფისათვის სინამდვილე დაუდასტურებია და ურჩევია მეტი მის შესახებ აღარ ეფიქრა; შემდეგ მან კვლავ მთაზე ასვლა და ანგელოზების საზოგადოებაში მიწისქვეშ (საიქიოში) ცხოვრება გადაწყვიტა, სადაც მართლაც წავიდა.

თან მოტანილ საბუთს შეადგენდნენ ერთი ნაჭერი ძველი დამპალი ტილოსი, რომელიც კარვიდან უნდა ყოფილიყო ჩამოჭრილი, ერთი ნაჭერი ასევე ძალზე დამპალი ხისა – აკენიდან და რამდენიმე ფარა პირველი სულთნის სელიმის დროინდელი. მიუხედავად იმისა, რომ ასე ნათელი იყო სიყალბისა და ტყუილის საბუთი, მაინც ისინი (ნიშნები – გ. გ.) მიიღეს დიდი პატივით (ყურადღებით), განსაკუთრებით კი თეთრი მარმარილოს ნატეხი ფართო წითელი წინწკლებით როგორც ნიშნად საოცრებისა და საკურთხეველიდან ჩამოტეხილი. მაინც ყველაზე საოცარი იყო, რომ მოხუცი მღვდელი მართლაც არსად უნახავთ ამის შემდეგ; ალბათ, ის მოკვდა თოვლიან ზეგში, ვაჟს კი არ უნდოდა გაემხილა, რათა ამ ზღაპრისათვის მეტი მნიშვნელობა მიეცა და თაობებისთვის ახალი დამაჯერებლობა შეემატებინა.

ამ სოფელთან და თერგის ნაპირთან მოგზაური ჟრუანტელით და შიშით შესცქერის კავკასიონს, რადგან ათასი საფრთხის მუქარით უნდა აიაროს ის. მრავალი წლის მანძილზე ამ მთების ველური მოსახლეობა იყო შიშის ზარის დამცემი ყოვლისშემძლე გამბედავი ვაჭრებისათვის. მოკვლა, ძარცვა, ტყვეობა და ვაჭრობის საწინააღმდეგო სიძნელებების შექმნა გზაზე იყო ამ ხალხის ყველაზე ბევრითი საქმიანობა. მაგრამ რუსული მმართველობისა და, სახელდობრ, გენერალ ფაბრიციანის საზრისანმა გულმოდგინებამ ბოლო მიუღო მათ ყაჩაღობას. ახლა კავკასიონის გზები იმდენად უსაფრთხოა, რომ იქ, სადაც ასი კაციც კი ვერ გაივლიდა, ახლა ორი კაზაკიც ძალზე თამამად იმოგზაურებს.



კუმლის-ციხიდან სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით განტოტვილი და მთიულებით დასახლებული მთები ქართველების (ქართლელების) მიერ ასევე მთიულეთად იწოდება. ის ძალზე ხალხმრავალია; მიწას არაჩვეულებრივი სიბუჯითით აშუშავებენ; მაინც მხოლოდ ფეტვი, ქერი, ბოლოკი, თამბაქო და ხახვი მოჰყავთ, რადგან აქ მხოლოდ ეს ნაყოფი მწიფდება, მაშინ როცა ოცდაათი ვერსით სამხრეთით ველურად იზრდება ბროწეული, ლეღვი და ვაზი. წყაროები და ნაკადულები მთიულეთის ხეებისა ერთდებიან ერთ მთის მდინარედ, რომელსაც, როგორც უკვე ითქვა, მთიულეთისწყალი ჰქვია და არაგვს ერთვის. ანანურს ქვემოთ ეს უკანასკნელი იღებს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას და მარცხენა მხრიდან იერთებს პატარა, ალაზნისაგან გამოყოფილ ტოტს, სახელით ალაზონი(?); აქედან ის მთლად სამხრეთით მიედინება. მისი მარჯვენა ნაპირის გასწვრივ არის დუშეთისა და ბოდორნას სამფლობელოები, რომელთაგან კიდევ უფრო სამხრეთით, მცირედ დაქანებულ ვაკეზე, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის და ნახევარკუნძულს ქმნის, არის სოფელი მცხეთა. მას ადრე ერქვა მეხითი, მეცხითა, მხითა (მოსე ხორენელი). ეს სახელი, ეჭვს გარეშეა, წარმოსდგება აქვე მტკვარზე გადებული ხიდისაგან; რადგან „ხით“ ქართულად ნიშნავს ხიდს და მეხიდი – ხიდის დარაჯს;<sup>24</sup> ასეთი პიროვნება ახლაც ყოველთვის დგას იქ და იღებს ხიდის ბაჟს. როცა აქ ქალაქი გაშენდა და მას გალავანი შემოავლეს, მიიღო მან ქართლში (საქართველოში) გავრცელებული სახელი ციხე (ნიშნავს სიმაგრეს); ეს სიტყვა შემდეგ დამახინჯებულად მცხეთად გადაკეთდა. ასეთი ხელსაყრელი მდებარეობის მქონე ეს ოდესღაც დიდი პუნქტი (ამას გვაუწყებენ დღესაც არსებული ნანგრევები), წარმოადგენდა ძველად ალბანეთს, იბერიასა და არმენიას შორის საზღვრის ნაწილს. დღესაც ის გამოჰყოფს ძველ იბერიას, ანუ დღევანდელ ქართლს, რომელსაც ის ეკუთვნის, კახეთისაგან, გეორგიის სხვა პროვინციისაგან, რომელსაც ადრე ალბანია ერქვა.

მე მცხეთას ვთვლი რომაელების ან ბერძნების მიერ აშენებულ ქალაქად; რადგან ჯერაც არსებული ძველი კედელი, რომელიც მტკვრის მარცხენა დაქანებული, ფხვიერი ნაპირის დიდ ფართობს მოიცავს და

<sup>24</sup> რანგისისათვის უეჭველი წარმომავლობა მცხეთის სახელწოდების ჩვენთვის ყოველად მიუღებელია – გ. გ.

წვიმის ნიაღვრისაგან ახლომახლო მინდვრებს იცავს, არც ქართული, არც იბერიული, არც სპარსული ნახელავია. მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე ნახევრადანგრეულ ძლიერ ციხეში, არც თუ დიდი ხნის წინათ ყოფილა წარწერა, რომლიდანაც განსწავლულ ქართველებს ბერძნულ ენაზე დაწერილი სიტყვა აკროსტოპოლისი ამოუკითხავთ და ამან მე დამარწმუნა, რომ ეს უნდა ყოფილიყო მცხეთის ძველი სახელი. როცა პომპეუსმა მეამბოხე იბერები დაამარცხა, ალბანელები დაიმორჩილა და არმენიელები დახარკა, ამ დიდმა გენერალმა თავის გასაჩერებლად, რა თქმა უნდა, აირჩია ისეთი ადგილი, საიდანაც ის ამ პროვინციების საზღვარზე ყოველგვარ ამბოხებას უმაღლ ჩაახშობდა.<sup>25</sup> ქართული ისტორია და მათი ტრადიციები ამტკიცებენ, რომ ეს იყო ერთადერთი და უძველესი ქალაქი ქართლში, როცა ამ ხალხმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო. ამჟამად კიდევ ქვის სამი დიდი ეკლესია წარმოგვიდგება, რომლებშიც ზოგიერთი ქართველი მეფე და დედოფალია დამარხული, მაგრამ ამ პუნქტს არ ჰქონია ყოველთვის ბედი, რომ იქცა ნამდვილ საბრალო სოფლად.

უეჭველია, სტრახონმა თვითონ მოიარა ეს მხარე, რადგან მან ის აღწერა საკმაოდ ზუსტად როგორც თვითმხილველმა. გზა, რომლითაც აქედან ჩრდილოეთის მომთაბარე ხალხებში მიდიან, მიჰყვება სულ არაგონს, ანუ არაგოსს, დღევანდელ არაგვს. აღნიშნული აუღებელი კედელი არის ძველი მთის ციხე დარიალი, ანუ კავკასიის კარი (დღ. I. გვ. 125 და 126). მცხეთა მის დროს არ უნდა ყოფილიყო აშენებული, რადგან ის ახსენებს მხოლოდ ორ, კლდეზე ნაშენებ ქალაქს, ან მტკიცე მთის ციხე-სასახლეს ჰარმოზიკას, მტკერის მარცხენა ნაპირზე და სევ(სა)მორას არაგვის მარჯვენა ნაპირზე. ახლაც შემორჩენილია მათგან ბევრი და ძალზე მტკიცე კედლები და ეკლესიები, რომელთაც ქართველები უძახიან მტკვარზე მდებარეს — ჰორუმ-ციხეს (ბერძნების ციხეს), არაგვზე მდებარეს კი ცუმარ-ს. ქართველებმა ზეპირად გადმოცემითაც იციან, რომ ერთი მთის ეკლესიიდან მეორემდე რკინის ჯაჭვი იყო გაბმული, რათა მისი დახმარებით დათქმული ნიშნებით ორმხრივი საჭიროება ან სურვილი ერთმანეთისათვის სწრაფად

<sup>25</sup> ცხადია, რაინგეს ვერ დავეთანხმებით კახეთისა და ალბანეთის იგივეობაში, როგორც მცხეთის რომაულ ან ბერძნულ წარმოშობაში, თუმცა ცნობილია მათ მიერ მცხეთის კედლის გამაგრება — გ. გ.

შეტყობინებინათ. რადგან ძველად მტრისგან წართმეული იარაღი და აბჯარი ამ ეკლესიაში ეკიდა, ამიტომ მათ მიიღეს სახელწოდება ჯაჭვის საყდარი (ჯაჭვის-ეკლესია).<sup>26</sup>

## ბ) ქართული პროვინცია სომხითი (არმენია)

არაგვის და მტკვრის შერთების უკვე აღნიშნულ ადგილას თავდება პროვინცია ქართლი სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც მას სამხრეთით მტკვარი არმენიისაგან გამოჰყოფს.<sup>27</sup> ამ დიდი მდინარის შერთებით მტკვარი უფრო იზრდება; ღრმა, ციცაბო და კლდიან ნაპირებს შორის მიიკლანება ის მცხეთიდან კიდევ რამდენიმე საათი, ბოლოს ჩქარი დინებით გამოდის ბორცვიან ვაკეზე და ნაყოფიერ, საკმაოდ კარგად დაბუშაებულ მინდვრებზე და თავისი მარცხენა ნაპირით აღმოსავლეთით ქმნის ძველი ალბანეთის საზღვარს, მარჯვენათი კი სომხეთის იმ ნაწილისას, რომელსაც მეფე ერეკლე კანონებს უწესებს და ამჟამად ქართლს (Georgien) მიეკუთვნება. აქედან ის მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთით და ამ მიმართულებით აღწევს კასპიის ზღვას. მისი ნაპირები ხან სწორია, ხშირად ისე ღრმა, რომ შეიძლება საათობით იარო და ვერ შეძლო შემაწუხებელი წყურვილი მოიკლა ზაფხულში თვალწინ მიმავალი მდინარის წყლით, თუკი თან არ გექნება ტყავის სასმისი და გრძელი ბაწარი წყლის ამოსაღებად.

ერთადერთი გზა არმენიაში მისასვლელად არის მცხეთიდან სამხრეთ-დასავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; ამჟამად ფხვნად, ყვითელ ქვიშაქვაში გაჭრილი ის ვიწროა და ძალზე მძიმე. ციცაბო კლდეები და საკმაოდ დიდი მტკვარი მტერს უქმნის სიძნელეს, რათა აქ შემოიჭრას; ისედაც ძალზე მძიმე და დამქანცავი გზა დაცული იყო ციხით, რომლის ნანგრევები და გადარჩენილი კედლები ახლაც გვხვდება. ესენი არიან წყარო დიდი და საკვირველი ისტორიებისა და მოქარავენების თავგადასავლებისა, რომელთა უძრავლესობისა ახლაც

<sup>26</sup> სტრაბონისეული ციხეები ისტორიკოსებისათვის ცნობილი არმაზციხე და წიწამურია. რაც შეეხება „ჯაჭვის საყდრის“ სახლის წარმომავლობის ახსნას, აქაც რაინგესს ვერ შეუძლებთ ფანტაზიას — არცერთი ეკლესია აბჯარ-იარაღის საწყობს ან საგამოფერო დარბაზს არ წარმოადგენდა — გ. გ.

<sup>27</sup> ეს ცნობა სტრაბონისეულია — გ. გ.

სჯერათ. საბუთად უჩვენებენ მტკვართან ახლოს კლდის კედელში გიგანტური აქლემის ფეხის კვალს, რომელსაც დღეის ნამუხლარი ჰქვია. — სტრაბონმაც იცოდა არმენიაში მიმავალი ამ კლდოვანი გზის შესახებ, რომლის მსგავსი ახლაც არსადაა ასეთი დამქანცავი და მოუხერხებელი. ჭაობებიც კი, სადაც სტრაბონთანაც თავდებოდა ეს კლდოვანი გზა, უწინდელივით ახლაც არიან. ესაა საბუთი იმისა, რომ ამ მხარის ზედაპირი ათასწლობით არ გამოცვლილა.

ზოგიერთმა სოფელმა და მონახალშენებმა დაამუშავეს გაშლილი მინდვრები მტკვრის ორივე ნაპირზე ტფილისამდე; ესაა ძველი დელაქლაქი იბერიისა — ე. წ. ქალაქი, დღეს კი ქართლისა (გეორგიისა), რომელიც ძვეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; ამ მდინარემ მიიღო სახელი მ(ტ)კვარი<sup>28</sup> (ბრმა), რადგან ტფილისთან ძალზე ღარიბია თევზით. ის არის ერეკლეს რეზიდენცია და ერთი ძველი წარწერის მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ ციხე-სიმაგრეში ჩანს, ერთ-ერთი მმართველის ლევანის მიერ 1063 წ. უნდა იყოს აშენებული (დაარსებული).<sup>29</sup> ძველი სახელი ამ ქალაქისა იყო თფილისი (Twuilis) სხვადასხვა თბილი წყაროების გამო, რომლებიც უკვე დარღვეული კედლების (გალავნის) შიგნით და გარეთ არიან და რომელთაც მოსახლეობა საბანაოდ ბეჯითად იყენებს. ქალაქი არის ვრცელი და ღიდი; გარუბნების ჩათვლით, მტკვრის ორივე მხარეს, მოიცავს ოთხი ათას, უმეტესად ძალზე ღარიბულ სახლს და ოცი ათასამდე მცხოვრებს. მათი რიცხვი ძალზე მალე გაიზრდებოდა, რადგან ხალხი ძალიან მრავლდება, რომ ქუჩების უსუფთაობა, ლოთობა, გადაჭარბებული ჭამა-სმა და სხვა ცოდვა ბევრს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში არ ასალმებდეს წუთისოფელს. ქალაქი ეწევა გაცხოველებულ ვაჭრობას, რომლისკენაც სომხების დაუღალავი მისწრაფება და გულმოდგინება უბიძგებს. ის მდებარეობს ჩრდილოეთის განედის 42° 45' და აღმოსავლეთის გრძედის 60° 40 1/2'-ს შორის. მისი დაშორება სტ.-პეტერბურგიდან ჩერკასკის გავლით შეადგენს 2627 ვერსს.

<sup>28</sup> რაინგსი მტკვარს ყველგან უწოდებს Kaur-ს. გაუგებარია ეტიმოლოგია — გ. გ.

<sup>29</sup> ეს ცნობა დამახინჯებული ჩანს — გ. გ.

ამ ქალაქის მიწებს დასავლეთით ესაზღვრება პროვინცია, რომელსაც ჩვეულებრივ სომხეთს (Somghetien) უწოდებენ. ის შედგება ბევრი დიდი სამფლობელოსაგან, როგორცაა კოტა (კოდა – გ. გ.), ზემო, შუა და ქვემო ბოლნისი. ოცდაათი წელი ეს ნაყოფიერი და მშენიერი მხარე იყო უდაბური და მხოლოდ ერეკლეს ზრუნვით კვლავ დასახლდა. მას აქვს ძალზე მდიდარი რკინისა და ვერცხლის მადნები, რომლებიც უაღრესად დაუდევრად და მცდარად მუშავდება. მრავალი სამკურნალო წყაროც არის აქ, მაგრამ მოსახლეობას, რომელიც ძალზე მიჩვეულია ტბილ ღვინოს, ეჯავრება მისი მკავე გემო; თუმცა იმდენად ჭკვიანია და მზრუნველი (მოსახლეობა – გ. გ.), რომ თავის ავადმყოფ საქონელს ამ წყაროებისაკენ მიერეკება, რადგან მათი გამოჯანმრთელება გამოცდილებითაა დამტკიცებული.

სამფლობელო ქვეში, სავსეა საძოვრებითა და ნაყოფიერი ველებით, ისევე როგორც მარმარილოთი და მწვანე და წითელზოლიანი იასპის სატეხებით. არც სპილენძის მადნებია იშვიათი.

უფრო სამხრეთით არის ჯერაც უკაცური სამფლობელო დამბლუტი; აქ არის ძალზე მდიდარი ტყვიის, ვერცხლისა და ოქროს საბადოები. მაგრამ, რადგანაც მთის წყალმა მათი ძარღვები წყლით აავსო, ამიტომ წყლის ამოქაჩვის უცოდინრობის გამო ეს საბადოები დაუშუშავებელია.

არის კიდევ პატარა სამფლობელო ნახატირი, მის მეზობლად კი – ძალზე მნიშვნელოვანი ლორე. მას აქვს არა მარტო საუკეთესო სპილენძის მადნები და უნაყოფიერესი ნიადაგი საძოვრად, ზორბლეულისა და ხეხილისათვის, არამედ ის მთელი ქართლისთვის (გეორგიისათვის) და მეზობელი თურქული სამფლობელოებისათვის იძლევა საუკეთესო წისქვილის ქვებს, სახელდობრ მთებიდან, რომელსაც ყარაღაჯი (შავი ჯვარი) ჰქვია. ეს ქედი ყოფს ქართლს (გეორგიას) ახალციხისაგან.

კიდევ უფრო სამხრეთით ამ სამფლობელოს ესაზღვრება პატარა პროვინცია ბამბაკი, რომელიც იყოფა სამ ნაწილად: ყარაქილისად, დერბესტად და ჰაჯი-ყარად. ამ მხარეების სამფლობელოები უფრო მთიანია, მაგრამ არაჩვეულებრივად ნოყიერი საძოვრებით და წარმოუდგენლად ნაყოფიერი ზორბლით, ქერთა და ფეტვით. მშრომელი გლეხის შემოსავალს ზრდის აგრეთვე სიმდიდრე თეთრი, ძალზე გემრიელი

თაფლისა. — სამხრეთით ბამბაკი ქმნის სპარსული პროვინციის ერევნის საზღვარს, დასავლეთით ებჯინება თურქული ქალაქის ყარსის ქედს.

ბამბაკსა და ლორეს ესაზღვრება სპილენძის მადნებითა და პურეულით ძალზე მდიდარი სამფლობელო უზუნლარი, რომელსაც სამხრეთით ეკერის ძველი, მაგრამ ძალზე დიდებული და მტკიცედ ნაშენი სომხური მონასტერი სენანინი. ამას ესაზღვრება აგრეთვე ხე-ტყით, სპილენძითა და დასამუშავებელი ყანებით მდიდარი სამფლობელო შულავერი და ოქროთი და ვერცხლით მდიდარი მხარე ახტალა. ახტალა უწინ იყო სამყოფელი სომეხი ქრისტიანი (გრიგორიანი — გ. გ.) მთავრის ალოდიუნის და ცნობილი თავისი მშვენიერი შენობებით. ამის საბუთად, გარდა ჯერ კიდევ კარგად შენახული და მტკიცედ ნაგები ეკლესიისა, გამოდგება ახლაც მდგომი მთავრის სასახლე. გაკვირვებთ და გაოცებთ ხარჯი და შრომა, რაც ამ შენობას დასჭირდა. მას შემდეგ, რაც აქ ოქროსა და ვერცხლის მადნები იპოვეს და მათი დამუშავება დაიწყეს, ეს მშვენიერი სასახლე გადაიქცა სადნობად და ერთმა თამამმა და თავხედმა ბერძენმა მოკლე ხანში სიხარბით დაანგრია წარსულის ეს ძვირფასი ძეგლი.

ახტალის სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთით იშლება მშვენიერი ვრცელი ვაკე, რომელიც ცნობილია აივაზ-ალის სამფლობელოს სახელით. დიდი მდინარე ზრამი, რომელსაც ერთიან მდინარეები ბოურბელი, ფოლადაური და ნახატირ-სუ და რომლებიც სათავეს ყარაღაჯის მთებში იღებენ, რწყავენ ამ ვაკე ადგილს, ძალზე ნაყოფიერს ბამბის, ბრინჯისა და სხვა მინდვრის მოსავლით. რა იქნებოდა, რომ ეს მხარე უფრო მეტად იყოს დასახლებული!

ამ ველზე, აივაზ-ალის მოსაზღვრედ მდებარეობს აგრეთვე (ზაფხულობით დიდი რაოდენობის შხამიანი გველებით სავსე) სამფლობელო მულანი და მეორე მნიშვნელოვანი მხარე, სახელით ბორჩალო. ეს სამფლობელო, ისევე როგორც ლორე, უზუნლარი და ბამბაკი, არის ერეკლეს უფროსი უფლისწულის გიორგის საკუთრება. ეს ახალგაზრდა ბატონი იძლევა ყოველგვარ იმედს (რაშიც მას გვარი და ბუნება უწყობს ხელს), რომ თავისი ქვეშევრდომების სიკეთე დაამკვიდროს, რისთვისაც ხშირად საკუთარს სწირავს; სახელდობრ, მან დიდი რაოდენობით გადმოასახლა ხალხი სპარსეთიდან და განსაკუთრებით

თურქული საზღვრებიდან ამ ბედნიერ მხარეში; ისე რომ, რამდენიმე ხნის შემდეგ ძნელი იქნება დაუმუშავებელი მინდვრის ნახვა.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ეს ვაკე მხარე საბოლოოდ ბორცვიანი და მთიანი ხდება; ამ დაბალი ქედის მთაგრებილი სამხრეთით გრძელდება და უერთდება ბამბაკის ქედს. ეს ქედები, ისევე როგორც მათი ნაყოფიერი ველები (ხეობები), დასახლებულია ხალხით, რომელიც თავს დონელი კაზაკებიდან წარმოშობილად თვლის და ამიტომ მთელ მხარეს, რომელშიც ისინი სახლობენ, ყაზახს უწოდებენ.<sup>30</sup> ეს ხალხი ბორჩალოსაგან მდინარე ხრამით გამოიყოფა, რომელზეც გადებულია ქვის მშენიერი ხიდი. ის ამუშავებულია მეფე როსტომის მიერ და ეწოდება სინიკ კოპრი.

ამ ხიდიდან რამდენიმე საათის სავალზე ქვევით ხრამი მტკვარს ერთვის, მას შემდეგ, რაც თვითონ ყაზახის მთებიდან მომავალ მდინარეებს და ჩუასის იერთებს. მართალია ყაზახელები მაჰმადიანები არიან, მაინც ყველაზე მამაცი და ერთგული ჯარისკაცები არიან ერეკლესი. ისინი აგრეთვე ბოროტი ყაჩაღებისც არიან.

ყაზახს ეძახიან კიდევ ხალხს, რომელიც, როგორც მათ მიერ დასახლებული ქვეყანა, იწოდება შამშადილად. მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტნი არიან აგრეთვე მაჰმადიანები, დანარჩენი კი — სომხები, რომლებიც, როგორც ყაზახელები, ომიანობისას ასევე გულადები და ერთგულები არიან თავისი ბატონისა; თუმცა ხშირი შფოთი იციან, რადგან აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით არის მეორე საზღვარი სპარსეთისა და არმენიის იმ ნაწილს შორის, რომელიც ერეკლეს ძალაუფლების ქვეშაა. დიდი მდინარე ჰასან-სუი იწყება შამშადილის მთებში და ერთვის მტკვარს.

### გ) მრთვინციები კახეთი და ქიზიყი

თუ ისტორიას დაუვჯერებთ, დიდი ხნის წინათ მიწის მთელ ზოლს, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული, ერქვა ალბანეთი; ამჟამად მისი სახელიც კი არ ეცოდინებოდათ, რომ მეფე ერეკლეს თავის ტიტულში არ ჰქონდეს

<sup>30</sup> ეს ცნობა საეჭვოდ გვეჩვენება — გ. გ.

ის აღნიშნული. ახლა მე მოგიტხრობთ ალბანეთის იმ პროვინციების შესახებ, რომლებიც ამ მბრძანებლის ძალაუფლების ქვეშ არიან და დღესაც ქართლს (გეორგიას) ეკუთვნიან.

იქ, სადაც ძველი საზღვრები იყო ალბანიისა და არმენიის, სახელდობრ, არაგვისა და მტკვრის შესაყართან, აღმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით სიმაღლით განსხვავებული მთები, რომლებსაც სხვადასხვა ადგილას გამოეყოფათ ნაყოფიერი ველები და საბოლოოდ თვალწინდნელ ვაკედ გადაიქცევიან. ამ ვაკეზე მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მტკვარი.

ჰალავარი (ჰელებარი — გ. გ.), პატარა ქალაქი და მეტეხი — ციხე, მდებარეობენ ამ ვაკეზე მტკვრის მარცხენა ნაპირის აღმოსავლეთით და ამ მდინარის ერთი ზიდის საშუალებით უკავშირდებიან ტფილისს, გეორგიის (ქართლის) დედაქალაქს. ორივეს ქალაქის გარეუბანსაც უწოდებენ. ოცდაათი წელი იყვნენ ისინი დანგრეული, მხოლოდ 1780 წელს დაიწყო მეფე ერეკლემ მათი ხელახალი გაშენება და მოსახლეობა ახლაც ძალზე მატულობს.

დაბლობს, მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით და ჩრდილოეთით მდინარე მინდორის წყლამდე (უდაბნოს წყალი), ჰქვია ლილო და როგორც ბალახით მდიდარი, გამოყენებულია საძოვრად; სხვა მხრივ კი უკაცური ვაკეა. კიდევ აღმოსავლეთით დაბლობი იღებს სხვადასხვა სახელებს, რომლებიც წარმომდგარა მდინარეების, ჭაობებისა თუ სოფლების სახელთაგან. ჩრდილო-აღმოსავლეთით სახლობს რამდენიმე ასურული, ანუ ქურთული ოჯახი და აქედან ჰქვია მას ქურდის-მინდორი, იეზიდის, ან ასურის მინდორი; უფრო აღმოსავლეთით უწოდებენ მას ლოჭინს იქ მცხოვრები ოსური კომლების გამო; მთლად სამხრეთით, მეტეხიდან ოცი[?] საათის სავალზე ის ცნობილია ნავთლუხის (Niphthlik) სახელით, რადგან იქ შავი ნავთის წყარო არის, რომლისგანაც ახლოს მდებარე პატარა სოფელმა მიიღო სახელი.

ნავთლუხიდან მდინარე კაბრემდე, ანუ იორამდე და მის ალაზნთან შერთვამდე არის კარგი საძოვარი; მას ყარაგოზი (ყარაია — გ. გ. შავი თვალეები) ჰქვია. რადგან აქ თოვლი იშვიათად თუ დევს სამ საათზე მეტ ხანს, ამიტომ ამ ველს დიდი თათრული ურდო იყენებს ზამთრის სადგომ-საძოვრად. ამ ურდოს უწოდებენ თარაქამას, რაც ნიშნავს მომთაბარეს (დღ. I, გვ. 105), ხოლო საკუთრივ ტომის სახელი არის სერავანი.



ამ ურდომ იცის, რომ ძველად ხალხმრავლად ცხოვრობდნენ არაქსის იქითა მხარეს, ურმიასთან, საიდანაც უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც აქეთ გადმოვიდნენ. ამიტომ მე ვფიქრობ, ხომ არ არის ეს ხალხი შთამომავალი იმათი, რომელთაც იცნობდა სტრაბონი იმ მხარეში მასაგეტების (ალბათ მასის-გეტები) მეზობლად ახლოს<sup>31</sup> და ძალზე გარკვევით უწოდა სარაპარები. ამ სიტყვის მნიშვნელობა სტრაბონის მიხედვით სარ, ანუ სერაპარი – ავაზაკი (თავზეხელაღებული) არის სკითური, ან თათრული და ამ ხელობას საკმაოდ მშვენიერად იცნობენ სერავეანებიც, რომელთაც სპარსულად ასევე ავაზაკები ჰქვიათ.

ტფილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით ამ დაბლობის ბოლოს, ქალაქისაგან 40 კერსზე იწყება კავკასიონის მთისწინეთში მდებარე პროვინცია კახეთი, რომელიც სამხრეთით ესაზღვრება მეორეს – სახელით ქსიფს, ანუ ქიზიფს. ორივე ეს პროვინცია ძველად შეადგენდა ალბანეთის ერთ ნაწილს, შემდეგ გადავიდა არმენიელთა მულობელობაში, ხოლო საბოლოოდ მოექცა წარჩინებული ებრაული გვარის ბაგ(ა)რატის ხელში, რომელთაგანაც ქართლში და იბერიაში მმართველი მეფეებიც წარმოსდგებიან. ამიტომაც მეფის გვარი თავის თავს ბაგრატიონს უწოდებს და ბევრი რამ აქვთ ებრაული.<sup>32</sup>

არც ერთმა ძველმა გეოგრაფმა არ იცოდა სახელი კახეთი ან ქიზიფი; მხოლოდ მოსე ხორენელი იხსენიებს ამ პროვინციას სახელით საგეთ და შაკეთ, რომელშიც, თუ მართლწერაში, ან კორექტურაში არაა შეცდომა დაშვებული, უეჭველად ქიზიფი უნდა ესმოდეს. ძველი ქართული ქრონიკა ამ პროვინციას არ იცნობს დღევანდელი სახელით; ის ქვემო მთიანი ნაწილის მოსახლეობას უწოდებს კუხეთს (Kugeti - მთის ხალხი), მთავარ ქედთან ახლო მოსახლეთ კი – მუხეთი (Mugeti - კლდის ხალხი). კუხეთიდან უნდა წარმოსდგებოდეს დღევანდელი სახელი პროვინციისა – კახეთი; მაგრამ უცნობი რჩება,

<sup>31</sup> არარატი ახლაც სხვადასხვანაირად იწოდება: აგროდალი, აქრო-დალი (სტრაბონის ზაგროსი) და მასისი (პლინიუსის მასოუსი). გამომდინარე აქედან, ხალხის საერთო სახელი გეთი წარმოსდგება ადგილისაგან, სადაც ის სახლობდა. სტრაბონი იხსენიებს აგრეთვე მასაბატებს, რაც სხვას არაფერს ნიშნავს დღევანდელი ქვეყნის უნით, თუ არა მასისის, ანუ არარატის მცხოვრებს (რ.).

<sup>32</sup> როგორც ჩანს, რაინევსმა იცის ცნობილი ლეგენდა ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის შესახებ. აგრეთვე ერეკლესგანაც გაიგებდა, რომ ქართველი მეფეები თავის თავს თვლიან „დავითიან, იესიან, სოლომონიან-ად“ – გ. გ.

თუ როდის უნდა დაერქმიათ ამისაგან სამხრეთით მდებარე პროვინციისათვის ქიზიყი.

უკაცური ან ცარიელი სოფლები, დანგრეული მთისციხეები და ქალაქები აქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება და წარმოადგენს თვალნათლივ საბუთს უწინდელი არაჩვეულებრივი დასახლებისა. და მაინც ეს პროვინციები, მიუხედავად მოსახლეთა ვანუწყვეტელი ხანგრძლივი საფრთხისა და შიშინაობისა, არ არის ხალხისაგან დაცლილი. რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი გაფანტული და განცალკევებული მიწურების უფრო დიდ კავშირად თავმოყრა, ისინი ლეკებს სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევდნენ და უფრო მეტი უსაფრთხოების პირობებში სწრაფად გამრავლდებოდნენ. მაგრამ წესრიგის უქონლობაა მიზეზი იმისა, რომ, როცა ამ მშვენიერ ნაოხარს ნახავ, ამოიოხრებ; რადგან მმართველს აკლია სიმხნევე, ნებისყოფა და წინდახედულობა, რომ საყველთაო სიკეთე თავის ინტერესებს სარგებლიანად დაუკავშიროს, ბერებისა და მღვდლების სიმრავლეს ბოლო მოუღოს. ყოველივე ამით თავადებისა და ხალხის მორჩილებას უფრო იოლად შეძლებდა.

გზა ტფილისიდან კახეთისაკენ მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მარტყოფზე გავლით, რომელიც წარმოადგენს გაშლილ, კარგად დასახლებულ და შეძლებულ პუნქტს; იგი ავღაბრიდან ოცი ვერსითაა დაშორებული. აქაური მონასტრების, ბერებისა და მღვდლების მბრძანებელ მთავარეპისკოპოსს ეწოდება რუსთველი. — კიდევ ცხრამეტ ვერსზე აღმოსავლეთით არის სწრაფი, გაზაფხულზე და შემოდგომით უფრო ადიდებული მდინარე იორი, ანუ კაბრე (პლინიუსის კასიუსი), რომლის მარცხენა ნაპირზეც დგას სოფელი ხაშში. აქედან ჩრდილოეთით შვიდ ვერსზე არის სოფელი პატარაძეული და კიდევ ათ ვერსზე აღმოსავლეთით — ნინოწმინდა (წმინდა ნინო); ესაა სოფელი მონასტრითა და ქვის პატარა ეკლესიით, რომელშიც არის წმინდა ნინოს ნეშტი და საფლავი ერთი ქართველი მეფისა. ამ მონასტრის მთავარეპისკოპოსს ჰქვია ნინოწმინდელი. სულ რამდენიმე ვერსის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით, თითქმის ყოველ ნაკადულთან მდებარეობენ გაფანტული მიწურები, რომელთაც სოფლები ჰქვიათ; კიდევ უფრო ჩრდილოეთით არის საგარეჯო; აქ არის საკმაო რაოდენობით მიწურები და რამდენიმე ქვის სახლი; იგი მდიდარია პურით, ღვინითა და მარცვლეულით.

ქოდლო, მელაანი და მალარო ამჟამად წარმოადგენენ ღარიბ, გამეჩხერებულ სოფლებს, რომლებიც წინათ მშვენიერი ქალაქები იყვნენ. აქ მოჰყავთ შესანიშნავი ხორბალი და ბევრი ღვინო.

ვაშირი (ვაქირი — გ. გ.), ხალხმრავალი სოფელი, მოშორებულია ნინოწმინდიდან ოცდათხუთმეტ ვერსზე და ძვეს გზასაყარზე, რომლის მარცხენა მხარეს ტყიან, დასახლებულ მთა გუმბათზე (Kumbet) გავლით შიდა კახეთში მიეყავართ; ის შემდგომ აღმოსავლეთით მდინარე ალაზნამდე გრძელდება; იგი აქედან ორმოც ვერსზეა მოშორებული და მის ნაპირზე გეორგიის უკანასკნელი სოფელი — ჭიკაანი (Zikani) მდებარეობს ბელაქნელი ლეკების თვალწინ. ამასთან ალაზნის სათავეებისკენ ჩრდილოეთით არის თუშური სოფლები, რომლებიც, როგორც ქართლის (ქართველთა) ქვეშევრდომები, კახეთს მიეკუთვნებიან. ესენია: სოფელი (Sapul), ყორელი, გავაზი (Gawas), შილდა და მალრამანი (Makram).

ჩრდილო-დასავლეთით, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, არის ყვარული, ძლიერი, დიდი, ამჟამად თითქმის ცარიელი სოფელი; ამასთან, მას აქვს ჭვის ეკლესია, მონასტერი, ჰყავს ბერები და მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ნეკრესელს (Nekresti) უწოდებენ.

ძველი და ახალი გრემი ყვარლის ჩრდილო-დასავლეთით არის მშვენივრად განლაგებული, მტკიცე და ნახევარზე მეტად გაუკაცურებული პუნქტები გარშემოვლებული ძნელადდასანგრევი გალავნით და გლეხების ქოხებით, რომლებიც ეკუთვნიან მონასტერსა და ბერებს, და რომელთა მთავარეპისკოპოსსაც გრემელი (Kremmleli) ეწოდება.

გრემიდან უფრო სამხრეთ-დასავლეთით არის ალაჯერდი, ნაყოფიერი, კარგად დასახლებული მხარე; აქ ბევრი ეკლესიაა, ჰყავთ მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსები და ბერები. აქეთ ძალზე კარგი ღვინო, რომელიც მთელ კახეთში საუკეთესოა. ერთადერთი ღირსშესანიშნავი პუნქტი აქ არის თელავი (ცაცხვების ქალაქი), სამმაგად გამაგრებული და ზარბაზნებით შეიარაღებული მტრისთვის აუღებელი ციხე. იგი სამი ნაწილისგან შედგება. თითოეული მაღალი მტკიცე კედლითაა შემოვლებული და ოცდაათი ფუტი სიღრმისა და ასთერამეტი ფუტი სიგანის თხრილითაა გარშემორტყმული. შუა და ყველაზე დიდი ციხე ეკუთვნის მეფე ერეკლეს, ამიტომაც მას ჰქვია ბატონის ციხე.

მეორე მისგან აღმოსავლეთით ეკუთვნის ყორჩი ბეის გვარს, მესამე კი – ვახვახიშვილების (Wagoscho Swuili) შთამომავლებს.

ამ უკანასკნელი გვარიდან არის ქართველი ბერი, სახელად გაიოზი, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე რუსეთში სწავლობდა და 1780 წელს დიდი ცოდნით შეიარაღებული საქართველოში (გეორგიაში) დაბრუნდა და თელავში სკოლა დააარსა. მისმა დაულალავმა სიბეჯითემ და გასაგებმა სწავლებამ გააღვიძა მისი თანამემამულეების ნიჭი (უნარი) და მათი ხარბი ცნობისმოყვარეობა, რათა ისინიც განსწავლული გამხდარიყვნენ. ამ სასწავლებლისგან დიდ სარგებელს მოელოდნენ, მაგრამ ეს ბეჯითი და საქმიანი არქიმანდრიტი 1783 წელს მომხიბლავი დაპირებებით კვლავ რუსეთში გაიწვიეს.<sup>33</sup> ქართველთათვის დიდად სამწუხაროდ, სწავლება კვლავ შეწყდა და ახალგაზრდობა დაალონა ძველი უმეცრების გამეფებამ.

თელავიდან ჩრდილო-დასავლეთით კახეთი ყველაზე დასახლებული და ლეკთა თავდასხმებისგან ყველაზე მეტად დაცულია. მთელი ეს მთისწინეთი არის ნამდვილი ჭალა-ტყე. ყოველი ნაკადულის პირას დგანან ცალკეული, მაგრამ ხალხმრავალი სახლები, რომლებიც დასავლეთით არაგვის შენაკადად ალაზონის (?ალაზნის ტოტია) გასწვრივ ნაყოფიერ ტყეებში ვრცელდებიან. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია პუნქტი ახმეტა, სადაც ძალიან კარგი, მაგარი ღვინო, საუკეთესო ყანები და ძალზე შეძლებული მაცხოვრებლები არიან.

სოფელი ვაშირი მდებარეობდა გზასაყარზე, რომლის მარცხენა მხარე შიდა კახეთში მიდის, მარჯვენა კი – ცივის მთის გასწვრივ ქიზიყში. ცივი არის მაღალი, სწორი თხემით, ტყეებითა და საუკეთესო საძოვრებით დაფარული მთა, სადაც ზაფხულობით უმეტესად ცხვრები ჰყავთ. მე ვფიქრობ არ შეეცდები, თუ ქიზიყს ჩავთვლი ჯერ კიდევ

<sup>33</sup> ის ორი წელიწადი დარჩა პეტერბურგში ისე, რომ ვერ გაიგო, თუ რისთვის იყო გაწვეული; 1786 წ. თავად პოტიომკინს გაჰყვა კრემენჩუგში; იქაც ვერაფერი გაიგო თავისი მოვალეობის შესახებ და 1788 წლამდე დარჩა იქ. მივიწყებული და თითქმის გაღატაკებული. 1789 წელს ის თან ახლდა ეკატერინოსლავის მთავარეპისკოპოსს იასაში, როგორც ამაღლის წევრი. 1792 წელს ის კვლავ პეტერბურგში გაიძახეს; დანიშნეს ნეველის მონასტრის მთავარეპისკოპოსად და გაუჩინეს ჯამაგირი თვეში ასი მანეთი, რომელსაც ეს პატიოსანი და ბეჯითი ბერი უსაქმოდ თავის ძველ სამშობლოზე დარდში ხარუჯავდა (რ.).

სტრაბონის დროს უცნობ საკასენას ნაწილად. — ძველქართულ ენაზე ამ პროვინციას ჰქვია კამბეჩანი და კამბეჯოვანი. მოსე ზორენელი უწოდებდა მას კამბიძას, ხოლო დღევანდელი სომხები მას იცნობენ კომშენ-ის სახელით. ეს არის ის პროვინცია, რომელსაც სტრაბონი ასე სამართლიანად უთითებდა კამბისენეს სახელით. ის არის მთიანი, უწყლო და მნიშვნელოვანი. ქვეყნების ძველი დაყოფის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არის ნამდვილი საზღვარი ძველი ალბანიისა, იბერიისა და არმენიისა. — მთელი ეს მთიანი მიწა ხელს არ უშლის ამ პროვინციის ნაყოფიერებას, რადგან მთები საკმაოდ ბევრ ადგილას ჭარბადაა სველი მიწით (Leimen Erde თიხით) დაფარული, რაც სახანავად, ბაღებისა და მევენახეობისათვის ძალზე სარგებელიანადაა გამოყენებული და არასოდეს არ თხოულობს მორწყვას. ეს ნაყოფიერი პროვინცია მხოლოდ შიდა მთებზეა და არა ვაკეზე დასახლებული, რადგან ლეკებთან ახლო მეზობლობაში მყოფს, თავდასხმების გამო ხელი ეშლება გაშენებასა და დასახლებაში. შიდა ქიზიყში ლეკი მხოლოდ ფარულად და შეუმჩნეველად მოდის, რადგან ამ ყაჩაღების მთელი ურდოების შესვლა-გასვლა შეუძლებელია, იმიტომ რომ მხოლოდ სამი გზაა, რომლებიც ბუნებრივადაა გამაგრებული და ძალზე ადვილია მათი მტკიცედ დაცვა.

პირველი გზა არის წმინდა სტეფანეზე; ესაა, მშვენიერი ქვის კლესიის ჩათვლით, დანგრეული სოფელი, ხეობიდან გამოსასვლელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საიდანაც იწყება სწორი, უკაცური, ოცდახუთი ვერსის სიგანის დაბლობი, რომელიც მთავრდება ალაზნის ნაპირზე და მხოლოდ წმინდა სტეფანეს ახლოს ითვისება. ამასთან თესვა და მოსავლის აღება მოითხოვს ყოველთვის ძლიერ დაცვას შეიარაღებული მამაკაცებისას და ფრთხილ გუშაგებს, რათა ლეკებმა არავითარი ზიანი არ მიაყენონ, ანდა მკვლელები და გუშაგები თან არ გაიტაცონ.

მეორე გზა მიდის კუმბეტიდან (გუმბათი — გ. გ.) ჩრდილო-აღმოსავლეთით გრძელ მთიან ხეობაში, რომელიც ყველაზე უკეთესად არის დამუშავებული და დასახლებული. მას იცავდა ციხე ჭოეთი, რომელიც თურქებმა დაარბიეს. შემდეგ ის მათვე ააშენეს და დაარქვეს თოფ-ყარალაჯი. ახლა, იქ არცერთი თურქი აღარ არის, ეს ციხე ცარიელია. სანახაობა აქედან მშვენიერია. სიამოვნებით უყურებ საშიში

ლექების გაფანტულ საცხოვრებლებს და სანამ თვალი არ გაძლება ალაზნის დიდებული დინებით, ივიწყებთ ზიზღს მათ მიმართ. კუმბეტში აშენებენ აგრეთვე მშვენიერ ბაზას; კუმბეტის სავსე ჭალები და ბალები ცნობილია.

მესამე გზა არის ციანტყე, რომელიც სამხრეთით გამოდის იორსა და ალაზანს შორის მოთავსებულ დაბლობზე. აქ აღნიშვნის ღირსია მაგარი პუნქტი ყიზილი, რომელსაც აქვს საუკეთესო სახნავი, სავენახე და საბაღე მიწები. განსაკუთრებით კარგი საძოვრების გამო აქ ცხვრისა და ცხენის შენება ძალზე განვითარებულია. კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთით არის ანაგისკარი, ციცაბო და ფრიალო ხევი, რომლითაც ყარაგოზიდან (ყარაია?) ბევრი სიძნელების გადალახვით, ქიზიყში მოსვლა შეიძლება.

ამ პროვინციის შიგნით არის ბატონის ხევი, სქელი კედლით გარშემორტყმული სოფელი, რომელშიც ცოტა მოსახლეობაა. აქაურ ლევს განსაკუთრებით სასიამოვნო გემო აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე სიღნაღი (Segnak). რადგან ოციოდე წლის წინათ ლეკები არაჩვეულებრივად ხშირად ესხმოდნენ თავს კახეთსა და ქიზიყს, მეფე ერეკლემ რამდენიმე მთასა და დაბლობს გარშემოავლებინა მტკიცე კედელი, რათა ხალხს შეძლებოდა მასში შესვლა, რომ თავი უზიფათოდ ეგრძნო. ამიტომაც მას უწოდეს სიღნაღი (თავშესაფარი ადგილი). მაგრამ ეს იყო ამო ჯაფა; დღესაც შემოკავებული მიდამო მოსახლეობისგან ცარიელია და თუმცა მეფეს ეკუთვნის, უკაცურია. ამ პროვინციის მოსახლეობასთან ლეკებმა დასდეს განსაკუთრებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც აკრძალულია კახეთიდან, ან ქიზიყიდან გატაცებული კაცი სხვაგან გაიყიდოს, თუკი ის შეძლებს თავისი თავის ორ თუმნად გამოსყიდვას; ტყვე რომც მაღალი წარმოშობისა იყოს, მაინც ეს ფასი არ იზრდება. თუკი ლეკს დაიჭერენ, მან თავი უნდა გამოსყიდოს სამ ტყვე-ქართველში. თუკი ის ამას ვერ შეძლებს, მაშინ თავისი გაუფრთხილებლობისათვის პასუხს სიცოცხლით აგებს, ანდა რაიმე სხვა საშუალება უნდა მოძებნოს გათავისუფლებისათვის, ისე რომ თავის ოჯახს, ან მოდგმას მცირე ტვირთადაც არ დააწვეს.

**ზოგიერთი უნიფიკაცია. თუ რა მდგომარეობაშია  
გეორგიის (ქართლის) ნიადაგი. პავა, პროდუქტები.  
მოსახლეობა. ყოფა-ცხოვრება. საქმიანობა და  
მოსახლეობის ცრუმორფოვნობა.**

ქიზიყი ძალზე ღარიბია წყლით; მცირე წყაროები კი, რომლებიც ამ ნოტიო მიწიდან გამოდიან, მარილიანია და ამ წყალს მხოლოდ შერვეული სასა (ყელი) თუ დაღვეს, მაგრამ ისიც არა ყოველთვის. რადგან სოფლები ხშირად რამდენიმე ვერსზეა წყაროებიდან მოშორებული, ამიტომ წყურვილს იკლავენ ხილით ან ღვინით. წყაროები დიდი მზრუნველობით შექყავთ მოხდენილ, გამომწვარ და ამოღესილ, ან ხის კასრებში, რომლიდანაც საქონელი სვამს; წყალვარდნილებს კი წისქვილებისთვის იყენებენ. მეწისქვილე ერთ დიუმიზე მეტი სისქის წყლის ნაკადს უშვებს დაქანებულად, ათი ფუტის სიღრმეზე პორიზონტალურად დადებულ და სამი ფუტი სიგანის მამოძრავებელ ლილეზე. გამდინარე წყალი შემდგომ სხვა წისქვილისთვის გუბდება და ასევე გამოიყენება. წისქვილის პატარა ქვების გამო ხორბალიც მცირე იფუჭება; ამ ნაკლებობას ანაზღაურებს წყლის წისქვილთა დიდი რაოდენობა, რომელთა რიცხვიც დამრეც, ხუთი საათის სავალ დაბლობზე ოთხმოცამდეა, ხოლო ანაგისკარში ორმოცდასამი; ისინი მოძრაობაში მოჰყავს დაგუბებულ წყაროებსა და წყალვარდნილებს. ბოლოს ის (წყალი — გ. გ.) ასეთი გამოყენებით და აგრეთვე ხალხისა და პირუტყვის საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ ისე მცირდება, რომ დაბლობზე გასვლისას მხოლოდ პატარა დაჭაობებული ნაკადულის კვალსღა ვხედავთ.

ჰაერი ქიზიყში უფრო სუფთაა, ვიდრე კახეთში. მოსახლეობა თავისი მარილიანი წყლის, ღვინის სმისა და მოჭარბებული მადის გამო ჯანმრთელი და ლამაზად ლოყებლათლაჟაა. ორივე პროვინციაში თერამეტი ათასამდე ქართულ-ქრისტიანული ოჯახი ცხოვრობს. მაჰმადიანები ნაკლებია, ხოლო ებრაელები საერთოდ არ არიან, თუმცა ისინი ალაზნის იქითა მხარეს, რომელიც გეორგიას შირვანისგან გამოჰყოფს, ძალზე ბევრნი ცხოვრობენ. ალაზნის ძველი სახელი იყო აღბანუსი (პლინიუსი), აღლუზონი (სტრაბონი). სახელი ალაზანი უნდა იყოს დამახინჯებული კავკასიური სიტყვა: ლეკები ყოველ მდინარეს

ეძახიან ოესან-ს არტიკლით აღ, ან ილ-ოისან, საიდანაც, ეჭვგარეშეა, წარმოდგება სახელი ალაზანი.<sup>34</sup>

კახეთისა და ქიზიყის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იბერიელების მსგავსად ოჯახებად მკვიდრად ცხოვრობენ, რომლებიც ცალ-ცალკე თავის საუცხოო ტყეებში ძალზე ბედნიერად გრძნობენ თავს, სანამ ლეკებს დაინახავენ. ორივე პროვინციაში მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას დიდი მზრუნველობით ეკიდებიან; ბამბა ჭარბად მოჰყავთ, ხოლო მებაგრეშუმეობა საუკეთესოა კახეთში; განსაკუთრებით ლალისყურში, ლომისციხეში, კუი-წყაროსა და გრემში.

ორივე პროვინციას ჭარბად აქვს სხვადასხვანაირი გემრიელი ღვინოები, მხოლოდ ქიზიყის მძიმეა, თავში ვარდება და წყალს იტანს. კახეთისა კი მსუბუქია და ძალზე სასიამოვნოდ ისმება, განსაკუთრებით ახმეტისა. კასრების ნაკლებობა და მოელის უცოდინარობა არის მიზეზი, რომ ღვინო ერთ წელზე მეტ ხანს არ ინახება. გეორგიელი, როგორც დაუღალავი და მაგარი ღვინისმსმელი ამით ძალზე კმაყოფილია, რადგან ძველი ღვინო მას უზიზღება კიდევ, ხოლო ახლად-დაწურულ ტყბილს დიდი სიამოვნებით სვამს. წვენს ისინი ასხამენ დიდ თიხის ქოთნებში, რომლებიც მიწაშია ჩაფლული, ამას ზევიდან აფარებენ ფიცარს, ხოლო ზემოდან მიწას აყრიან; მხოლოდ პატარა ნახერეტს ტოვებენ ღიას (რომელშიც ლერწმის ღერია ჩარჭობილი) მანამ, სანამ დუღილს დამთავრებულად არ ჩათვლიან. შემდეგ კი ამასაც მიწით ხურავენ.

ხოზობი გეორგიაში საერთოდ ძალზე ბევრია. ქიზიყში და მის მიმდებარე ველებზე ხშირად გვხვდება ირმები და ჯეირანი (ქურციკი); ამიტომაც ნადირობა არის ადგილობრივ მკვიდრთა არსებითი გასართობი, რისთვისაც ისინი იყენებენ თავის ღონიერ, კარგად გაწვრთნილ ძაღლებსა და შვეარდნებს. ამ უკანასკნელით ისინი დიდი აღტყინებით (სიამოვნებით) ნადირობენ ირმებსა და ქურციკებზე. აი, რანაირად ხდება ეს: პირველად შვეარდნის აჩვევენ, რომ თავისი საჭმელი იპოვოს თხის რქებს შორის და წაიღოს; შემდეგ მას ამშვევენ, რის გამოც იგი

<sup>34</sup> „ალაზნის“ ეტიმოლოგია გვიჩვენებს, რომ რაინგსი, რომელიც ბერ ენას ფლობდა თამაშად აძლევდა გასაქანს თავის ფანტაზიას - გ. გ.



სულ უფრო და უფრო ხარბი ხდება; როცა მიადწევს სანადირო ასაკს, მან მოშორებით მდგომ, ან მძოვ თხის თავიდან თავისი საკვები უნდა მოიტაცოს. როცა ის ამ ხელობას შეუცდომლად მიეჩვევა, ნადირობის დღეს არ აძლევენ მას საკვებს და, როგორც კი მონადირე ირმებს ან ქურციკს შეამჩნევს, ახდის ქუდს და მიუშვებს მასზე. შვეარდენი ელის რა შერჩეულ საჭმელს, მაშინვე ეტყერება ცხოველს შუბლზე, რომელიც გაოგნებული ან ჩერდება, ან ვარდება ძირს და მონადირეს ეძლევა დრო ან ცოცხლად დაიჭიროს, ან მოკლას.

შინაური ფრინველის ხორცი ძალზე გემრიელია; ოღონდ ჩვეულებრივ ქათამს, ან მამალს, რომლის მოხარშვაც სურთ, კლავენ ან მინდორში, ან ხეზე, რადგან შინაური ფრინველი აქ ველურადაა გაშვებული.

სამენი ხეებით და ნაყოფით სავსე ტყეები ამ პროვინციაში საკმაოდ ხშირია. ლეღვი, ბროწეული, ვაშლი, ალუბალი და წაბლი აქ ასევე ველურად იზრდება; ქიზიყურ ატამს, რომელიც განსაკუთრებით გემრიელია, დიდ პატივს სცემენ.

ბუნების სიუხვე ამ პროვინციების მოსახლეობას არ ანებივრებს. კარგი ხელმძღვანელობის დროს ისინი მართლაც ძალზე გულადები არიან, თვით ლეკების წინააღმდეგაც. მაგრამ მეფეები ყოველთვის გულგრილად უყურებენ, თუ როგორ იტაცებენ ლეკები გაუფრთხილებელ, ან სუსტ ქვეშევრდომებს. მართალია ეს დაუჯერებელი ჩანს, მაგრამ ასეა: რადგან, რაც უფრო მეტად ეშინიათ ამათ ლეკებისა, რომ არ იყვნენ მოტაცებულნი, მთელი თავისი ყურადღება მხოლოდ ამ მტრისკენ აქვთ მიჰყრობილი; მეფეები ყველაზე მეტად თავის თავზე ფიქრობენ და იმაზე, რომ თავისი ხალხის გაჭირვებამ მას ხანგრძლივი მმართველობა შეუნარჩუნოს.

ღვთისმოშიშობა და ცრუმორწმუნეობა ძალზე დამახასიათებელია გეორგიელებისათვის. წყლით სავსე კოვზი, რომელშიც გავარვარებული ძველი კონსტანტინეს ღუკატია ჩარეცხილი, წარმოადგენს არაჩვეულებრივ გულის გამაგრილებელ სასმელს ფეხმძივე და მელოგინე ქალებისთვის, და რადგან მათ ჰგონიათ, რომ ძველ კონსტანტინეს ღუკატებს უფრო მეტად მეფე ერეკლესთან იშოვიან (ხოლო ეს კი ხშირად სჭირდებათ), ეს უკანასკნელი ხშირად იძულებულია გავარვარებული ოქროს წყალი თვით დაამზადოს.

რადგან მათი აზრით, სულელებს ყველაზე უფრო მშობიარობის შემდეგ მელოგინესთან და ახალშობილთან უყვართ ყოფნა და დიდი ზიანის მოტანა, ამიტომ ცოლის ბალიშის ქვეშ მუდამ უნდა იდოს ქმრის ხანჯალი ან ხმალი. მელოგინეს საბანზე დებენ წითელ სათევზაო ბადეს, რომლის ყოველ ნაპირა კვანძს შორის მიმაგრებულია ტყვია, რათა ის მუდამ წონასწორობაში იყოს და არ გადაადგილდეს, რომ ეერავითარმა ჰაერის სულმა საბნის ქვეშ შეძრომა ვერ შეძლოს. — ამ მდგომარეობაში უნდა იყოს ორმოცი დღის განმავლობაში ძალზე შეწუხებული მშობიარე, სანამ მას სუფთა ჰაერის შესუნთქვა, ან ლოგინის მიტოვება შეეძლება. მათი აზრით, ყველაზე საშიშ მდგომარეობაში ის ქალი ჩავარდება, რომელიც ამ ხნის განმავლობაში თმას ან ფრჩხილებს მოიჭრის.

წარჩინებული გეორგიელი ქალები ყოველთვის მშობიარობენ ოჯახის უფროსებისა და მეგობრების თანდასწრებით, რომლებიც სულიერ მამასთან და ექიმთან ერთად მეზობელ ოთახში ისმენენ მელოგინეს კივილსა და მოთქმას, რათა ხმის მიხედვით იწინასწარმეტყველონ მშობიარეს მეტ-ნაკლები სიმხნევე და ბავშვის მომავალი ბედი, განსაკუთრებით, თუ ის ბიჭია; მშობიარობას უკვე გაცნობილი ქალები ცდილობენ თავიანთი კვნესით, მოთქმითა და ყვირილით მიიქციონ ყურადღება ყურისმგდებლებისა; რადგან ახალგაზრდა პირველმშობიარემ ჯერ კიდევ არ იცის ამ კეთილი ჩვევის შესახებ, იქ მყოფი ერთ-ერთი ხანშიშესული ქალი ისე ამსგავსებს მშობიარის ხმას, რომ მოწმეები, რომლებმაც ეს თვალთმაქცობა არ იციან, გოცებულნი არიან ახალგაზრდა ქალის გამოცდილი ხმით, რასაც ხმამაღლა და დიდი ქებით აღნიშნავენ.

ყოველი მცირედ შეძლებული გეორგიელიც კი თავისი სიკვდილის შემდეგ გულზე ადებინებს ვრცელ ნებართვის სიგელს და ნამდვილი წარდგინების წერილს წმინდა პეტრესადმი და თან მიაქვს საფლავში; ამიტომ აქ ყოველთვის არიან იერუსალიმელი ბერები, რომლებსაც ამგვარი რწმუნებულების სიგელები იქაურ ბერძენ პატრიარქისგან მოაქვთ დასარიგებლად და მას საკმაოდ ძვირად ყიდიან.

აქ და იბერიაში ღმერთის საფლავი საკმაოდ დიდ ქონებას ფლობს, რაც მას ანდერძით ერგო; აგრეთვე კაცებსა და ქალებს შორის მრავლად არიან ისეთნი, რომლებიც თავის საუკეთესო მორთულობას,

ოქროსა და საოჯახო ნივთებს სიკვდილის წინ რელიგიური ცრურწმენის გამო იერუსალიმში გზავნიან.

ხანგრძლივი გეალების დროს ყოველმა მღვდელმა საჯაროდ უნდა ილოცოს და სულიერი მონანიება წარმოთქვას. გასათხოვარმა გოგობმა, რა წოდებისა თუ გვარისაც არ უნდა იყვნენ, ორ-ორად უნდა დაიდგან და ატარონ მხრებზე წყვილი ხარის უღელი. ამ ტვირთის მატარებელ გოგობებს შორის გრძელი თოკია მიმაგრებული, რომელსაც ისინი იღებენ სადღესასწაულო სვლის რიგით და უკან მომყოლ მღვდელს აღვირად ემსახურება. ყველანი ფეხშიშველები მიდიან; ისინი გადიან მდინარეებს, წუმპეებს, საფელოებს; ლოცულობენ, ყვირიან, ტირიან და იცინიან ისეთი მონღომებით, რომ ამ გაჭირვებისაგან გამოწვეულ მონანიების ზეიმს უფრო მეტად მოზღვაებული სიხარულის ყვირილის სახე აქვს, რომლის დროსაც მშვენიერ გეორგიელ გოგოს მთლად ავიწყდება კეთილზნეობა, სიღარბაისლე და კარგი ჩვევები; სახე, ყელი და გულ-მკერდი ნახევარზე მეტად გაშიშვლებული აქვს და ხშირად ცნობისმოყვარეობის გამო მათკენ მიმავალ ყმაწვილს თავიანთ ნებაზე (სურვილისამებრ) ექცევა.

## სახელწოდება გეორგიის წარმოშობა

არაფერია იმაზე უფრო უცნობი, როგორც ისტორია იმ ხალხებისა, რომლებიც თავიანთი ველური უვიცობით არაფრიდან სწრაფად აღზევდებიან და ასევე სწრაფად უკან დაეშვებიან. მარტივი გარემოება, რომლის მოხსენიება საჭიროდაც არ ჩანს, ხშირად ნათელს ხდის ან გვიბნელებს სწორ კვალს გაკვლეული გზისას, რომელზეც მონა თავისი ტირანის მათრახს ქვეშ არც წარსულს იგონებს, არც მომავალზე ფიქრობს.

იმდენად დიდია უმეცრება სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მოსახლეობისა, რომ თავის შენახვის და უსაფრთხოებისთვის განუზომელი ზრუნვით დაღლილს დაავიწყდა თავის თავიცა და ხსოვნაც თავის წარმომავლობაზე.

განუწყვეტელი გათიშულობისა და ბრძოლების გამო ისევე ხშირად იცვლიან სახელებს, როგორც ახალ დამპყრობლებს ემორჩილებიან; ანდა ცალკეულ ოჯახებად დამკვიდრებულნი თავის თავს ხშირად

უწოდებენ თავისი მეთაურის სახელს, ან იმ მიუვალ იფრიადო კლდეებისას, სადაც ისინი სახლობენ.

ესაა მიზეზი ასე მრავალი პატარა ხალხების სხვადასხვაობისა კავკასიონის მწვერვალების გარშემო და თვით მწვერვალებზეც.

ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხი, რომელიც ნაწილობრივ ამ ქელზე, ნაწილობრივ მის მოსაზღვრედ ცხოვრობს, არის ქართველი (გეორგიელი). ამ სახელწოდების ქვეშ არა მარტო დღევანდელი გეორგიის (პროვინციების ქართლის, კახეთის, ქიზიყის და არმენიის) მოსახლეობა ესმით, არამედ გარკვეული აზრით აგრეთვე იბერიის (იმერეთის – გ. გ.) მოსახლეობაც.

თავისი წარმომავლობის შესახებ იბერიელები არ არიან ერთი აზრის; ერთნი თავის თავს ადგილობრივ წარმოშობილად თვლიან და ნოეს შთამომავლებადაც კი იწოდებიან მისი შვილის იაფეტის სახით. ეს ხალხი, როგორც ზღაპრული ქართული ქრონიკა გადმოგვცემს, წარღვნის შემდეგ ამ ქვეყანაში ცხოვრობდა. მეორენი კი ძველი ზეპირი გადმოცემების მიხედვით ამტკიცებენ, რომ ისინი აქ ესპანეთიდან გამოგზავნეს ლითონების დასამუშავებლად; მათ სახელი იბერია ესპანურიდან მომდინარე მიანათ და სურთ, რომ თავისი ჩვეულებრივი სახელწოდება – იმერეთი, ანუ ემერეთი შეინარჩუნონ, რადგან ისინი ამავე სახელის ერთ-ერთი ესპანური პროვინციიდან არიან წამოსულნი.

ამ არც თუ მთლად დაუჯერებელი გადმოცემის ერთადერთი საბუთი შეიძლება დაფუძნებულიყო იმაზე (თუ მხედველობაში მივიღებთ ლითონებს), რომ ძველი იბერიული (ამჟამად ქართლის და კოლხების, ანუ ლაზების), დღევანდელი იბერიის მთები ძვირფასი ლითონებით ძალზე მდიდარია და მართლაც, როგორც ჩანს, ძველად დაუმუშავებიათ; თუმცა დღევანდელმა მცხოვრებლებმა მათი დამუშავება უკვე არც კი იციან, ხოლო იბერიის მეფეებს არასოდეს უცდიათ ამ საუნჯით გამდიდრება, რათა თავისი თვალსაჩინო სიღარიბის გამო მეზობლების შური და მტრების ყაჩაღობა არ ეგემათ. ამიტომ ამ ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკა შიშით უარყოფს ამ სიმდიდრის გამოყენებას და იცავს მას მომავალი მმართველისათვის.

თუკი დაუჯერებ ძველი სომხური ისტორიის მონაცემებს და მათ ტრადიციებს დავეთანხმებით, ძველ იბერიაში ანუ დღევანდელ ქართლში ებრაელები სახლობდნენ, რომლებიც ბუქტო-ნასრმა

(ნაბუქოდონოსორმა) აზიის მპყრობელმა, არმენიასა და მის დასავლეთ საზღვრებისაკენ გაგზავნა. მაგრამ ისინი არავითარი საკუთარი სახელით არ უნდა ყოფილიყვნენ ცნობილი, რადგან სომხური ისტორია მათ მხოლოდ ვიერიაზიკ-ს, ანუ არმენიის ზემოთ მდებარე ქვეყანას უწოდებს, ხალხს კი, რომლებიც იქ დამკვიდრდნენ, — იებრატს (ებრაელები). ამასთან, უეჭველად თელის, რომ აქედანაა სახელი იბერია წარმომდგარი. ამავე დროს, ზემოთ ნათქვამი რომ მართალი იყოს, მე შემეძლო თამამად წარმომეჩინა სახელწოდება იბერია ძველ-არაბული სიტყვიდან იბრ (ებრაელს ნიშნავს), რათა ორივე აზრი — სომხური და იბერიული დამედასტურებინა; ესპანეთშიც ცხოვრობდნენ ძველად რიცხვმრავალი ებრაული ახალშენები, რომლებმაც მას შემდეგ იმდენჯერ იცვალეს ბედი, რომ მათი აქ გადმოსახლება ყოვლად დასაშვებია; მაგრამ ყოველივე ეს ისევე უცნობია, როგორც იმ დროის დადგენა, როცა ძველმა იბერიელებმა კოლხური, ანუ უფრო უკეთ ლაზების სამეფო დაიპყრეს, აქ დამკვიდრდნენ და მას ხელახლა თავისი ძველი სახელი შეარქვეს. იბერიელები და მათთან ერთად გეორგიელები ამტკიცებენ, რომ მათი სამეფო გვარი ქალწული მარიამისაგან და პირდაპირი ხაზით დაეთითსაგან წარმომავლობს, და რომ ის ქვეყნის დასასრულამდე განუწყვეტლივ იმეფებს.

მაგრამ საიდანაა სახელი გეორგია და გეორგიანელები წარმომდგარი, ეს სახელი მოსახლეობიდან ქვეყანაზე გავრცელდა, თუ პირიქით? ამ საკითხს სხვადასხვა გამოკვლევები უნდა მიეძღვნას.

ხალხი, რომელიც თავის თავს გიორგის უწოდებს, ვიცით, რომ კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ესაზღვრებოდა; თუმცა არ არის არავითარი კვალი ისტორიაში, რომ ეს ხალხები კავკასიონზე გადასულიყვნენ და იმ მხარეებში დასახლებულიყვნენ, რომელსაც დღეს საერთოდ გეორგია ეწოდება.

პლინიუსი მოგვითხრობს, რომ ის ხალხი, რომელიც თავის თავს ალბანებს უწოდებდა, იასონის შთამომავლებიდან წარმოდგებიან, რომ მათ კავკასიონს მიაღწიეს და მდინარე მტკვრის გასწვრივ იბერიასა და არმენიას შორის დამკვიდრდნენ. თუ დავუჯერებთ ქართულ ტრადიციას და მათ საისტორიო წიგნებს, ამ ახალმა დამპყრობელმა თავისი ძველი სახელი არ შეიცვალა, არამედ, როცა მათ მტკვრის მარცხენა ნაპირამდე წაიწიეს და იქ დაიმტკიცეს საზღვრები, მათი

მიხედვით დაერქვა ქვეყანას ალბანეთი. — წმინდა ძველი ქართული ენით ალბანეთს, ანუ უფრო უკეთ ალბონ-ს უწოდებენ ქვეყნის იმ ნაწილს, რომელიც დღეს კახეთის სახელითაა ცნობილი. რადგან ალბანელებს, ისევე როგორც არმენიელებსა და იბერებს, უძველესი დროიდანვე საერთო საზღვრები იმავე მტკვარზე ჰქონდათ, აღარ რჩება სხვა ადგილი, რომლის დასახლებაც ძველად გეორგი-ს შეძლებოდა; აქედან გამომდინარე, დღევანდელ გეორგიელებს თავისი სახელი იმ ხალხებისგან არ შეეძლოთ მიეღოთ. მტკვრის დასაწყისიდან, მისი ორივე ნაპირის გასწვრივ ქვევითკენ, არაგვამდე გადაჭიმული იყო იბერია, რომელიც ამავე მდინარით გამოიყოფოდა ალბანიიდან; არმენისაგან კი იბერიას ჰყოფდა ძალზე მაღალი მიუდგომელი ქედები, რომლებიც მტკვრის საპირისპიროდ ალბანეთს არმენისგან გამოჰყოფდნენ.

ასეთი იყო სამი ხალხის საზღვრები, რომელთა განსხვავებულ ბედსა და ჟამთა სიავეზე ისტორია გვატყობინებს ისე, რომ გაკვირთაც კი არ იხსენიებს გეორგიელებს. ესენი კი მრავალი წლებია, რაც ნამდვილად ცნობილი არიან.

მე ვიცი ამასთანავე, რომ ზოგიერთი ამ სახელს ბერძნული სიტყვიდან „გეორგოს“ — კარგი მიწის მუშა — წარმომდგარად თვლის, მაგრამ დიდ შეცდომას დაუშვებდი, რომ გეორგიელები საერთოდ კარგ მიწის მუშებად წარმოემჩინა. ისინი მეტწილად უყარათო მიწისმოქმედნი არიან და თავისი ქვეყნის უნაყოფიერესი ნიადაგის პირობებშიც კი შიმშილი ემუქრებათ...

რომ გამოვიკვლიოთ ასეთი საკმაოდ ცნობილი ხალხის სახელწოდების წარმოშობის მიზეზი, ვფიქრობ, უფრო მეტად საჭიროა აზიელების ენობრივი მონაცემები და მათი ჩვევები გამოვიყენოთ. არცერთი აზიური ენა არ გამოთქვამს სიტყვა „ხალხს“ (ნაციას) რელიგიისაგან განყენებულად, რომ მასში „რელიგიასაც“ არ გულისხმობდეს, რომელსაც ესა თუ ის ხალხი ეზიარება. მაგალითად, სპარსელი მაჰმადიანი, თუ სომეხ ქრისტიანთა რჯულს მიიღებს, ამ ახლად მოქცეულს არასდროს სპარსელს აღარ უწოდებს, არამედ მასზე იტყვის: „ის სომეხი გახდა“, მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ადგილი არ გამოუცვლია. სომეხი, თავის სამშობლოს შუაგულში, როგორც კი მიიღებს ძველ ბერძნულ სარწმუნოებას გეორგიელებისას, აღარ ითვლება

სომხად და მას ეძახიან გეორგიანელს (გურჯი), არა ქვეყნის გამო, რადგან ის რჩება მულამ არმენიაში, არამედ სარწმუნოების გულისთვის, რომელიც მან აღიარა. — წარმართი ოსი იცვლის თავის სახელს და ირქვევს გეორგიანელს, როგორც კი გაქრისტიანდება. და, რადგან ამ ხალხის უდიდესმა ნაწილმა ბერძნული სარწმუნოება აღიარა, ქვეყანამ, სადაც ისინი სახლობენ, მიიღო სახელწოდება ზემო-გეორგია ბატონი ერეკლეს ქვეშევრდომობის დროს. — თურქი, რომელიც გეორგიის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობს, არასოდეს თავს გეორგიანელს არ უწოდებს, არც თავის ქვეყანას გეორგიას. ის თავს მუსულმანს ეძახის, ხოლო თავის მხარეს ახალციხეს — მმართველი ფაშას სარეზიდენციო ქალაქის მიხედვით.

ამგვარად, ალბანელები და იბერიელები, რომლებიც თავისი მეზობელი არმენიელების მაგალითზე გაქრისტიანდნენ, ადვილი მისახვედრია, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც უფრო მეტად ფიზიკურად ყოფნის აუცილებლობა ამოძრავებდათ. წმინდა ნინო და ის, ვინც თავის თავზე აიღო ეს მნიშვნელოვანი საქმე მოქცევისა, ადვილად გაიგებდნენ, რომ ხალხებს, რომლებიც მაშინ ერთი მეფის ხელქვეით იყვნენ, თავისთვის აირჩიეს მფარველი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ წმინდა გიორგის სახელით, და რომ ასევე ამ წმინდანისადმი სიყვარულის გამო, როგორც ახლად მოქცეულმა ქრისტიანებმა, მისი სახელის მიხედვით გეორგიანელები დაირქვეს.

ეს რომ ეჭვს არ იწვევს, იმიტაც მტკიცდება, რომ დღეს ალბანელები და იბერიელები ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან, თუმცა საყოველთაოდ გეორგიანელის სახელს ატარებენ, თავის ქვეყანას გურჯისტანს (გეორგიას) უწოდებენ და ორივენი ერთად წმინდა გიორგის, როგორც თავის უმაღლეს მფარველს, პატივს სცემენ. ქალაქ ერზრუმშიც კი, რომელიც ძველ დროს ასევე იბერიას ეკუთვნოდა, ქალაქის კარიბჭეში ქვაში ამოკვეთილია ამ წმინდანის გამოსახულება და ამ სურათის მიხედვით დღესაც თურქები ამ კარს უწოდებენ გურჯი ყაფუზი-ს — გეორგიანელების კარებს.

მაგრამ ეს გეორგიანელიც იცვლის თავის სახელს, როგორც კი რომის ეკლესიას აღიარებს (გაკათოლიკდება — გ. გ.) და უწოდებს თავს ფრანგს იმის დასამტკიცებლად, რომ ის მხოლოდ სარწმუნოების გულისთვის უწოდებდა თავს გეორგიელს: მე ვფიქრობ, უფრო მეტად

შეეფერება ჭეშმარიტებას, რომ იბერიელებმა, ისევე როგორც ალბანელებმა, რელიგიასთან ერთად შეიცვალეს თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნის სახელწოდება.

## იბერიისა და გეორგიის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

მართალია, გეორგია თავის ნაყოფიერ მიწაზე ცოტა მოსახლეობას ითვლის, მაგრამ მათ ყოველთვის შეეძლოთ მბრძანებლის ბედნიერება შეექმნათ, ამ უკანასკნელს ის ყოველთვის რომ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ის ნაწილი გეორგიისა (აქ უკვე საქართველო იგულისხმება — გ. გ.), რომელსაც საერთოდ იბერია, ან იმერეთი ჰქვია, ითვლის 19-20 ათას კომლს. 50-დან 60 ათასამდე კაცის სიბევითე რომ შეერთებულიყო და სიუხვით ბედნიერი ქვეყანა დაემუშავებინა, რომელი ხალხი იქნებოდა თავისი მდიდარი შემოსავლით ისე კმაყოფილი, როგორც ესენი? — მაგრამ როგორც დიდნი, ისე მდაბალნი ამ ქვეყნისანი მიწაში ამოთხრილ ორმოებში ისევე ამაყად და კმაყოფილად გრძნობენ თავს, როგორც უდიდესი ხელოვნებით აშენებულ სასახლეებში; უკეთესი ცხოვრების მოწყობის უცოდინარობის გამო არიან გულგრილი და ზარმაცები. მათ მიატოვეს ნაქები სიბევითე, ან უფრო უკეთ მოვალეობა, რომ მოიძიან თავისი ქვეყნის საუნჯე. ისინი არსად ისე ყოჩაღები და დაუღალავები არა არიან, როგორც ურთიერთ ქიშქსა და ბრძოლებში, მაგრამ არა თავისი მბრძანებლის მორჩილებისა ან სიყვარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ თითოეულს სურს გამდიდრდეს და იმედი აქვს ფულისა და ქონების მოხვეჭისა. ეს იმედი აიძულებს მათ იყვნენ ფრთხილი, ზოლო ხშირად — მამაცები; ივიწყებენ საფრთხეს, რომელშიც ისინი თავს იგდებენ მოგების სურვილით და, რადგან ასეთი რამ ძალე უვარდებათ ხელში, ამიტომ ამას ამჯობინებენ იმ სარგებელს, რაც მათ გაცილებით მეტი შეეძლოთ მიეღოთ სამეურნეო სიბევითით რამდენიმე თვეში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთთავდასხმებსა და ბრძოლას ხშირად იმედის გაცრუება მოჰყვება და მრავალ საფრთხესთანაა დაკავშირებული, ეს მიდრეკილება მათში მაინც ვერ აღმოიფხვრება; ისინი, თავისი დიდი სიღარიბის მიუხედავად, ამჯობინებენ დაელოდონ რაიმე ოდნავ ბედნიერ შემთხვევას, ვიდრე მშვიდი



მცდელობით იშრომონ. ამ თავისთავად დიდ ცოდვას რომ შეშვებოდა ეს ხალხი, მაშინ ის ვერ იგრძნობდა თავის გაჭირვებას, რომელშიც ჩავარდნილია. ამ ხალხმა იცის, რომ ძალზე შორსაა ბედნიერებისაგან, ის გრძობს საკმაოდ კარგად თავისი მდგომარეობის სისუსტეს, მაგრამ არა აქვს მისი გაუმჯობესების საშუალება კარგი სახელმწიფო წყობის უქონლობის გამო. ამჟამად მთელს იმერეთში არ მოიძებნება ქალაქი თუ სოფელი, რომელიც ქალაქის ან სოფლის სახელს იმსახურებდეს. ხშირ ტყეებში, ანდა მწვანით დაფარულ ბორცვებზე ერთიანდებიან ერთი საგვარეულოს წარმომადგენლები თავის მეზობლებისაგან გამოყოფილად. ისინი თავიანთ ცალკეულ ქოხებში ველური სიმტკიცით იტანენ კეთილმოწყობის უქონლობას, რომელიც მათ ექნებოდათ ერთად ცხოვრების პირობებში. მაცხოვრებელი ცუდი სახელმწიფო წყობის გამო არაა განათლებული, და არც იჩნება, რადგან სამართლის უქონლობა მას ხდის თავისი ბატონის საცოდავ მონად. ამდენად ის უფრო მეტად უგუნურდება და სიზარმაცე არის მისი ერთადერთი ავლადიდება თავის სიღარიბეში, რასაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შეგნებულად მოუცავს, რადგან, მათი ხელები მართლაც ბეჯითი შრომით რომ იყვნენ დასაქმებულნი, მაშინ მათი მფლობელის შეუზღუდავი ძალაუფლება და სიზარბე მართოდმართო დაეპატრონებოდა ნაყოფს, რომელსაც ქვეშევრდომი მთელი თავისი მონდომებით მოიყვანდა. მთელი თავისი მცდელობის მიუხედავად, ის მაინც ისე ღარიბი იჩნებოდა, როგორც ახლა უსაქმურად ყოფნისასაა. თავისი ასეთი უსაქმურობით ის ზღვარს უღებს თავისი ბატონის სიძუნწესა და ტირანის, ისევე როგორც საკუთარ ბედნიერებას. ბატონი, რომელიც თავისი ქვეშევრდომების სიღარიბით თავადაც საცოდავია; იმის მაგივრად, რომ გამონახოს საშუალება თავისი ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხსნას პოულობს კმაყოფილ ამპარტავნობაში და როცა მას, ცხვრის ქურქში გახვეულს, ბალიშად ქვა უდევს თავქვეშ და მოუსვენარ და მძიმე ღამეს ათენებს, მაინც თავს ბატონად თვლის, და დიდი სიამაყით წარმოთქვამს: პატრიარქ იაკობსაც ასე ეძინა, მაგრამ ის მასზე უფრო წარჩინებული არ ყოფილა!

თუკი ოღესმე ამ ხალხის მბრძანებელი გადაწყვეტდა მოეძებნა ის ბედნიერება, რასაც მას ზომიერი ჰაერი, ჭარბი ნაყოფიერება და თავისი ნიჭიერი, თავაზიანი ქვეშევრდომების მორჩილება ჰპირდება,

მაშინ ის თავისი ხალხის კეთილდღეობაში უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებდა, რასაც ის ამჟამად სავსებით მოკლებულია. მისი ბატონობა მხოლოდ მაშინ ჩანს, როცა მრისხანე ბრძანებებს იძლევა თავის, ხელის ან ფეხის მოკვეთის, ანდა თვალების დათხრის შესახებ.

სულ სხვა მდგომარეობაშია საქართველოს ის მოსახლეობა, რომელიც მეფე ერეკლეს ხელქვეით ცხოვრობს. ინდოეთში ლაშქრობამ, სადაც ეს ბატონი ნადირ შაჰს ახლდა, ერეკლეს დაანახვა და ასწავლა ამოერჩია საშუალებანი ცხოვრების წესების სირბილესა და უხეშ სიმკაცრეს შორის. მუდმივი ურთიერთობა მეზობელ მფლანგველ სპარსეთის მმართველებთან და თურქეთის ფაშებთან, მათი ელჩების გაუთავებელი სტუმრობა, ყოველივე ამან აიძულა ის საჭიროებისამებრ უფრო მდიდარი ყოფილიყო და ეფიქრა საშუალებებზე, რათა, სულ ცოტა, სათანადო სიმყუდროვე მაინც მოეპოვებინა, რასაც მას მისი ქვეყანა სთავაზობს და რასაც მას მისი მდგომარეობა და გვარი ავალბენ. ყველა სარგებელი გამოცხადებულ იქნა კანონიერად; ეძებდნენ ყოველ შესაძლო საშუალებას, რათა ებრწყინათ; და გარკვეული დანაკლისის შევსება ვაჭრებს მიანდო, რომლებიც რუსეთიდან, სპარსეთიდან და თურქეთიდან ამ მხარეში ვაჭრობდნენ. ქვეშევრდომთაგან უმაღლესნი თავისი ბატონის კარს ბაძავდნენ. თუკი ეს ჩაცმაში, სუფრასა და ქცევაში ყველა დანარჩენზე უფრო ბრწყინვალეა, არც იმათ სურდათ ნაკლები ყოფილიყვნენ და როცა ყოველი მათგანი საჭირო საშუალებებზე ფიქრობდა, მემინდვრეობა და მესაქონლეობა ყველაზე სასარგებლოდ ეჩვენებოდათ (მიუხედავად თავისი სხვაგვარი შეზღუდული შეხედულებისა). გეორგიელი გლეხი (მის გვერდით განსაკუთრებით სომეხია აღსანიშნავი) აორკეცებს თავის ჯაფას და ასმაგი სიუხვით ხელს უწყობს თავისი ბატონის ხარჯების დაფარვას. ეს კი იძულებულია გაზრდილი შთამომავლობის გამო შემოსავალი დაჰყოს და რადგან ამით ახალ ვაჭირვებაში ჩავარდა, გლეხი ახალი გადასახადით იბეგრება. ასეთი მუდმივი იძულების გამო გლეხი გაღარიბდა; იგი დაღვრემილი თესავს ყანას თავისი ბატონის ხარჯებისათვის და თავისი ძლივს საკმარი პურისათვის.

საქართველოს მოსახლეობა ყველგან ერთნაირად ღარიბია; მათი მმართველები კი ხარბები, ოღონდ ერეკლეს ბეჯითი ქვეშევრდომების შეძლება უფრო მეტ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ვიდრე იმერლებისა,

რომლებიც მონურ მორჩილებაში იმყოფებიან და არ აქვთ ამის საშუალება. ქვეყანა, რომელსაც შეეძლო თავისი მოსახლეობა ყველა ერთნაირად ბედნიერი, ერთნაირად მდიდარი გაეხადა თავისი ნაყოფიერებით, სუსტი მართვის გამო ძლივს აღწევს თავს შიმშილს.

მეორე წყარო სიღარიბისა არის სამართლის უქონლობა, რადგან მისი წარმოება მხოლოდ შიშზე, კეთილგანწყობასა და შემწყნარებლობაზეა დაფუძნებული. საქართველოს ძველი მმართველები უშვებდნენ მართალია კანონებს, როგორც ამას ქვეყანა მოითხოვდა, მაგრამ მაშინაც არ სურდათ სამართლის ძალის ცოდნა და შეცდომა დღესაც ჩვეულებრივი რამ არის. როგორ არ ეცადა წარსულში მეფე ვახტანგი დაედო წესრიგი სამართლისწარმოებაში, მაინც ყველა მისი გარჯა წყალში ჩაიყარა, ამიტომაც მიაწერა მან ბოლოში საკუთარი ხელით სამართლის წიგნს: „მართალია მე შევადგინე ეს სამართლის წიგნი, მაგრამ საქართველოში ჯერ არასოდეს ყოფილა სწორი სამართლის წარმოება და არც იქნება“. შფოთიანმა და უსამართლო დროებამ აიძულა ეს მეფე მიეტოვებინა საქართველო და თავისი დღეები რუსეთში დაეღია. დღევანდელ დღეს ხშირად აიძულებს მეამბოხე ქვეშევრდომი სამართალი მის სასარგებლოდ აწარმოონ, რომელიც (ადრე) მის წინააღმდეგ იყო (მიმართული), რადგან მმართველი, უმაღლეს მფარველობას მოკლებული, მოთმინებით და შემწყნარებლობით ექცევა ასეთ მეამბოხეს. სარგებლობა კანონების შესრულების პირობებში ნათელი იქნებოდა, მაგრამ მათი დაცვა ბევრ სიძნელეს აწყდება. ერთხელ შემოიღეს საყოველთაო კანონი ქვეყნის სიკეთისათვის: არცერთი მოსახლე აღარ გაეყიდათ მონად. ყველა ხედავდა ამ კანონის საჭიროებას; მაგრამ, როცა ფული შემოაკლდებოდათ, ისინი ნახულობდნენ იოლ გზას მის საშოვნელად: თავის უბედურ ქვეშევრდომებს, როგორც კარგ ქრისტიანებს თურქულ ფულზე ჰყიდდნენ, ხოლო თავის მამასთან და დედასთან, თავის ცოლთან და შვილებთან უნუგეშო გამოთხოვების დროს ამ საბრალოს არწმუნებდნენ და უყვიროდნენ, კარგ გუნებაზე ყოფილიყო, რადგან ეს იყო გზა, რომლითაც ის თავის ბედნიერებას მოიპოვებდა და შესაძლებელი იყო სულაც, რომ ბეგი გამხდარიყო ეგვიპტეში. თუკი ამ დანაშაულის გამო საჩივარი მმართველის ყურს აღწევდა, აზნაური თავს იცავდა არა თავისი უფლებით, რომელიც მას როგორც ბატონს ჰქონდა თავის ყმებზე და მათ ქონებაზე, არამედ მოჰყავდა თავისი

მეზობლების მაგალითი, რომელთაც ასევე ტყვეები გაეყიდათ. რადგან დამნაშავეები საკმაოდ ბევრნი იყვნენ, ამდენად სამართლის ქმნა სხვა დროისთვის გადაიდებოდა და ალბათ სავსებით შეუსრულებელი რჩებოდა.

ასეთმა შემწენარებლობამ ისე გაათავხედა საქართველოს ერთ-ერთი უწარჩინებულესი, რომ მან ებრაელთა მთელი სოფელი ერთ ჯერზე თურქებს მონებად მიჰყიდა და კანონის წინაშე თავის დაცვის დროს ყოვლად სერიოზულად ამტკიცებდა, რომ მას, როგორც ქართველ მართლმორწმუნეს, ამ ებრაელთა გაყიდვის დროს არავითარი სხვა განზრახვა არ ჰქონია, გარდა იესო ქრისტეს სისხლისათვის შურის ძიებისა! დახმარებამ, სარწმუნოებამ და მღვდლების თანხმობამ იმ სასჯელისაგან გაათავისუფლა, რომელსაც ნამდვილად იმსახურებდა.

საქართველო კიდევ უფრო დაიცლებოდა მოსახლეობისგან, თურქებს რომ არ შეესრულებინათ მეფესთან დადებული ხელშეკრულება – რომ აღარ იყიდნენ ქართველ მონებს.

ამ პროვინციას აგრეთვე არანაკლებ ზიანს აყენებს აზნაურთა უთანხმოება ერთმანეთს შორის და ქვეყნის დამოკიდებულება მოსაზღვრე პატარა სპარსულ სამფლობელოებთან. ქართველი აზნაური საკმაოდ რიცხვმრავალია, რომ მას საერთოდ იმდენი შეძლება ჰქონდეს, რასაც მისი საჭიროება (ხარჯი) მოითხოვს. ამპარტავნობა, რომ ის არის აზნაური, მას იმდენად ეუფლება, რომ სამარცხვინოდ მიაჩნია, თავისი საკუთარი შრომით საჭირო სახსრები მოიპოვოს და ამჯობინებს უსაქმურობას. იგი ათასგვარ ხრიკებს იგონებს და ურცხვად ითვისებს თავისი მეგობრის, თავისი სუსტი მეზობლის საკუთრებას. მცირე ან დიდი რიცხვი თანამოაზრე ბოროტმოქმედებისა უკავშირდებიან ერთმანეთს, აძლევენ რიგრიგობით სათანადო ჩვენებას და ეს საერთო ჩვენება და შიში მათი მეამბოხე სულისა აიძულებს მოსამართლეს მათდამი კეთილგანწყობას და სამართალს მათკენ აბრუნებს, რომელსაც მოკლე ხანში სხვა, უფრო ძლიერი თანამოაზრეების დახმარებით თავის მხარეს გადახრის, ხოლო შემდეგ ასევე ახალი, კიდევ უფრო ძლიერი შეთქმულება მოსპობს. ასე ამგვარად, მოსამართლეების მიკერძოებას, რაც აზნაურთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებიდან გამომდინარეობს, მთლიანად ეწირება მსხვერპლად ქვეშევრდომების უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის აგრეთვე

კავშირს ერთმანეთში განუწყვეტლივ მებრძოლ სპარსულ მმართველებთან. თავისი თავის შენახვა, ან სიხარბე, რომ ხელთ იგღონ სხვათა ქონება, აჩნუბებს მათ და ერთი მუჭა ყაჩაღებით უწყებენ ერთმანეთს ომს. რომელი მათგანიც ძღვენით ან სუფთა ფულით გეორგიასთან კავშირს დაამყარებს, იღებს 3-4 ათას ჯარისკაცს მტრის შესასპინებლად. თუმცა ხშირად ომი საეხებით უსისხლოდ მთავრდება (რადგან ორივე ლაშქარს უფრო მეტად ნადავლის ხელთგდება სწყურია, ვიდრე სისხლი), მაინც ქვეყანა დაუმუშავებელი რჩება და მცხოვრები მშიერი ბრუნდება თავის ცარიელ ქოხში, რომელშიც მას თავისი ბატონის მსახური ჯიუტად ელოდება და მრისხანედ ითხოვს შეწერილ გადასახადს.

ასეთია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. მართალია საუცხოოოდ მდებარეობა აქვს მას ვაჭრობის თვალსაზრისით, რადგან ძალზე მოსახერხებელი გზით კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე ვაჭრების საქონელის გადატანს 9 დღე სჭირდება, მაგრამ ნაკლებ იციან ფასი ბედნიერებისა, რასაც მიიღებდნენ ვაჭრობით. და მაინც საკვირველია, რომ გაუთავებელი შფოთიანი მდგომარეობის პირობებში ქვეყნის შემოსავალი ასე მნიშვნელოვანია. მე არ ჩავთვლი მოგებას, რომელსაც ღვინო იძლევა, არც შემინდვრობას მოვიხსენიებ, რაც მეხუთედ ნაწილს იძლევა მათი მოსავლისას, არამედ მხოლოდ შემოსავალს ავლნიშნავ მოსახლეობის რიცხვის მიხედვით, რასაც მათი ნამდვილი არსებობისათვის გამოვითვლი. მე ვთვლი, რომ გეორგიის მოსახლეობა დღევანდელი მდგომარეობის პირობებში 61 000 ოჯახს შეადგენს. აქედან: ქალაქ ტფილისში თავისი გარემოთი ითვლება 20 000.

მთიულეთსა და ხევსურეთში ითვლება	4 000
შამშადილში	4 000
ქართლში	4 000
კახეთში	12 000
ქიზიყში	6 000
ყარაიაში	2 000
სომხითში და ბამბაკში	6 000
ყაზახში	3 000

ჯამი 61 000 ოჯახი

რა ბედნიერად ჩათვლიდა თავს ქვეშევრდომი, რომ თავისი შემოსავლის ერთი მეხუთედი ყოფნოდა გადასახადებს; ის მეოთხედსაც და ნახევარსაც კი სიამოვნებით გასცემდა, ეს რომ საკმარისი ყოფილიყო თავისი ბატონის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მე კი ამაზე უფრო ცოტას ავიღებ და თითოეულ ოჯახს მხოლოდ 10 მანეთ გადასახადს შევაწერ; მაშინ გადასახადთა ჯამი იქნებოდა 610 000 მანეთი ბაჟი ყოველწლიურად აიღება — 25 000 მანეთი

დიდი უცოდინრობით დამუშავებულმა ახტალის საბადომ 1780 წელს მისცა 60 000 მანეთი ვერცხლით, 3200 მანეთი ოქროთი. ერევანი ყოველწლიურად ხარკის სახით იძლევა 15 000 მანეთს სულ 713 200 მანეთი

როგორ გაიზრდებოდა შემოსავლის ეს თანხა, რომ სამართლიანობა და სიბეჯითე (მუყაითობა) იყოს ასეთი ქვეყნის საყრდენი!

## დასავლეთ და სამხრეთ კავკასიის ფიზიკური მდგომარეობა

იქ სადაც კერავნის ანუ ყუბანის მთები გორდიეისას უახლოვდებიან, ნიადაგი ზოგიერთ ადგილას კირქვით მდიდრდება, მაგრამ ამ მთებს არც მიმართულება და არც სიმძლავრე არ აქვს ნამდვილი ქელისა; მაგალითად, ღურღუშუსთან დიდ აბაზაში გვხვდება რძესავით თეთრი გამჭვირვალე მარმარილო, რომელიც პაროსისეულზე უკეთესი იქნებოდა, რომ მასში შერეული არ იყოს რკინის ქარსი და არ ჰქონდეს შლამიანი ნაპრალები. მთა, რომელშიც არის ცნობილი ოგინის გამოქვაბულები, შედგება მოშავო ნაცრისფერი, თეთრი და წითელი წინწკლებიანი მტკიცე მარმარილოსაგან; მაგრამ მის ზედაპირზე აღმოსავლეთისაკენ შეიმჩნევა გადასვლა კირქვის შპატთან ქანებში, რომელიც რკინის შემცველი და მრავალფეროვნად მბრწყინავია. ამ არამტკიცე მარმარილოში შეინიშნება გაქვავებულობანი; უმეტესად ამონიტი (ნიჟარის ქვები) დაკრისტალბულ რკინის ალმადანში. მე ვნახე ზოგიერთი, რომელსაც ცხრამეტი დიუიმის განივკვეთი ჰქონდა.

აბაზეხის პირველი სოფლის ახლოს, რომელიც ეკუთვნის ვინმე შეითოლლის, ვიპოვნე კარგად შენახული გაქვავებული სპილოს ეშვი; მე მიმტკიცებენ, რომ ასეთ ძელებს ხშირად პოულობდნენ.

გორდიეის მთები ციცაბოა, სალი გონებისათვის მიუწვდომელი და ხშირად მოკვეთილი. მაგრამ მას არ აკლია მწვანე გაშლილი ხეობები; მუხის და წიფლის ტყეები შუა მთებზე და მთისწინეთში არაა იშვიათი და ყველგან არის საუკეთესო ბალახი.

დაბალ ადგილებში და სოხუმთან ჩნდება მოწითალო ყავისფერი კლდე, რომელიც შვეულქანიანია და აქვს მძლავრი კვარცის შენარევები. ამ კლდექვას ყველგან ზემოდან ადევს კირქვა; კავკასიონის მთავარი ქედის მთელ დასავლეთ სიგანეზე თიხა-ფიქლების არავითარი კვალი არ გვხვდება, თუმცა ის ყუბანში კირქვიან მთებს აღრმავებს. საერთოდ ჩანს, რომ თიხა-ფიქლებს თავის წარმოსაქმნელად უფრო დაბალი და თხელი მიწა უყვართ და მათი წარმოქმნა ნელა, თითქმის დამდგარ წყალში უნდა მიმდინარეობდეს. გორდიეის მთები კი გვაფიქრებინებს ზღვის უფრო ძლიერ მოძრაობას. კირი უეცარ მძლავრ დანალექს უნდა შეადგენდეს მისი ნაწილისას, რადგან უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით უხეში კირქვის მთები, მთლად კლდოვანი, უსუფთაო, ყოველგვარი ფენების გარეშეა და მასში არ მოიძებნება არავითარი ნამარხი. კირქვიანი შუა ქედის შიშველი ზედაპირი ატარებს უწინ მოუსვენარი წყლის ტალღების კვალს; ყველა მონაცემების მიხედვით შავი ზღვა წარსულში გაცილებით უფრო მაღლა უნდა ყოფილიყო ამოწეული, ვიდრე ეხლაა.

ქანების რიყის ქეები უკლებლივ გლუვდებიან დასავლეთისკენ და მათზე ახლაც შეიმჩნევა, რომ წყლის ძალა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ძლიერდებოდა. ზოგიერთი დაბალი კირიანი ბორცვი ფენოვანია და არც თუ იშვიათად შეიცავენ ზერხემლიან ნამარხებს, თევზების, ბალახეულის ანაბეჭდებს. სხვა უქანო ბორცვები შედგებიან წმინდა, თეთრი, ფხვიერი კირიანი მიწისაგან; ზედ გზაზე, დიდი სოფლის რააზის (Rhaaz) ახლოს აფხაზები აგროვებენ ძალზე კარგ ცარცს, რომლითაც ისინი აგრეთვე ვაჭრობენ.

აბაზაში რკინაქვა ხშირია, მაგრამ ისინი თავის ძველ მდიდარ მდაროებს მაღავენ და არაეის უჩვენებენ. რკინის მადნები, რომელთაც ისინი უმეტესად იყენებენ, გვხვდება მძლავრ ფოლადისფერ სახეობად, ქარსოვან კირის შპატიან ქანებად. ხშირია აგრეთვე თირკმლისებრი სისხლა და თირკმლისებრი რკინაქვა. რკინაქვის ამ სახეობებს ისინი დიდი ხალისით ადნობენ. ისინი ამას ასრულებენ პატარა ღია ქურაზე

ხელის საბერველით. მას უმატებენ თიხიან მიწას და შლაკს. მართალია დნობა ადვილად მიდის, მაგრამ გამოყოფა კი ძნელად წარმოებს; მუშას ჭირდება რვა საათი, რომ მიიღოს ოცი გირვანქა რკინა, რადგან მხოლოდ ამდენს იტევს მისი ქურის სადნობი (ტიგელი). რკინა რბილია და ძალზე ადვილად დამკოლი. სანამ ისინი აქედან დამზადებულ ღეროებს სხვა საგნებად გადაამუშავებენ, მას რამდენჯერმე თეთრად ავარვარებენ და თიხიან ქვიშაში გამოწვავენ, რითაც სიმტკიცე ძალზე ემატება, ისე რომ ჭვდალობას არაფერი ევნება. შემდეგ მისგან ამზადებენ დანებს, ჩანგლებს და თოფებს, რომელთაც როგორც კონსტანტინოპოლში, ისე ეგვიპტეში დიდი ფასი აქვს. თავის საკუთარ რკინაზე უფრო ხალისით ისინი იყენებენ ძველ ევროპულ ხმლისპირებს და კიდევ მეტად მსხვილ რკინის მავთულებს, რომელთაც რამდენჯერმე თეთრად ავარვარებენ და გამოწვავენ, რითიც სხვადასხვა სიმტკიცეს აძლევენ და შემდეგ ერთმანეთთან შეადუღებენ.

სოხუმიდან ლაზუბამდე ჩრდილო-აღმოსავლეთით მიემართება ყავისფერი, მტკიცე, უქანო კლდექვა; დაბალი, მასზე მიმდგარი და აგრეთვე მასზედვე აღმართული მთები უმეტესად შედგებიან მაგარი ქვიშაქვისგან, ან კირისა და ქვიშის ნარევისგან, ანდა, როგორც ეს სამეგრელოსა და იბერიაშია, წმინდა, მტკიცე კირქვისაგან, რომელიც ვრცელდება ზღვამდე. დაბლობზე ის, მაგალითად ოდიშში, შავი ცარცით და ჭაობიანი ტორფიანი მიწითაა დაფარული, ზღვის ახლოს და ფაზისის შესართავთან კი ნამდვილი თიხიანი მჭადაქვის შლამით.

ფაზისის ნაპირი და კალაპოტი რაჭიდან ქვევით ქუთაისამდე კირქვიანია. ბევრ ადგილას მდინარიდან ამოყოფილია კირქვის ლოდები და წვეტები, რომლებიც იშვიათად ქმნიან მორევებსა და წყალვარდნილებს. სანავარდოსთან კირი ქვიშის ფენებზე ზემოდან დადებული ჩანს, ხოლო გეგუთთან რიონის ნაპირს შეადგენს მტკიცე თიხიანი ქვიშაქვა.

ალაგ-ალაგ, უფრო ხშირად კი ქვეყნის ყურისებურ ადგილას, ანუ შავი ზღვის განაპირა აღმოსავლეთ კუთხეზე დაბალი მთები შედგებიან კენჭიანი ფენებისგან, რომელთა კალაპოტი ზოგიერთ ადგილას, ნაკადულებითა და ნიაღვრებით გაყოფილი, გაშიშვლებული არიან. მე ისინი ოცდაერთი სხვადასხვა დავითვალე, რომლებსაც სრული დავაკება



აქეთ დასავლეთისკენ თოთხმეტ-თხუთმეტ გრადუსამდე. ამ ქანების უმეტესობა შედგება ქვიშისა და რიყის ქვისგან, ან ფხვიური ქვიშისაგან; სხვები შეიცავენ წმინდა გამაგრებულ ფერად თიხას, ან ქვიშით და ნიჟარებით გამაგრებულ თიხამიწას. ზშირად კი ქანებს შორის ნახულობენ ყავისფერ, აგრეთვე შავ, ყვითელ ნარევე კირიან რკინამიწას, რომელიც შეიცავს მინერალიზებულ ნიჟარებს.

სამეგრელოსა და იბერიის დაბლობები, რომლებიც იფარება ჰიპოსის დიდი წყლებით, არც თუ დიდი ხნის წინათ მუშავდებოდა სარეცხე-ლასთვის და ძარღვის გასარეცხი მოწყობილობისათვის. რამდენიმე ებრაულ ოჯახს, სანამ თურქები ამ პროვინციების ბატონები გახდებოდნენ, ჰქონდათ ამის განსაკუთრებული თავისუფლება; მაგრამ, როცა აღარც სამეგრელომ და არც იბერიამ ოქროს რეცხვა აღარ მოისურვა, ებრაელები იქიდან წავიდნენ და სამუშაო მიტოვებულ იქნა.

ყვირილისა და ცხენისწყლის ნაპირები დაბალ მთებში წარმოადგენენ ცალკეულ ქვის ქანებს, ხოლო დაბლობზე შედგებიან უმეტესად რბილი თიხის და ქვიშა-ნარევე ფენებისაგან, რომლებშიც გაქვავებული, კარგად შენახული ნიჟარებია.

ყავისფერი კლდექვა, რომელიც სოხუმთან და ლაზეთში ჩანდა, აღწევს ლეჩხუმისა და რაჭის ქედებს, სადაც ის გამოფიტულ, ქარსით მდიდარ მატყუარათი (კრიალათი) მძლავრად შეზრდილ გრანიტზე ზვიდან დევს. როგორც კი ეს კლდექვა კვარცის ძარღვებით მძლავრად დაისერება, ის უფრო რბილდება და გადადის ნამდვილ თიხა-ფიქალში; აქ შეიძლება იფიქრონ მის სწრაფ გაკეთილშობილებაზე (გამდიდრებაზე) და როცა ის სიმაგრეს უფრო მეტად კარგავს, მაშინ ლითონის ძარღვები ჩნდებიან ხან დანალექად, ხან კი ნამდვილ ძარღვებად.

სამეგრელოსა და იბერიის გამყოფი ქედის ხეობაში, იბერიიდან ჩრდილოეთით, ლეჩხუმის სოფელ ცეოლ-ის (Zeol) ზვეით არის მძლავრი რქაფიქალის ხევი, სავსე ლითონის ნალექით; აქედან სამ ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით არის მოთეთრო-მონაცრისფრო კლდე-ფიქალი, გამოყოფილი გამაგრებული რკინის შემცველი თიხის ხევით, რომელშიც გვხვდება მსხვილ-ფურცლოვანი, ვერცხლით მდიდარი ტყვიის კრიალა შერეული სურმასთან (ანთიმონი).

ყველაზე სარგებელიანი სამუშაო ლითონებზე ლიჩუსა (Lylschu) და კემეში, აგრეთვე კუმს-ში შეიძლებოდა ჩატარებულყო, რადგან იქ

რქიანი კლდე-ფიქალი წარმოდგენილი სიმძლავრის დიდ ნაწილს ქმნის მთავარი ქედის შიგნითში. მე ვფიქრობ დარწმუნებით, რომ ის შედის მთავარი ქედის მთელ შემადგენლობაში, რადგან ის აქ იმავე გარეგნობის, იგივე მიმართულებისა შემხვდა – ჩრდილო-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, როგორც ბაქსანის ჩრდილო მხარეზე (დღ. I, გვ. 287 და 288) და ყარაჩაის ახლოს ვნახე და აღვნიშნე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთელი პორტა კუმანა სამხრეთიდან კაცის ხელითაა გახსნილი და საბადოს ქანების გამოღებით იქცა დღევანდელ დიდ ხეობად. კედლები და ალბათ მდიდარი ძარღვები ახლა შაიმიწითაა დაფარული და შეუცნობელი; მაგრამ სადაც ქვა ჩანს, შეერევა ყოველთვის რქაფიქალი და ვრცელდება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ. როცა გზის ერთ მესამედზე მეტს გაივლი, ის იკვეთება და იფარგლება ჩრდილოეთით ყრუ (ცარიელი), ნაცრისფერი კლდე-ქვის ქედით; უგზო, მძიმე ხეობები გრანიტოვან ქედებს შორის აღიან, სანამ პორტა კუმანას ჩრდილოეთის გასავალზე ახვალ.

თუ ძველ ცნობებს დავუჯერებთ და მაღაროთა რაოდენობის მიხედვით გვსურს დავადგინოთ ოქროსა და ვერცხლის დღიური შემოსავალი, რომელიც ქონებად უნდა იქცეს, მაშინ, სხვა დანარჩენ დამხმარე საშუალებებთან ერთად ეს დადგინდებოდა ადამიანთა დიდი რაოდენობის მიხედვით; მაგრამ ვინაიდან ადამიანთა დიდი სიმრავლე პატარა ფართობზე ერთმანეთს ხელს შეუშლიდა, სხვა არავითარი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, თუ არა შემდეგისა: მაღანი არის იმდენად ხშირი და ადვილად მოსაპოვებელი, რომ მცირე რაოდენობის მუშახელითაც შეიძლებოდა მოპოვებულიყო დაწესებული დღიური რაოდენობა ოქრო-ვერცხლისა. ეს კი შესაძლებელი იყო იმ მხარეში, სადაც მთელი მთები ლითონებითაა სავსე, რაც ყოველდღიურად მრავალი ხელოვნური იარაღების გარეშეც მოიპოვებოდა და ქონებად (სიმდიდრედ) გადაიქცეოდა. ახლაც ნახევარ ვერსზე კუმსიდან აღმოსავლეთით, არის კვარციანი, ქარსიანი რუხი კლდე-ქვის ქანები, რომლებიც 430 ფუტის სიმაღლეზე ტყვიის ქარსიანი ლითონითაა მთლად გამჭვალული, და ყველა მონაცემით ეს კლდე-ქვა თავის შიგნითში მძლავრ ფენას უნდა ქმნიდეს. ზოგიერთ ადგილას ყავისფერი და რუხი კლდეფიქალის ნარევი თიხაში გადადის და მასში ჩაწინწკლული ტყვიის კრიალას

მარცვლები შეზრდილა ზრტილოვან(?) მარკაზიტთან (გოგირდის ალმადანთან), რომელიც ხშირად სხვადასხვა კრისტალური ფორმით წარმოჩინდება. თუმცა ეს მთის ქანი (ქელი) ძალზე განიცილის ამინდის მოქმედებას და ლითონიანი მიწა წვიმისა და გამდნარი თოვლის მიერ ირეცხება; ამიტომ დაბლობებზე გასასვლელებთან, მდინარეთა ნაპირებზე და სწორ დაბლობ ადგილებში, რომლებსაც თოვლიანი ნაკადულები წყალდიდობისას ტბორავენ და წყლის შემცირებისას ლამს სტოვებენ, ძალზე ბევრ ტყვიის მტვერს პოულობენ.

რაჭაში, სოფელ კუდაროს ახლოს, მთავარ ქედთან მდებარე პირველ კირქვიან მთაში და მის ხეობებში გვხვდება მტკიცე, მოთეთრო-რუხი რკინაქვა, რომელიც თავის შიგნითში ხშირად შეიცავს არაჩვეულებრივი ზომის რკინის ბუდობებს.

გურიიდან მივიღე არაჩვეულებრივად ლამაზი მარმარილო, რომელიც არის მომწვანო-მოთეთრო, დიდი შავი წინწყლებით, მაგარი და ოდნავ ქვიშიანი. მიმტკიცებდნენ, რომ ამ მარმარილოს მთა ერთი ვერსის სიგრძეზე მხოლოდ ქვაა, ერთადერთია და კლდიანია.

ვახანშიც მივიღე ერთი ნატეხი მდიდარი ვერცხლის მკრთალი მდინიდან, მაგრამ უნდო წარჩინებულმა ქაიხოსრო ახამიძემ არ მოისურვა ეჩვენებინა ჩემთვის ის ადგილი, სადაც ეს ბუდობი იყო, მიუხედავად იმისა, რომ დიდ სარგებელს ვპირდებოდი აქედან. მას ეშინოდა, რომ ერეკლე, სოლომონი და თურქები მისთვის საშიში გახდებოდნენ.

ქუთაისიდან ვახანამდე გზის გასწვრივ ხშირია მოშავო კაჟი, აგრეთვე სარდიონის, აქატის და ქალცედონის ნამტვრევები, ხან რბილ (ფხვიერ) კირის ფენებში, ხან აგრეთვე მოყვითალო-წითელ ქვიშაში. ბერიც გვხვდება გზაზევე გაფანტული. მე ვიპოვე ასოთხმოცი ფუნტი სიმძიმის ნატეხი, რომელიც შედგებოდა სარდიონის, აქატისა და ქალცედონისგან და ერთ მხარეს გამჭვირვალე კვარცთან იყო შეზრდილი.

ამ მხარეში მეორედ მომეცა საშუალება დავრწმუნებულიყავი მოყვითალო კაჟის გამოფიტვაში. ის იშლება ფენოვან ფურცლებად, რომლებიც კარგავენ გამჭვირვალეობას და მღვრიე ხდებიან. ამ ფურცლებს შორის მოთავსებულია მიწის უწმინდესი მტვერი, რომელიც მართალია არავითარ მჟავაში არ შიშინებს, მაგრამ ნელ-ნელა იშლება აზოტმჟავაში, რომელშიც ფურცლები დაუშლელად, ნატეხებად ტყდება.

ქუთაისიდან თორმეტ ვერსზე, მდინარე წყალწითელას ახლოს არის ცნობილი მონასტერი გელათი, რომლის გვერდითაც არის ქვიშიანი რიყის ქვის ფენები, სხვა წერილ კაჟის სახეობებთან ერთად გიშრის (გაგატის) შემცველი. ბერები მას შავ ქარვას (გიშერს – გ. გ.) უწოდებენ და მისგან თავისთვის ვარდისფერი გვირგვინის მარჯანს აკეთებინებენ. ის ძალზე მტკიცეა და აქვს სრულყოფილი ბრწყინვა; მე არ მახსოვს სადმე ისე მშვენიერი გიშერი მენახოს, როგორც გელათში.

გელათიდან ჩრდილოეთით ოც ვერსზე არის დაბლობი, ჭკობიანი, ვაკე ადგილები, რომლებზეც არის მსხვილი რიყისქვიანი და კირიანი ბორცვები. ზოგიერთიდან მოედინება გოგირდის სუნიან წყალთან შერეული შავი ნავთი. ნავთის წყაროს წყლები ღრმა ხვრელებში შეჰყავთ, რომლებშიც ნავთი გროვდება და რომლიდანაც მას დიდი რაოდენობით და დიდი შრომის გარეშე იღებენ.

მოსხური მთისწინეთის კირქვიანი კლდეები ზღვამდე და შიგაც იჭრებიან; სა-კაკაბო-ს (Sa-Cacawo) კუნძულები წარმოადგენენ წმინდა ქვიშაქვას. აღმოსავლეთით კირქვის კლდეები საკმაო სიმაღლეს იღებენ, მაგრამ ეს მანამ არაა მნიშვნელოვანი, სანამ ის კორაქსის ქედს არ შეუერთდება. მთელი სამხრეთ-დასავლეთის, შავი ზღვის ახლოს მიმავალი მთაგრეხილი შედგება მთლიანი, უხეში კირქვისაგან, რომელიც აძევს მოყავისფრო-წითელ, მტკიცე, შვეულქანოვან კლდექვას, რომლის დასაწყისიც ოც ვერსზე სამხრეთ-აღმოსავლეთით აკისკასთან, იბერიის საზღვრებთან უნდა იყოს.

ამ კლდექვის ზოგიერთი ნაპრალი ამოვსებულია სუფთა კირით, ან კირიანი შპატით, რომელშიც არც თუ იშვიათად წმინდა სპილენძის აღმადანი გვხვდება. იგი ზოგ ადგილას გამოფიტულია და კირიან შპატს მშვენიერ მწვანე ფერს აძლევს.

კორაქსის მთები საერთოდ ძალზე მდიდარია მრავალგვარი სპილენძის სახეობებით. ამავე კლდექვის მთებში გვხვდება მტკიცე და მაგარი რიყის ქვები წვრილმარცვლოვანი და მორუხბო-თეთრი ფერის. ბევრი დაუსაქმებელი ადამიანი მუშაობს ამ ქვასატეხებში და ამზადებენ სხვადასხვა ზომის სალეს ქვებს, რომლებსაც მცირე აზიაში განსაკუთრებული ფასი აქვთ. რადგან ქვა თავის პირვანდელ მდგო-

მარეობაში ძალზე რბილია და გამოუსადეგარი, ამიტომ მას ხელოსნები სელის ზეთში ხარშავენ, რომლითაც ის მთლიანად იუღინთება, იღებს გარკვეულ სიმაგრეს და შავ ფერს; სწორედ პირველად მაშინ გამოჩნდება ჩაწინწყლული ოქროს ქარსი, რომლის შესახებაც მანამ, სანამ ქვა თავის სიმტკიცესა და ფერს არ მიიღებს, ვერც ვიფიქრებდით.

არა ნაკლებ აღნიშვნის ღირსია მეორე ხევი (ნაპრალი), რომელიც აკისკიდან ორმოც ვერსზეა კლდექვიან ქედში, რომელსაც უწოდებენ არსიან-ს, ანდა გამოძინარე მტკერის პირველ და ყველაზე მძლავრი ნაკადულის მიხედვით ყარა-ბულაზს (შავი წყარო). აქ ამუშავენ თეთრ, ნახევრად გამჭვირვალე ტალკს, რომლის სახელიც ადგილობრივ ენაზე არის იაშმი (იასპი – გ. გ.). მისგან საკმაოდ მაღალ ფასებში ამზადებენ მაგიდის ფილებს, ჩიბუხის საპირებს თამბაქოს მოსაწვეად, დანებისა და ხმლების ტარებს, სასმისებს, ბუხრებისა და შადრევნების ნაპირების სალტებს, ნიჟარებსა და მოსართავ საშუალებებს დიდი ბატონების აბანოებში. ეს უნდა იყოს იგივე საბადო, რომელსაც სტრაბონი თავის აღწერილობაში გალაციასთან ახსენებს. მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ ეს ქვა უკვე მაშინაც აკისკადან გაჰქონდათ იქ, რადგან აგორაში ჩემი ყოფნისას მე ხშირად ვეკითხებოდი გალაციის ამ საბადოთა შესახებ; მაგრამ ყველა მარწმუნებდა, რომ ეს იაშმა (იასპი) აქ არ მოიპოვება, არამედ მოაქვთ გურჯისტანიდანო.

არსიანიდან აღმოსავლეთით შეიღ ვერსზე არის საუკეთესო თეთრი მარმარილოს სატეხი, რომელსაც მრავალი ასეული კაცი ამუშავენს. ქვა რძესავით თეთრია, ნახევრად გამჭვირვალე, მცირე ხორკლიანი, მტკიცე, წმინდაქვიშიანი და მბრწყინავი. მას იყენებენ საფლავის ქვებად, კირის ამყოლად, აბანოებისათვის (აბაზანებისთვის) და იატაკის დასაგებად. ქვისმთლელები აკისკაში მათი გასაღებით ძალზე ღიდ მოგებას ნახულობენ.

მხოლოდ რამდენიმე ვერსზე არსიანის იასპის საბადოდან, არის მოყვითალო ფერის ჭაობიანი წყაროები, რომლებიც რამდენსამე ადგილას შრება და ნამდვილ მინერალურ ტუტე მარილს ტოვებს. ეს კი ყველას, რამდენიც კი სურს, მიაქვს საანის სახარშად. საპონი იღებს მოშავო-მწვანე ფერს. მსგავსი წყაროები პროვინცია აკისკაში არც თუ იშვიათია, ხოლო ოლთისში (Oldi - ოლდი) ასეთი წყაროსწყალი გამოიყენება ბორაქსის დასამზადებლად.

კორაქისის ქედის ერთი შტო, რომელიც მტკვრის დინებას ყოფს, მიჰყვება ამ მდინარეს ორმოცდაშვიდ ვერსზე ჩრდილოეთით და იქ ორად იტოტება. მარჯვენა, ანუ აღმოსავლეთისა აღწევს ზანების მთებს; მარცხენა, ანუ დასავლეთისა, როგორც კი მტკვარი ოდნავ მოშორებით ჩრდილოეთისაკენ აღმოსავლეთით გაუხვევს, უერთდება ზემო მხრიდან შუა ქედს. ამ დასავლეთის ტოტზე დგას ავალის-ციხე, ძველი მთის ციხე, რომლის ახლოც, დასავლეთით, ამუშავენ მალაქიტის სპილენძის მადანს.

როგორც კი მტკვარი პირველად გაუხვევს აღმოსავლეთისკენ, მის ნაპირს მიჰყვება გრძელი, გაშლილი ვაკე – ძველი იბერია, ანუ დღევანდელი ქართლი. მის დასაწყისშივე, სოფელ ცხრაბუხას ახლოს, არის ქვანახშირის საბადოები, რომლებიც სურამთანაც ჩანან მდინარე სურამულაზე.

დასავლეთ კავკასიის შუა ქედის მთელი სამხრეთი მხარე სურამიდან, ცხინვალიდან, ძალიანად ახალგორამდე, მდიდარი საბადოების გამო გამოკვლევის ღირსია. რამდენიმე წლის წინ მეფე ერეკლემ ძალიანაა მდიდარი ძარღვის დამუშავებას მოჰკიდა ხელი, მაგრამ მცოდნე მუშების ნაკლებობისა და დიდებულთა წინააღმდეგობის გამო, საქმემ წინ ვერ წაიწია, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ საუკეთესო მადანი ოქროსშემცველი ვერცხლისა, ტყვიისა და სპილენძისა; არ განიცდიდნენ აგრეთვე ხე-ტყის და წყლების ნაკლებობასაც.

სამთო საქმეში გამოცდილმა და დიდმა მოყვარულმა სახელით დოერინგმა აისლებნიდან, მანსფელდის საგრაფოდან, 1779-1781 წლებში დაამუშავა ეს მადნები კარგი შედეგებითა და სარგებლით, მაგრამ ის მისმა საკუთარმა ამხანაგმა ვარშაველმა დაუბრონმა მუხანათურად მოკლა და ამ მცოდნე კაცის სიკვდილის შემდეგ ყველა შემდგომი სამუშაოები მიტოვებულ იქნა.<sup>35</sup>

<sup>35</sup> „აისლებენში მოიკითხე ამ დოერინგის ოჯახი, რადგან ჩავთვალე, რომ მის ობლებს (დარჩენილებს) ეცოდინებოდათ ბელი თავისი დაკარგული ნათესავისა და ეს იქნებოდა ნამდვილად უტყუარი და ჭეშმარიტად ერთადერთი საბუთი მისი სიკვდილის მოწმობისა; მაგრამ არავინ არ იცოდა იქ ამ გვარის ოჯახის შესახებ რაიმე.“

მე მომეცა საშუალება დამეგინა, რომ ავტორი და ეს დოერინგი ერთი და იმავე ქალაქში იყვნენ დაბადებული, ორივე ალბათ სიყრმის ნაცნობები, ორივე სამთო საქმის მცოდნე, უდავოდ, ავანტიურისტები (თავადასავლის

უმდიდრესი საბადო იყო მთლიანი პატარა წვეტიანი ტყეების კრიალასი, რომელიც მოიპოვება ქეიშიან, ტყეებისა და შპატ-შერეულ ნაწიბურებში (Saalband). ამის გარდა მოიპოვება მდიდარი მკრთალი სპილენძის მადანი, რომელიც დიდი რაოდენობის გოგირდის აღმადანთანაა შერეული. საბადოს ქვა შედგება მოცისფრო-რუხი, მაგარი თიხიანი კირქვისაგან, რომელიც გამიშვლებებში გამოფიტულია, მადანში კი ასე მტკიცე.

მაძიებელნი), რომელთაგან თავდაპირველად თითოეული დამოუკიდებლად გაემართა ბუდის სამძებნელად და ერთმანეთი კვლავ იპოვეს ქვეყანაში, სადაც ალბათ ბუდი საუკუნეების მანძილზე მსგავსს არაფერს მოიპოვებულა. ამან აღძრა ერთგვარი ეჭვი ამ ადგილის ტეშმარტებაში და ხელნაწერზე ყურადღებით საკვირვებამ კიდევ უფრო გაზარდა ეს ეჭვი. სახელდობრ, ხელნაწერში დახეული დოკრინგი ასევე ლათინური ასოებითაა დაწერილი და დასაწყისი ასო „ლ“ მარჯვნიდან მარცხნისაკენ რამდენჯერმე მოხაზული და უფრო მაგრად, ვიდრე ჩვეულებრივ; ისე ჩანს, თითქოს სურდათ „დ“-ს გადაკეთება „ს“-დ. მაშინ ალბათ დოკრინგი იქნებოდა სოერინგი, ან სულაც „ო“-ს შემდგომ „ე“-დ გადაკეთებისას სერინგი. – ეს მოსაზრება შევატყობინე ჩემს კორესპონდენტს აისლენში და იქიდან მივიღე ცნობა: მართალია ოჯახი სერინგის ან სეირინგის გვარისა აქ არსებობდა, მაგრამ იმათგან აღარაინი დარჩენილა ცოცხალი. ხოლო საბოლოო კითხვაზე, რომ 20 თუ 30 წლის წინ ერთ-ერთი ამთგანი ხომ არ დაკარგულა? – ვერაფერი სარწმუნო პასუხი ვერ მივიღე. საკვირველია, რომ პატარა ქალაქში ოდესმე ერთ-ერთი ბავშვი გაუჩინარდეს და ეს ამბავი პირველ თაობაში მაინც მთლიანად დავიწყებას მიეცეს? რაინგის ხომ მრავალი წლის მანძილზე მომორებული იყო, მაგრამ შეეძლოთ მის შესახებ ბერის მოყოლა – საკვირველია, თავისთავად, რომ რაინგსმა, გარდა პატარა შენიშენისა, არაფერი შევატყობინა ამ თავის თანამემამულის შესახებ! – მაგრამ კიდევ უფრო გასაოცარია, თუ დაეუშვებთ, რომ ზემო შესწორება სახელების დოკრინგის სერინგად სწორია და, რომ სერინგიდან ანაგრამის მეშვეობით (ასოთა გადაადგილებით) ყოველგვარი წვალების გარეშე გამოდის რეინგსი! ხომ არ სურდა რაინგსს ამ სახელს ამოფარებულიყო? – რადგან ისიც, როგორც თავის ხელით დაწერილ ნარკვევში საკუთარი ცხოვრების აღწერისას ამბობს, ასწავლიდა ქართველებს ლითონთა დნობას ევროპულ წესზე. დოკრინგი ან სერინგი 1781 წელს მოკლეს, ხოლო რეინგსი ამავე წელს წაივდა საქართველოდან რუსეთში და თავისუფლად ცხოვრობდა დიდხანს, ხოლო საქართველოსათვის მართლაც მორალურად მკვდარი იყო. მაშ რატომღა მოინდომა მან თავის მოკვლა? მართლაც ვინ იცის ეს. რადგან დამაკმაყოფილებელი ცნობების სიმცირის გამო ამ საკვირველი და გამოუცნობი კაცის ცხოვრებამ მომხდარ სხვადასხვა შეუთანხმებელ სიძნელებასა და წინააღმდეგობებს მცირედ მოუყარე თავი, ამდენად მეც მიჭირს ჩემი შემდგომი დაუსაბუთებელი მოსაზრებანი საზოგადოებას მოვასხენო“ (გერსტენბერგი)

ახალგორთან რკინის მადნები და ნაპრალები (ხევეები) სავსეა რკინის ოქრას მიწით და სისხლას ნაჭრებით. ამ მაგნიტურ რკინაქვაში ხშირად ძვეს აგრეთვე შაბიანის სოლები, რომელთა სისქე ზოგჯერ ორი დიუმიძია, ხოლო სიგრძე ხუთი დიუმიძი. გარეთა ფერი უფრო ყავისფერია, ვიდრე თვით მაგნიტური რკინაქვაა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა შაბიანის მიწა, რომელსაც სარგებლიანად იყენებენ გეორგიაში მღებავები და ტარსიკონის მკეთებლები.

მდინარე ქსნის ახლოს, მთის ძირას, რომელზეც დანგრეული მთის ციხე მთის-ქალი (მთის ქალწული) დგას, მოიძიება გოგირდი თეთრ-მონაცრისფერო აღმადანის სახით, ასეთივე შეფერილობის ჭუჭყიან ხვინჭიან თიხასთან ერთად; მაგრამ ის გამოუყენებელია. გეორგიელები გოგირდს სომხეთსა და თურქეთში ყიდულობენ.

ახალგორის ჩრდილოეთით არის მაღალი მინდორი (ანუ მაღალი ველი). აქ სავსებით ერთდებიან შუა ქედის უმაღლესი ნაწილის მწვერვალები და იშლებიან მწვანე ვაკედ, რომელსაც შეიდი ვერსი სიგრძე და სამი ვერსი სიგანე აქვს. ის წარმოადგენს ცხვრებისა და რქოსანი პირუტყვის საზაფხულო საძოვარს. ამ მთის ველის ჩრდილოეთ მხარეზე უწესრიგოდ, სავსებით შიშვლად, ყოველგვარი მიწის საფარის გარეშე ყრია მრავალი გროვა დამტვრეული, უმაღლესი მთიდან ჩამოვარდნილი ბაზალტის ლოდებისა. მათი ფორმა ყველაზე უფრო სწორია, ვიდრე სადმე მთელ კავკასიაში.

ხეობის ბოლოში, რომელსაც სწრაფი მდინარე ქსანი რეცხავს, სამხრეთით მთისწინეთის ერთი შტოს გაგრძელება ქალაქ გორის ახლოს, აღმოსავლეთით გადადის ყავისფერ, მტკიცე, ბაზალტურ ციცაბო კლდეში, რომლის სიმაღლე 42 ფუტია, სიგრძე 220, ხოლო სიგანე თითქმის 900 ფუტი. ამ ტრაპიზებურ, მთლად სწორ კლდეში ქართლის ძველმა მცხოვრებლებმა გამოკვეთეს მტკიცე ქალაქი, რომელსაც ისინი უფლისციხეს უწოდებდნენ (ნიშნავს ბატონის ციხეს). ქალაქის კედელი, ჭიშკარი, ქუჩები, სახლები, ფანჯრები და კარები, ასევე სავაჭრო მოედანი, დუქნები და სარდაფები (თალები) ამ ცოცხალ ქვაში გამოკვეთეს და არაერთარ სიძნელეს არ მოერიდნენ, რომ ეს კლდის ციხე მიუდგომელი და აზიური ბრძოლებისას აუღებელი ყოფილიყო. მაგრამ ყველაფრის გამძანაგებელმა ყაჩაღმა ლეკმა (რომლის შესახებაც ქართველი ამბობს, რომ ბალახიც კი ჭკნება და ხმება მათ ფეხქვეშ



და მხოლოდ შეიძლევა წლის შემდეგ ამოდის ხელახლა) მიაღწია ამ საოცრად გამოკვეთილ ციხეს და გაბრაზებულმა გაიტაცა მოსახლეობა, რადგან მათი მტკიცე, ამჟამად ცარიელი სახლების დანგრევა ვერ შესძლო.

ამნაირი შრომით კლდეში ნამოღვაწარს გეორგიაში ბევრგან ვხვდებით და ხშირად ისეთ ადგილებში, სადაც ამჟამად მისვლა შეუძლებელია. ბოდორნაში, დუშეთის ახლოს, არის მაღალი განიერი კლდე, განსაკუთრებული სიბეჯითითა და მონდომებით გამოკვეთილი; საფეხურებიც კი, რომლებსაც ერთი სართულიდან მეორეში ავყავართ, ამავე კლდისგანაა ნაკეთი, რომლის შიდა გამონგრეული საფარი ისე დიდია, რომ სოფლის მოსახლეობა საკმარისი სურსათ-სანოვაგით ყოველგვარი მტრისაგან დაცულია. ამიტომ ომიანობის დროს მოხუცები, ქალები და ბავშვები თავიანთი ქონებით აქ გამობრუნდნენ, შეიარაღებული კაცები კი საკუთრებას იცავდნენ.

სამფლობელო რუიშის (რუისი — გ. გ.) სამხრეთით, მტკვრის ნაპირის ახლოს ბორცვიანი ვაკე შედგება არაწმინდა, რკინის ნალექით გაჟონილი, ნაჭუჭისებური ფენოვანი კირქვისაგან, რომლიდანაც თბილი გოგირდიანი წყალი გამოდის. ქვის ფენები ამ წყაროებთან და იქამდე, სანამ გამოშავალი წყალი თბილია, შედგება ქვირითული (ოლითური) დანაგროვისაგან, რომელსაც აქვს მოთეთრო-ყავისფერი შეფერილობა და ისე მტკიცეააა შეკავშირებული, რომ ამ ოლითურ ქვიდან სვეტებს, კარ-ფანჯრების ამყოლს ამზადებენ. ის ასევე კარგად პრიალდება, რის საბუთსაც რუისის ეკლესია წარმოადგენს, რომელიც ამ კირქვითაა მორთული. — ამ წყაროებთან და მანამდეც, სანამ მათ მივალწევდეთ, გვცემს ძალზე ძლიერი, სასიამოვნო იის სუნე.

სამფლობელო მუხრანი თავისი შავი, ძალზე ნაყოფიერი, ლავაფერფლიანი ნიადაგის გამო აღნიშნავს იმსახურებს. აქ მოჰყავთ ხორბლის, ქერის და ფეტვის წარმოუდგენლად მდიდარი მოსავალი; თავადი მუხრანბატონი მარწმუნებდა, რომ ქერი და ხორბალი არასოდეს ოცდაათზე ნაკლები არ აიღება, და რომ მან ერთხელ ოთხმოცი მოსავალიც კი ნახა. აქ მოხნულ ყანებსა და მინდვრებში ხშირად გვხვდება დამსხვრეული მოშავო რუხი ვულკანური მინის ნამტკვრეები, რომელთა უმეტესობა მთლად გამჭვირვალეა.

ასევე ნაყოფიერია ურბნისი და განსაკუთრებით პატრიარქის კუთვნილი, უფრო აღმოსავლეთით მდებარე სამფლობელო მეტენი, რომელიც თავისი ცეცხლივით მაგარი ღვინით ძალზე შემოსავლიანია. აქაც ყველგან ყანებსა და მინდვრებში ლავა იძებნება.

კუმლის ციხესთან მთა შედგება ნაწილობრივ სხვადასხვაგვარი მასალისაგან, ნაწილობრივ ნატეხოვანი შექვიდროვებისაგან; მისი შიგნითი და ყველაზე მაღალი ნაწილი კი არის ყავისფერი, გამხმარი, შვეულქანიანი კლდე-ფიქალი. ეს მთა წარმოადგენს საუკეთესო სანახაობას, რომელიც მეტოქეობას გაუწევს იტალიისა და შვეიცარიის ხედებს! – ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩანს ხევსურთა საცხოვრებლები; სამხრეთ-დასავლეთით ათასობით მთიულეთის ხეები და მათი ურიცხვი ცალკეული სახლები; ჩრდილოეთით შეიმჩნევა ყველაზე მოშორებული და მაღლა მდებარე ოსური საცხოვრებლები, ასევე კავკასიონის უკაცური მთავარი ქედი და მისი წვეტიანკლდოვანი მწვერვალები. თვალი გოცებით უყურებს სხვადასხვა წყალვარდნილებს, რომლებიც თავისი ძალისა და მდებარეობის გამო განსაკუთრებულ აღწერას იმსახურებენ; ასევე განსაკვიფრებელია ცივი, რკინის შემცველი წყაროების დიდი რაოდენობა, რომლებიც ყველგან გამოუყენებლად მიედინებიან.

კობთან ჩანს მოციისფრო თიხა-ფიქალის ქედი, რომელსაც აღმოსავლეთისკენ აქვს ძირითადი მიმართულება და საბოლოოდ ამავე მხარეს მეორე კლდექვიან ქედს უერთდება. ვიწრო ხევი ჰყოფს ამ ფიქალს ყავისფერი, მტკიცე, ბაზალტური გრანიტისაგან, რომელიც შედგება მხოლოდ უხეში, ოთხკუთხა, მთლად ჰორიზონტალურად მდებარე სვეტებისაგან (ფენებისაგან) და დაფარულია დაუმუშავებელი, უხეში, ნახევრად მრგვალი ლოდებით. ამ ქედის შიდა ნგრევის საფრთხე და გრანიტის ლოდების ხშირი ვარდნა, არ აძლევს საშუალებას ოსურ გვარს კილიგ-ს (ქელეხ-ს – გ. გ.) თავისი სახლები, რომლებიც ზედ ამ მთის ქვეშ დგანან, სხვაგან გადაიტანონ (იხ. დღ. I, გვ. 286, სქემა c.).

კობის დასავლეთით არის მიტოვებული სოფელი გუდა, რომლის ახლოს ჩანს ჩამოვარდნილი, დამტვრეული ბაზალტის სვეტების ლოდების ვრცელი ზაზი, რომლებიც ყოველგვარი შეკავშირების გარეშე ერთმანეთზე დახვავებული. მისი ლოდების ქვემოდან გამოდიან ძალზე ცივი წყაროს

წყლები, რომლის ახლოსაც კაცს შეუძლია დაისვენოს დამქანცველი აღმართის ასვლის შემდეგ და ამ ცივი წყლით გამოცოცხლდეს.

მთიულეთის მთები ნატეხოვანი გრანიტისაა, აგრეთვე მოთეთრო-რუხი ან მოყავისფრო-ვეუანი (შავმოიისფრო) კლდექვა; ამას ზედ აძევს ქედი, რომლის ძირი წარმოადგენს მოყავისფრო-თეთრ, მტკიცე, წერილმარცვლოვან ქვიშაქვას, რაც აგრეთვე მთისწინეთის საფუძველიცაა და მოიცავს კირიან მთებს; ესენი ანანურთან და უფრო მეტად ღუშეთთან ვაკეში გადადიან და იფარებიან შავი მიწით, რომელშიც უულკანური მინის ნამსხვრევებიც გვხვდება.

თუმცა ამ კირიანი კლდის შავმიწა საფარი ორი ფუტის სისქისაც კი არაა, მაინც ის ძალზე ნაყოფიერია საუკეთესო საძოვრითა და ყანებით; მრავალი ნასოფლარის ძველ კედლებს შორის, დაუმუშავებულ ბალ-ვენახებშიც, ვაზს ასხია გემრიელი მტკვნები, ხოლო ხილის ხეები, რომლებიც გამჩანაგებლებს გადაურჩა, გამვლელს სთავაზობენ თავის ნაყოფს. — მდინარე არაგვის ახლოს ეს კირიანი ვაკე გადადის დიდ ყავისფერ თაბაშირის ფენებში, ხოლო ღუშეთიდან აღმოსავლეთით მოიპოვება სუფთა მინერალური სასაქმებელი მარილი.

ნიჟარიან ცხოველთა ნამარხები მე მთელი კავკასიის ქედის ირგვლივ ვნახე, თიხიან ან კირიან მიწაში, მხოლოდ მცხეთის ახლოს, ტფილისისკენ მიმავალ გზაზე არის სამი ფუტი სიგანის ნაპრალი მაღალ, მტკიცე, ყავისფერ კლდექვის მთაში, რომელიც მთლად ამოვსებულია ყოველგვარი ნიჟარებითა და ლოკოკინებით, რომლებიც ერთმანეთში მტკიცედაა მიწებებული და ისე შეზრდიან კლდეს, რომ გაუთიშავი გახდა და თეთრ კირიან შპატთანაა შეერთებული.

მდინარე არაგვის მეორე მხარეს თაბაშირის ფენები დიდ ფართობზე ვრცელდებიან როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხრეთით და ქმნიან ასევე მდინარე მტკვრის ნაპირს, მაგრამ ბოლოს ის იკეთება მოთეთრო-რუხი და ყავისფერი გზის ქვაფიქალის მიერ, რომელზეც მეტეხი და ჰავლაბარია გაშენებული.

მეტეხიდან აღმოსავლეთით ველის გასწვრივ ხაშმამდე და სამხრეთით მდინარე მტკვრამდე შავი მიწის ქვეშ მოიპოვება დალექილი თაბაშირის ფხენილი, რომელიც ზოგ ადგილას მკვრივდება ფენოვანი თაბაშირის ფიქლებად; ეს კი ხშირად მსხვილი რიყის ქვებითაა გათიშული, რომლიდანაც შავი ნავთის წყაროები გადმოდინან; ესენი

ყველაზე უხვად არის სოფელ ნავთლულთან. იქ ოცდაოთხ საათში აგროვებენ ორმოციდან სამოც ფუნტამდე ნავთს. ახლოს მცხოვრები გლეხები მას იყენებენ საწვავად და თავისი ურმის ბორბლების საპოხად, ამიტომ მათ მუდამ ურემზე დაკიდული დააქვთ რამდენიმე კამეჩის რქა სავსე ამ ზეთით (ნავთით).

ნავთლულის ჩრდილოეთით არის დამდგარი ჭაობები, რომლებიც ზაფხულში ამოშრობისას ლექავენ მინერალურ ტუტე მარილს, რომელსაც აქ არავინ იყენებს.

საგარეჯოსთან გაფანტული მთისწინები უახლოვებიან შუა ქედს და თაბაშირი ყველგან მდიდრდება. კახეთში გვხვდება რძესავით თეთრი მარმარილო; თუმცა ის წერილმარცვლოვანია, საკმაოდ მტკრიანი და აკლია გარეგნული ბრწყინვა. ამის საპირისპიროდ გრემთან მოიპოვება არაჩვეულებრივად ძვირფასი ალუბასტრი; ის არის მბზინვარე, გამძლე და მთელ გეორგიაში საუკეთესოდ ითვლება.

საგარეჯოს დასავლეთით მტკიცე ქვა-კლდეში ბერების მთელი მონასტერია თავისი ეკლესიითა და სათანადო საჭირო სათავსებით ამოკეთილი. მაგრამ ღვთის მოშიში ბერების ეს კლდეში ნაკვეთი საფარი ლეკებმა დაარბიეს და ახლა მათ სადგომად ემსახურება, როცა მსხვერპლს უთვალთვალებენ. ამ მთის ძირს ებჯინება დაბლობი, რომელიც დასავლეთით ცამეტ ვერსზე ვრცელდება და შეიცავს რამდენიმე საფლობ ჭაობს; მასში გვხვდება მაგარი და სუფთა სუფრის მარილი; ეს წარმოჩნდება ოთხკუთხა კრისტალების სახით.

დასავლეთით ეს დაბლობი ჰყოფს ბორცვიან მთაგრეხილს, რომელიც მეტწილად რუხი კირიანი შაბიანი-ფიქალებისაგან შედგება, რომლიდანაც კიდევ უფრო დასავლეთით შაბის შემცველი წყაროები მუდმივ შიშინა ხმით გადმოდიან; წყალთან ერთად გამოდის შავი, სქელი ნავთი, რომელიც წყლის ზედაპირზე იშლება. — ამ შაბიან ფიქალებს აღმოსავლეთით ეკერის რკინის შემცველი, შლამიან-ჭაობიანი კირქვიანი დაბლობი, რომლიდანაც ცივი, გოგირდოვანი წყაროები გამოდიან; ესენი განსაკუთრებით თბილი წვიმის შემდეგ და დახუთული, ნოტიო თბილი ამინდისას, მძიმე გოგირდის ორთქლს აქროლებენ, რომელიც საღამოობითა და ღამდამობით ცეცხლის ალივით მოჩანს. — ზოგიერთ ადგილას აქ კირქვის ხეკებია და შავი კაჟი დიდი რაოდენობით გვხვდება იმ სახით, რომლითაც ის წინათ კირქვიან ხევში იყო

ჩამალული. მას აგრეთვე ყავისფერი კლდეკვის ნაპრალები ამოუვსია, რომელზედაც კირი მტკიცედ ძვეს.

ლექების თავდასხმები ყოველთვის არ იძლევიან ზემოთნახსენები შპიანი ფიქალის დამუშავების საშუალებას. აქ შაბი იმდავარადვე მზადდება, როგორც მე დანზერესა და ყარაჰისართან ვნახე მცირე აზიაში. სახელდობრ, კირქვას ჩვეულებისამებრ წვავენ და ღია ცის ქვეშ ყრიან. უკვე რამდენიმე დღეში მტრჯლისფერი კირქვა იშლება კირად; ხოლო შაბის შემცველი რჩება მტკიცე გორბებად და ამ განსხვავებული ნიშნით გამოაცალკევენ ცოცხალი კირისაგან; მას სტოვებენ ღია ადგილზე კარგ ამინდშიც, ქარშიც, წვიმაშიც რამდენიმე დღის განმავლობაში მანამ, სანამ მისი ზედაპირი მოყვითალო-წითლად არ გაღვივდება და ქვა მსხვრევადი არ გახდება. შემდეგ მას სამჯერ ან ოთხჯერ ცხელ წყალში დათუთქავენ; ნათუთქს ათავსებენ სპილენძის ქვაბში, ხოლო შემდეგ ყრიან (ასხამენ) ხის განიერ ოთხკუთხა ყუთებში დასალექად; ამ ყუთებში კიდებენ აგრეთვე პატარა წვრილ ტოტებს, რათა შაბის კრისტალები მასზე გამაგრდნენ და იოლად ჩამოცვივდნენ.

პროვინცია კახეთში არის ჭკობები, რომლებიც შეიცავენ შვექვიანი მოწითალო ფიქალს (აფუებულ თიხას), რომლის ზედაპირიც ზაფხულობით გამხმარი ქერქით იფარება, შუაში ძალზე იწვეს და აქა-იქ სკდება. ამ თიხის სქელი ქერქი თავისი გარეგნული სიმტკიცით ატყუებს [თვალს], და ბევრ უცოდინარს, მასზე გავლა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ცხენები, საზიდრები და ხალხი ამ ლაშში (საფლობში) და მის ფსკერში ჩაიძირნენ. მხოლოდ ზოგიერთ ადგილას არის რამდენიმე ფუტი სიგანის, მრგვალი ხვრელები, ხოლო სხვაგან განიკვეთი ამ აფუებულ თიხის ქვაბურისა არის ათიდან ოც საყენამდე. არცერთ ადგილას არ შეიძლება უგრძესი სართაც კი ფსკერს ჩასწვდე. ამ თიხას ის თვისებაც აქვს, რომ თავისგან დაშორებითაც შთანთქას: ხშირად ხეებსა და სახლებსაც ყლაპავს, როცა ადამიანს ჰგონია, რომ მტკიცე საფუძველზე დგას. მაგალითად, სოფელი ვახალა, ანუ ახტალა ასეთივე, მაგრამ ჩამარხულ აფუებულ თიხიან არამყარ საფუძველზე იდგა. დაახლოებით ოცი წლის წინ კახეთში უზნიშვნელო მიწისძვრა მოხდა, რომლის დროსაც მთელი ეს სოფელი ხალხით და საქონლით უფსკრულში შთანთქა, ისე რომ ცოტანიც კი არ გადარჩენილან. ზოგიერთი შემდგომი გორაკი გახეთქილა და მისი ნაპრალებიდან

ამოვარდნილა ალი, რომელსაც თავისი სქელი გოგირდის ორთქლით ახლო მდგომი ხეები და ტყეები შეუტრუსავს, ხოლო ახლო-მახლო მცხოვრებლები მის მყარლ მოწამლულ ჰაერს გაუდევნია. ახლაც ბევრი ამ ხეთაგანი მთლად გაშავებული და საშინელი შესახედავია; ამავე დროს ზედაპირი, უმეტესად ზაფხულის თვეებში და მაგარი ქარისას აქროლებს მყარლ გოგირდიან ორთქლს და ამადულებელი ზალით ამოდრავებს ლამს, რომელშიც ჩნდება ხის სახლები, გასარეცხი მოწყობილობა, თავის ქალები და ძვლები, ასევე კოვზებიც კი, რომლებიც ლაშში დაგორავენ. — მიამიტი გეორგიანელები ამ უბედურებას ცოდვებისათვის მოვლენილ სასჯელად თვლიან, რადგან ამ სოფლის ძველმა მაცხოვრებლებმა ნათელ კვირა დღეს (აღდგომის კვირას) გალენეს; ამიტომ ამ სასჯელის მაგალითით ძალზე შეშინებული, კვირა დღეს და დღესასწაულებზე სტოვებენ ყოველგვარ სამუშაოს და ამ საზარელი შემთხვევის საშინელი მოგონება თავისი გონებიდან რომ ამოიგდონ, იშველიებენ საუკეთესო ღვინის ძალას; ამ პროვინციის გლეხებისა და მღვდლების ნამდვილი ზეიმი კვირა დღეს და დღესასწაულებზე არის სრული ლოთობა.

ქიზიყში შემოდგომაზე ცთომილი ცეცხლი ისევე ხშირია, როგორც ბაქოსთან (დღ. I, გვ. 155, 156). ხოლო ტიანტყეს (Tsiandghe) ქვემოთ დაბლობზე არის რამდენიმე ღია ნავთის წყარო.

მტკვართან ახლოს, აგრეთვე იორსა და ალაზანს შორის დგანან ცალკეული უხეში ქვიშაკლდეები; ერთ მათგანში, რომელიც იორთან ახლოს დგას, ხანგრძლივი შრომით ბერების მონასტერია გამოკვეთილი; მასში ახლაც ბერები ცხოვრობენ და ეწოდება საუდაბნო (საგანდუგილო). ბერების საკნები, ეკლესია, ეზო, სარდაფები და სატრაპეზოები, ყველაფერი ამ ქვაშია გამოკვეთილი. მართალია ეკლესიაში აღმოაჩინეს არც თუ ძალზე უხვი წყაროს წყალი, მაინც მის ახლოს ამოკვეთეს მოსანათლი ავზი. ამ წყლით გამოაცხვეს სეფისკვერი, რომლითაც მონათლეს დიდი ბატონების შვილები და ისინი, ვისაც ბერობა სურდათ. მას აძლევენ აგრეთვე მორწმუნებს ყოველგვარი ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად.

ზაფხულობით ყარაიას ველზე აუტანელი ჰაჰანაქების, დიდი რაოდენობის შხამიანი გველებისა და გაზაფხულზე გადმოსული წყლების შემდეგ დარჩენილი ჭაობების გამო არავინ მიდის და მიტო-

ვებულისა. ზამთრობით კი აქ ბანაკდება მაჰმადიანური ურდო სერავანი და აგრეთვე სხვა ურდოები, რომელთათვისაც ეს ველი და მარადმწვანე საკვები ძალზე სარგებელიანია. ამიტომ ყოველთვის უდარდელი გეორგიელებიც არასოდეს ფიქრობენ იმაზე, რომ დაიმზადონ თავისი ზამთრის მარაგი, თუმცა ხანდახან მკაცრ ზამთარში თოვლი დევს. 1780 წელს ის ათი დღის განმავლობაში იღო და მრავალი ათასი სული საქონელი შიმშილით დაიხოცა. ზოხბები ძალზე ხშირია და მათზე შევარდნებით ნადირობა არის ნამდვილად მთავარი გასართობი (იხილე წინა განყოფილება). აქ არის აგრეთვე გემრიელი მწყერის განსაკუთრებული ჯიში, რომელიც თავისი დიდი ტანისა და პატარა ფრთების გამო ძალზე დაბლა და ნელა ფრენს, ასე რომ ხელითაც კი იჭერენ. ამიტომაც, რომ მათ უწოდებენ იზრაველურ მწყერებს.

ამ ველზე ასევე გვხვდება მინერალურ-ტუტე მარილიანი ჭაობები და ალბათ მთელი გეორგია ყოველგვარი მარილის სახეობებით ისეა გაჟღენთილი, რომ ამაში უნდა ვეძიოთ მიზეზი მთების ძლიერი გამოფიტვისა, რაც ალბათ მათი სიმალლისას კლებულობს; უმეტესად ამ ბედს ემორჩილება უხეში ნამტვრევებიანი გრანიტის და თიხის ქანოვანი მთები. სქელი წებოვანი ქერქი მთებისა ქიზიყში მე ასევე გამოფიტვით წარმოშობილნი მეჩვენებიან; გამოფიტვის ძალა ხომ არ არის მიზეზი ამ პროვინციის არაჩვეულებრივი ნაყოფიერებისა?

ნიდაგის მარილიანობა არის უმთავრესი მიზეზი, რომ ამ ქვეყანაში მიწის გათხრისას მონეტებს თითქმის ვერ პოულობენ. ჩემს დროს ტფილისში იპოვეს ერთი ძველი საფლავი, რომელშიც იღო რკინის ფარი, დაშნა და მუზარადი; ისინი ჟანგისაგან ისე ძალიან იყვნენ შეჭმულნი, რომ ჩვენს ხელში დაიფშვნენ. ფეხებთან იდგა ქვიშა-ქვის ლოდი წარწერით, მაგრამ ასოები იძღენად იყო წაშლილი, რომ მხოლოდ ზოგიერთის მიხედვით შეიძლებოდა დარწმუნება იმაში, რომ ეს წარწერა არაბული უნდა ყოფილიყო. ამ ქვის გვერდით იდგა პატარა, მოწითალო მიწისაგან გამომწვარი ქოთანის, საესე შავი და ისეთი მტვრევადი ვერცხლის მონეტებით, რომ ისინი თითებში იმსხვრეოდნენ და მათი სიმტკიცე მანამდე არ აღსდგა, სანამ ღვინის ქვის წყალში არ ჩაყარეს. — აქ იყო სამასი ცალი ერთნაირი, სწორედ ისეთი მონეტა, რომლებიც კურტ დე გიბლენმა ხოსროს პართული მონეტების სახელით წარმოგვიდგინა; მაგრამ ეს სისულელეა (ე. ი. არ უნდა იყოს პართული

– გ. გ.), რადგან გიოტინგენის სამეფო მუზეუმში დაცული ხოსროს და კაიკუბადის მშვენიერი მონეტები ამას უარყოფენ.

მარილსახდლებიდან მიღებული ქვამარილისა და სუფურის მარილის ნაკლებობაა მთელ გეორგიაში. ყველგან პირველს ხმარობენ და ძალზე იაფად მოაქვთ ის ბაიაზეთიდან ერევანზე გამოვლით.

## ჭარბეზი

წუხარის, კატეხისა და თალას მოდგმა ღარიბებია და მხოლოდ ორას კომლს შეიცავენ. ისინი სახლობენ კავკასიონის ციცაბო შუა ქედზე და მეტწილად ჭარბეზის სამსახურში იმყოფებიან. ესაა თავმოყრა ხალხისა, რომელიც სახლობს კავკასიონის მთისწინეთის ძირას, მის დასავლეთით – ჩრდილო-დასავლეთით უნაყოფიერეს ბორცვიან ვაკეზე, საკმაოდ ვრცელ სავაჭრო ადგილას, რომელსაც ჭარი ეწოდება და შეიცავს 1800-მდე ცალ-ცალკე მდგომ საცხოვრებელს, რომლებიც მდინარე ალაზანს (სტრაბონის ალაძონი, პლინიუსის ალბანუსი) აღწევენ დასავლეთით. ნადირ-შაჰმა მთლიანად გაანადგურა ჭარი და ბელაქანი, ბევრი მოსახლე ამოწყვეილა და გეორგიის (ქართლის – გ. გ.) მმართველს თეიმურაზ-ხანს დაუბრუნა მისი ეს ძველი საკუთრება. მაგრამ, რადგანაც ქართველებმა (გეორგიელებმა) ეს მხარე ვერ დაიმორჩილეს, ხოლო ნადირ-შაჰიც მოკლეს, ძველი მცხოვრებლები კვლავ დაეპატრონენ თავის საკუთრებას და ახლაც არავინ აწუხებს იქ, თუმცა გეორგიის მეფის უფლება ამ მხარეზე ასე ეჭვმიუტანელია. უწინ ჭარი და ბელაქანი გეორგიის სამეფოს და, კერძოდ, პროვინცია კახეთსა და ქიზიყს მიეთვლებოდა, მაგრამ გეორგიის მმართველთა სიმკაცრემ და უფრო მეტად კი აზნაურთა სიხარბემ საბოლოოდ გაუღვიძა მოსახლეობას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სული.

ციცაბო ნაპირებში მიმდინარე კენაზ-ი (Kennag - სტრაბონის ხანეს), რომელიც ეგრი-ს და ელზინხანე-ს იერთებს და იენტშე-ს ქვემოთ მტკვარს ერთვის, აგრეთვე ღრმა ხეობები, გაუვალი ხშირი ტყეები და მდინარე ალაზანი უნდა წარმოადგენდნენ თავდასაცავად საკმარის კედლებს შირვანელებისა და გეორგიელებისაგან. ამიტომ მათ დაახლოებით 80 წლის წინათ ერთხმად უარი უთხრეს მმართველებსა და ბატონებს მორჩილებაზე და შეუამხანაგდნენ ლეკების



საზოგადოებას, რომელთაგანაც მათ არა მარტო მაჰმადის მოძღვრება გადაიღეს, არამედ აგრეთვე ლეკებისდაგვარად ისწავლეს დამოუკიდებლობა; ისე რომ, დღევანდელ დღეს იწოდებიან ლეკებად და ლეკებივით ირჯებიან.

ყოველი პარასკევი მათთვის არჩენების დღეა, როდესაც ისინი თავის მეჩეთებში (უწინდელ ეკლესიებში) მიდიან, რათა საერთო კრებაზე ხალხის უხუცესთაგან (უფროსთაგან) აირჩიონ წინამძღოლი. ის კი ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს მეომარი ახალგაზრდობის სურვილების შესასრულებლად.

ამ ორი მხარის გაუგონარმა ყაჩაღობამ გეორგიის სამეფოს აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა. მათთან მეგობრობას აღარავითარი სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლო, რადგან ლეკი, როგორც მეგობარი, საჩუქრად იმდენივეს ითხოვდა, რამდენის ძარცვით წაღებაც შეეძლო. მრავალ ასეულ ასეთ „მეგობარს“ გეორგიის ზარჯით ტფილისში კვებავენ, აცმევენ და ინახავენ, სანამ საკმაოდ გამძლარი თავის სამშობლოში არ დაბრუნდება და სხვა ახალმოსულებს ადგილს არ დაუთმობს. ამრიგად, მათ აქვთ საუკეთესო საშუალება შეისწავლონ ყველა გზა, ქვეყნის შუაგული და როცა ისინი თვითონ მრავლად მიღებული სიკეთის გამო გეორგიაში ყაჩაღობას და ქურდობას აღარ აგრძელებენ, სამაგიეროდ სხვებს აძლევენ უზუსტეს დარიგებებს, რომლებსაც მხოლოდ ამ გზით სურთ თავისი ბედნიერება მონახონ.

## [თუშები]

ტომები, რომლებიც უფრო ჩრდილოეთით, ალაზნის სათავეებთან ცხოვრობენ, თავისი ძველი მფლობელის ერთგულნი, ლეკების მტრები და გეორგიის ქვეშევრდომნი არიან. ამათ იცნობენ თუშის სახელით. ვინც ამ ხალხს მისი წარმომავლობის შესახებ შეეკითხება, მას საესებით გულწრფელად უპასუხებენ, რომ ევროპიდან არიან მოსულები, თუმცა ენა, ჩვევები და წესები ამ ჩვენებას მთლიანად ეწინააღმდეგებიან; მხოლოდ ერთია, რომ ისინი მერხებზე და სკამებზე სხდებიან და მიწაზე არ სძინავთ, მაშინ როცა კავკასიის სხვა ხალხები (მხოლოდ კუბაის გამოკლებით) საჯდომად და დასაძინებლად ოთახის მიწის იატაკს ირჩევენ. მე ეს ხალხი მგონია მოსე ხორენელის დუზი და

ძველი ალბანელების გადარჩენილი გვარტომი, რომელიც ამ ხალხის გადასახლებისას გამოეყო და აქეთ დამკვიდრდა. მტკიცება მათი ევროპიდან წარმომავლობის შესახებ წარმოსდგა კავკასიის ჩრდილოეთ ევროპული ნაწილიდან სამხრეთისაკენ ალბანელთა გადმოსვლის ამბიდან (იხ. პლინიუსი). ამის ნათელი დადასტურებაა (და ეს საოცარია), რომ ეს ხალხი თმას ისევე იკრეჭს, როგორც აჭვან-ელი; სახელდობრ, ორივე ყურს ზემოთ ერთი ან ორი თითის სისქეზე იზრდის თმას, თავის სხვა ნაწილს კი გაკრეჭილს ატარებს. ამჟამად ეს ხალხი ხუთ ძირითად გვარად იყოფა, რომლებიც ასევე პატარა ახალშენებად იყოფიან, მაგრამ ყველა ესენი ერთ ენაზე, კერძოდ, ძველ გეორგიანულზე ლაპარაკობენ, რომელიც დღეს მხოლოდ ცოტა გეორგიელს თუ ესმის.

თუშების რაოდენობა 1500-1600 კომლია; მათ ჰყავთ ძალზე მამაცი მუომარი მამაკაცები, რომლებიც ლეკების გამო (ესენი კი არანაკლებ გამბედავნი არიან) მუდმივად იარაღასხმული და მტრობაში ცხოვრობენ. გაზაფხულობით ორივენი, თუშებიც და ლეკებიც თავის მინდვრებს მშვიდობიანად თესენ. მაგრამ იშვიათად გავა მოსავლის აღების დრო ისე, რომ სათესი მინდვრების არევის, ან ყანისაღმი მიყენებული ზიანის გამო არ წარმოიშვას უთანხმოებანი. რადგან ქონება და სამართალი ამ ხალხებს არ აქვთ, ძლიერი იმარჯვებს და იმკის ბევრჯერ იქ, სადაც მას არ დაუთესია. ამიტომ თითოეული სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით იცავს ყანას, რომელსაც მოაქვს ზამთრის მარაგი და საკმაო პური, როცა ღრმა, ოთხი თვის მანძილზე მდებარე თოვლი ყველა შესავალ-გასავალს კეტავს. ამ ხანებში ისინი ყველაფრით საკმარისად არიან უზრუნველყოფილი; მათ საკვებს უმეტესწილად წარმოადგენს ხორცის კერძები და ფქვილის ფაფა. დასამარილებლად განკუთვნილ პირუტყვს ისინი ტყავს კი არ აძრობენ, არამედ ბალანს დაუფუფქავენ აღუღებული წყლით და ტყავს მჭრელი დანით საუკეთესოდ ასუფთავებენ (ფხეკენ). დამარილებისას ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ცხოველი ზედმეტად პატარა ნაჭრებად არ დაიჭრას, რომ მარილი ღრმად არ გაუჯდეს და ხორცი, როგორც ისინი ამბობენ, არ გაფუჭდეს. ასეთნაირად მოხარშულ და დამარილებულ ჯერ კიდევ თბილ ნაჭრებს აჭრიან ყოველივეს მარილიანს, აძრობენ ტყავს, რომელიც ქონს გემოსა და ფერს სავსებით საღად უნახავს, ისე რომ ამ ხორცს ახლად დაკლული საქონლის შესახედობა

აქვს. ისინი არ ჭამენ ღორის ხორცს, არც მოზრდილ კამეჩს: ხბოს ხორცი, რომელსაც სხვა აღმოსავლეთის ხალხები ასევე არ ჭამენ, ამათთან ძვირად ფასობს და ამიტომ დაკლული და დაფუფქული ხბო წარმოადგენს მათს ძღვენს, რომელსაც ისინი ადღვამის დღესასწაულზე გეორგიის წარჩინებულებს მიართმევენ.

კატები ამათთან დიდ პატივში არიან. მათ არაჩვეულებრივად ანებივრებენ და უვლიან. — როცა ისინი ამ ცხოველთან რაიმეს გაირღებიან, ეს არის ურყევი ფიცი. ისინი უმაღლესად ჩაღნილ უსამართლობას, ანდა დაუშვებელ უსამართლობას, ვიდრე ნებას მისცემენ, რომ კატა სცემონ ან აწვალონ. ამიტომ გეორგიანელი მოსამართლენი (სამართლის მოთავენი) იყენებენ მხოლოდ ამ საშუალებას, როცა სურთ ამ ხალხისაგან სინამდვილე გაიგონ.

მათ ჰყავთ ბევრი ცოლები და თუ საოჯახო მეურნეობა ცუდად წაუვიდათ, მათ რიცხვს კიდევ უფრო ზრდიან. მაგრამ საშინაო სიმყუდროვე ცოლების სიმრავლის გამო ოდნავადაც არ ირღვევა, თუმცა ყველა ისინი ერთ სახლში ერთად ცხოვრობენ. მამა უკვე ექვსი ან შვიდი წლის ვაჟს აძლევს ცოლს და იკაეებს ქმრის ადგილს (სწევს ქმრის მაგივრობას), სანამ ქალი უკვე გასათხოვარი შეიქმნება და სანამ ყმაწვილი მომწიფდებოდეს; თუ ამასობაში ქალი ბავშვს გააჩენს, მაშინ ისინი ითვლებიან ოჯახში და-ძმებად. ქალი რომელმაც უნდა იმშობიაროს, მოშორებულ უცნობ ადგილას უნდა წავიდეს და იქ ორმოცი დღე დარჩეს. გარდა უშვილო ქალისა, მელოგინესთან მიახლოება არ შეუძლია არც კაცს, არც ბავშვებს, არც და-ძმას, არც არავის; ეს ქალი აძლევს მშობიარეს ყოველივე საჭიროს და მიჰყავს ის ახლადდაბადებულ ბავშვთან ერთად ქმრის და მამის სახლში, რომელსაც დიდი გულმოდგინებით უმაღლავდნენ თავისი ცოლის ადგილსამყოფელს.

ქმრის (კაცის) გარდაცვალებისას და დამარხვისას ისინი არც სიხარულს, არც მწუხარებას არ გამოხატავენ. ისინი, მშვიდად არიან და ხანგრძლივი კეთილდღეობის იმედი აქვთ ქმრის საყვდილის შემდეგ, ისე რომ სულ არ აწუხებთ, თუ როგორ ეძებონ შემოსავალი. როცა გარდაცვლილს მიწას მიაბარებენ, მათ ჩვეულებად აქვთ სამი დღე გაატარონ მიცვალებულის სახლში ჭამა-სმამი. მათი თავშეკავებული საუბარი ეხება გარდაცვლილის დამსახურებას და ქებას, რომლის

ბედნიერებაზეც მისი საოჯახო ნივთების რაოდენობის, ცოლების, ქალიშვილებისა და საქონლის რაოდენობით, განსაკუთრებით კი მისი სპილენძის ქვაბების სიდიდის მიხედვით მსჯელობენ. ყოველი შეძლებული თუში თავისი სახლის დიდ პატივად თვლის ჰქონდეს ისეთი დიდი სპილენძის ქვაბი, რომელშიც სულ მცირე ორი ძროხა შეიძლება ერთდროულად მოიხარშოს.

დღემდე თუშებს ხანდახან სული სძლევეთ აშკარად იყაჩაღონ, ან ადამიანები მოიპარონ... საქონლის ჯოგები მათ მიწათმოქმედებასთან ერთად აძლევენ ყველაფერს, რაც სჭირდება სახლის შენახვას, სადაც ის ქერის ან შერიის პურითა და კარგი ლუდით კმაყოფილი თავის დღეებს ატარებს.

მათი ზრუნვა თავისი ჯოგებისადმი არაჩვეულებრივად დიდია, ხოლო მათი ფხიზელი მოთმინება დაულალავი! ახალგაზრდა მწყემსი აძოვებდა თავის ცხვრებს. საღამო ჟამს მაგარმა და გადაუღებელმა წვიმამ აიძულა ის უკან მოერეკა; მაგრამ ნაკადული, რომელზეც მას უნდა გადაერეკა ცხვარი, წვიმისაგან აღიღებელიყო და ისე სწრაფად მოედინებოდა, რომ ცხვრებმა გადაცურვა ვერ შესძლეს; იმის შიშმა, რომ არ ქცეულიყვნენ ლეკების ან მგლების მსხვერპლი, აიძულა ის თავისი თავისა და თავისი ფარისათვის უხიფათო [გამოსავალი] მოექებნა. მან არ დაიშურა ძალა 230 ცხვარი ამ წყალზე გადაეყვანა და შიშისაგან განთავისუფლებულს, თავისი სამუშაოს დასასრულს კმაყოფილს, არც კი მიუქცევია ყურადღება განუწყვეტელი კრუნჩხებისათვის, რაც ცივმა წყალმა მას ფეხებზე დამართა. როცა მე ის ვიხილე, ორივე ქვედა კიდური უძრავ მდგომარეობაში ჰქონდა; ახლაც, ოცი წლის შემდეგ,<sup>36</sup> ის წარმოადგენს მაგალითს ახალგაზრდა მწყემსებისათვის.

ამ ხალხმა ქრისტიანობის შესახებ სხვა არაფერი იცის, გარდა მისი არსებობისა, მაგრამ ადრე ის გავრცელებული უნდა ყოფილიყო აქ; ამის დასტურად გვხვდება ზოგიერთი ძველი ეკლესია მათ მთებზე. ერთ-ერთ დიდ და ნახევრად დანგრეულ ეკლესიასთან წელიწადში ერთხელ თავს იყრის ხალხი. ერთი მოხუცი კაცი, რომელმაც უარი თქვა ყველა ამქვეყნიურ სიკეთეზე, არ ტოვებს ამ ეკლესიას სანამ

<sup>36</sup> აქ წლები უნდა იყოს გამომცემლის მიერ არეული, რადგან „20“ წლის შემდეგ რაინეგსი უკვე გარდაცვლილია —გ.გ.

ცოცხალია და უმკაცრესად მარხულობს; როგორც აქ სწამთ, ის ღმერთსა და ანგელოზებს ესაუბრება, განსაკუთრებით კი ერთ უცნობ წმინდანს, რომლის გამოსახულებაც ამ ეკლესიაშია დაცული; ეს გამოსახულება სამი, მუდამ ანთებული კელატრის (სანათის) ბოლითაა შემურული და მთლიანად ამოუცნობი გამხდარა; ის აცნობს შეკრებილთ თავის საუბარსა და მისნობას, მას შემდეგ, რაც ეწვევა შთაგონება ან მოჩვენება, რომლის დროსაც ის აღტაცებულ საზოგადოებაში ფიქრობს იპოვოს უმაღლესი არსება. რადგან ამ ხალხის ყოველ საქმიანობას საფუძვლად უდევს სიზმარი და მისი ახსნა, ამდენად მან დღევანდელი სახელიც ალბათ აქედან მიიღო, რადგან თუმცა კქვია სიზმარს (ოცნებას), ხოლო თუში — მეოცნებეს. (ესეც რაინგისის ფანტაზიის ნაყოფია — გ. გ.).

როდესაც მეფე ერეკლეს ომისათვის სჭირდება ეს ხალხი, პირველად ყოველთვის ამ მოხუც კაცს შეეკითხებიან და მისი გადაწყვეტილების შემდეგ (ის კი ყოველთვის მეფის მომხრეა) ადგენენ მეომართა რაოდენობას, რომლებიც შემდგომ ამ მბრძანებლის მცველ რაზმს შეადგენენ, მის გვერდით იბრძვიან და არავითარ საფრთხეში არ ტოვებენ მას.

დაბოლოს მე ამ ხალხის შესახებ კიდევ ვიტყვი, რომ ის არის ერთადერთი კავკასიაში, რომლებთანაც ვირისა და ძროხის შეჯვარებით იშვიათ, თუმცა პატარა, მაგრამ ღონიერ ჯორს იღებენ (?! — გ.გ.).

...ხევსური არის თავისებური ხალხი, რომელიც ითვლის რამდენიმე ასეულ ოჯახს და შუაქედის სამხრეთით ცხოვრობს; დიდი ხეობით, რომელსაც მივყვართ კავკასიის კარამდე, ის ესაზღვრება ქისტებს. ისინი ეწვევიან მცირე მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას; ასევე სიამოვნებით ყაჩაღობენ, თუ ამას არ მოჰყვება ბევრი ყვირილი, ძალადობა და სისხლის ღვრა. ისინი ცხოვრობენ თუშების მსგავსად. ფიქრობენ, რომ ამ უკანასკნელთაგან უნდა წარმოსდგებოდნენ,<sup>37</sup> თუმცა ისინი ძველ-ქართული ენის განსაკუთრებულ დიალექტზე ლაპარაკობენ.

დასავლეთით მე დავასახელებ კავკასიონის იმ ნაწილს, რომელიც ვრცელდება თერგის მარცხენა ნაპირიდან შავ ზღვამდე და მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ალაზნის მარჯვენა ნაპირამდე.

<sup>37</sup> აქ კომენტარი ზედმეტად მიკვანია; თვით რაინგისიც კი ეჭვს გამოთქვამს

სხვადასხვა ხალხი სახლობს ამ ქედის ძირას, ანდა მის მთისწინებზე; ხოლო არც თუ ნაკლები რაოდენობა ცხოვრობს მაღალ მთებს შორის. ქედის უმაღლესი ნაწილი კი მეტწილად უკაცურია და არ იძლევა ხალხით დასახლების საშუალებას.

## [ო ს მ ბ ი]

თერგის მარცხენა ნაპირზე იწყება საცხოვრებლები იმ ხალხებისა, რომლებიც თავის თავს ოს-ს უწოდებენ. სხვა მეზობლები მათ ეძახიან ოსე-ს, ოსი-ს, ხოლო რუსები ოსეტინცი-ს.

პლინიუსის ასსები და მოსე ხორენელის კოსი ანუ ზოსი (Ghossi) ეჭვიმუტანლად უნდა ყოფილიყვნენ დღევანდელი ოსების წინაპრები. და მართლაც ესენი ამჟამადაც ცხოვრობენ იმ მხარეში, რომელიც ჯერ პლინიუსმა და შემდეგ მოსე ხორენელმა ასების და კოს-ის სამფლობელოდ დაასახელეს. ალბათ ძველ დროში სახელი კოსი, ასები და კოსები იყო საერთო სახელწოდება ყველა მაღალი მთის ხალხისა, რადგან კოსაელები სტრაბონისა ცხოვრობდნენ ასევე მაღალ ქედზე და კლდეებზე. ლეკები თავის ენაზე ამ ხალხს სხვებთან შედარებით ყველაზე გარკვევით უწოდებდნენ ოსეი-ს.

ოსები სახლობენ აგრეთვე კავკასიონის ჩრდილოეთ ვაკის საკმაოდ დიდ ნაწილზე და ვრცელდებიან სამხრეთისამდეც.

